საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

პაავლე თოფურია

ამიერკავკასიის ქალაქები

X–XIII ს. პირველი მეოთხედი
(გარეგანი სახე, ხელოსნური წარმოება)

თბილისი
„მეცნიერება"
1985

6 3.3 (24)
9 (21) (47.92)
თ 776

ნაშრომში ამიერკავკასიის ქალაქების ძირითადი ნაწილების (ციხე, ქალაქი, რაბადი) განხილვის საფუძველზე შესწავლილია ქალაქის გარეგანი სახე (ტოპოგრაფია); დახასიათებულია ხელოსნური წარმოების ძირითადი დარგები — საფეიქრო, მეტყავეობა, ხისა და ლითონის დამუშავება, მინის ნაწარმი, მეთუნეობა.

რედაქტორი ვ. გაბაშვილი

თ $\frac{0505010000}{М\ 607\ (06)—85}$ 202—84 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1985

შესავალი

ისტორიის შეცნიერება მზარდ ყურადღებას უთმობს შუა საუკუნეების ქალაქის შესწავლას. ეს იმ გასაგები მიზეზების გამო, რომ დღიდან თავისი აღმოცენებისა, ქალაქი, თავისი განვითარების შესაბამისად, ყოველთვის განსაზღვრავდა ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების დონეს, სოციალურ-ეკონომიკურ წყობას.

თავისი ბუნებით საქალაქო ეკონომიკა პროგრესს ესწრაფვის. ამდენად, მისი შესწავლა (ცხადია, საზოგადოებრივი წარმოების სხვა დარგებთან ერთად), საზოგადოებრივ წარმოებაში მისი წვლილის განსაზღვრა, საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავწვდეთ შუა საუკუნეების საზოგადოებათა არსს, მათი განვითარების გზებს.

აღნიშნული დროის ამიერკავკასიის ქალაქები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ. ცნობილია, რომ სწორედ ამ ეპოქაში აღწევს რეგიონის — განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთის — საზოგადოებანი ფეოდალური განვითარების უმაღლეს დონეს. რა წვლილი მიუძღვით ამ განვითარებაში ქალაქებს, როგორია მათი სოციალური სტრუქტურა, ეკონომიკური თუ კულტურული განვითარება, საქალაქო მმართველობის ფორმები, როგორ გამოიყურება ქალაქი გარეგნულად? აისახა თუ არა ქართულ-სომხური და აღმოსავლური ფეოდალიზმი ამიერკავკასიის ქალაქების საქალაქო ცხოვრებაში, არის თუ არა აქ არსებითი ან არაარსებითი საკუთარი ნიშნები?

დასმულ და სხვა მრავალ კითხვაზე საფუძვლიანი პასუხი ამიერკავკასიის ქალაქების ერთიან შესწავლას მოითხოვს, ამასთანავე — წინარე ხანის ვითარების გათვალისწინებით.

პრობლემის შესასწავლად თითქოს მრავალენოვანი (ქართული, სომხური, სპარსული, არაბული) წყაროების ფართო წრე არსებობს. მაგრამ თავიანთი ხასიათისა და დანიშნულების გამო ისინი ჩვენთვის საგულისხმო და გამოსადეგ მასალას ერთობ მცირეს შეიცავს. ასეთ ვითარებაში, ცხადია, განსაკუთრებით იზრდება ნებისმიერი, ყოველი იმ ცნობის ღირებულება, რომელიც ქალაქს და საქალაქო ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს ეხება.

შედარებით მეტ ცნობებს შეიცავს ქალაქების გარეგანი სახის და ხელოსნური წარმოების შესახებ აღწერილობითი გეოგრაფიული ლიტერატურა. მაგრამ მისი მთავარი ნაკლი ის არის, რომ კომპილაციური

ხასიათის გამო ერთი ავტორი უცვლელად იმეორებს დროით მისგან საკმაოდ დაშორებულ მეორე ავტორის ცნობებს თუ მთელ პასაჟებს. ამის გამო ჭირს საკითხის ისტორიულ პერსპექტივაში შესწავლა.

აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ქალაქების თუ ცალკეული ქალაქის შუა საუკუნეების სხვადასხვა მონაკვეთში შესწავლას კარგა ხნის და ნაყოფიერი ტრადიციები გააჩნია. მაგრამ დროის ერთ გარკვეულ მონაკვეთში მათი ერთიანობაში შესწავლის პირველ, და ისიც ნაწილობრივ, ცდას წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს.

იმ საერთო ნიშნების გამო, რომლებიც ზოგადად ახასიათებთ შუა საუკუნეების ქალაქების გარეგან სახეს და სახელოსნო წარმოებას, შესაძლებლად ჩავთვალეთ მთლიანი თემის ამ ნაწილის ცალკე გამოქვეყნება. ძირითად მიზანს შეადგენდა ამიერკავკასიის ქალაქების გარეგანი სახის, ხელოსნური წარმოების შინაარსის და მისი ძირითადი დარგების რაც შეიძლება სრულად წარმოჩენა. მაგრამ ამჯერად მოკვლეული მასალის სრული ანალიზიც ვერ მოხერხდა ზოგიერთ შემთხვევაში. აღნიშნულის გამო, ნაშრომი ოდნავადაც არ არის დაზღვეული მთელი რიგი ნაკლოვანებებისგან და იგი მხოლოდ ყამირის პირველ კვალად თუ შეიძლება ჩაითვალოს.

შუა საუკუნეების ამიერკავკასიის გეოგრაფიული საზღვრები მნიშვნელოვნად განსხვავდება დღევანდელისაგან — ის გაცილებით ფართო ტერიტორიას მოიცავს. ამის გამო კვლევის არეში შემოვიდა ის ქალაქებიც, დღეს რომ სხვა სახელმწიფოთა ფარგლებში იმყოფებიან.

ამჯერად თავი ავარიდეთ განმაზოგადებელ შეფასებებს და საერთო დასკვნებს. ასეთი რამ პრობლემის სრული შესწავლის შემდეგ იქნება გამართლებული.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია უღრმესი მადლობა მოვახსენოთ ყველა ჩვენს კოლეგას ნაშრომზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისათვის.

თავი პირველი

ამიერკავკასიის ქალაქების გარეგანი სახე

ქალაქის გარეგანი სახის ჩამოყალიბება მჭიდროდ უკავშირდება ქალაქის აღმოცენების პროცესს. ხოლო მისი შესწავლის წარმატებას განაპირობებს თვით ქალაქის ცნების ნათლად გარკვევა, იმ პირობების გამოკვეთა, რომლებიც ქმნიან ქალაქს, როგორც ისტორიულ კატეგორიას. რა არის ქალაქი, ადამიანთა დასახლების რომელი სახე შეიძლება ჩაითვალოს ქალაქად და რომელი არა? როდესაც საქმე ეხება „დიდ“ ქალაქებს, საკითხი ნათელია, მაგრამ რომელი დასახლება ჩავთვალოთ (ითვლება), და რის საფუძველზე, პატარა ქალაქად, დაბად, სოფლად? რითი განვასხვავოთ, თუ განსხვავდებიან, ერთმანეთისგან ქალაქი და ციხე-ქალაქი?

ამა თუ იმ დასახლების ტიპის განსაზღვრა მხოლოდ ტოპოგრაფიული ნიშნების მიხედვით ყოველთვის არ იძლევა ამომწურავ პასუხს. განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობათა ხანაშიც გვხვდება გალავნით გამაგრებული დასახლება, რომელსაც თვით შუა საუკუნეების წყაროც სოფელს უწოდებს. იბადება სხვა კითხვაც: ერთნაირად გვესმის ქალაქის ცნება დღევანდელ მკვლევარს და შუა საუკუნეთა მემატიანეს?

ქალაქის ცნების განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმად სოციალურ-ეკონომიკური ნიშნებია მიჩნეული სრულიად მართებულად, რადგანაც სწორედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგად ხდება საქალაქო ეკონომიკის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან, ქალაქისა — სოფლისგან. სიძნელეებს გარდამავალ საფეხურთა დიფუზორობა ქმნის.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავიდანვე, „კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე“, ხდებოდა გამაგრებულ, შემოზღუდულ დასახლებათა აღმოცენება — თვით „ქალაქის“ ეტიმოლოგიაც ხომ აქ იღებს სათავეს. განა ასეთ დასახლებებში იმთავითვე იყო გამიჯნული „სოფლის“ და „ქალაქის“ შრომა? ფეოდალურ ეპოქაში, მის წიაღში აღმოცენებული თუ წინარე ეპოქებიდან „გადმოსული“, ასეთ და სხვა ნიადაგზე წარმოშობილი განსხვავებანი დასახლებათა ფორმებსა და შინაარსს შორის ქალაქთა ტიპების განსაზღვრით უნდა ავხსნათ.

ფეოდალიზმის ხანაში სოფლის გამოწელილვით შესწავლა თავისთავად გასცემდა პასუხს ქალაქთან დაკავშირებით აღძრულ მრავალ კითხვას. სინამდვილეში, რამდენადაც ვიცით, ამიერკავკასიის ქვეყნებში სოფლის შესწავლას არ ექცევა სათანადო ყურადღება. არადა, ფეოდალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი ხომ მიწას და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ემყარება; სოფელი კი — მიწაა, გლეხია.

როგორც აღვნიშნეთ, ქალაქის გარეგანი სახის ჩამოყალიბება ქალაქის აღმოცენებასთან ერთად ხდება. აღმოცენებაში იგულისხმება როგორც ნებისმიერი დასახლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგად „გაქალაქება", ასევე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელის ერთი დაკვრით „შიშველ ადგილზე" ქალაქის დაარსებაც.

გავადევნოთ თვალი მცხეთის გარეგანი სახის ჩამოყალიბებას, რაც ასე ნათლად იკვეთება ლეონტი მროველის თხზულებაში.

მტკვრისა და არაგვის ხერთვისთან მოსული ქართლოსი „განვიდა მთასა მას ზედა... და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თჳსისა ქართლი". აქვე საკულტო ნაგებობის აღმართვის შემდეგ მთას სახელად ეწოდა არმაზი. აქვე „დაფლეს" ქართლოსი. „და შემდგომად ამისსა ცოლმან მისმან (აქ) აღაშენა დედა-ციხე"[1]. ქართლოსის ძემ მცხეთოსმა, რომელიც „დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქჳან არმაზი... აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგჳსასა, და უწოდა სახელი თჳსი მცხეთა. ხოლო არდამ ერისთავმა „მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქჳთკირითა... ამანვე... მოჰკიდა კირი-ზღუდე ციხესა არმაზისასა".

გარდა გალავნისა საკუთრივ ქალაქი მცხეთა გამაგრებულია კიდევ ოთხი ციხით. გავიდა ხანი და ადერკი მეფემ თავის ორ ძეს „განუყო ყოველი ქუეყანა თჳსი: მისცა ქალაქი მცხეთა და (სხვა) ყოველი ბარტომს... ხოლო არმაზით კერძო ქალაქი (და სხვა) ყოველი მისცა ქართამს". ბარტომისა და ქართამის შემდეგ „მეფე იქმნეს შვილნი მათნი: არმაზს — ფარსმან (ქართამის ძე) და შიდა ქალაქსა — კაოს (ბარტომის ძე)"[2]. C და m ნუსხები პირდაპირ აღნიშნავენ: „...შიდა ქალაქსა, რომელ არს მცხეთა"[3]. გაყოფა ხდება I საუკუნეში[4].

---

[1] იგივე არის „თავადი ციხე".

[2] ლეონტი მროველი, ქ. ცხ., I, გვ. 8, 9, 11, 13, 17, 19, 23, 43, 44, 85—86.

[3] იქვე, გვ. 51_{12} შ. შდრ. იქვე, გვ. 50 $_{3-4}$ და 50_7: „...შინა ქართლსა", ხოლო RT6 ნუსხებში: „...შიდა ქალაქსა".

[4] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 55—57.

ლეონტი მროველის თანახმად, მცხეთა საერთოდ ქალაქის აღმოცენება-განვითარების კლასიკურ სქემას მიჰყვება. „დიდი მცხეთის“ ძირითად ნაწილებს შეადგენენ დედაციხე (თავადი ციხე), ქალაქი, გარეუბანი. ჩვენ არ განვიხილავთ მროველის ცნობების შუქზე მცხეთის ტოპოგრაფიას. ქართულ ისტორიოგრაფიაში ქალაქის არქეოლოგიური შესწავლის საფუძველზე ამ საკითხს არა ერთი ნაშრომი მიეძღვნა.

აღნიშნული სქემის მიხედვით განვიხილავთ ამიერკავკასიის ქალაქების გარეგან სახეს, რაც ნათლად წარმოაჩენს ზოგად თუ კონკრეტულ, მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

შუა საუკუნეების ქალაქის ეს სამი მთავარი ნაწილი, თავისთავად დიაქრონულ ჭრილში მათი თანმიმდევრობა ქალაქის განვითარების ზოგად გზას ასახავს.

ამიერკავკასიაში ქალაქმშენებლობას და საქალაქო ცხოვრებას ღრმა და ძლიერი ფესვები გააჩნდა ჯერ კიდევ განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქამდე დიდი ხნით ადრე.

საერთოდ გამაგრებული საცხოვრისი, მიწათმფლობელი არისტოკრატის ციხე-სიმაგრე ხშირად გამსდარა საფუძველი, კვეთი ქალაქის აღმოცენებისათვის. ასე ხდებოდა ამიერკავკასიის ქვეყნების სინამდვილეშიც. „აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა. სახელით არტანუჯი; და აოხრებულ იყო ბაღდადელისა მის ყრუობითგან. იგი გაანახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა — კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი. და შექმნა მას შინა საფლავი თჳსი, და დაემკჳდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად“; ხოლო, როდესაც „...მოიკლა უფალი იგი მათი“ აშოტ კურაპალატი „წარმოიღეს და დაფლეს მისსა მას საფლავსა შინა ციხესა არტანუჯისასა, ეკლესიასა წმიდათა მოციქულთასა“[5].

ჭეშმარიტად მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ცნობაა, რადგანაც მასში ესოდენ გამოკვეთილად, დაწურულად, მაგრამ არა მწირად არის ჩამოყალიბებული ქალაქის მშენებლობის, მისი გარეგანი სახის, ქალაქის ცნების ამსახველი საკითხები.

ქალაქმშენებლობის თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ აშოტ კურაპალატმა გორგასლის დროინდელი ციხე განაახლა, მასში დაიდო ბინა და მის ძირში აღაშენა ქალაქი, რომელსაც „სრულ გაქალაქებამდე“ აკლია ერთი — ასეთ გამაგრებულ, გალავნით მოზღუდულ ციხე-ქალაქთან აღმოცენებული დასახლებანი, გარეუბანი, რაბადი. მაგრამ ეს

---

[5] სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქ. ცხ., 1, გვ. 377.

უკვე, უმეტესწილად, ფეოდალური განვითარების ნაყოფია და მისი წვლილი ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებაში. „უმეტესწილად“ იმიტომ, რომ სოციალური ტოპოგრაფიის ფაქტორები ყოველი დროის ქალაქისათვის იყო დამახასიათებელი.

ქალაქის დაარსების, მისი გარეგანი სახის ჩამოყალიბების იმ ერთ-ერთ გზას, რომელიც მცხეთისა და არტანუჯის სინამდვილეში გამოვლინდა, აშკარად „იმეორებს და მიჰყვება“ ანისი.

„კავკასიის არქეოლოგიური გვირგვინის ერთი უმსხვილესი მარგალიტი“ უწოდა ნ. მარმა ანისის ნანგრევებს, რითაც სამართლიანად შეუძლია იამაყოს კავკასიამ თავის სხვა სიმდიდრეთა და ღირსშესანიშნაობათა გვერდით[6]. ნ. მარს ამის თქმის სრული უფლება, მტკიცე საფუძველი ჰქონდა. ეს საფუძველი შექმნა მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულმა ანისის მრავალწლიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმა და ქალაქის სვე-ბედის ამსახველი ისტორიული წყაროების შესწავლამ.

ყამთასიავით დანგრეული და მივიწყებული, მიწის ქვეშ დაფლული ანისი ნ. მარის გათხრებმა ერთბაშად გამოამზეურა; მისმა დიდებულმა ნანგრევებმა, მთელმა არქეოლოგიურმა მასალამ, ისტორიულ ფაქტებს თანხმობით მხარში რომ ამოუდგნენ, ანაზდეულად გამოაბრწყინა ეს, მართლაც, მარგალიტი და თვალსაჩინო გახადა, ამიერკავკასიის სხვა ქალაქებთან ერთად, მისი მნიშვნელობა და ადგილი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების და საქალაქო ცხოვრების ისტორიაში.

ერთ დროს სომხეთის ანისის სამეფოს დედაქალაქი ანისი დღეს თურქეთის მფლობელობაში, ყარსის ოლქში მდებარეობს. გასული საუკუნის მიწურულს იქ ჩასულ ნ. მარის ექსპედიციას მხოლოდ რამდენიმე ძლიერ დაზიანებული ნაგებობა და მიწით დაფარული ნანგრევებიღა დახვდა. თავის დროზე კი ჭეშმარიტად ბალუმი და მღელვარე საქალაქო ცხოვრებიანი ანისი გაშლილი იყო მაღალ, წაგრძელებულ სამკუთხა ზეგანზე, რომლის ციცაბო, დახრამული, ორივე ფერდობის ძირში მიედინებოდა მდ. ახურიანი (არპა-ჩაი), მდ. არეზის (არაქსის) შენაკადი და ანისის ღელე (ალაჯა), რომელთაც ჩრდილოეთის აყოლებით მოეკიდებოდა გაილეძორის და იგაძორის ხევები.

ანისის ისტორია მისი ციხე-სიმაგრის ისტორიიდან იწყება. ცნობილია, რომ იგი კამსარაკანთა ფეოდალური გვარის სამფლობელოში შედიოდა[7]. ფავსტოს ბუზანდის (V ს.) ცნობიდან ირკვევა, რომ ციხე-სი-

---

[6] Н. Я. Марр, Об учреждении Анийского археологического института, ИАН, 1910, с. 438.

[7] И. А. Орбели, Басни средневековой Армении, Избранные труды, т. 1, М., 1968, с. 254; მისივე, Развалины Ани, Избранные труды, Ереван, 1963, с. 3.

მაგრეში, ზევს-არმაზდის ტაძართან სომეხ არშაკუნიანთა საგვარეულო სამარხი არსებობდა[8].

კამსარაკანები არაბთა გაბატონებამდე ფლობდნენ არშარუნიკის ოლქს და მასში შემავალ ანისს. VIII ს. მეორე ნახევარში კი ოლქი ანისითურთ ხელთ იგდეს აღმავლობის გზაზე შემდგარმა სხვაგნით მოსულმა (როგორც ვარაუდობენ, ლაზთა ქვეყნიდან) ბაგრატუნიანებმა[9]; აშოტ მ ს ა კ ე რ მ ა („ხორცისმჭამელი"), იყიდა ის. ხოლო 961 წ. აშოტ ო ღ ო რ მ ა ც მ ა („მოწყალე") არაბთა თანხმობით ანისში სომეხთა მეფის გვირგვინი დაიდგა და იგი ანისის სამეფოს (IX ს. 60-იანი წლები — 1045 წ.) დედაქალაქად აქცია.

ანისის ციხე-სიმაგრე აგებული იყო აღნიშნული ზეგანის უკიდურეს სამხრეთ, ვიწრო ნაწილში მდებარე მიუდგომელ და მხოლოდ ერთი მხრიდან ხელოვნურად, მტკიცე კედლით გამაგრებულ გორაზე. ეს კედელი კამსარაკანებმა ააგეს V საუკუნეში დიდრონი, უხეშად დამუშავებული, რკინის კავებით გადაბმული ლოდებისაგან. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიურმა გათხრებმა ამ ნაგებობაში გაცილებით უფრო ადრინდელი ეპოქის სამშენებლო მასალაც გამოავლინა[10].

როგორც ვნახეთ, X საუკუნეში ანისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრა მოხდა — იგი ახლად შექმნილი სამეფოს დედაქალაქი გახდა. ცვლილებები ხდება მის გარეგან სახეშიც. 963—964 წწ. აშოტ მესამემ ანისის ციხე-სიმაგრის ქვევით, ჩრდილოეთისკენ გაშლილი ზეგანის ფართობი მის ვიწრო ყელთან კედლით გადაკეტა (ეგრეთ წოდებული „აშოტის კედლები"). ნ. მარი აღნიშნავს, რომ ეს კედლები საგულისხმონი არიან არა მარტო როგორც სამოქალაქო არქიტექტურის მასალა — მათმა აღმოჩენამ თავისი წვლილი შეიტანა ანისის წარსული ცხოვრების შესწავლაშიც, რადგანაც ამ კედლებმა სრულიად ახალი შუქი მოჰფინეს ქალაქის თანდათანობითი ზრდის ისტორიას და იმთავითვე გაარკვიეს მისი ტოპოგრაფიის ძირითადი სადემარკაციო ხაზი[11].

აშოტის კედლებით მოზღუდულმა ფართობმა ანისის შიდა ქალაქი შეადგინა, სადაც ანისის ძველი ციხე-სიმაგრე უკვე დედაციხის ხარისხში გვევლინება, რომელსაც სომხურად მ ი ჯ ნ ა ბ ე რ დ („შუა ციხე",

---

[8] Г. Х. Саркисян, Черты эллинизма в духовной культуре древней Армении, «Эйрене», I.

[9] И. А. Орбели, Развалины Ани, с. 3.

[10] Н. Я. Марр, Ани книжная история города и раскопки на месте городища, Л.—М., 1934, с. 49.

[11] იქვე, გვ. 54.

შდრ. ქართ. „მიჯნა“) ეწოდება, ხოლო ნ. მარი და სხვები ვ ი შ გ ო-რ ო დ-ით თარგმნიან[12].

„აშოტის კედლების აშენების შემდეგ ანისის ციხე-სიმაგრე, უკვე ვ ი შ გ ო რ ო დ ი, იზიარებს ჯერ ბაგრატუნიანთა სატახტო, შემდეგ კი სომხური ვაჭრობისა და მრეწველობის ქალაქის ბედს. ცნობილია, რომ ვ ი შ გ ო რ ო დ ი შემდგომ ხანებშიც რჩებოდა მიუვალ ციხე-სიმაგრედ. ხშირად მტრებს აუღიათ ქალაქი... აუღიათ აშოტის კედლებით საგანგებოდ გამაგრებული შიდა ქალაქი, მაგრამ ვ ი შ გ ო რ ო დ ი, ძველი ციხე-სიმაგრე, პატრონთა ხელში რჩებოდა“[13]. ასეთ ვითარებაში ქართველი მემატიანე, ჩვეულებრივ, დაწერდა ხოლმე: „აღიღეს ქალაქი თჳნიერ ციხისა“.

X საუკუნეში ანისი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ქალაქია[14], და ნიშანდობლივიც ის არის, რომ სწორედ ამ დროს გამოეყო შიდა ქალაქი თავისი ძველი ციხე-სიმაგრით დანარჩენ ქალაქს. საგულისხმოა ისიც, რომ ანისის მკვლევრები (ნ. მარი, ი. ორბელი...) შიდაქალაქს „ძველ“, ხოლო დანარჩენ ანისს „ახალ ქალაქს“ უწოდებენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ანისის „ახალ ქალაქს“ გალავანი X ს. დასასრულს, აშოტის კედლების აგების შემდეგ შემოარტყეს.

მცხეთისა და არტანუჯის შიდაქალაქის ტოპოგრაფია, წერილობით წყაროებში აღწერილი არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა; იგივე ითქმის ანისის მიმართ. საერთოდ კი „შიდაქალაქი“ ზოგადი მოვლენაა ქალაქის ტოპოგრაფიაში. აღმოსავლური ქალაქის სინამდვილეშიც ცნობილია ა ლ-მ ა დ ი ნ ა ა ლ-დ ა ხ ი ლ ა, რაც სიტყვასიტყვით სწორედ „შიდა ქალაქს“ ნიშნავს[15]; (შდრ. რუსთაველთან: „...მოიცვეს შიგა ქალაქი...“)[16].

ანისში, შიდაქალაქის უმაღლეს ადგილზე აგებული იყო სამეფო სასახლე. აქვე მდებარეობდა და სასახლის შემადგენლობაში შედიოდა უძველესი, სასახლის პატარა ბაზილიკური ეკლესია. ის სასახლეზე უფრო ძველია — არქიტექტურული სტილისა და ჩუქურთმის ხასიათის მიხედვით მას VI—VII სს. მიაკუთვნებენ. საერთოდ შიდა ქალაქში გამოვლენილია ექვსი, ერთმანეთისგან განსხვავებული გეგმის

---

[12] იქვე, გვ. 23, 65; И. Орбели, Краткий путеводитель по городищу Ани (с планом), Анийская серия, №4, СПб., 1910, с. 4.

შეგნიშნავთ, რომ რუსეთის სინამდვილეში ქალაქის ციხეს აღნიშნავდა детинец, საგულისხმოა მისი ეტიმოლოგიის შედარება დედაციხესთან.

[13] Н. Марр, Ани, с. 54—55.

[14] იქვე, გვ. 23, ...«По нормам раннего города...» აღნიშნავს ნ. მარი.

[15] О. В. Цкитишвили, Топография города Казвина XIII в. по данным Закария ал-Казвини. მაკს, II, გვ. 23—24.

[16] „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1957, სტროფი 1202.

ეკლესია[17]. ერთ-ერთი მათგანის (ციხისა) ქვედა ნაწილი X—XI სს. მიეკუთვნება და, როგორც ჩანს, ამ დროს გადაუკეთებიათ[18]; ამას ადასტურებს მისი გუმბათის სრულიად უჩვეულო ფორმა. შიდა ქალაქშივე აღმოჩნდა მონასტერი, სასაფლაო, სხვადასხვა საერო ნაგებობათა ნაშთები. მათ შორის ყურადღებას იპყრობს აშოტის კედლებთან გათხრილი საცხოვრებელი სახლები.

შუა საუკუნეების ქალაქის ტოპოგრაფიისა და ამიერკავკასიაში ქალაქმშენებლობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს დარუბანდი[19]. მას დღესაც თვალნათლივ აქვს შენარჩუნებული ძველი ქალაქის აღნაგობა.

დარუბანდის ორი, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედელი, კავკასიონის მთებსა და კასპიის ზღვის სანაპიროს შორის არსებულ ვიწრო გასასვლელს რომ კეტავს, ზღვის სანაპიროდან დასავლეთის მიმართულებით აპყვება ფერდობს, თანდათან ვიწროვდება და მთის წვერზე, მათ შორის აგებული შიდაციხით იკვრება. ამრიგად, შიდაციხე ზემოდან დაჰყურებდა და დაჰყურებს მის წინ მთის ფერდობზე ჩაფენილ ქალაქს. ქალაქის სიგანე ამ ნაწილში მხოლოდ 350 მ იყო.

შიდაციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია (შიდა ქალაქი) ქალაქისაგან გამოყოფილი იყო ეგრეთ წოდებული „შუა კედლით". ის ქალაქის ხელისუფლებას იცავდა საკუთარი ქალაქის მოსახლეობისგან[20]. მისი ასეთი დანიშნულება ნათლად ჩანს დარუბანდში მიმდინარე საშინაო ბრძოლების ფონზე, როდესაც არაერთხელ დაუნგრევიათ და აღუდგენიათ იგი.

დარუბანდის დედაციხე შიდა ქალაქთან ერთად, ანისის შესაბამისი ნაწილების მსგავსად, ქალაქის უმაღლეს ნაწილში მდებარეობდა. თბილისის ციხეს კი „ზემო ციხეს" უწოდებდნენ[21]. ამ შემთხვევებში, ფეოდალური ქალაქის აღნიშნული ნაწილების მდებარეობა და მათი სოციალური დანიშნულება, შინაარსი ემთხვევა ერთმანეთს.

იყო თუ არა დარუბანდის ციტადელში საკულტო ნაგებობა, დანამდვილებით არ ვიცით. ყურადღებას იპყრობს ციტადელის ჩრდილო-

---

[17] Н. Марр, Ани, с. 66.

[18] И. Орбели, Кр. путеводитель, с. 16—17.

[19] დაწვრილებით იხ. В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, გვ. 119—124 და სხვ. ბ. თოფურია, ამიერკავკასიის ქალაქების ისტორიიდან (დარუბანდი X—XI საუკუნეებში), „მაცნე", 1970, № 4, გვ. 107—108, 122—123; მისივე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI—XIII საუკუნეებში, თბ., 1975, გვ. 107—114; А. Кудрявцев, Город, не подвластный векам, Махачкала, 1976; მისივე, Древний Дербент, М., 1982.

[20] შდრ. ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X—XI საუკუნეებში, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 354—355.

[21] ბერი ეგნატაშვილი, ქ. ცხ., II, გვ. 357.

დასავლეთ ნაწილში, მისი კედლისგან 15 მ დაშორებული ერთი ნაგებობა. მისი ჯვრის ფორმა და დაგეგმარების სხვა ნიშნები საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს ადრე შუასაუკუნეების კავკასიის და სხვა ქვეყნების ეკლესიებთან[22].

ცენტრალური საკრებულო მეჩეთი ქალაქში, დედაციხის გარეთ მდებარეობდა.

დარუბანდის შიდა ქალაქის შემორჩენილი ნაგებობანი გვიანი შუა საუკუნეების დროინდელი და მრავალჯერ შეცვლილ-გადაკეთებულნი არიან. თუმცა, საკითხის გასაშუქებლად ზოგიერთი ცნობა მაინც გაგვაჩნია. კერძოდ, არაბებმა დარუბანდის დაპყრობის შემდეგ ქალაქის ციტადელში (დ ე რ ბ ე ნ დ-ნ ა მ ე: ნარინ-ყალ'ა) ძველი შენობის ადგილზე იარაღის და ნავთის საწყობი და სურსათ-სანოვაგის ბეღლები ააგეს[23]. ამ საწყობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ დარუბანდელთა ცხოვრებაში და, როგორც ჩანს, ამიტომაც შეურჩიეს მათ ეს ადგილი.

ვ. ბარტოლდი „ისლამის ენციკლოპედიის" გერმანული გამოცემის პირველ ტომში (1908) წერდა: „თანამედროვე ქალაქის საპირისპიროდ X ს. დერბენტს არ ჰქონდა ციტადელი ...რუბრუკვისი, რომელმაც აქ ერთი დღე (1254 წლის 17—18 ნოემბერი) გაატარა, პირველად ახსენებს დერბენტის ციტადელს"[24]. ბარტოლდის ეს დასკვნა შემდეგ კ. ტრევერმაც გაიზიარა[25].

საკითხი მნიშვნელობას იძენს დარუბანდის და საერთოდ ფეოდალური ქალაქის ტოპოგრაფიის, მისი სოციალური სტრუქტურისა და ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით.

არაბული წყაროები (იბნ ხორდადბეჰის, ისტახრის, მას'უდის, იბნ ჰაუკალის, მუკადასის თხზულებანი), ჩვეულებრივ, ყურადღებას ამახვილებენ დარუბანდის გალავნის, ნავსადგურის, სასანელთა მიერ კავკასიონზე სიმაგრეთა მშენებლობის აღწერაზე და არ აღნიშნავენ დარუბანდში ციხის არსებობას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის თითქოს მართლაც არ არსებობდა.

---

[22] ვრცლად იხ. Л. Кудрявцев, Город, с. 127; მისივე, Древний Дербент, с. 127—128.

[23] დერბენდ-ნამე (Derbend-Nâmeh, or The History of Derbend; transl. from a select turkish version and publ. with the texts and with notes... by Mirza A. Kazem-Beg, St. P. 1851), p. 89: جبه خانه و صورصات انبارلری

[24] В. В. Бартольд, Дербент, Сочинения т. III, М., 1965, с. 423, 426.

[25] К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М.—Л., 1959, с. 280: «...стены примыкают к цитадели Нарин-Кала, которая построена после X в».

ზემოხსენებული საწყობები, დ ერ ბ ე ნ დ-ნ ა მ ე ს ცნობით, არაბთა სარდალმა დარუბანდის ციტადელში, ნარინ-ყალაში, ააგო[26].

ძნელია ვივარაუდოთ, რომ ბარტოლდი არ იცნობდა ამ ცნობას, ის ხომ იმავე სტატიაში სარგებლობს დ ერ ბ ე ნ დ-ნ ა მ ე ს ცნობებით, რომელშიც უარყოფს დარუბანდში ციტადელის არსებობას. როგორც ჩანს, ცნობა მან გვიანდელ ინტერპოლაციად მიიჩნია. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ კ. ტრეევერი ციტადელის სახელად, როგორც ვნახეთ, ნარინ-ყალას აღიარებს. ვ. მინორსკისათვის დარუბანდში ციხის არსებობა საეჭვო არ იყო[27].

ამის შესახებ ჩვენ ადრეც აღვნიშნავდით.

თ ა რ ი ხ ა ლ-ბ ა ბ ი კი დარუბანდში ციტადელის (ყ ა ლ'ა) არსებობის შესახებ ყოველგვარ ეჭვს ფანტავს. ამასთანავე, ნათლად ირკვევა, რომ იგი გამიჯნულია ქალაქს, მისგან დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს: „შარვანშაჰი დაიძრა და დაიკავა ალ-ბაბის (დარუბანდის) ქალაქი და ციხე". შარვანშაჰს კი ალფ არსლანის მონამ წაართვა ქალაქიც და ციხეც[28].

XIII ს. მეორე ნახევარში დარუბანდის ციხეს ასახელებს ჟამთააღმწერელიც: „...ივლტოდეს დარუბანდელნი სიმაგრესა ციხისასა, რომელსა ანიყად უწოდეს, და გარე მოადგეს... და წარუღეს ციხე, და თავადნი მ.თნი დაჯოცნეს... და ციხე დაწუეს"[29]. ნიშანდობლივია, „თავადნი მათნი დაჯოცნეს", ხოლო ამ სოციალური ფენის პოლიტიკური დასაყრდენი — „ციხე დაწუეს".

აშკარაა, რომ ციხის სახელი გადამწერთაგან არის წარყვნილი.

შუა საუკუნეების ქ. განძის ციტადელი მდ. განჯა-ჩაჲს მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. მის გალავანს, კუთხის ძლიერი კოშკებით გამაგრებულს, რამდენიმე კარი ჰქონდა დატანებული. ციტადელთან მიმდებარე ქალაქის ნაწილს თავისი გალავანი ჰქონდა. მდინარის მარცხენა ნაპირზე განლაგებულ განძის დანარჩენ ნაწილს ციტადელი სამი მრავალთაღიანი ხიდით უკავშირდებოდა[30].

ლ. ჭილაშვილი იმოწმებს ს. ჯანაშიას და აღნიშნავს: „როგორც

---

[26] დერბენდ-ნამე, გვ. 89.

[27] В. Ф. Минорский, История, с. 123.

[28] ბ. თ ო ფ უ რ ი ა, ამიერკავკასიის ქალაქების ისტორიიდან, გვ. 108; მისივე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 111. შდრ. А. А. Кудрявцев, Древний Дербент, с. 117—120; თარიხ ალ-ბაბ («История Ширвана и ал-баба». Перев. с араб., წიგნში В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, М., 1963, § 42, 44 და სხვაც.

[29] ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, გვ. 286.

[30] И. Джафарзаде, Обследование старой Ганджи, ИАзФАН СССР, 1939, № 3, с. 74.

ჩანს, VI ს. დასაწყისისათვის თბილისს ორი ძირითადი ნაწილი აქვს — ციხე და ქალაქი. ციხე თავისთავად ორი ნაწილისაგან შედგენილი გაწიცდის მისი დასახლებული ადგილის ზრდას და გადადის ქალაქის ტერიტორიაში, რომელიც თვითვე იჩენს ზღუდეს"[31].

ციხე ფეოდალური ქალაქის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენდა. მაგრამ ქალაქთან დაკავშირებით ციხე ყოველთვის გულისხმობს თუ არა შიდა ციხეს, ციტადელს, შიდა ქალაქს—იმას, რაც ზემოთ განვიხილეთ? არსებობდა თუ არა ქალაქი შიდაციხის გარეშე?

ქ. იაზიდიას შარვანშაჰმა გალავანი შემოარტყა, (იხ. ქვევით) მაგრამ არ ვიცით ააგეს თუ არა ციხე.

ისეთ პატარა ქალაქს, როგორიც იაზიდია იყო, შესაძლებელია, გალავანს გარდა სხვა სიმაგრე არ ჰქონოდა. თუმცა, მასზე პატარა ქალაქ (თუკი ის საერთოდ შეიძლება ქალაქად ჩაითვალოს) მიჰიდარიდაში შარვანშაჰმა გალავანიც ააგო და ქალაქის შუაში ციხეც. ამ შემთხვევაში, სავარაუდოა, მიჰიდარიდას დანიშნულებამ წარმართა ქალაქის გეგმა[32]. წყაროდან არ ჩანს გამოყოფილი იყო თუ არა ეს ციხე ქალაქისაგან.

საერთოდ ციხე-სიმაგრე, ისევე როგორც ქალაქისაგან გამოყოფილი შიდაციხე (სპარს. ყ უ ჰ ე ნ დ ი ზ, იგივე კრემლი, ციტადელი), სამხედრო-პოლიტიკურ ფუნქციებთან ერთად, ყოველთვის განამტკიცებდა სოციალური ბატონობის საფუძველს. ამიტომაც ხდება ერთიანი გალავნით დაცული ქალაქის შიგნით გამაგრებული შიდაციხის გამოყოფა, რომლის ბინადარნი მის კედლებში ისევე იცავდნენ თავს გარეშე მტრისაგან, როგორც საკუთარი ქალაქის მოსახლეობისაგან. ბაქუვი, მაგალითად, წერს: „...ქალაქს აქვს ყ უ ჰ ე ნ დ ი ზ ი, რომელზედაც ძნელია ასვლა. თავისი მიუდგომლობის გამო მასში ქვეშევრდომთა (ა ლ-რ ა'ნ ა) წინაშე შიშის გამო განცალკევებული არიან მმართველები (ა ლ'უ მ ა ლ)"[33].

ბაილაყანის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად, დადგინდა ქალაქის ტოპოგრაფიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და საგულისხმო ფაქტი. კერძოდ, აქ პირველად აგებული იყო დიდი ქალაქი გალავნით, რომელსაც შემდეგ, არა უგვიანეს XI ს. დასასრულისა, გამოეყო და ცალკე, „თავისი" გალავნით, კარით და თხრილით შემოიზღუდა პატარა

---

[31] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970, გვ. 59.

[32] იხ. თარიხ ალ-ბაბ, § 24.

[33] ბ ა ქ უ ვ ი ('Абд ал-Рашид ал-Бакуви, Китаб Талхис ал-āсāр ва аджаиб-ал-малик алḫаххāр («Сокращение [книги о] «памятниках» и чудеса царя могучего») — Изд. текста, перев., предисл., примеч. и приложения З. М. Буниятова, М., 1971, ტექსტის ფაქსიმილე), с. 39 (30).

ქალაქი[34]. ხოლო დიდი ქალაქის გალავანი თანდათან კარგავდა თავის დანიშნულებას და XII ს. მის ნანგრევებზე ქალაქის ღარიბი მოსახლეობის საცხოვრებლები ჩნდებოდა.

საყურადღებოა, რომ მკვლევარნი არ თვლიან პატარა ქალაქს ციტადელად[35]. მართლაც, ნაქალაქარის საერთო ფართობი შეადგენს 36 ჰექტარზე ოდნავ მეტს, ხოლო პატარა ქალაქის — 14,5 ჰექტარს[36]. როგორც ირკვევა, პატარა ქალაქის ფართობი დიდის თითქმის ნახევარს მოიცავდა.

ეს ფაქტი ერთ საგულისხმო კითხვას აღძრავს. შეიძლება თუ არა ბაილაყანის პატარა და დიდი ქალაქის მოსახლეობა სოციალურად მკვეთრად გავმიჯნოთ ერთმანეთისგან? ბაილაყანის 1953—1955 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალის ანალიზი ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს გვაძლევს.

ყ უ ჰ ე ნ დ ი ზ ი ს არაბული შესატყვისი არის კ ა ლ'ა, რომელიც სპარსულშიც დამკვიდრდა ციხის, ფორტის, ციტადელის მნიშვნელობით. თუ ყ უ ჰ ე ნ დ ი ზ ი შიდაციხეს, ციტადელს გულისხმობს, კ ა ლ'ა ს შემთხვევაში ყოველთვის არ არის ასე და ხშირად კონტექსტის გათვალისწინებაც არაფერს გვაძლევს, რადგანაც ძნელია გაირკვეს, რას გულისხმობს წყაროში არსებული კ ა ლ'ა შიდაციხეს (კრემლს, ციტადელს) თუ „უბრალო", ჩვეულებრივ ციხეს. ანისის შესახებ, მაგალითად, იაკუთი წერს, რომ იგი არის „გამაგრებული ციხე (კ ა ლ'ა) და ქალაქი (მ ა დ ი ნ ა) არმინიის მიწაზე..."[37]. ტექსტიდან ძნელია გაირკვეს, რა ვიგულისხმოთ კ ა ლ'ა შ ი. ამჯერად საკითხი იოლად წყდება, რადგანაც ვიცით, თუ რას წარმოადგენდა ანისის კ ა ლ'ა — მკვეთრად გამოკვეთილ, „კლასიკურ" შიდაციხეს, ციტადელს. იგივე იაკუთი: „ულთა... გამაგრებული ციხე (კ ა ლ'ა) და ქალაქი (მ ა დ ი ნ ა) თბილისის მახლობლად"[38].

თუ იაკუთის „ულთა" ოლთისია, ასეთ შემთხვევაში საყურადღებოა

---

[34] А. А. И е с с е н, Азербайджанская (Орен-Калинская) экспедиция. МИА, 67, с. 11. ამავე, Городище Орен-Кала, იქვე. გვ. 40—41, 43; Н. В. Минкевич-Мустафаева, Раскопки на городской стене Орен-Кала в 1952—1954 гг., (Раскоп II), იქვე, გვ. 173. „დიდი ქალაქი", „პატარა ქალაქი" ბაილაყანის მკვლევართა მიერ შემოღებული ტერმინებია.

[35] А. А. И е с с е н, Городище, с. 39.

[36] იქვე, გვ. 33.

[37] ი ა კ უ თ ი ს ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. 1, არაბ. ტექსტი ქართ. თარგმ. და შესავალი წერილით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, თბ., 1964, გვ. 1.

[38] იქვე, გვ. 17. შდრ. „ბ ა ლ ლ უ — გამაგრებული ციხე და ქალაქი არმინიაში...", იქვე, გვ. 26; „ბ ა ბ ჯ ა ნ ქ უ რ დ ი... ქ ა ლ ა ქ ი [ბ ა ლ ლ] დ ა ციხე [კ ა ლ'ა] კარსსა და არზან რუმს შორის...", იქვე, გვ. 37.

გავითვალისწინოთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელი — არა ადრინდელი — წყაროები ასახელებენ ოლთისის ციხეს: „...ღამესა მასვე აყრილიყო და შესულიყო ოლთისის ქალაქიდამ ციხე'ში, რაც რამ ჰყვანდა და ჰქონდა, იგიცა ყველა ციხეში შეხიზნა, რამეთუ უწინ ციხესა დაბლა იდგნენ“[39]. ეს ცნობა (თავისი კონტექსტით) იმის საფუძველს თითქოს იძლევა, რომ აქ ოლთისის შიდაციხე, ციტადელი ვიგულისხმოთ. იგივეს თქმა რომ შეგვეძლოს იაკუთის ცნობის მიმართ, მაშინ კიდევ ერთი ძვირფასი ცნობა შეგვემატებოდა საქართველოს ქალაქების გარეგანი სახის შესასწავლად.

სხვა წყაროზე დაყრდნობით იაკუთი თბილისის შესახებ მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მას არტყია დიდი გალავანი[40]. ტუღათის შესახებ კი წერს: „ქალაქი და ციხე არმინიის მხარეში“[41]. ჩვენ კი ვიცით, რომ თბილისს გალავნის გარდა შიდა ციხეც ჰქონდა — ეს არის „მეფეთა საჯდომი ციხე ისანი“[42].

ნესავის (XIII ს. პირველი ნახევარი) ცნობით, თბილისის თავისებურება ის იყო, რომ იგი აშენებული იყო მდ. მტკვრის ნაპირზე მთებსა და ვაკეზე და რომ მდინარე გამოყოფს ქალაქს ციხისგან, ქალაქსა და ციხეს შორის იყო ხის ხიდი[43].

ა ჯ ა ი ბ ა ლ-დ უ ნ ი ა კი უფრო ნათლად ხატავს სურათს: „თბილისი დიდი, გამაგრებული ქალაქია (შ ა ჰ რ) მდებარეობს ძნელ ხეობაში. ქალაქის შუაში გამდინარე წყალზე (ს ბ) ხიდია აგებული... კეთილმოწყობილი ციხე (ყ ა ლ'ა) ქალაქის პირდაპირაა; ციხეში აშენებულია მეფეთა სასახლეები, მრავალი საგუშაგო კოშკი (მ ა ნ ზ ა რ). მდინარე გადის ციხის ძირში...“[44].

სპარსულ ანონიმურ თხზულებაში კი ამიერკავკასიის საკუთრივ ქალაქების აღწერის დროს საერთოდ არ გვხვდება ყ უ ჰ ე ნ დ ი ზ ი ან ქ ა ლ'ა, არამედ მხოლოდ შ ა ჰ რ -ი („ქალაქი“; ეს ტერმინი სასანელთა ეპოქაში აღნიშნავდა „ქვეყანა“-საც. ისევე, როგორც არაბ. ბ ა-

---

[39] ბ ერ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, გვ. 403.

[40] ი ა კ უ თ ი, გვ. 33.

[41] იქვე, გვ. 73.

[42] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქ. Gb., II, გვ. 24.

[43] ნ ე ს ა ვ ი (Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Н а с а в и, Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны, перев. с араб. предисл., комм., примеч. и указатели З. М. Б у н и я т о в а, Баку, 1973), გვ. 168. ხიდის შესახებ. იხ. ქვემოთ.

[44] ჯ ა ი ბ ალ-დ უ ნ ი ა [Н. Д. М и к л у х о-М а к л а й, Географическое сочинение XIII в. на персидском языке (Новый источник по исторической географии Азербайджана и Армении) — УЗИВАН, IX, с. 202, სპ. ტექსტი, გვ. 214.

ლ ა დ). ამ წყაროს თანახმად „მაᲫᲐᲤარიყინი ქალაქია (შ ა ჰ რ) გალავანს (ჰ ი ს ა რ) შიგნით“[45]

ვ. მინორსკი, როგორც ვნახეთ, გაკვირვებას გამოთქვამს, მაგრამ, თუ ჰ ი ს ა რ-ში გალავანს ვიგულისხმებთ — ეს მნიშვნელობაც აქვს ტერმინს — და არა fortress-ს (ციხე-სიმაგრე), მაშინ სურათი ნათელია. ამ შემთხვევაში მაᲫᲐფარიყინი (ბერძნ. მარტიროპოლი, ძველი სომხეთის ტიგრანაკერტი) ქართული წყაროების ციხე-ქალაქს ესადაგება მნიშვნელობით. ამ აზრს პასაჟის ვ. მინორსკისეული გაგება — „ქალაქი ციხის შიგნით“ — სავსებით ეთანხმება.

აღნიშნულის გათვალისწინებით დავასკვნით, რომ მხოლოდ ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით ყოველთვის არ ხერხდება ქალაქის გარეგანი სახის (ამ შემთხვევაში, განხილული ნაწილების) დადგენა. ზოგჯერ, შესაძლებელია, მათ მცდარი წარმოდგენაც კი შეგვიქმნან. განსაკუთრებით მაშინ, თუ მხოლოდ ერთი მათგანის მონაცემებს დავეყრდნობით.

ქალაქის შიდაციხის, ციტადელის დანიშნულება ნათელია — იგი წარმოადგენდა მეფის ან მსხვილი ფეოდალის, ქალაქის მფლობელის საცხოვრებელს და პოლიტიკური ბატონობის საყრდენს. ასეთი საცხოვრებელი ფეოდალური ქალაქის ჩანასახადაც გამომდგარა. მაგრამ აღნიშნულ დანიშნულებას ზოგჯერ ცალკეული ციხე-სიმაგრე ასრულებდა.

ჰ ო დ უ დ ა ლ-ა ლ ე მ ი ს ცნობით „შარვანის, ხურსანის და ლიზანის ფადიშაჰი“ ცხოვრობდა შემახადან ერთი ფარსახით დაშორებულ „ლაშქარბანაკში“ (ლ ა შ ქ ა რ გ ᲐᲜ ჰ). ეს „ბანაკი“ მაღალ, თითქმის მიუვალ, ბრტყელთავა მთაზე მდებარეობდა და მისი ფართობი იყო „ოთხი ფარსანგი ოთხ ფარსანგზე.... და იქ ოთხი სოფელია (დ ე ᲐᲜ ჰ); ამ მეფის ყველა ხაზინა და ხვასტაგი (ხ ა ზ ი ნ ე ᲐᲜ ო ხ ᲐᲜ ს ტ ე ᲐᲜ ჰ) იქ არის. იქვე არიან ყველა მისი მსახურნი (მ ო უ ლ ა ᲐᲜ ᲐᲜ) ქალი და კაცი, ყველანი იქვე თესენ (ᲥᲐᲜ ა ᲐᲜ დ) და ჭამენ. იმ ციხეს (ყ ა ლ'ე) ნიალს უწოდებენ, მის ახლოს მეორე ციხეა, მათ შორის ერთი ფარსანგია; (მეფის) პირქუში და მტკიცე საპყრობილე (ზ ე ᲐᲜ დ ᲐᲜ) იქ არის.“[46].

---

[45] ჰოდუდ ალ-ალემი حدود العالم من المشرق الى المغرب که بسال ۳۷۲ هجری قمری تالیف شده است بکوشش دکتر منوچهر ستوده تهران ۱۳٤۰. Hudūd al-'Alam „The Regions of the World“ a persian geography 372 A. H. — 982 A. Д., transl. and expl. by V. Minorsky, GMNS, XI, L. 1937), p. 160. ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი თარგმნის „Mayyāfāriqin, a town inside [sic] a fortress (hisār)“ — ინგლის. თარგმ., გვ. 143.

[46] ჰოდუდ ალ-ალემი, გვ. 163, § 36. ფარსანგი (ფარსახი) = 6 კმ.

ამ ციხეს მას'უდიც იცნობს; მისი სიტყვით „მსოფლიოს ციხეებს შორის არ მოიხსენიება უფრო მაგარი ციხე"[47].

საყურადღებო, პირველ რიგში, აქ ის არის, რომ შარვანშაჰი თითქოს შემახაში არ ცხოვრობს. რატომ? ამ ქალაქს ციტადელი არა აქვს, თუ ეს ჯერ კიდევ ის ხანაა (გარდამავალი, ადრეფეოდალური), როდესაც მეფეს (ფეოდალებს) ჯერ კიდევ არ „უცვნიათ" ქალაქის სიკეთე და თავი მისგან შორს უჭირავთ? მაგრამ ასეთი ხანა რამდენიმე საუკუნით ადრე თუ აღინიშნება ამიერკავკასიის ისტორიაში, როდესაც, მაგალითად, სომხეთში მეფე „ძალით" აარსებდა ქალაქს (ქ. ტიგრანაკერტი). ვერც შარვანის შედარებითი ჩამორჩენა-განუვითარებლობით აიხსნება საკითხი, რადგანაც ამ ქვეყანაშიც საქალაქო ცხოვრება ხანგრძლივ დროს მიითვლიდა, დარუბანდი ხომ ცნობილი ქალაქია და შემახასაც, როგორც ქალაქს, ხომ თვით თხზულებაც ასახელებს.

დაბეჯითებით მხოლოდ ის შეიძლება ვთქვათ, რომ ეს დასახლება თუ ციხესიმაგრე ქალაქად, თუნდაც ციხე-ქალაქად ვერ განვითარდა; მას სხვამ „აჯობა".

როგორც აღვნიშნეთ, შარვანშაჰმა სატახტოდ იაზიდია ირჩია. რატომ ახალი იაზიდია და არა შარვანის რომელიმე ძველი ქალაქი? თუმცა, ვ. მინორსკი ვარაუდობს, რომ შარვანშაჰებმა, შესაძლებელია, მხოლოდ ხელახლა ააშენეს ძველი არაბული შემახა და მას იაზიდია უწოდეს[48]. იაკუთი ამას პირდაპირ აღნიშნავს: „ალ-მაზიდიდა — შარვანის ვილაიეთის ერთ-ერთი ქალაქის სახელი. იგი ცნობილია აგრეთვე შამახიად"[49].

საგულისხმოა, რომ „ქართლის ცხოვრების" თხზულებანი მხოლოდ შამახიას იცნობენ, იაზიდიას არა.

შაბარანში შარვანშაჰების საძვალეც არსებობდა და მას ყურადღებასაც არ აკლებდნენ — 983 წ. მას გალავანი შემოავლეს[50]; მაგრამ, შესაძლებელია, მათ ტახტი აქ იმიტომ არ დაიდგეს, რომ ქალაქი. მართლაც, „განსეთქილების ვაშლი იყო შარვანსა და დარუბანდს შორის"[51]. და შარვანშაჰები აქ თავს მშვიდად ვერ იგრძნობდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შიდაციხის (აკროპოლისის) გარეთ ან მის ფარგლებში აღმოცენებულ ან დაარსებულ ქალაქის ნაწილს ეწოდება „შიდა ქალაქი". ამ მნიშვნელობით მის შესატყვისად წარმოგეიდ-

---

[47] В. Ф. Минорский. Масуди о Кавказе, წიგნში, В. Ф. Минорский, История, с. 211—212.

[48] В. Ф. Минорский, История, с. 106.

[49] ياقوت. გვ. 90.

[50] تاريخ الدولة, ص. 60. § 21, გვ. 51. § 13.

[51] В. Ф. Минорский, История, с. 89.

გება მიჯნაბერდი (ვიშგოროდ)[52], არაბ. მადინა, სპარს. შაჰრისთან. ეს ტერმინები შუა საუკუნეების საკუთრივ ქალაქის ისტორიის დასაწყისს, მისი ტოპოგრაფიის ჩანასახს გამოხატავენ. ეს ნათლად იკვეთება აღმოსავლეთის ქალაქის გარეგანი სახის შესწავლის თანამედროვე დონეზე. მადინა (შაჰრისთანი) აღნიშნავს ქალაქის იმ ნაწილს, რომელიც აღმოცენდა ციხესიმაგრის, ციხე-დარბაზის (სპ. ყუჰენდიზ-„ძველი ციხე“, არაბ. კალ'ა-„ციხე“) სიახლოვეს.

რუსულ აღმოსავლეთმცოდნეობაში პირველი ვ. ბარტოლდი იყო, რომელმაც გამოიკვლია და ჩამოაყალიბა ქალაქის ტოპოგრაფიის სქემა. მადინა (შაჰრისთანი) ამ სქემაში პირველ ადგილზეა და ასეა განმარტებული „— შიდა ქალაქი, ე. ი. პირველდაწყებითი ქალაქური დასახლება, უმეტეს ნაწილად ისლამამდელი პერიოდისა“[53].

ქრონოლოგიური ფაქტორი ამ განმარტებაში საკმაოდ ბუნდოვნად არის წარმოსახული. „ისლამამდელ პერიოდში“ ძირითადად თუ ადრეფეოდალურ ეპოქას ვიგულისხმებთ, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული სქემაც ამ ხანას უნდა მივაკუთვნოთ. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ ქალაქის ტოპოგრაფიის ეს ნიშნები „უცხო“ იყოს წინარე ეპოქების ქალაქებისათვის. ამიერკავკასიის სინამდვილეშიც არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა ქალაქის ტოპოგრაფიის ის შინაარსი, რომელიც შემდგომში „ფეოდალური“ ქალაქის გარეგანი სახის ძირითად დამახასიათებლად იქცა[54]. ამიერკავკასიაში ქალაქის „ფესვები“ (ციკლოპური ციხე-ქალაქები) გვიანბრინჯაოს ხანას აღწევს[55].

ყუჰენდიზ-შაჰრისთანის (კალ'ა-მადინა) ურთიერთმიმართებას ქართულ სინამდვილეში, ვფიქრობთ, „ციხე“ და „ციხე-ქალაქი“ გამოხატავს. ამ მოსაზრებას მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის სახით თუ მივიღებთ, რადგანაც ადრეფეოდალური ეპოქის ქართულ წყაროებში „ციხე-ქალაქის“ და „ქალაქის“ შინაარსის ზუსტად დადგენა ჭირს; ეს კი ართულებს „ციხისა“ და „ციხე-ქალაქის“ ურთიერთმიმართების გარკვევას. რასაც ვერ ვიტყვით „ციხისა“ და „ქალაქის“ მიმართ — ეს უკანასკნელნი შინაარსობრივად ნათლად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

---

[52] Н. Марр, Ани, გვ. 66; Н. А. Орбели, Кр. путеводитель, с. 11: «Холм.. ядро древнейшего Ани, первоначально только крепость, а затем Вышгород».

[53] В. В. Бартольд. К истории Мерва, Соч., т. IV, М., 1966, с. 173.

[54] იხ. თუნდაც ვ. მ. მასსონის რეცენზია წიგნზე «А. А. Мартиросян, Аргиштихинили, Ереван, 1974», ВДИ, 1976, № 2.

[55] გ. მელიქიშვილი. საქართველოში კლასიკური საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 75—77.

რა ნიშნებით გავარჩიოთ, რა ტოპოგრაფიულ შინაარსს გულისხმობს ერთი და იმავე ხანის ერთსა და იმავე ავტორთან დამოწმებული „ქალაქი“ და „ციხე-ქალაქი“. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერთსა და იმავე ქალაქს ერთი და იგივე ავტორი „ქალაქსაც“ უწოდებს და „ციხე-ქალაქსაც“[56].

თუ „ციხე-ქალაქი“ და „ქალაქი“ თანაბრად გულისხმობენ ქალაქში ციხის არსებობას, ასეთ შემთხვევაში ეს ტერმინები სინონიმებად წარმოგვიდგებიან. მაგრამ XI ს. „გაქალაქებულ“ ჯავახეთის ახალქალაქს, სადაც ციხის არსებობა გათხრებმა დაადასტურა[57], მემატიანე „ქალაქს“ უწოდებს, ისევე, როგორც იმ ქალაქებს, რომლებშიც ციხის არსებობა ეჭვს არ იწვევს.

როგორც ჩანს, ანტიკურ და ადრეფეოდალურ ეპოქებში „ციხე-ქალაქი“ და „ქალაქი“ ფარავდნენ ერთმანეთს. შესაძლებელია, ამას ამოწმებდეს ტერმინ „ქალაქის“ საწყისი მნიშვნელობით, მისი ეტიმოლოგიური შინაარსითაც (სიმაგრე, შემოზღუდული, გამაგრებული საცხოვრებელი) ხმარება: ვახტანგ გორგასალი „აშენებდა ქ ა ლ ა ქ ს ა თბილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა“[58]; „...იწყო შენებად კახეთს ქ ა ლ ა ქ ს ა ნელქარისსა“; „...ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქ ა ლ ა ქ ი არტანისა“[59]; „...ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქ ა ლ ა ქ ი“[60].

მაშასადამე, ვახტანგ მეფე აშენებდა არა ქალაქ თბილისს, არამედ ქალაქსა თბილისისასაო, გადმოგვცემს მემატიანე. ასეთივე შინაარსი გამოსჩვივის სხვა, დამოწმებულ შემთხვევებშიც. ატენის სიონის წარწერაში კი ქალაქის აშენება დარბაზის აშენებას უთანაბრდება. ცხადია, მემატიანე „ჩვეულებრივი“ მნიშვნელობითაც ხმარობს ტერმინს“: „ქალაქი გაჩიანი“, „ქალაქი ხუანი“[61] და სხვა.

„ციხე-ქალაქისა“ და „ქალაქის“ შინაარსის გასარკვევად, პირველ რიგში, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობა, განსაკუთრებით საქალაქო ცხოვრების, საქალაქო ეკონომიკის განვითარების დონე უნდა გავითვალისწინოთ.

ციხე-ქალაქის თუ ქალაქის დაარსებას და შემდგომ არსებობას

---

[56] წუნდა (ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, გვ. 30, 40), კასპი, კარი (ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ძ. ცხ., I, გვ. 159—160. შდრ. „აღიღო ქალაქი კარისა, ციხე-ქუყანა...“, მატიანე ქართლისა, ძ. ცხ., I, გვ. 317).

[57] ე. ჯ ა ნ დ ი ერ ი. ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის, ფსაძ. I, გვ. 54—55, 57—58, 68—69.

[58] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, გვ. 200.

[59] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, გვ. 29, 10, 47.

[60] თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957. გვ. 39.

[61] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, გვ. 8, 31.

მხოლოდ ან უპირატესად პოლიტიკური ან სამხედრო-სტრატეგიული მიზნები ვერ უზრუნველყოფდნენ[62]. ასეთ შემთხვევაში მისი ფუნქციები და მნიშვნელობა ციხისას გაუთანაბრდებოდა.

აღძრული საკითხის ღრმად განხილვა სცილდება ნაშრომის ფარგლებს.

მოგვეპოვება რამდენიმე ცნობა ამიერკავკასიის ქალაქების ციტადელის, შიდა ქალაქის ფართობის შესახებ, რომელთა განხილვა ქალაქების საერთო ფართობთან ერთად უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რაც წარმოაჩენს კონკრეტული ქალაქის ტოპოგრაფიული ნაწილების ფართობთა ურთიერთშეფარდებას, საერთოდ ამ ქალაქის გარეგანი სახის კონტურებს. ეს კი ქალაქის ტიპის გარკვევის დროს ყურადსაღებ ინფორმაციას წარმოადგენს.

ამიერკავკასიაში ქალაქმშენებლობის ისტორიის, ქალაქის არსის და მისი სოციალური ბუნების შესასწავლად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ყველა ქალაქს ჰქონდა თუ არა დედაციხე, ციტადელი. წყაროების არასრული მონაცემების შევსება-შემოწმება სხვა ხასიათის წყაროებით, განსაკუთრებით, არქეოლოგიური მონაცემებით, აუცილებელია. მხოლოდ ასეთი კომპლექსური მიდგომა თუ დაგვაახლოებს წარსულის ჭეშმარიტ ასახვასთან.

არაბი გეოგრაფებიდან ამ შემთხვევაში მხოლოდ მუკადასი გვაწვდის საჭირო ცნობების შედარებით მეტ რაოდენობას.

დვინთან დაკავშირებით იგი წერს: „დაბილი (დვინი) მნიშვნელოვანი ქალაქია (ბ ა ლ ა დ), მასში მიუდგომელი ციხეა (ჰ ი ს ნ) და მრავალი სიკეთე; სახელი მისი ძველია... მასში მდინარე წყალუხვია; გარს ერტყმის მას ბაღები (ბ ა ს ᾱ თ ᾱ ნ); ძველ რაბადიანია (რ ა ბ ა დ'ა თ ᾱ კ), მისი ციხე (ჰ ი ს ნ) საიმედოა; ბაზრები ჯვარედინია (ᾱ ს ᾱ ᾱ კ უ ს ა ლ ᾱ ბ); მისი სანახები (ს ა ვ ᾱ დ) საუცხოოა; საკრებულო მეჩეთი არის დიდ გორაზე, მის გვერდით ეკლესიაა; ქალაქთან არის ციხე (ᾱ ᾱ ლ'ა) ნაგებობანი თიხისა და ქვისაა; მას მრავალი კარი აქვს, მათ შორის ქაიდარის კარი, თბილისის (თფლᾱს) კარი, ანისის (ᾱნი) კარი... ახლა უკვე შემცირდა მისი ხალხი (ა ჰ ლ) და ციხე (ჰ ი ს ნ) დაიშალა"[63].

ეს არის არაბ გეოგრაფებთან ამიერკავკასიის ქალაქთა ტოპოგრაფიული აღწერის ერთი საუკეთესო ნიმუში. ეს „სტენოგრაფიული ჩანაწერი" (თითქოს კინოკამერის თვალით დანახული) ნათლად წარმოგვიდგენს საერთოდ ასეთი ხასიათის წყაროთა ცნობების სტილს. მისი უკეთ აღქმისათვის აქ მთლიანად მოვიყვანეთ ეს ცნობა. მასში დამოწმებულ ქალაქის ტოპოგრაფიულ ნაწილებს კი ქვემოთ განვიხილავთ თითოეულს ცალ-ცალკე.

---

[62] შდრ. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები, II, გვ. 34—35.

[63] მუკადასი, BGA, III, გვ. 377, СМОМПК ტ. 38, გვ. 10.

სინონიმებია თუ არა დამოწმებული ცნობის ჰ ი ს ნ ი და კ ა ლ'ა?. ჩვენ ორივე „ციხედ“ ვთარგმნეთ, რადგანაც ქალაქში არსებული ციხე თუ ჰ ი ს ნ ი ა, მით უმეტეს, „ციხის“ და არა „ქალაქის ციტადელის“ მნიშვნელობა ენიჭება ქალაქგარეთ („ქალაქთან არის კ ა ლ'ა“) მდგარ კ ა ლ'ა-საც[64].

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი ცნობაც: „ჯანბადაკი სოფელია მარაღას ოლქში. მასსა და დვინის (დვინის) ციხე-სიმაგრეს (კ ა ლ'ა) შორის ფარსახზე ნაკლებია“[65]. თუ ავტორი საკუთრივ ქალაქ დვინს გულისხმობს, ისევე როგორც წყაროს მთარგმნელი და კომენტატორი[65], რატომ წერს „დვინის ციხე-სიმაგრეს“ (კ ა ლ'ა თ უ დ ა ვ ი ნ) და არა, ვთქვათ, „ქალაქ დვინს“; განა კ ა ლ'ა=ქალაქს, მით უმეტეს, „სომხეთის მთავარ ქალაქს“? იაკუთი, მაგალითად, საერთოდ არ ახსენებს დვინის ციხეს[67].

ზოგიერთ შემთხვევაში მუკადასი თითქოს ანსხვავებს (ჩვენი შეხედულებით?) ჰ ი ს ნ ს და კ ა ლ'ას: „ურმია გამაგრებულია ციტადელით... ქალაქთან ციხეა (ჰ ი ს ნ)“; „მარაღა... მასთან არის ჰ ი ს ნ ი, საში (ქალაქში) — კ ა ლ ' ა“. კ ა ლ ' ა აქვთ აგრეთვე ბადლისს და ნაჯარინს. მაგრამ, ამავე დროს, თბილისი, ყაბალა, მანაზკერტი, მარანდი ჯხოლოდ „გამაგრებული“ (ჰ ა ს ი ნ ა თ უ ნ) ქალაქებია. ბარდავთან და არდებილთან კი, შესაბამისად, „უზარმაზარი და მიუვალი ჰ ი ს ნ ი ა“[68].

ჰ ი ს ნ ი და კ ა ლ'ა ასევე ცვლიან ერთმანეთს სხვა ავტორების იმ ცნობებშიც, რომლებიც ამიერკავკასიის ქალაქებს ეხებიან.

ასე, რომ ის კონკრეტული ფუნქციონალური დატვირთვა, ბარტოლდის ზემოხსენებულ სქემაში რომ აქვს კ ა ლ'ას, აქ არ ჩანს. ხოლო, თუ რას წარმოადგენს ქალაქში ეს ჰ ი ს ნ ი და კ ა ლ'ა, ქალაქის თავდაცვისუნარიანობის განმამტკიცებელ ციხე-კოშკს თუ დანარჩენი ქალაქისაგან გამოყოფილ, გარკვეული სოციალური ფენის საცხოვრებელს (ციტადელს), — ამას ამიერკავკასიის ქალაქების ტოპოგრაფიული შინაარსის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასეთ ვითა-

---

[64] დვინის გარეთ მდგარ ციხის (ციხეების?) შესახებ უფრო მეტიც ვიცით; იხ. ბ. თ ო ფ ო ო ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 56—57.

[65] ზ ა ქ ა რ ი ა ალ-ყ ა ზ ვ ი ნ ი (ზ ა ქ ა რ ი ა' ალ-კ ა ზ ვ ი ნ ი ს ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, არაბ. ტექსტს შესავალი შ ა ე მ ძ ღ ვ ა რ ა, ქართ. თარგმ. და შენიშვნები დაურთო ო. ცქიტიშვილმა, თბ., 1975), გვ. 27

[66] „დვინის ციხე-სიმაგრეში ზ ა ქ ა რ ი ა ალ-ყ ა ზ ვ ი ნ ს მხედველობაში აქვს მდ. არაქსის ახლოს ერევნის სამხრეთით მდებარე ქალაქი დვინი (ამჟამად პატარა სოფელი, G. Le Strange, [The Lands of the Eastern Caliphate], p. 182), რომელიც ადრეულ შუა საუკუნეებში, არაბთა ბატონობის ხანაში, წარმოადგენდა სომხეთის მთავარ ქალაქს“— ზ ა ქ ა რ ი ა ალ-ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 91, შ. 83.

[67] ი ა კ უ თ ი, გვ. 53.

[68] მ უ კ ა დ ა ს ი, BGA, ტ. III, გვ. 375—377, СМОМПК, ტ. 38, გვ. 7—10.

რებაში გამოსავალს, ცხადია, თითოეული ქალაქის კონკრეტული შესწავლა წარმოადგენს.

იაკუთის და ა ჯ ა ი ბ-ა ლ-დ უ ნ ი ა ს ავტორის ყურადღება ბაქოს აღწერილობის შედგენის დროს მხოლოდ „ნავთის დიდმა წყარომ“ მიიპყრო[69]. ეს გასაგებია, რადგან სწორედ ამით გამოირჩეოდა იგი სხვა ქალაქებისგან. ხოლო ამჯერად ჩვენთვის არანაკლებ საინტერესო ციხის, კოშკის ან სხვა ტოპოგრაფიული ნიშნის შესახებ ორიენ წყარო დუმს, იმ დროს, როდესაც XII ს. პირველ ნახევარში ბაქოში დადასტურებულია „ქალწულის კოშკი“[70].

გაცილებით მეტს მოგვითხრობს მამამისის მშობლიური ქალაქის — ბაქოს — შესახებ ბაქუვი. „ქალაქს აქვს ქვის ორი, საგანგებოდ გამაგრებული მტკიცე ციხე (ق ا ل'ا). ერთი მათგანი, უფრო დიდი, დგას ზღვასთან ახლოს, რომლის ტალღები ეხლებიან მის კედლებს. ეს ის (ციხეა), თათრებმა რომ ვერ აიღეს. მეორე (ციხე) პირველზე მაღალია... ქალაქის მახლობლად მრავალი სოფელია და ყოველ სოფელს აქვს გამაგრებული ციხე (ق ا ل'ا) მაგარი კედლებით“[71].

შაბურანი (შაბარანი), ისევე, როგორც ამიერკავკასიის სხვა მრავალი ქალაქთაგანი „გამაგრებულიაო“ აღნიშნავს წყარო[72]. მაგრამ მასში ციტადელის არსებობა, ნარატიულ წყაროთაგან განსხვავებით, არქეოლოგიურმა ძიებამ გამოავლინა[73].

ერთი ცნობით, „ნახჯევანი... მდებარეობს მაღალ ადგილას. ძლიერ გამაგრებულია... ქალაქის ახლოს ააგეს ციხე (ق ا ل'ا) ქვისგან და ციხეში ააშენეს მედრესეები, მეჩეთები და რეზიდენციები (م ا ي ا ر ه ا)“[74]. მეორე ცნობით: „ნაყჯუვანი მშვენიერი ქალაქია აზერბაიჯანში, აქვს კედლები და ي ا ه ن د ي ز ي. იგი აშენებულია მაღლობზე“[75]. ამ ცნობების თანახმად, ნახჭევნის კალ'ა ციტადელის მნიშვნელობას იძენს.

---

[69] ي ا ق و ت ، გვ. 26; ا ج ا ب ا ل-د و ن ي ا ، გვ. 200, ქართ. თარგმ. („სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, სპარ. ტექს. თარგმ. შესავ. და შენიშვ. გამ. რ. კ ი ბ ნ ა ძ ე ، თბ., 1978), გვ. 27.

[70] В. М. Сысоев, Краткий путеводитель по достопримечательностям гор. Баку и его районов, Баку, 1930, с. 10—11; О. Ш. И с м и з а д е, О девичей башне в Баку, СА, 1968, № 2. с. 292.

[71] ب ا ق و ي ، გვ. 89.

[72] ي ا ق و ت ، გვ. 21.

[73] И. А. Алиев, В. М. Мамедов, Работы Ширван—Шабранской экспедиции, АО — 1981 года, М., 1983, с. 419.

[74] ا ج ا ب ا ل-د و ن ي ا ، გვ. 209. შდრ. ქართ., თარგმ., გვ. 34; სადაც ق ل ع ه თარგმნილია როგორც „საცხოვრებელი სახლები“. იქვე, შ. 82: „...რუსულ თარგმანში „საცხოვრებელი სახლები“ გამოტოვებულია“. თუ რატომ, ეს ძნელი სათქმელია, რადგან რუსულ თარგმანს დართულ ტექსტის ფოტოპირზე სრულიად ვარაუდით ჩანს დაშოშებული სიტყვა.

[75] ب ا ق و ي ، გვ. 99.

აღსანიშნავია, რომ პირველი ხაზგასმით აღნიშნავს ციხეში მ ა ყ ა რ-ები ააგესო.

ჩვენთვის ცნობილი მასალით შეუძლებელია ერთნაირი სისრულით განვიხილოთ ამიერკავკასიის ქალაქებში ციტადელის არსებობის, აღნაგობის და სხვა საკითხები. კერძოდ, უმრავლეს შემთხვევაში არ ვიცით გამოყოფილი იყო თუ არა ციხე საკუთრივ ქალაქს. იშვიათად ვხვდებით ცნობას, თუ სად მდებარეობდა ციხე ქალაქში: „სუმაᲐსტი... ქალაქი ალ-ფურᲗთის ნაპირას, რუმის ქვეყნის მხარეს... მას აქვს ციხე [ق ل'ا] მის შუაგულში. ცხოვრობენ იქ არმანები"[76].

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, განხილული მასალა, ვფიქრობთ, გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ X—XIII საუკუნეების პირველი მეოთხედის ამიერკავკასიის ქალაქების გარეგანი სახის დამახასიათებელი ნაწილია დედაციხე, ციტადელი და აქედან შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ.

*
* *

„ქალაქი (მ ა დ ი ნ ა) ააშენეო" — სამჯერ ზედიზედ ეზმანა მუჰამედ ბ. იაზიდს[77] და მანაც სიზმარში მითითებული ჯუბანთის (ხუნანთა?)[78] მიდამოებში არსებული სამი გორიდან ერთში ნაპოვნი განძით ააგო ქალაქი და როგორც სიზმარეულმა ხმამ ურჩია უწოდა მას განძა. წყაროს თანახმად ეს მომხდარა 859 წ.[79]

ქალაქის მშენებლობის მსგავს თქმულებების საბურველში გახვეული იშვიათი არ არის. მაგრამ ამ შემთხვევაში თარიღის ზუსტად განსაზღვრა იქცევს ყურადღებას. როგორც ჩანს, IX ს. მეორე ნახევრისთვის დასრულდა (უკეთესად: მუჰამედ ბ. იაზიდმა დაასრულა) განძის „გაქალაქების" პროცესი. ეპოქისათვის ნიშანდობლივია, რომ ჯადოსნური ხმა „ავალებს" მუჰამედს „ქალაქი ააშენეო" და არა, ვთქვათ, ციხე.

ძველ ციხე-სიმაგრესთან ქალაქის აღმოცენება ერთ-ერთი გზა იყო ქალაქების წარმოშობისა. მაგრამ ამიერკავკასიაშიც იყო შემთხვევები ქალაქის ერთბაშად აშენებისა. აბუ ტაჰირ ბ. მუჰამედმა (იმავე საგვარეულოდან) „...917 წ. შარვანი დაიკავა, ხოლო 918 წ. შარვანის მიწაზე ააგო ქალაქი (მ ა დ ი ნ ა) იაზიდია". თუ რას გულისხმობს ამ

---

[76] ᲐᲐᲙᲣᲗᲘ, გვ. 63.

[77] შარვანში გაძეფებულ იაზიდიანთა საგვარეულოდან.

[78] დედანში არის جسوح; ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი ს აზრით შესაძლებელია ხუნანი, რომელიც განძასა და თბილისს შორის შუა გზაზე მდებარეობდა, იხ. თარიხ ალ-ᲑᲐᲑ, გვ. 47, შ. 10.

[79] იხ. იქვე, გვ. 46—47.

შემთხვევაში მ ა დ ი ნ ა ს აშენება არ ჩანს. მომდევნო ცნობები უფრო მეტყველია: „1053 წ. სალარმა ძალით აიღო ციხე მალუ, გაამაგრა იგი, ჩააყენა შიგ მეციხოვნენი და მოამარაგა ის სურსათით და იარაღით. მასთან ახლოს მან ააშენა მაგარი ქალაქი (მ ა დ ი ნ ა), სადაც დაასახლა ხალხი და ააგო საკრებულო მეჩეთი"; 1045 წ. შარვანშაჰმა „ააგო ქალაქ იაზიდიას ირგვლივ თლილი ქვის მაგარი კედელი და აჰკიდა მას რკინის კარი თურქ-ღუზების შიშის გამო"[80].

შარვანშაჰებს დარუბანდის საამიროსთან რთულ ურთიერთობაში არა ერთხელ განუცდიათ მარცხი. XI ს. 60-70-იან წლებში ამ ურთიერთობაში შადადიანების და თურქ-სელჩუკთა ჩარევით ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა[81]. მდგომარეობის განსამტკიცებლად შარვანშაჰმა „ააგო კედლები მიჰიარიდას „მამულის" (დ ი ჲ ა') ირგვლივ, რომელიც მან გადააქცია ქალაქად (მ ა დ ი ნ ა) ციხით შუაგულში. უმეტესი ხნის განმავლობაში შარვანშაჰი ცხოვრობდა მიჰიარიდაში, იქიდან ალ-ბაბის ხალხზე თავდასხმის მიზნით"[82].

მეფის ან მსხვილი მიწათმფლობელის დომენში ცენტრალური ხელისუფლების მფარველობით და ხელშეწყობით ქალაქის დაარსება ამიერკავკასიაშიც ერთ-ერთი უძველესი, კარგად გამოცდილი და ათვისებული გზა იყო.

„ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე გურგანელმან, მირიანის ყმამან თარხუნის ძისამან, ატენის ციხისთავმან ავაგენ ატენს სახლნი და ქულბაგი მას ჟამსა ოდეს... მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს პატრონსა ჩემსა, სეფისა ზოვარსა შიდა ქალაქისა შენებაჲ... ვითა სწადდა მეფობასა მათსა, ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვწყალა მეფობამან მათმან, სასახლენი ადგილნი და საქულბაგენი მკჳდრად, ნებიერობით გვბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაცა შენება შეეძლო. მე ავაგე სახლი და ქულბაგი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენ(ნ)ისასა...". წარწერა ბაგრატ მეოთხის მეფობაში, 1060—1068 წწ. არის ამოკვეთილი[83].

თუ მოღვაწეობდა ატენის ციხისთავი, ესე იგი, არსებობდა ატენის ციხეც და, მაშასადამე, მასთან შენდება ქალაქიც (ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი ივ. ჯავახიშვილით დაწყებული არაერთხელ არის განხილული).

ანისის ქალაქი — ესე იგი ის, რაც არსებითად წარმოადგენს შუა საუკუნეების ქალაქს — როგორც აღვნიშნეთ, მ ი ჯ ნ ა ბ ე რ დ ი ს, ცი-

---

[80] იქვე, გვ. 48, § 9; გვ. 56, § 18, § 17.

[81] ვრცლად იხ. პ. თ ო ფ უ რ ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის.., გვ. 85—87; 107—141.

[82] თარიხ ალ-ბაბ, § 24, გვ. 62.

[83] თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 39—40.

ტადელის გალავნიდან (აშოტის კედლები) ჩრდილოეთის მიმართულებით, ზეგანზე გაშენდა და ჩამოყალიბდა; X ს. დასასრულს ძისი ბუნებრივად დაუცველი ნაწილი ზღუდით (სუმბატის კედლები) გაამაგრეს.

დარუბანდის გვიანდელ სქემა-ნახაზებზე და სურათებზე გარკვევით ჩანს დედაციხის ქვემოთ მთის კალთაზე ჩაფენილი ქალაქი. ადამ ოლეარიუსი, 1636 წ. თავად რომ იხილა დარუბანდი, წერს: დარუბანდში „გამოირჩევა სამი ნაწილი. უმაღლესი მათგან არის ციხე მთაზე, შუა ნაწილი და ქვედა ნაწილი...“[84].

დარუბანდისა და ანისის მაგალითები განსაკუთრებით საყურადღებოა ამიერკავკასიის ქალაქების ტოპოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით; პირველი — ჩვენს დრომდე კარგად შემონახული უძველესი აგებულების, მეორე — არქეოლოგიურად ასევე კარგად შესწავლის გამო.

საერთოდ, ქალაქის ტოპოგრაფიის ასეთი სქემა ქალაქის ზოგადი, საერთო განვითარების შედეგია და, ცხადია, მას ვერც ამიერკავკასიის ქალაქები ასცდებოდნენ. ეს ნათლად ირკვევა ყოველი მათგანის მაგალითზე, მიუხედავად მათი შესწავლის სისრულისა.

„როგორც ჩანს, VI ს. დასაწყისისათვის თბილისს ორი ძირითადი ნაწილი აქვს — ციხე და ქალაქი[85]. ციხე თავისთავად ორი ნაწილისაგან შედგენილი, განიცდის მისი დასახლებული ადგილის ზრდას და გადადის ქალაქის ტერიტორიაში, რომელიც თვითვე იჩენს ზღუდეს. VI საუკუნიდან ...თბილისს უჩნდება მესამე ნაწილიც... ამდენად, VI საუკუნის ბოლოსათვის უკვე თბილისში სამი ძირითადი ნაწილი შეიძლება გაირჩეს: თბილისის ციხე, ქალაქი გორგასლის აშენებული და სოღდებილი, რომელიც მოგვიანებით ისნის სახელით გახდა ცნობილი“[86].

შემდეგ ლ. ჭილაშვილი წერს: „გარდამავალ ხანაში დაწინაურებულ პუნქტთაგან ასეთი მრავალნაწილიანობა მხოლოდ თბილისს ახასიათებს. ამდენად მისი გარეგანი სახე არ შეიძლება იყოს გასავრცელებელი სხვებზე“[87]. თუ სწორად გავიგეთ ავტორის აზრი, გამოდის, რომ „გარდამავალ ხანაში“ საქართველოში „მრავალნაწილიანი“ მხოლოდ ერთი ქალაქი ყოფილა.

სწორედ ეს, დედაციხესთან (ك ا ل'ა, ك ا ه ن د ي ز) აღმოცენებული „ცენტრალური, გალავანშემოვლებული ნაწილი ქალაქისა არის სა-

---

[84] ა დ ა მ ო ლ ე ა რ ი უ ს ი, (А д а м О л е а р и й, Описание путешествия в Московию и через Московию в Персию и обратно. Введен., перев., примеч. и указатель А. М. Ловягина, СПб., 1906), с. 485—486, იხ. იქვე ნახატი.

[85] აქ ავტორი იმოწმებს ს. ანაშიას.

[86] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები, II, გვ. 59—60.

[87] იქვე, გვ. 60.

კუთრივ შუა საუკუნეების ქალაქი (მ ა დ ი ნ ა, შ ა ჰ რ ი ს თ ა ნ ი) ამ სიტყვის ფეოდალური მნიშვნელობით"[88]. აქ განლაგებულ საერო თუ სასულიერო არქიტექტურის ნაგებობათა ფუნქციონირება და მათ ბინადართა ყოველდღიური საქმიანობა შეადგენდა საქალაქო ცხოვრების მაჯისცემას. ეს მაჯისცემა ციტადელის დაარსებასთან ერთად იწყებოდა და ისტორიული განვითარების შესაბამისად მზარდი ინტენსიურობით მას რაბადიც ინაწილებდა. ასე, „ნამდვილი ქალაქი, ანისის ახალი ნაწილი, ჩაისახა და იზრდებოდა 989 წ. სუმბატის კედლების აშენებამდე დიდი ხნით ადრე; ის შენდებოდა და იმკობოდა დიდი ხნით ადრე 964 წ. აშოტის კედლების აგებამდე..."[89].

დედაციხისა და ქალაქის გენეზისი, მათი ურთიერთობა რომ სოციალურ საფუძველსაც გულისხმობს და მას ემყარება, ეს ნათლად ირკვევა დარუბანდის საქალაქო ცხოვრების ისტორიიდანაც. კერძოდ, ეგრეთ წოდებული, „შუა კედლით" (ა ლ-ს უ რ ა ლ-ვ ა ს ტ ა ნ ი) და მასთან დაკავშირებული ამბებით[90]. დარუბანდის ორ გარეკედელს შორის აგებული ამ განივი კედლის „დანიშნულება იყო გადაეღობა ქალაქის ზედა ნაწილი და მიეერთებინა იგი ციტადელთან, რომ ამ გზით ამირებს შესაძლებლობა ჰქონოდათ მასში მოეკრიბათ თავიანთი მიმდევრები და გამიჯვნოდნენ ურჩ ქვეშევრდომებს"[91].

ასე რომ, თუ ერთი სოციალურ-პოლიტიკური ძალა აშენებდა „შუა კედელს", მეორე ანგრევდა მას. მასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ციტადელის ბედიც. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს შუა საუკუნეებისათვის ესოდენ დამახასიათებელ ვითარებას, როდესაც ქალაქი უპირისპირდება ციტადელს. ეს „დაპირისპირება გასაგები ხდება მხოლოდ კლასობრივ და სოციალურ წინააღმდეგობათა შუქზე"[92].

დარუბანდის „შუა კედელი" ერთეული და განსაკუთრებული მოვლენა, რა თქმა უნდა, არ იყო შუა საუკუნეების ქალაქის ტოპოგრაფიაში. ასეთივე დანიშნულება ჰქონდა ანტიოქიაში ბოემუნდ ტარენტელის მიერ აგებულ შუა კედელსაც[93]. ასევე, ბუხარის ოაზისის მნიშ-

---

[88] ბ. ზახოდერის შენიშვნა. იხ. Снасет-намэ книга о правлении вазира XI столетия Н и з а м а л-М у л ь к а. Перев., введ. в изуч. памятника и примеч. Б. Н. Заходера, М.—Л., 1949. с. 497.

[89] Н. М а р р, Ани, с. 79.

[90] იხ. თარიხ ალ-ბაბ, გვ. 52, 62, 68, 69, 77.

[91] В. Ф. М и н о р с к и й, История, с. 122. შდრ. ვ. ვ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მმართველობა, გვ. 354; История Дагестана, т. I, М., 1967, с 142.

[92] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI—XII სს). — XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თსუ შრომები, ტ. 125, ისტორ. მეცნ. სერ., IV, თბ., 1968, გვ. 78.

[93] А н н а К о м н и н а, Алексиада. Вступ. статья, перев. и комм. Я. Н. Любарского, М., 1965, с. 302.

ვნელობით მეორე, მდიდარი სავაჭრო ქალაქის ფაიქენდის შ ა ჰ რ ი ს-თ ა ნ ი ორად იყო გაყოფილი შიდა კედლით[94]. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე ბიბლიაში (ახალი აღთქმა) არის: „შუაკედელი მის ზღუდისაგ დაჯსნა“[95].

ქალაქისა და ციხის „ბრძოლის“ შედეგი, მრავალი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ფაქტორებით განპირობებული, ქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის შინაარსს განსაზღვრავდა და, ამდენად, მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შუა საუკუნეების ქალაქის შესწავლის საქმეში

X—XI საუკუნეებში ბრძოლა ამირასა და რაისებს შორის დარუბანდში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. რაისებმა ვერ შეძლეს ქალაქში ამირას ხელისუფლების მოსპობა, ვერ განდევნეს იგი ქალაქიდან. XII საუკუნეში კი, როგორც ირკვევა, ქალაქში ისევ ამირას ხელისუფლება სუფევს[96].

X—XI საუკუნეების ნოვგოროდშიც ქალაქის ციხეს (დ ე ტ ი ნ ე ც) მთავარი ფლობდა[97]. შემთხვევითი არ არის, რომ XI ს. დასაწყისში ქალაქის ციხის მშენებელი და მზრუნველი ნოვგოროდის მთავარი იყო. მომდევნო ხანაში სურათი მკვეთრად იცვლება. XII საუკუნის 30—40-იანი წლებიდან ქალაქის ციხეს დაეპატრონა სწორედ აღნიშნულ წლებში მიმდინარე ბრძოლაში გამარჯვებული ის სოციალური ფენა, რომელსაც ადგილობრივი ბოიარები — ერთი მხრივ პ ო ს ა დ ნ ი კ ი, ხოლო, მეორე მხრივ, ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი შეადგენდნენ[98]. ამ გამარჯვების შედეგად ბოიარებმა ქალაქის მთავარი ნოვგოროდიდან გააძევეს. მთავარს ხელი აღარ მიუწვდებოდა ქალაქის ციხეზე. ამიერიდან იგი ქალაქის მოშორებით, იურის მონასტრის კომპლექსში დამკვიდრდა.

---

[94] А. М. Беленицкий, И. Б. Бентович, О. Г. Большаков, Средневековый город Средней Азии, Л., 1973, с. 182.

[95] იხ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 508. „შუაკედელი, შუაკედელი“.

[96] В. Ф. Минорский, История, с. 184—187.

[97] ნოვგოროდი აქ შემთხვევით არ გაჩნდა. ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი ს გამოთქვა მოსაზრება, და სხვა მკვლევრებმაც გაიზიარეს, რომ «Многими чертами структура Дербенда напоминает строй Новгорода Великого» იხ. მისი «История», გვ. 166, შ. 160. ეს აზრი შედარებით ვრცლად არის განხილული — პ. თ ო ფ უ რ ი ა, ამიერკავკასიის ქალაქების ისტორიიდან.

[98] М. К. Каргер, Раскопки и реставрационные работы в Георгиевском соборе Юрьева монастыря в Новгороде (1933—1935), — СА, VIII, 1946, с. 175—176.

*
* *

ერთ-ერთი ის რამაც წარმოშვა ქალაქი და საფუძველი ჩაუყარა მის, როგორც ისტორიული კატეგორიის, არსებობას ზღუდე, გალავანი იყო. ფეოდალურ ეპოქაშიც საქალაქო ცხოვრების შეუფერხებელი მიმდინარეობისთვის მას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ შეიძლებოდა ქალაქი ზღუდის, გალავნის გარეშეც არსებულიყო, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ მონაკვეთში მაინც. გალავანი არ ჰქონდა შეიზარს[99], სარმინს[100], ხოლო „ჰარავა არ იყო გამაგრებული"[101], კაიროს კედლის მაგივრობას ქალაქის მაღალი სახლები უწევდნენ[102].

მსგავსი ფაქტები ამიერკავკასიაშიც აღინიშნება. მიხეილ ატალიატეს ცნობით, სომხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი არწნი გაუმაგრებელი იყო[103]. შაბარანს 983 წ. შემოავლეს გალავანი, ხოლო იაზიდიას 1045 წელს — „მაგარი, თლილი ქვის კედელი..."[104]. ამრიგად, დაახლოებით 130 წლის განმავლობაში ეს ქალაქი უგალავნოდ არსებობდა; მისი აგების მიზეზსა და დანიშნულებასაც პირდაპირ აღნიშნავს მემატიანე — „...თურქი-ღუზების წინაშე შიშის გამო".

„და ჰყვეს ლიპარიტს კახნი და ბერძენნი... გავიდეს ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო"[105].

ამ დროს, XI ს. შუა წლებში ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავს, თრიალეთის მფლობელს უკვე დაწყებული აქვს „საურავი გუერდქცეულთა"[106], ის ბაგრატ მეოთხის ძლიერი და შეუპოვარი მოქიშპეა[107] და საქართველოს მეფესთან ბრძოლაში ახალქალაქს გალავნით ამაგრებს.

თუ შეიძლებოდა ქალაქის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური

---

[99] Е. А. Беляев, Век Усамы წიგნში «Усама ибн Мункиз, Книга назидания». Перев. М. Н. Салье, М., 1958, с. 7.

[100] ნასირი ხუსრავ, სიგრძნე, ბერლინი, 1341 (ქართ), გვ. 15.

[101] არისტაკეს ლასტივერტელი (Повествование вардапета Аристакэса Ластивертци. Перев. с древнеарм., вступ. статья, комм. и приложения К. Н. Юзбашяна, М., 1968), с. 114.

[102] ნასირი ხუსრავ, გვ. 63.

[103] იხ. Я. А Манандян, О торговле и городах Армении в связы с мировой торговлей древних времен (V в. до н. эры — XV в. н. эры), Ереван, 1954, с. 215.

[104] თარიხ ალ-ბაბ, გვ. 56, § 17.

[105] მატიანე ქართლისა, გვ. 298.

[106] იქვე.

[107] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, თბ., 1955, გვ. 142—151; პ. თოფერია, ისევ ალბაგის ინტერესების შესახებ, ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 1983, გვ. 72—74.

ერთეულის უგალავნოდ არსებობა, მისი სამხედრო-პოლიტიკური დანიშნულება აუცილებლად მოითხოვდა გალავანს.

ალფ არსლანის საქართველოში პირველი ლაშქრობის დროს „...არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი“[109].

ახალქალაქის ტოპოგრაფიის შესასწავლად ამჟამად შესაძლებელია ახალი მასალის გათვალისწინება.

ალფ არსლანი „გაემართა სხვა ქალაქისაკენ, რომელსაც ეწოდება (ახალქალაქი)[109]. ამ ქალაქის კედლების (ს უ რ) სიმაღლე ასი წყართა (ზ ი რ ნ)[110] იყო, სიგანე — ამაზე მეტი. აღმოსავლეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან ქალაქს ერტყმის მთები, რომელთა მწვერვალებზე მიუდგომელი ციხეებია (ق ا ل‘ ه), ხოლო კედლები, რომლებიც მოვიხსენიეთ, მდებარეობდნენ სამხრეთ მხარეზე. ამ კედლების წინ იყო წყალი, ისეთივე ღრმა, როგორც ჯეიჰუნი“. ახალქალაქელებმა ზავი ითხოვეს. სულთანმა მოსალაპარაკებლად ორი კაცი გაგზავნა; „როდესაც ისინი გასცდნენ ქალაქის წინა დაბალ კედელს“[111] მათ თავს დაესხნენ ქართველები[112].

ყურადღებას იპყრობს ف ا س ي ل[113]. შდრ. საბასთან: „გისსოი

---

[108] მატიანე ქართლისა, გვ. 306.

[109] ლედანში არის لالغا. მთარგმნელის შენიშვნა (იხ. ქვემოთ, შ. 112): „ი ბ ნ ა ლ ა ს ი რ თ ა ნ არის: لالغا».

[110] მთარგმნელი (გვ. 190, შ. 12): «ლოკოტ [ეგრა]=49, 875 სმ».

[111] فلما جاوزا الفصيل احاط بهما الكرجيون

[112] ჰ ე ს ა ა ნ ი (Садр ад-Дин 'Али ал-Хусайни, Ахбар ад-Даулат ас-Селджукийя... Изд. текста, перев., введ., примеч. и приложения З. М. Буниятова, М., 1980, ფაქსიმილე), გვ. 50.

[113] ნ. შენგელია თარგმნის: „როდესაც მათ გაიარეს ციხის სასაზღვრო ხაზი“ იხ. მისი „სადრ-ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ“, ძველი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 182; ზ. ბენიანტოვი თარგმნის: «первая стена». ლექსიკონები fasīl-ს ასე განმარტავენ: E. W. Lane, Arabic-English lexicon...: «وَثَّقُوا سُورَ المَدِينَةِ بِكِبَاشٍ وَ فَصِيلٍ...» [They strengthened the wall of the city by means of buttresses and a low wall in front of it]; R. Dozy Supplément aux dictionnaires arabes...: „avant—mur“, М. О. Аттая, Словарь арабско-русский...: «невысокая стена, находящаяся под другой, окружающего город; вал; подпора»; Б. В. Миллер, Персидско-русский словарь...: «1) невысокая ограда вокруг земляного вала, окружающего город; 2) ист. бруствер, вал, окоп».

فصيل-ის შესახებ იხ. აგრეთვე ო. ცეტიშვილი, ქალაქ ბაღდადის ისტორიისათვის (მასალები ფეოდალური ქალაქის წარმოშობა-განვითარების ისტორიისათვის მახლობელ აღმოსავლეთში), თბ., 1968, გვ. 48—51.

(მ)სოფლიოთა ენითა ზღუდე მცირესა ეწოდება სიმაღლე სამ წყართეულსა, ესე იგი არს გზისა დამაყენებელი, რომელსა ელლენებრ თ რ ი ნ გ ო ლ (ი) ეწოდება". „გისსო(ი) არს მსოფლიოთა ენითა, ხოლო ელლენთა მიერ თრინგოლი, ზღუდე მცირე. სამი წყართა სიმაღლე, ესე იგი არს გზის(ა) დამაყენებელი". „ზღუდე...გისსო(ნ)ი არს ზღუდე სიმაღლით სამი წყართა"[114];

მისი არსებობა ახალქალაქში საქართველოს ქალაქების საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობის მაღალი დონის კიდევ ერთი მაჩვენებელია.

ეჭვს იწვევს ქალაქის კედლების დამოწმებული ზომები. ტ უ ლ ს უ რ ჩვენც „კედლების სიმაღლე"-დ ვთარგმნეთ. მაგრამ ტ უ ლ, პირველ რიგში, სიგრძეს და მასთან დაკავშირებულ ცნებებს აღნიშნავს; და თუ „კედლის სიმაღლის" ნაცვლად „კედლის სიგრძედ" ვთარგმნით („მატიანე ქართლისას" ცნობის გათვალისწინებით, რომ გალავანი არ არის დასრულებული), ხოლო „სიგანეში" ქალაქის სიგანეს ვიგულისხმებთ (იმ პირობით, რომ „...სიგანე ამაზე მეტი" ახალქალაქის სიგანისათვის მისაღებ სიდიდეს იგულისხმებდა) — ამას ეწინააღმდეგება გრამატიკულად უნაკლოდ (სქესში შეთანხმება) შედგენილი ფრაზის მეორე ნაწილი („...სიგანე ამაზე მეტი"), რომელიც ნამდვილად კედელს ეკუთვნის და არა ქალაქს[115].

ავტორს საერთოდ სჩვევია გაზვიადება. ასე, ანისის კედლებს ის მაღალ, ძლიერციხეებიან მთებს (ჯ ი ბ ა ლ) ადარებს[116].

მისივე ცნობით, „თბილისის კედლების სიმაღლე ორმოცი წყართა არის, და სიგანეც ასეთივეა"[117]. აქაც, ისევე როგორც ახალქალაქის შემთხვევაში, კედლების სიგანე არარეალური ჩანს.

იაკუთი მხოლოდ აღნიშნავს, რომ თბილისს „არტყია დიდი გალავანი"[118]. ნესავის ცნობით, ის „გამაგრებული და მიუდგომელი" ქალაქია და „მისი კედლები უმეტესწილად აღმართულია მთებზე და მაღლობებზე"[119].

---

[114] ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი, „გისსო", „ზღუდე". სიტყვა თ რ ი ნ გ ო ლ ი არის დემინუტიური თ რ ი ნ ჯ ო ს, დადასტურებული როგორც კლასიკურ ასევე ბიზანტიური პერიოდის ბერძნულში. იხ. Древнегреческо-русский словарь, сост. И. Х. Д в о р е ц к и й, М., 1959: „θρίγκος 1) венечный карниз, зубчатый верх стены 2) стена, ограда"; Greek lexicon of the Roman and Byzantine periods by E. A. Sophocles, New York, 1900: θρίγκος.

[115] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 189.

[116] ნ ე ს ა ვ ი ნ ი, გვ. 51.

[117] იქვე, გვ. 55.

[118] ი ა კ უ თ ი, გვ. 39.

[119] ნ ე ს ა ვ ი, გვ. 167.

არაბულ-სპარსული წყაროების თანახმად, თბილისს თიხის ორი გალავანი (სამი კარით) ჰქონია[120]. არაბ ამირას ისჰაკ იბნ ისმაილს (IX ს. პირველი ნახევარი) აქ საფორტიფიკაციო სამუშაოები ჩაუტარებია[121]. ჰუსაინის ცნობა, რომ თბილისის გალავნის სიმაღლე დაახლოებით 20 მ ყოფილა (იხ. ზემოთ), შესაძლოა, სინამდვილესთან ახლოს იყოს. 18—20 მ სიმაღლის იყო დარუბანდის გალავანიც[122]. საერთოდ, ასეთი სიმაღლის ქალაქის კედლები იშვიათი არ იყო ახლო აღმოსავლეთის სინამდვილეში.

ორმაგი კედლები ჰქონდა განძის ცენტრალურ ნაწილს და ახალ ანისს სუმბატის კედლების სახით"[123].

არდებილი, აზერბაიჯანის მთავარი ქალაქი (კ ა ს ა ბ ა), უკვე X საუკუნეში დიდი, ძლიერი, გალავანშემოვლებული ქალაქი იყო[124]. მისი მოსახლეობა მედგრად იცავდა ხოლმე თავს ალყაშემორტყმულ ქალაქშიც[125]. მაგრამ, როგორც ირკვევა, არსებული ზღუდე ვეღარ იცავდა ქალაქს და 613/1216—17 წ. მაღალი გალავანი აუგიათ „ქართველთა თავდასხმებისგან თავდასაცავად"[126].

ქალაქის ტოპოგრაფიული აღწერის დროსაც მემატიანე ყოველთვის არ გვაძლევს ცნობას გალავნის შესახებ. ასე, ჰ ო დ უ დ ა ლ-ა ლ ე მ ი IX საუკუნის აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის 42 დიდსა თუ პატარა ქალაქს აღწერს, მაგრამ მათგან მხოლოდ ექვსში (არდებილი, დარუბანდი, დვინი, თავრიზი, თბილისი, მარაღა) ასახელებს ზღუდეს. ორს კი (ყალიყალა, სუნბათმან) — ციხე აქვს ძლიერიო[127] და გაურკვეველი რჩება მარტოოდენ ციხით იყო თუ არა ეს ქალაქები გა-

---

[120] ი ს ტ ა ხ რ ი, СМОМПК, ტ. 29, გვ. 11, BGA. I, გვ. 300; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 89—89; ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, იბნ ჰაუკალი თბილისს შესახებ, სიამ, I, თბ., 1976, გვ. 33, 35: و عليها سوران من طين „მას ტინის ორი კედელი აკრავს". მაგრამ არაბული ტინ თიხას ნიშნავს, ხოლო ქართული „ტინი" — კლდეს. შდრ. ნ. ყ ა რ ა ე ულ ო ვ თ ა ნ: «...две стены из глины...», СМОМПК, ტ. 29, გვ. 11, იქვე, ტ. 38, გვ. 89; თ. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, წიგნში სიბ, ტ. II, თბ., 1973, გვ. 350; ჰოდუდ ალ-ალემი, გვ. 162: «... دو باره دارد...» თუ რისგან — არ არის აღნიშნული.

[121] ბ ა ქ უ ი, გვ. 90 (22).

[122] В. Ф. М и н о р с к и й, История, с. 120.

[123] И. Д. Д ж а ф а р з а д е, Историко-археологический очерк Старой Гянджи. Баку, 1947, с. 24, 59; Н. М а р р, Ани, с. 66, 78-79.

[124] ჰოდუდ ალ-ალემი, გვ. 158.

[125] ქ ა ს რ ა ვ ი ი ა ბ რ ი ზ ი, შაჰრიარან-ი გომნამ, ნაწ. 1, თეირანი, 1307 ჰჯ., გვ. 59.

[126] აკამ ალ-დუნია, გვ. 196, ამ თავდასხმების შესახებ იხ. იქვე, ქართ. თარგმ., გვ. 24, შ. 2.

[127] ჰოდუდ ალ-ალემი, გვ. 160, 162.

მაგრებული? ოღონდ არც სხვა წყაროები გვაწვდიან სასურველი სისრულის ცნობებს: „ბარდავს... აქვს დიდი ციხე (ჰ ი ს ნ)" — გალავანი არ იხსენიება. „შაბარანი სიმაგრის გარეშეა"[128]. ისტახრის ცნობით კი შაბარანი გამაგრებულია.

ცნობილია შუა საუკუნეების აღმოსავლური წყაროების კომპილაციური ხასიათი. ზოგჯერ ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებსაც იძლევიან. ამის გამო, ხშირად ჭირს მათი ურთიერთ შედარებით ისტორიული პროცესის შედეგად შექმნილი კონკრეტული ვითარების, კერძოდ, ქალაქის ტოპოგრაფიის განვითარების შინაარსის დადგენა.

სხვა წყაროების მონაცემებით იზრდება ჰ ო დ უ დ ა ლ-ა ლ ე მ შ ი აღწერილი გალავნიანი ქალაქების რიცხვი. ასეთებია: ბაილაყანი, განძა, ვარსანი, ნახჭევანი, შამახია, შამქორი, ხლათი და სხვა. იმავე ხლათში, მაგალითად, იაკუთი არ ასახელებს გალავანს. წყაროები წერენ ესა თუ ის ქალაქი „გამაგრებულიაო". მაგრამ არცთუ იშვიათად, ძნელია გაირკვეს, სახელდობრ, რა იგულისხმება „გამაგრებაში"[129].

ქალაქის ტიპის, მისი განვითარების შესწავლისათვის, რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვს იმ ქალაქების რიცხვის დადგენას, რომელთაც აღმოცენების ან აშენების დროს უგალავნოებს, შემდეგ შემოარტყეს ზღუდე.

საერთოდ, გალავნის შესწავლით მრავალი საკითხი ირკვევა ქალაქის ისტორიაში. მისი „მოძრაობით" თუ ნგრევა-შენებით „დოკუმენტურად" დასტურდება ქალაქის ზრდა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. განძის არქეოლოგიურმა შესწავლამ სამი გალავანი გამოავლინა[130]. ერთ-ერთი მათგანი უნდა იყოს შადადიან აბუ-ლ-ასვარის მიერ XI ს. მეორე ნახევარში აგებული კედელი, რომელმაც ქალაქის რა-

---

[128] მ უ კ ა დ ა ს ი, BGA, III, გვ. 376; СМОМПК, ტ. 38. გვ. 7,9.

[129] ი ა ク უ თ ი, გვ. 51. აკუბ ალ-დენია, (ქართ. თარგმ.) მაგალითად, წერს (გვ. 12): «حصين دارد و قلعه محكم و... باروى بلند و خندق عميق» გვ. 33: „[განძა]... სიმაგრე აქვს და მტკიცე ციხე... მაღალი გალავანი და ღრმა ხანდაკი [არტყია]". შდრ. აკუბ ალ-დენია, გვ. 208: „...имеет укрепления..." (იხ. ქვემოთ). თუმცა حصين = „ძლიერ გამაგრებული; მიუდგომელი", მაგრამ ზმნის (دارد „აქვს") გამო სურათი არც ამ შემთხვევაშია მთლად ნათელი. რა ვიგულისხმოთ „სიმაგრეში"? ალბათ, „გამაგრებულობა" და მივიღებთ: „[განძა] გამაგრებულია". შდრ. იქვე, ქართ. თარგმ., გვ. 32/12: „[ყარსი] ... მაგარი ციხე აქვს და ქვის გალავანი არტყია" قلعه حصين دارد و باروها از سنگ

[130] И. Д. Джафарзаде, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

ბადი მოიცვა[131]. ამავე საუკუნეში აგებულმა მერვის ახალი რიგის გალავანმა გარეუბანი ქალაქში „შეიტანა“[132]. როგორც აღვნიშნავდით, 964 წ. აშენებული აშოტის კედლები ძველ ანისს, შიდაქალაქს ერტყა. მეოთხედი საუკუნის შემდეგ (989 წ.) მეფე სუმბატ II ახალ ზღუდეს აგებს (სუმბატის კედლები), რომელმაც „ჩაკეტა“ ზეგანზე გაშლილი ახალი ანისი. სუმბატმა „ამოავსო თხრილები და მათზე გაიყვანა ახალი კედელი, რომელიც გარს ერტყმოდა ქალაქ ანისის ადრინდელ კედელს... ის დიდად შორავდა ქალაქის ძველ კედელს, მასზე მაღალი იყო და მოიცავდა ქალაქის მთელ სივრცეს“[133]. ნ. მარის გათხრებით გამოვლენილი ეს კედლები ანისის საერო არქიტექტურის თვალსაჩინო ძეგლს წარმოადგენენ.

თუ დარუბანდის გალავანი ძირითადად სასანელი შაჰინშაშების ნახელავია და მათივე ეპოქის მკაფიო მახასიათებელი ძეგლი, არანაკლები სიცხადით გვიხასიათებს ანისის გალავნის ნანგრევები ქალაქის და მისი მფლობელების პოლიტიკურ ძალას და ეკონომიკურ სახსარს.

გალავანი ზრუნვა-პატრონობას და ყურადღებას მოითხოვდა. არცთუ იშვიათად. მისი მშენებლობა მთლიანად არ მთავრდებოდა და დროთა განმავლობაში გადაკეთდებოდა კიდეც. ერთ-ერთმა შადადიანმა გაიფართოვა და გაამაგრა ანისის გალავანი. „ამრიგად, წერს ვარდანი, ანისი ადრინდელთან შედარებით არანაკლებ კეთილმოეწყო“[134]. ამ სამუშაოთა კვალი აშკარად გამოავლინა სუმბატის კედლების არქეოლოგიურმა დამუშავებამ.

XIII ს. პირველ მეოთხედში „მარანდის კედლები არ იყო გამაგრებული“ და მტერსაც ვეღარ გაუმკლავდა[135]. ჩვენ კი ვიცით, რომ მუკადასის დროს მარანდი „გამაგრებული“ (ჰასინათუნ) იყო[136]; ხოლო ბალაზურის თანახმად, რომელსაც იმოწმებს იაკუთი, იგი „პატარა სოფელი იყო, სადაც ჩამოხდა ჯალრს იბნ ალ-ბა'რსი. შემდეგ გაამაგრა იგი ალ-ბა'რსმა, შემდეგ მისმა ძმემ მუჰამმად იბნ ალ-ბარ'სმა და ააგო იქ მუჰამადმა ციხე [კასრ]. მან ურჩობა დაიწყო მუთავაქკი-

---

[131] ბაბ ფი-ლ-შადადია, წიგნში V. Minorsky, Studies in Caucasian history, London, 1953, p. 20.

[132] В. В. Бартольд. К истории Мерва, с. 186—187.

[133] ასოღიკი, (Всеобщая история Степаноса Таронского Асох'ика по прозванию, писателя XI столетия переведена с армянского и объяснена Н. Эминым. М., 1864), გვ. 130; Н. Марр, Ани, с. 66, 78.

[134] ვარდანი (Всеобщая история Вардана Великого, перев. Н. Эмин с примеч. и прилож., М., 1861), გვ. 129.

[135] ნესავი. გვ. 211.

[136] მუკადასი, BGA, ტ. III, გვ. 377, СМОМПК, ტ. 38, გვ. 10.

ლის ხალიფობის დროს და შეებრძოლა მას ბუღა მცირე ისე, რომ სძლია იგი... და დაანგრია მარანდის კედელი და ეს ციხე"[137].

ღრმაშინაარსიანი ცნობაა; გარდა იმისა, რომ წარმოაჩენს ქალაქის დაარსების ერთ-ერთ გზას, იგი მარანდის პოლიტიკური ცხოვრების ერთ მონაკვეთსაც აღწერს.

როგორც ამ შემთხვევაში, კედელი და ციხე პირველი განიცდიდნენ ხოლმე ქალაქს თავსდამტყდარ ქარტეხილთა შედეგს. ცხადია, ასეთი ქარტეხილები არა ერთი გადაუტანია მარანდს და ნესავის ის „გაუმაგრებელი" უნახავს.

„გამაგრება" გალავნის ირგვლივ თხრილის გაყვანის, ქონგურების, კოშკების, გოდლედების და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობას გულისხმობდა[138]. სხვა შემთხვევაში, როგორც ჩანს, გალავანი არ ითვლებოდა დასრულებულად — „არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი", მიუხედავად იმისა, რომ კარი გალავანს აკიდებული ჰქონდა.

გეოგრაფიული პირობების შესაბამისად თხრილი ყოველ ქალაქს არ ჰქონდა. დარუბანდი „გარშემოზღუდულია უმტკიცესი კედლებით უთხრილოდ, დიდი, თლილი ქვისაგან აგებული კოშკებით. მაგრამ თათრებმა დაანგრიეს ქონგურები და კოშკების თაღები ისე, რომ დაიყვანეს გალავნამდე"[139].

თუ რა მასალისგან და როგორ იყო ნაგები გალავანი (და მთელი ქალაქიც, რაღა თქმა უნდა), ესეც მნიშვნელობას იძენს ქალაქის ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ზოგი საკითხის გასარკვევად.

გალავნის ხელშეუხებლობა მხარეთა პოლიტიკურ შეთანხმებაში ზოგჯერ საგანგებო პირობას შეადგენდა (ბაილაყანი, დვინი)[140]. გალავნის მორღვევა ქალაქისათვის დიდ სასჯელს წარმოადგენდა. ერთ-ერთმა სალარიანმა ზავის დარღვევის გამო არდებილის წარჩინებულებს (ქალაქის მმართველი ფენა, ვაჭრები) მიწასთან გაასწორებინა ქალაქის კედელი. საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილნი და მორთულ-მოკაზმულნი ისინი საკუთარი ხელით ანგრევდნენ გალავანს და კაბის კალთებით გაჰქონდათ ღორღი და მიწა[141].

---

137 ბაკუთი, გვ. 84.

138 შდრ. განძა „...დიდი ქალაქია... აქვს სიმაგრე (თარგმანში: укрепление) და ძლიერი ციხე... მაღალი კედელი და თხრილი" — ალ-ბუნია, გვ. 208. „მტკიცედ განმაგრებულ იყო" განძა მონღოლთა შემოსევის დროსაც — იხ. ავტორეფერატი, გვ. 184.

139 რუბრუკვისი (Путешествия в восточные страны Плано Карпини и Рубрука. Ред., вступ. статья и примеч. Н. П. Шастиной, М., 1957), გვ. 187.

140 ბაკუთი, გვ. 37, 53.

141 იბნ ჰაუკალი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 81—82.

მნიშვნელოვან დასკვნებს გვაძლევს ქალაქის გარეგან სახეში მომხდარი ცვლილების შესასწავლად ბაილაყანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალის დამუშავება. ამჟამად ამ მასალას ვრცლად ვერ განვიხილავთ, გალავანთან დაკავშირებით კი აუცილებელია აღინიშნოს, რომ „...სწორედ XII—XIII საუკუნის დასაწყისში, ბაილაყანის უდიდესი აყვავების ხანაში, გამაგრებული რჩებოდა ქალაქის მხოლოდ მცირედი ნაწილი (ანუ იგივე „პატარა ქალაქი"; იხ. ზემოთ — პ. თ.). დანარჩენ, ქალაქის უდიდეს ნაწილს ამ დროს უკვე აღარ ჰქონდა თავდასაცავი ნაგებობანი, ხოლო ქალაქის ამ ნაწილში ყოფილ გალავანზე რიგითი მოქალაქეების საცხოვრებლები იყო გაშენებული"[142].

მას'უდ ბ. ნამდარი, ბაილაყნელი მოხელე ხალიფას მთავრობას თხოვს საგანგებო სიგელით დაუმტკიცოს ქონება, რომელსაც სხვასთან ერთად შეადგენს ქალაქის თხრილში მდებარე ბაღიც[143].

თუ ეს თხრილი ქალაქის გალავნისწინა თხრილს გულისხმობს, ამჯერად იმ შემთხვევასთან გვექნებოდა საქმე, როდესაც არქეოლოგიური მონაპოვარი სხვა წყაროებში პოულობს დადასტურებას. ამ მოხელეს მწვავე ურთიერთობა ჰქონდა ბაილაყანის ხალხთან და, როგორც ის ჩივის, მათ ყური არ ათხოვეს მის შეგონებას და უკმაყოფილონი „გაიფანტნენ ყველა კედლებსა და თხრილებში ახალი ჯანყის მოსამზადებლად"[144]. ეს ცნობა თითქოს ნაკლებ საფუძველს გვიტოვებს ეჭვებისთვის.

X ს. აგებული აშოტის კედლებთან ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩნდა ძველი ანისის „ღარიბი კვარტლის ნაწილი" თავისი სახელოსნოებითა და სავაჭრო დუქნებით. როგორც აღნიშნავენ, მან ნათელი წარმოდგენა შექმნა ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების და უბრალო მშრომელთა შესახებ, რომლებიც აქვე ცხოვრობდნენ ძირძველ თავადებთან და დიდებულ მოქალაქეებთან ერთად[145].

ამიერკავკასიის ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების

---

[142] А. А. Иессен, Азербайджанская..., с. 11; მისივე, Городище, с. 43.

[143] مع مقلة فى خندقة المدينة Мас'ӯд ибн Нāмдāр, Сборник рассказов, писем и стихов, факсимиле текста, предисл. и указатели В.М. Бейлиса, М., 1970, с. 35, არაბ. ტექსტი, გვ. ١٥٦.

[144] იქვე, გვ. 27, არაბ. ტექსტი, გვ. ٨٢: فى كل سور و خندق

[145] Н. Я. Марр, Раскопки в Ани в 1904 году, ИАК, вып. 18, 1906, с. 10—11. შდრ. В.В. Бартольд, Отзыв о трудах Н. Я. Марра по исследованию древностей Ани, Сочинения, т. IV, М., 1966, с. 226.

აღსანიშნავია, რომ უკვე ამ დროს ნ. მარი ყურადღებას აქცევს ქალაქის სოციალურ ტოპოგრაფიას.

დონის კვლევის დროს ძნელია აღნიშნული ფაქტების გადაჭარბებით შეფასება.

საგულისხმოა ისიც, რომ ქალაქის გალავნის შლა და მისი დანიშნულების ქალაქის მხოლოდ ერთ ნაწილში შენარჩუნება არ არის ლოკალური ხასიათის მოვლენა[146].

*
* *

ქალაქის კარს თავისი სამხედრო, ეკონომიკური და არქიტექტურული მნიშვნელობით ქალაქის გარეგანი სახის შემადგენელ ნაწილებს შორის ერთი ცენტრალური ადგილი ეჭირა.

ქალაქის კართა რაოდენობა და სახელწოდებანიც სათანადო ინფორმაციას შეიცავენ ქალაქის სიდიდის, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის, ეთნიკური მდგომარეობის შესასწავლად.

შედარებით პატარა ქალაქ ანისის გალავანს დატანებული ჰქონდა ქალაქის შიდა და გარეთა თერთმეტი კარი და სამი კუტი კარი. მათ შორის ყარსის და დვინის კარიბჭეები[147].

დარუბანდის კართაგან სამი ჩრდილოეთის კედელშია გაჭრილი (დღესაც შემორჩენილია), ხოლო სამხრეთისაში — ოთხი. ციტადელს ორი კარი ჰქონდა, დასავლეთის — ქალაქის გარე კედელში და აღმოსავლეთის — ციტადელიდან საკუთრივ ქალაქში გამავალი. თ ა რ ი ხ ა ლ-ბ ა ბ ი ოთხ კარს ასახელებს. მათგან საყურადღებოა დამასკოს და პალესტინის, რომლებმაც, როგორც ჩანს, სირიიდან გადმოსახლებული მეომრებით დასახლებულ უბნებთან მდებარეობის გამო მიიღეს ეს სახელწოდებანი[148]. ბარდავის ერთ-ერთ კარს „ქურთების კარი“ ეწოდებოდა[149]. მაგრამ თუ რატომ მიიღო კარმა ეს სახელი, დანამდვილებით არ ვიცით.

დვინში „რამდენიმე კარია, მათ შორის თბილისის და ანისის“[150]. თბილისში იყო განძის კარი[151], განძაში კი — ბარდავის კარი[152].

---

[146] შდრ. М. К. П а ч о с, К изучению стен городища Афраснаба, СА, 1967, № 1, с. 71.

[147] ჩამოთვლა იხ. И. А. О р б е л и, Кр. путеводитель, с. V—VI.

[148] В. Ф. М и н о р с к и й, История, с. 121—122.

[149] о ь т а х р и, СМОМПК, ტ. 29, გვ. 9.

[150] м у к а д а с и, იქვე, ტ. 38, გვ. 9, BGA. ტ. III, გვ. 377.

[151] ყამთაალმწერელი, გვ. 175. თბილისის დანარჩენ კართა შესახებ იხ. თ. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, იქვე, გვ. 351—353. აღვნიშნავთ, რომ თბილისში სულდის კარს (صفد) ასახელებს თარიხ ალ-ბაბიც, გვ. 46, არაბ. ტექსტი, გვ. ۵. ვ. მინორსკი მასში ისევ ქართულ „საგოდებელს“ ხედავს, — იქვე, გვ. 46, შ. 8.

[152] З. М. Б у н и я т о в, Государство атабеков Азербайджана (1136—1225 годы), Баку, 1978, с. 188.

ქალაქის ტოპოგრაფიაში კარის მნიშვნელობაზე ისიც მიგვითითებს, რომ მას ზღუდის გასრულებამდეც აჰკიდებდნენ. ამას ახალქალაქის მაგალითი ადასტურებს. როგორც აღვნიშნეთ, ქალაქის გალავნის მშენებლობა არ იყო დასრულებული, მაგრამ კარიბჭეები მას უკვე ჰქონდა: „...განახუნეს კარნი, და შეებნეს ძლიერად“[153]. ქალაქის მესვეურთა ასეთი „მოუთმენლობა“ ეკონომიკური ინტერესებითაც აიხსნება — ქალაქის კარი თაეისი საბაჟოთი ხომ შემოსავლის ერთ-ერთი წყაროც იყო.

ქალაქის დაცვაში კარი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა. მის წინ გამართულ ბრძოლებში და მისი აღებით ხშირად გადამწყდარა ქალაქის ბედი.

ქალაქის კარი საღამო ჟამს იკეტებოდა და დილით იღებოდა. ამ წესს კარის მცველები ასრულებდნენ, ანისში ისეთი გულმოდგინებით, რომ მათ ქალაქს თავშესაფრად მიმწყდარ თავისიანებსაც კი ჩაუკეტეს კარები „საღამოს დადგომის“ გამო[154].

ცხოვრებისეული მწარე გამოცდილება კარნახობდა ასეთ სიმკაცრეს. როდესაც „ცნა არდაველის სულტანმან... მჯარგრძელთა შინაუმყოფლობა... უგრძნობლად მოვიდა ანისა [sic]... და ვითარ ცისკარი მოეახლა და ჰკრეს ძელსა და განახუნეს კარნი ქალაქისანი, მყის მიეტევნეს კარსა ქალაქისასა, შეუტევეს ცხენი, და ვერ მოასწრეს კარნი, და შევიდეს ქალაქად. იწყეს ჯოცად, კლვად, ტყუეობად...“[155].

თუ ქალაქი ნებდებოდა, „კლიტენი ქალაქისანი“ გამარჯვებულს გადაეცემოდა[156].

კარი ქალაქის ძლიერების და მორჭმულობის გამომხატველიც იყო. ამიტომაც ცდილობდნენ, ვისაც შეეძლო, ის მაგარი და ლამაზი აეგოთ. როგორც ჩანს, კარის ჩამოხსნა, მით უმეტეს, ნადავლად წაღება, ქალაქისათვის დიდი სირცხვილი იყო. ამიტომ თუ იყო. რომ 1139 წ. დემეტრე მეფემ განძაში მოპოვებული გამარჯვების ნიშნად ქალაქს 1062 წელს გაპედილი რკინის კარი ჩამოხსნა, საქართველოში წამოაღებინა და გელათს გადასცა, სადაც იგი დღესაც ინახება[157].

ქალაქის გალავანსა და კარზე ამოკვეთილ რელიეფურ გამოსახულებათაგან, ზოგიერთი შესაძლებლად მიაჩნიათ ქალაქის გერბად ჩათვალონ. ანისის გალავანზე მთავარ კარებთან ამოჭრილი ბარელიეფი (გაქცეულ ვეფხვის ზემოთ სფერო და ჯვარი), ი. ორბელის აზრით,

---

[153] მატიანე ქართლისა, გვ. 306.

[154] ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ე ც ი, გვ. 105.

[155] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქ. ცხ., II, გვ. 100.

[156] მატიანე ქართლისა, გვ. 299.

[157] კარის შესახებ იხ. პ. თ ო ფ უ რ ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 76.

ანისის გერბი უნდა იყოს[158]. ფიგურული კომპოზიციები სხვაგანაც გვხვდება: „ქალაქ ბაბ ალ-აბვაბში ჯიჰადის კარზე, კედლის ზემოთ, არის ორი ქვის სვეტი. თვითეულ სვეტზე ლომის ქანდაკებაა თეთრი ქვისაგან. მათ ზემოთ ორი ქვაა. ყოველ ქვაზე (აგრეთვე) ქანდაკებაა დედალი ლომისა. ამ კარის ახლოს არის ადამიანის გამოსახულება ქვისაგან. მის ფეხებს შორის მელიის გამოსახულებაა, რომელსაც პირში ყურძნის მტევანი უჭირავს. ქალაქის განაპირას წყალსაცავია თაღიანი საფეხურებით, რომლითაც ჩადიან ამ წყალსაცავში... ამ საფეხურების ორსავე მხარეს აგრეთვე. ლომის ორი ქანდაკებაა ქვისაგან. ამბობენ, რომ ეს ზღუდის თილისმაა"[159]. აღნიშნული კარის წინ ქვის ორ სვეტზე ორი ლომის სასანელების მიერ თილისმად გამოქანდაკების შესახებ გადმოგვცემს სხვა წყაროც[160]. იგივე ავტორი ჰამადანის საკვირველებათა შორის ასახელებს „ძალიან დიდ ქვის ლომს ქალაქის კარებზე. ეს არის თილისმა, რომელიც შექმნა ბალინასმა, თილისმათა შემქმნელმა, როდესაც კავადმა სთხოვა გრძნებით შეეკრა მისი ქალაქები..."[161]. ბაქოს ძველი ციხის კედლის ერთ-ერთი „კარის თავზე ჩადგმულია ორი ბარელიეფი, ძველი სპარსული ან ქალაქის გერბი: ორი ერთმანეთისკენ მიმავალი ლომი და მათ შორის ხარის თავი"[162].

ასეთი გამოსახულებანი ფეოდალური და უფრო ადრეული ამიერკავკასიის ჰერალდიკურ სიმბოლიკას უკავშირდებიან[163] და თილისმის და სხვა ნიშნებთან ერთად, შესაძლებელია, ზოგიერთი მათგანი, მართლაც, ჩამოყალიბებულიყო ქალაქის გერბად. იაკუთის ცნობით, ქალაქ კალი კალას დამაარსებელი „გამოხატულია მის ერთ-ერთ კარზე"[164]; თითქოს ეს უფრო უახლოვდება ქალაქის გერბის შინაარსს.

*
* *

შუა საუკუნეების ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის გასარკვევად ქალაქის შემადგენელ ნაწილებს შორის რაბადს ერთ-ერ-

---

158 И. А. Орбели, Развалины Ани, с. 11; შდრ. მისივე «Бронзовая курильница XII века в виде барса», — Избр. тр., Ереван, 1963, с. 345.

159 ალ-ყაზვინი, გვ. 23; ზაქარია ალ-ყაზვინი, გვ. 39; თილისმის შესახებ იხ. В. В. Бартольд, Дербент, с. 422.

160 ბაქუვი, გვ. 83 (118).

161 იქვე.

162 В. М. Сысоев, Кр. путеводитель, с. 9.

163 შდრ. Н. Марр, Ани, с. 52—53; ნ. მარს სომხეთი აქვს მხედველობაში, მაგრამ ზემოდამოწმებული მასალა, ეფიქრობთ, საერთოდ ამიერკავკასიის შესახებ მსჯელობის საფუძველს გვაძლევს.

164 ალ-ყაზვინი, გვ. 74.

თი ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება. ეს მნიშვნელობა, პირველ რიგში, ქალაქისა და რაბადის გენეზისიდან, მათი ურთიერთმიმართებიდან გამომდინარეობს.

ტერმინის ეტიმოლოგიიდან საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა[165], თუ არ ვცდებით, აშკარად მიგვანიშნებს იმ გზას, რომელიც რაბადმა გაიარა ცივილიზაციის ადრეულ საფეხურებიდან შუა საუკუნეების ქალაქის ტოპოგრაფიაში დამკვიდრებულ მნიშვნელობამდე. ეს მნიშვნელობა კი გულისხმობს ზოგადად ქალაქის (შ ა ჰ რ ი ს თ ა ნ ი ს) გალავანს გარეთ აღმოცენებულ დასახლებებს, შემდგომ ქალაქის ფარგლებში რომ შედიან (ჩვეულებრივ, ახალი გალავნის შემოვლებით) და მის ერთ-ერთ ნაწილად იქცევიან.

საქართველოში ქალაქთან დაკავშირებით „რაბადი" მცხეთის სინამდვილეში გვხვდება ცნობილი დიალოგის პასაჟში. წმინდა ნინომ კითხვაზე „რომლისა სოფლისანი ხართ?" მცხეთელ მწყემსთაგან პასუხად მიიღო: „დაბით ელარბინით და საფურცლით, და ქინძარელნი, რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ"[166].

საფურცლესა და ქინძარას სხვაგანაც ახსენებს იგივე ჰემატიანე; აშკარად ჩანს, რომ ეს „ადგილები" („...ადგილსა რომელსა ჰქუან საფურცლე"), ისევე, როგორც ღართა, „დიდისა ქალაქისა მცხეთის" მახლობლად მდებარე დასახლებებია, დაბებია („დაბით ელარბინით...")[167].

რაღას გულისხმობს „რაბატელნი"? რაბატის მცხოვრებლებს, ცხადია, მაგრამ თვით რაბატი? თუ ის მნიშვნელობით „დაბის" ტოლფარდია, მაშინ გამოდის, რომ მროველისათვის ისინი სინონიმებია და რაბადი=დაბას ან პირიქით. თითქოს ასე არ უნდა იყოს.

როგორც ირკვევა, მცხეთის რაბატი არ აერთიანებს დასახელებულ ტოპონიმებს და ის უშუალოდ ქალაქ მცხეთასთან, გალავნის ახლო-

---

[165] «ربض [Rābāz]... 1) предместье 2) загон (для скота)» — Персидско-русский словарь... Под ред. Ю. А. Рубинчика. შდრ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი და ს. ჯ ი ქ ი ა „რაბადის" ეტიმოლოგიის შესახებ, იხ. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები, II, გვ. 108, შ. 134. შდრ. მეგრ. „ქართა".

[166] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, გვ. 85—86.

[167] გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც: „სამივე დაბა მცხეთის რაბატში — გარეუბანში შედიოდა და მასი ეკონომიური რაიონის ერთეულებს წარმოადგენდა..." — ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968, გვ. 87. „რაბადსა" და „უბანს (გარეუბანს)" შორის მსგავსება შესამჩნევია; მაგრამ მათი შინაარსობრივი ურთიერთობა ტერმინთა სრული შესწავლის შემდეგ გაირკვევა. შდრ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი..., გვ. 165; მისივე, К истории, გვ. 447; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები, გვ. 13, 40—41, 161—164; ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები, I, გვ. 93—98; დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, წიგნში სთ, I, თბ., 1970, გვ. 643.

მახლო დამკვიდრებულ მოსახლეობას გულისხმობს. აღსანიშნავია დიალოგში მოცემული საზოგადოების სოციალური „განფენილობაც“ (არასრული, რა თქმა უნდა): მცხეთაში „ღმერთები ღმერთობენ, მეფენი მეფობენ“, ხოლო მცხეთელი მწყემსები ქალაქიდან შორს მწყემსაენ (ქალაქის?) ნახირს. რაბატში (ქალაქის?) ნახირის მწყემსების მკვიდრობა არ უნდა იყოს გაუმართლებელი. თუ ისინი „ნამდვილი“ მესაქონლეები არიან, რატომღა უკავშირდებიან რაბატს („რაბატელნი მცხეთისანი“)?

ყოველივე ამის დაზუსტება უფრო ნათლად წარმოაჩენდა მცხეთის ირგვლივ არსებულ დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს, სახეს. თუ ქალაქსა და მისგან დაშორებულ დაბას შორის ჩნდება რაბადი, მათგან განსხვავებული უჯრედი (გავიხსენოთ, რომ რაბადი, ასე თუ ვიტყვით, „სოფლიდან გამოდის და ქალაქისკენ მიისწრაფვის“) სწორედ ეს მოვლენა მიუთითებს საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ დანაწევრებაზე, მის განვითარებაზე.

თუ რას წარმოადგენდა ნასირ-ი ხოსროუს დროს (XI ს.) ქალაქის რაბადი კარგად ჩანს მაიაფარიყინის[168] მაგალითზე: „ამ შ ა ჰ რ ი ს თ ა ნ ი ს გარეთ რაბადში ქარვასლები, ბაზრები, აბანოები, მეორე საკრებულო მეჩეთია, სადაც პარასკევ დღეს ნამაზს ასრულებენ“[169]. აქ საცხოვრებელი სახლები და სხვა შენობები არ ჩანს, თორემ რაბადის ტოპოგრაფიაც შეივსებოდა და ის „ჩვეულებრივი“ ქალაქი იქნებოდა შ ა ჰ რ ი ს თ ა ნ ი ს (მ ა დ ი ნ ა ს) გარეთ აღმოცენებული. სომხეთის ქალაქი სურმარი კი ამ „დანაკლისსაც“ ავსებს: ამ გამაგრებული „ქალაქის გარეთ მდებარეობენ შენობები, ბაზარი და სახლები“[170].

რასაკვირველია, შუა საუკუნეების წყაროებს, ჩვენი მიზნების შესაბამისად, ვერ მოვთხოვთ, ზუსტად აღწეროს ყოველი დასახლებული პუნქტი თუ ქალაქი.

განვითარების ასეთი ტენდენციის შედეგად რაბადი ქალაქის (შ ა ჰ რ ი ს თ ა ნ ი ს) შემადგენელ ნაწილად გადაიზრდებოდა და ხშირად მას უერთდებოდა გალავნის შემოვლებით ისე, როგორც ეს მოხდა 1063 წ. განძაში: „აბუ-ლ-ასვარმა ააგო ჯანზის რაბადის გარშემო მტკიცე კედელი. მან დაატანა კედელს მაგარი კარიბჭეები, შემოავლო ღრმა თხრილი ისე, რომ ჯანზა დ ი დ ა დ გ ა ი ზ ა რ დ ა“[171]. (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

რაბადი შეიძლებოდა ჰქონოდა ციხესაც — განსაკუთრებით ადრეულ

---

168 ამ დროისათვის ქალაქი მერვანიანთა ფეოდალური სამთავროს ცენტრს წარმოადგენდა.

169 ნ ა ს ი რ-ი ხ ო ს რ ო უ, გვ. 10.

170 ა ჯაიბ ალ-დუნია, გვ. 205; ქართ. თარგმ., გვ. 30.

171 ბაბ ფი-ლ-შადდადიია, გვ. 20.

შუა საუკუნეებში. „არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბატიც და დაბა-ქალაქიც“[172]. არტანუჯი რომ ქალაქია, ეს ამ ცნობიდანაც კარგად ჩანს. საყურადღებო აქ ის არის, რომ ბერძენი ავტორი ციხეზე ამახვილებს ყურადღებას, იგია მისთვის, X ს. იმპერატორ-მწერლისათვის საწყისი წერტილი ქალაქის აღწერის დროს.

აქ ისევ გავიხსენებთ ჭმინდა ნინოსა და მცხეთელი მწყემსების დიალოგს. იქ აღწერილი დიდი მცხეთის ტოპოგრაფიისაგან (ქალაქი — რაბადი — დაბა) განსხვავებით, არტანუჯს „აქვს დიდი რაბატიც და დაბა-ქალაქიც. ეს დღევანდელი დაბა-ქალაქი ხვალ შეიძლება ქალაქი გახდეს. თვით არტანუჯი კი, როგორც ქალაქის ტიპი, თავის ფუნქციებს დაქვემდებარებული, თავისი დანიშნულების აღმსრულებელი ციხე-ქალაქია; ხოლო თავრიზსა და არდებილს შორის მდებარე ნავდიზი მხოლოდ ციხეა — „გამაგრებული იქ ხეობაში. ამ ხეობის შუაგულში მწვერვალია და იგი მის წვერზეა. მას აქვს რაბადი. მე ვნახე იგი“[173]. ამ შემთხვევაში რაბადი უშუალოდ ციხესთან არის დამკვიდრებული.

ერთი საგულისხმო „ნიმუშიც“ რაბადის არსის შესასწავლად: „მარდინი... ცნობილი ციხე (ა ლ'ა) ჯაზირაში მთის წვერზე. ქვეყნად არ არის ციხე მასზე დიდი... ციხე-ბატონობს დუნაისარზე, დარაზე და ნისიბინზე. მის წინ არის დიდი რაბადი, რომელშიც არის ბაზრები, ფუნდუკები და მედრესეები. სახლები აქ განლაგებული არიან კიბის მსგავსად — ერთი მეორეზე და ყოველი ქუჩა მდებარეობს ერთი მეორის ზემოთ. სასმელ წყალს იღებენ მრავალრიცხოვან წყლის საცავებიდან (ს ა ჰ ვ რ ნ ჯ), რომლებიც სახლებში აქვთ მოთავსებული. მათ ძალზე ცოტა წყაროები აქვთ“[174].

იმავე ავტორთან გვხვდება ქალაქის მოკლე, თუმცა მრავლისმეტყველი, აღწერა: „ქიში . . . გამაგრებული ქალაქი (მ ა დ ი ნ ა) სამარყანდთან; აქვს ყ უ ჰ ე ნ დ ი ზ ი და რაბადი. მისი გარშემოწერილობა სამი ფარსახია. მისი შენობები ძალიან ლამაზია. იქ არის გამდინარე წყალი და ბაღები“[175].

ორი უკანასკნელი პუნქტის ტოპოგრაფიული შედგენილობა ძალიან წააგავს ერთმანეთს. საყურადღებო განსხვავება ის არის, რომ ბაქუი პირველს რაბადს უწოდებს, მეორეს — ქალაქს. მის დროს (XIV ს. მეორე ნახევარი — XV ს. დასაწყისი) კი მარდინი უკვე კარგა ხნის ქალაქი

---

[172] კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო რ ფ ი რ ო გ ე ნ ე ტ ი, „გეორგიკა“, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 278—279. საგულისხმოა ს. ყაუხჩიშვილის სიტყვები: „სიტყვა *χωρόπολις* დადასტურებულია მხოლოდ ამ ადგილას სხვაგან მთელ ბიზანტიურ მწერლობაში არსად არ გვხვდება“. შდრ. ლ. ჭ ი ლ ა შ კ ი ლ ი, ქალაქები, II, გვ. 108.

[173] ბ ა კ უ თ ი, გვ. 88—89.

[174] ბ ა ქ უ ვ ი, გვ. 79—80 (100).

[175] იქვე, გვ. 97 (56).

იყო. აშკარაა, რომ ცნობა მას წინამორბედ ავტორთან აქვს დასესხებული.

დამოწმებული მასალიდან ნათლად ირკვევა ქალაქის განვითარების გზა: დედაციხე — ქალაქი — გარეუბანი (ყ უ ჰ ე ნ დ ი ზ ი — შ ა ჰ რ ი ს თ ა ნ ი — რ ა ბ ა დ ი).

ის, რომ მემატიანე რომელიმე ქალაქთან არ აღნიშნავს რაბადს, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ ქალაქთან რაბადის არარსებობას. როდესაც წყარო ხაზგასმით აღნიშნავს ქალაქს გარეთ რაიმე შენობები არ არისო[176], ამ შემთხვევაში, საკითხი გარკვეულია. მაგრამ, როდესაც, მაგალითად. ჰ ო დ უ დ ალ-ა ლ ე მ ი ამიერკავკასიის ქალაქების აღწერის დროს არც ერთ მათგანთან არ ასახელებს რაბადს (ასახელებს სავადს — „სანახები, შემოგარენი"), ხოლო, როდესაც დაახლოებით იმავე ხანებში შექმნილი თხზულება — ასახელებს, ეს უკვე წყაროს ნაკლია და არა ამიერკავკასიის ქალაქების განუვითარებლობა.

არაბ გეოგრაფებთაგან მხოლოდ მუკადასი ეძახვილებს ამ საკითხზე ყურადღებას და ამით ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მისი „გეოგრაფია სრულიად ორიგინალურია და ნაკლებად არის დამოკიდებული წინამორბედთა თხზულებებზე"[177]. მუკადასის თანახმად, რაბადიანი ქალაქებია არდებილი, დვინი, მარანდი, მარაღა, ყანდარია[178]. მათ შორის დვინი ძველრაბადიანიაო აღნიშნავს[179] (იხ. ზევით). ცხადია, ეს სიაც არასრულია. თუ ნაკლებად ცნობილ ყანდარიას ჰქონდა რაბადი, მით უმეტეს ექნებოდა იგი ამიერკავკასიის მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს. ასე, ბარდავში ბაზრები გარეუბანში იყო[180].

რაბადის არსებობას ადრეშუასაუკუნეების დარუბანდში უარყოფს ა. კუდრიავცევი, რომელიც უკანასკნელ წლებში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს ქალაქში. ასეთი დასკვნის საფუძველს მისთვის წარმოადგენს გალავნით შემოზღუდული ქალაქის ფართობის (150 ჰექტარი) სიდიდე, რომელსაც თავისუფლად შეეძლო დაეტიაო დარუბანდის მზარდი მოსახლეობა. ეს აზრი გატარებულია ნაშრომის ორიეე გამოცემაში[181].

ჩვენ არ ვიცით X—XIII საუკუნეებში მთლიანად იყო თუ არა დასახლებული აღნიშნული ტერიტორია. ოლეარიუსის წიგნში მოთავსებულ ნახატზეც იგი აუთვისებელი ჩანს; თ ა რ ი ხ ა ლ-ბ ა ბ ი კი გად-

---

176 ნ ა ს ი რ-ი ხ ო ს რ ო უ, გვ. 18, 96.

177 A. M. Б е л с н и ц к и й და სხვანი, Средневековый город, с. 137.

178 მ უ კ ა დ ა ს ი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 9—11, BGA, ტ. III, გვ. 377. მასთან ქალაქს მოკიდებული მდამოს, მხარის აღსანიშნავად გეხვდება ავრეთვე 'ატრაფ.

179 იქვე, გვ. 377.

180 ი ს ტ ა ხ რ ი, СМОМПК, ტ. 29, გვ. 9.

181 A. К у д р я в ц е в, Город, с. 130; მისივე, Древний Дербент, с. 120.

მოგვცემს: „456 წლის შ'ბ ა ნ ს (1064 წლის ივლისი) რაისებმა გაგზავნეს თავიანთი მონა-მსახურები (ღ უ ლ ა მ), რომლებმაც გაიტაცეს დარუბანდის ხალხის (ა ჰ ლ) საქონელი (მ ა ვ ᾶ შ ᾶ)[182] და დროგამოშვებით თავს ესხმოდნენ ქალაქის რაბადს"[183].

ჩვენი აზრით, ეს ამბავი დარუბანდის გალავანს შიგნით მცხოვრებ მოსახლეობას არ უნდა ეხებოდეს. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს ფეოდალური ქალაქის დამახასიათებელი სურათი — ქალაქი (შ ა ჰ რ ი ს თ ა ნ ი) ჩაგრავს და აწიოკებს რაბადს, დარუბანდის გალავანსგარეთ აღმოცენებულ დასახლებას. ასეთი ვითარებაც აპირობებდა X—XI სს. დარუბანდის იმ რთულ საქალაქო ცხოვრებას და აშკარა, მწვავე სამოქალაქო ბრძოლას, თ ა რ ი ხ ა ლ-ბ ა ბ ი რომ მოგვითხრობს.

რაბადის წარმოქმნა-განვითარება ასახავს ფეოდალური საზოგადოების წიაღში მიმდინარე ცვლილებებს, მისი განვითარების ერთ-ერთ გზას. აქ „გადმოღვრება" შიდაქალაქის (შ ა ჰ რ ი ს თ ა ნ ი ს) გალავნიდან, პირველ რიგში, „ჭარბი" მწარმოებელი მოსახლეობა. აქვე იყრის თავს სოფლიდან დაძრული დეკლასირებული ფენები თუ საშოვარზე გასული მუშახელი, სოფლის მეურნეობას გამოყოფილი თავისუფალი თუ ფეოდალური ექსპლოატაციის უღელს გაქცეული ხელოსანი. ქალაქის გარეუბნის (რაბადის) „გაქალაქება" იწვევდა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური წყობის ცვლას, მის წიაღში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩასახვა-განვითარებას. ადვილი შესამჩნევია ამ პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

*
* *

შიდაქალაქის (შ ა ჰ რ ი ს თ ა ნ ი ს) გარეუბანში (რაბადში) საქალაქო ცხოვრების გადანაცვლება-განვითარებას, საქალაქო მეურნეობის გაცხოველებას მოწმობს აქ სხვადასხვა დანიშნულების შენობათა აგება და მათი რიცხვის ზრდა. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია საკულტო შენობანი. თავისთავად ასეთი დანიშნულების ნაგებობათა ქალაქგარეთ აგება ახალი მოვლენა არ იყო და მას ამიერკავკასიაშიც ღრმა ფესვები ჰქონდა[184].

---

[182] შდრ. მწყემსები მცხეთის რაბადიდან (იხ. ზემოთ, გვ. 40-41).

[183] თარიხ ალ-ბაბ, § 40, გვ. 74. შევნიშნავთ, რომ დედანში „რაბადი" მხოლობით რიცხვშია, ისევე, როგორც წყაროს ინგლისურ თარგმანში („Suburb") — V. Minorsky, A history of Sharvān and Darband in 10th—11th centuries. Cambridge, (1958), p. 51; რუს. თარგმანში კი — მრავლობითში: «предместья».

[184] К. В. Тревер, Очерки по истории культуры древней Армении (II в. до н. э. — IV в. н. э.), М.-Л., 1953, с. 111—112.

„ბარდავი მთავარი ქალაქია (კ ა ს ა ბ ა), დიდი, ოთხკუთხა (მ უ რ ა ბ ბ ა'ა) მდებარეობს დაბლობზე, მას აქვს დიდი ციხე (ჰ ი ს ნ), მისი ბაზრები (ა ს ვ ა კ) გადახურულია, ბაზრის უკან საკრებულო მეჩეთია...“[185]. ისტახრის ცნობით, ბარდავის საკრებულო მეჩეთი მმართველის სასახლის გვერდით არის ქალაქში, ხოლო ბაზრები — გარეუბანში[186]. ამ ორი ცნობის ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ საკრებულო მეჩეთი იდგა ქალაქშიც და გარეუბანშიც.

მუკადასი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის. იმ ქალაქებს შორის, რომლებშიც მეჩეთია მოხსენიებული — ასეთი სულ თექვსმეტია — მხოლოდ ოთხში (დვინი, თავრიზი, ნავარინი, ყანდარია) არ არის დასახელებული მეჩეთი ბაზართან ან მის სიახლოვეს, დანარჩენ ქალაქებში საკრებულო მეჩეთი მდებარეობს ბაზრის მოედანზე, მის უკან ან გვერდით. ვარსანში, მაგალითად, „ბაზრის უკან მდინარეა და საკრებულო მეჩეთი“; ურმიაში კი — „აბრეშუმით მოვაჭრეთა, ბაზაზების, (რიგების) შორის“; ყაბალაში, „გამაგრებულ ქალაქში“, საკრებულო მეჩეთი „მოშორებით, მთაზე“ იდგა[187]. დარუბანდში — ბაზრების შუაში (ვ ა ს ტ ა-ლ-ა ს ვ ა კ)[188]. ერთ-ერთი შფოთის დროს კი დარუბანდის საკრებულო მეჩეთი აჯანყებულთა თავშეყრის ადგილად იქცა[189].

ქალაქის გალავანსგარეთ საკულტო ნაგებობათა მშენებლობა განსაკუთრებით ახალი სარწმუნოების გავრცელება-დამკვიდრების პირველ ხანებში მიმდინარეობს. ამავე მიზეზით, ვფიქრობთ, ვერ აიხსნება მოგვიანებით საკულტო ნაგებობის ქალაქიდან გარეუბანში „გასვლა“. ამ პროცესს შ ა ჰ რ ი ს თ ა ნ ი ს (შიდა ქალაქის) ზრდა, მისი გარეუბნების „გაქალაქება“ და აქ იდეოლოგიური დასაყრდენის. იდეოლოგიური პროპაგანდის მოთხოვნილებაც იწვევდა.

მცხეთაში „წარემართა მეფე და ყოველი ქალაქი მტკიცედ ქრისტიანობასა. იწყეს ხუროთა შენებად ეკლესიისა გარეგნივ ზღუდესა, მაყუალთა მათ ზედა, საყოფელსა წმიდისა ნინოსსა, სადა აწ არს ეკლესია საეპისკოპოსო“[190]. მუჰამედმაც თავისი პირველი მეჩეთი ხომ ქ. მადინას გარეთ ააგო.

საგულისხმოა ჯუანშერის ცნობა: და რქუა მეფემან (ვახტანგ გორგასალმა კათალიკოსს. — პ. თ.): „დადეგ ეკლესიასა შინა რაუდენ წმი-

---

185 მ უ კ ა დ ა ს ი, BGA, ტ. III, გვ. 375; СМОМПК, т. 38, с. 7.

186 ი ს ტ ა ხ რ ი, СМОМПК, ტ. 29, გვ. 9.

187 მ უ კ ა დ ა ს ი, BGA, ტ. III, გვ. 375—377, СМОМПК, ტ. 38, გვ. 7—10.

188 იქვე, BGA, ტ. III, გვ. 377. შდრ. В. В. Б а р т о л ь д, Дербент, გვ. 423: «...В середине базарных площадей». ნ. კარაულოვი СМОМПК-ის დამოწმებულ გვერდებზე ს უ კ-ს თარგმნის როგორც «рынок» და «площадь».

189 თარიხ ალ-ბაბ, გვ. 68.

190 ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, გვ. 118.

დისასა, რომელი რაბატსა შინა უჯარმოსასა აღმიშენებიეს"[191] (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

997 წ. ზამთარში დავით კურაპალატის ლაშქარმა „თავლად და სადგომად აქცია ხლათის გალავანს გარეთ მდებარე სომხური ეკლესია და არქიელის სასახლე — ადგილები, საითაც კეთილდღეობის ეამს სომხები სალოცავად მიეშურებოდნენ"[192].

XIII საუკუნეშიც დმანისის ამირას „ჯუარი აღუმართავს არა დმანისის სიონში, არამედ მის გარეუბანში, ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრზე, მცირე ეკლესიაში"[193].

ანისში, ახალი ქალაქის კედლებს გარეთ, არქეოლოგიურად დადასტურებულია ორი ეკვდერი (სულხან-საბა: „მცირე სამწირავალო"), და სამი პატარა ეკლესია; მათ შორის — ეგრეთ წოდებული „გამოქვაბულების ანისის" ეკლესიები, რომლებიც, „სავარაუდოა, გამოქვაბულების მოსახლეობას ემსახურებოდნენ"[194]. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს გამოქვაბულები მდიდარ ანელთა (მათ შორის ტიგრან ჰონენცის) სამარხებადაც არიან გამოყენებული[195]. ყველაფერი ეს, ვიმეორებთ, აშოტისა და სუმბატის კედლებს შორის მოთავსებულ ახალი ანისის გალავანსგარეთ მდებარეობდა.

საერთოდ ანისი, არსებული ცნობების თანახმად, ეკლესიების სიმრავლით გამოირჩეოდა. „დიდ ქალაქ" ანისში... „მოდღესამდე არს ათას და ერთი ეკლესია"[196]. ზუსტად ამავე რაოდენობას აღნიშნავს მათეოს ურჰაეციც. თვითმხილველნიც ანისში ათას ეკლესიას ასახელებენ, ხოლო იბნ ალ-ასირი — ხუთასს[197].

1255 წ. თებერვალში ანისში მყოფი რუბრუკვისი წერდა, რომ მდებარეობით ძლიერ გამაგრებულ ქალაქში ათასი სომხური ეკლესია არისო; ხოლო ნახევანში „ადრე 800 ეკლესია იყო, ახლა კი მხოლოდ ორი პატარა ეკლესიაა, დანარჩენი დაანგრიეს სარაცინებმა"[198].

აღნიშნული რიცხვები შეიძლება გაზვიადებულად მივიჩნიოთ, მაგრამ ანისის გათხრებმა გამოავლინეს დედაციხეში ოთხი ეკლესია, ძველ ქალაქში — ხუთი, ახალში — ოცდაოთხი[199].

---

[191] ჯუანშერი, გვ. 201, იხ. ყ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქების ისტორიიდან (არტანუჯი და უჯარმა), სიამ, I, გვ. 16.

[192] ასღიკი, გვ. 192—193.

[193] ვ. ჯაფარიძე, შუა საუკუნეების ერთი ისტორიულ არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში (საყდრისქედის ეკლესია), ფსაძ, II, გვ. 161.

[194] И. Орбели, Кр. путеводитель, с. 36—37 და 1.

[195] იქვე, გვ. 36—38.

[196] ისტორიანი და აზმანი, გვ. 36—38.

[197] იხ. ჰუსაინი, მთარგმნელის შენიშვნა 4, გვ. 190—191.

[198] რუბრუკვისი. გვ. 191, 188.

[199] И. Орбели, დასახ. ნაშრ., გვ. I—III.

რაზე მიგვანიშნებს ყველა ეს ცნობა? პირველ რიგში, ანისის სასულიერო წოდების ეკონომიკურ მორჩმულობაზე და შემდეგ — მის პოლიტიკურ გავლენაზე, რამაც მკვეთრად იჩინა კიდეც თავი ქალაქის ცხოვრებაში.

ამიერკავკასიის ქალაქებში საკულტო ნაგებობათა შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ აშოტის კედლების ყოველ კოშკში მოწყობილი ყოფილა პატარა ეკლესია. სომეხი მემატიანეს ეს ცნობა[200] დადასტურდა გათხრების დროს[201].

მსგავსი ვითარება გვაქვს დარუბანდშიც. ამ ქალაქის გალავნის მრავალრიცხოვან ბურჯებში მოთავსებული იყო მეჩეთები და საგუშაგოები[202]. ღარნატი უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს: დარუბანდს „აქვს მრავალი კოშკი, ყოველ კოშკში მეჩეთია და სახლები მეომრებისთვის და ზემოთა სათავსოები[203]. ურწმუნოთა ქვეყნისკენ (აღმართულ) კედელზე არიან გუშაგები ზანზალაკებით... ამ კოშკებზე დღე და ღამე არიან გუშაგები, რომლებიც ხშირად იცვლებიან“[204]. სხვა ცნობა კიდევ უფრო აზუსტებს ბურჯებში მოთავსებულ მეჩეთების დანიშნულებას: ქალაქს მრავალი ბურჯი აქვს. თითოეულ ბურჯში არის მეჩეთი ღვთის მეტყველების შემსწავლელთათვის და თეოლოგებისათვის. კედელზე არიან გუშაგები, რომლებიც იცავენ მტრისგან ნაგებობას“[205].

დვინის საკრებულო მეჩეთს ციხე-სიმაგრის დანიშნულებაც ჰქონდა: „ამჟამად[206] მცხოვრებლებმა ააგეს ქალაქის ცენტრში საკრებულო მეჩეთი, შემოავლეს მას აგურის კედელი; მეჩეთის ირგვლივ თხრილია და წყარო. მასში ისინი აფარებენ თავს კურჯების[207] ლაშქრის მოულოდნელი თავდასხმის დროს“[208].

---

200 ვარდანი, გვ. 114.

201 И. Орбели, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

202 მუკადასი, BGA; III, გვ. 376. ვ. ბარტოლდი (Сочин. ტ. III, გვ. 422) თარგმნს: «...стены были снабжены башнями, в которых были устроены мечети и сторожевые посты (масаджид ва хуррас)». ნ. კარაულოვი (СМОМПК, ტ. 38, გვ. 9): «...а на стене башни, в городе мечети; охраняют его часовые».

203 რუსულ თარგმანში: (იხ. ქვემოთ, შ. 204): «...верхние помещения».

204 ღარნატი (რუს. თარგმ.) [Путешествие Абу Хамида ал-Гарнати в Восточную и Центральную Европу (1131—1115 гг.). Публ. О. Г. Большакова и А. Л. Монгайта, М., 1971], გვ. 24.

205 ზაქარია ალ-ყაზვინი, გვ. 18.

206 ავტორი 977—978 წწ. წერდა.

207 მთარგმნელი შენიშვნაში (შ. 22, გვ. 120) წერს: «Курдж или куридж, по-видимому искаженное грузины». ტექსტში კი არის (შეცდომით?) «...курдами». ამიერკავკასიაში ქურთები X საუკუნეში მნიშვნელოვან ძალს წარმოადგენდნენ. ამ საუკუნის შუა წლებში ქურთი შადადიანები დვინსაც ფლობდნენ. ასე რომ, აღნიშნულ პასაჟში „ქურთები“ უფრო გამართლებულია.

208 იბნ ჰაუკალი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 85.

ამიერკავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა, ეთნიკური, პოლიტიკური და რელიგიური ვითარება ქალაქის გარეგან სახეში იმით იჩენდა თავს, რომ აქაურ ქალაქებში ერთმანეთის გვერდით არსებობდნენ სხვადასხვა სარწმუნოების საკულტო ნაგებობანი.

რუბრუკვისი დამოწმებულ ცნობაში ათას სომხურ ეკლესიას ორ „სარაკინთა სინაგოგასაც“ უმატებს[209]. მანუჩეს მეჩეთი ანისის საუკეთესო ნაგებობათაგანი იყო. მისი ქვედა ნაწილი აგებულია X ს. დასასრულს. როგორც აღნიშნავენ. ეს შენობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული აშოტის კედლებთან და მის ქვემოთ მდებარე, ახურიანზე გადებულ ხიდთან და საბაჟო ან საგუშაგო უნდა ყოფილიყო; XII საუკუნეში ძველი კოშკის ადგილზე რვაწახნაგოვანი მინარეთი ააშენეს და მთელი შენობა მეჩეთად გადააკეთეს. მასზე იყო წარწერები არაბულ, სპარსულ, სომხურ და ქართულ ენებზე. XX ს. დასაწყისში მეჩეთი ჯერ კიდევ არსებობდა[210].

XI ს. მეორე ნახევრიდან ანისში დროგამოშვებით ძალაუფლება მუსლიმან შადადიანთა ხელში იყო[211]. სწორედ მათი მფლობელობის დროს იწყება ქალაქში ისლამის საკულტო ნაგებობათა მშენებლობა, ხდება ქრისტიანული ტაძრის მუსლიმანურად გადაკეთება[212]. ანისში ცნობილი იყო მეორე, აბუ-ლ-მა'ძრანის მეჩეთიც, რომლის 90 საფეხურის ავლით გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიძლებოდა ასვლა შენობის წვერზე მოთავსებულ ოთახში. მასაც სპარსული და სომხური წარწერები ამკობდა[213].

ანისში დადასტურებულია ქართული ორსართულიანი ეკლესიაც. მის გარეთა კედელზე მოთავსებულ წარწერათაგან ერთ-ერთი, 1218 წ. დათარიღებული, ყურადღებას იპყრობს იმით, რომ მას სომხურ ენაზე ამტკიცებენ ანისის არქიეპისკოპოსი და ქალაქის ამირა. თვით წარწერა წარმოადგენს ანისში ქართული ეკლესიების საკურთხევლად ჩასული საქართველოს კათალიკოსის ეპიფანეს მიმართვას ანისის ქართველი მოსახლეობისადმი[214].

ანისის საქალაქო ცხოვრების შინაარსის გასათვალისწინებლად ასევე საყურადღებოა „ნახევრადქართული, ნახევრადსომხური, საერთოდ ქალკედონურ-მართლმადიდებლური, გრიგოლ განმანათლებლის ეკლესია“, ტიგრან ჰონენცის აგებული 1215 წ.[215].

---

[209] რ უ ბ რ უ კ ვ ი ს ი, გვ. 191.
[210] И. Орбели, Кр. путеводитель, с. 5—7; Н. Марр, Ани, с. 78.
[211] იხ. ბ. თ ო ფ უ რ ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის... გვ. 91—107.
[212] Н. Марр, Ани, с. 32.
[213] И. Орбели, დასახ. ნაშრ., გვ. 23.
[214] Н. Марр, Ани, с. 85.
[215] იქვე.

დვინში კი, როგორც აღვნიშნეთ, საკრებულო მეჩეთი ეკლესიის გვერდით იდგა[216].

ეთნიკურ-სარწმუნოებრივი სიჭრელე ქალაქში ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა უცხო პოლიტიკური ძალის დამკვიდრებისა და გაძლიერებისათვის. გამარჯვების შემთხვევაში ეს ძალა, რაღა თქმა უნდა, თავის პოლიტიკას ატარებდა.

არაბთა ხანგრძლივმა ბატონობამ თბილისში ხელსაყრელი პირობები შექმნა ასეთი პროცესების განვითარებისათვის; არც შემდგომ ისტორიას გამოუცლია მათთვის ნიადაგი.

თბილისში „არის ქრისტიანული ეკლესია. იგი მათთვის იგივეა, რაც ქაბა მუსლიმთათვის. სულთანმა (ალფ არსლანმა) დაიპყრო ეს ქალაქი და ააგო იქ საკრებულო მეჩეთი“[217]. ქართველთა მთავარ ქალაქს არც მანამდე აკლდა და არც შემდგომ დაჰკლებია ამ სახის ნაგებობანი. წყაროები აქ მეჩეთს მრავლობით რიცხვში ასახელებენ[218].

ალფ არსლანი ქრისტიანობის საწინააღმდეგო პოლიტიკას სხვაგანაც ატარებდა.

ქრისტიანული ეკლესია ამ დროს ჯერ კიდევ ინარჩუნებს პოზიციებს აღმოსავლეთ, „მუსლიმანურ“ ამიერკავკასიაში. მარაღში IX ს. პირველ ნახევარში მოქმედებდა იაკობინელთა ეკლესია, ხოლო XIII ს. 60-იან წლებში — ნესტორიანული მონასტერი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, XII—XIII სს. მიჯნაზე იყო აშენებული[219].

XIII ს. თავრიზში მოქმედებდა იაკობინელთა ეკლესია და მოღვაწეობდა თავრიზის ეპისკოპოსი († 1277 წ.)[220], ეს უკვე სხვა დროის ვითარებაა, მაგრამ მისი ფესვები წინარე ხანაში უნდა ვეძებოთ.

გარდა აღნიშნულისა, ამიერკავკასიის ქალაქების და მათი შემოგარენის გარეგან სახეს ქმნიდნენ რელიგიური დანიშნულების სხვა შენობები და დაწესებულებანი (მონასტერი, ხანაგა, მედრესე, მინბარი, მავზოლეუმი, სასაფლაო). ისინი თავიანთ მკვეთრ დაღს ასვამდნენ საქალაქო ცხოვრებას.

თხზულებებში შემონახულია ცნობები ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრების შესახებაც. მარაღასა და ზენჯანს შორის მდებარე შიზში არის „ცეცხლის სახლი“ (ბ ა ბ ა თ ნ ა რ) თავისი მომსახურე პერსონა-

---

[216] ი ს ტ ა ხ რ ი, СМОМПК, ტ. 29, გვ. 9; მ უ კ ა დ ა ს ი BGA, ტ. III, გვ. 377, СМОМПК, ტ. 38, გვ. 10.

[217] ჰ უ ს ა ი ნ ი, გვ. 55.

[218] ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, იქვე, გვ. 87; ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

[219] ბ ა რ-ჰ ებ რ ა ი (Р. Гусейнов, Сирийские источники XII — XIII вв. об Азербайджане, Баку, 1960), გვ. 87.

[220] იქვე, გვ. 88.

ლით (ალ-მ ა ჯ უ ს). მისგან „მაჯუსების ცეცხლი ინთება აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“. ირკვევა, რომ ეს ცეცხლი 700 წელიწადს ყოფილა ანთებული — ესე იგი, ტაძარი მოქმედებდა[221]. მარაღასაგან ექვსი ფარსახით დაშორებულ პატარა ქალაქ ქაზნაში „არის მაჯუსების თაყვანისცემის ადგილი (მ ა'ბ ა დ უ-ლ-მ ა ჯ უ ს)“ და „ცეცხლის სახლი (ბ ა ჲ თ ნ ა რ)... ააშენა იგი ქაჲხუსრუ მეფემ“[222].

ბაქოს მიდამოებში წყაროებში მოხსენიებული ცეცხლის რაიმე კავშირს ზოროასტრიულ რელიგიასთან და აქ ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრის არსებობის ვარაუდს, როგორც უსაფუძვლოს, გამორიცხავდა ვ. ბარტოლდი[223], ს. აშურბეილი კი პირიქით — სარწმუნოდ თვლის[224]; ხოლო სურახანაში 1810 წ. აგებულ ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარს (ა თ ე შ გ ა ჰ) და მონასტერს (ა თ ე შ ქ ე დ ე)[225] ძველად აქვე არსებულ ასეთივე ტაძრის ადგილზე აგებულად მიიჩნევს[226]. აღსანიშნავია, რომ, ვ. სისოევის თანახმად, XVII ს. მოგზაურები არ მოიხსენიებენ კომპლექსს. მხოლოდ ჰანვეიმ ინახულა 1746 წ. და აღწერა იგი[227].

*
* *

თუ კულტი და მისი ნაგებობანი იდეოლოგიის დასაყრდენს წარმოადგენდა, ქალაქში ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელების ერთ-ერთ საშუალებას ბაზარი წარმოადგენდა. ხოლო, თუ რა წილი მიუძღოდა მას ამ ურთიერთობაში, ამას უკვე ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე განსაზღვრავდა; ამავე დროს, ბაზარი იყო აღმოსავლური ქალაქის უაღრესად კოლორიტული და საკუთარი ცხოვრების მქონე ნაწილი.

ბაზარი მხოლოდ საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ადგილს არ წარმოადგენდა. ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცების, სხვადასხვა კუთხეების ურთიერთთან მჭიდროდ დაკავში-

---

221 ზ ა ქ ა რ ი ა ალ-ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 32. ამ ქალაქში ცეცხლის ტაძარს ასახელებენ იბნ ხორდადბეჰი (СМОМПК, ტ. 32, გვ. 7) და აკლიბ ალ-დუნია, გვ. 207; ქართ. თარგმ., გვ. 32.

222 ბ ა ყ უ თ ი, გვ. 80.

223 В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира. Сочин., т. II, ч. I, М., 1963, с. 671.

224 С. Ашурбейли, Очерк, с. 45.

225 В. М. Сысоев, Кр. путеводитель, с. 16—19; იქვეა ამ კომპლექსის აღწერა. არის თითქოს ასეული მასალაც: ვარაუდობენ, რომ შაბარანში აღმოჩენილი ოთხი ქვისა და გამომწვარი აგურისაგან ნაშენი დიდი ნაგებობა XVI ს. ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრის ნაშთი უნდა იყოს. — АО—1981, გვ. 419.

226 С. Ашурбейли, Очерк, с. 45.

227 В. М. Сысоев, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

რების, საერთაშორისო კულტურული მონაპოვარის გაცვლა-ათვისების, და ბოლოს, ამა თუ იმ ხალხის ერად ჩამოყალიბების თვალსაზრისით შუა საუკუნეებში ბაზარს, და განსაკუთრებით ბაზრობებს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

„ბაზარი"-ს ეტიმოლოგიას ამჟამად გამოწვლილვით არ განვიხილავთ[228]. თუ ის, მართლაც, „საქმე კარებთან"-ს აღნიშნავს[229], ეს უკვე თავისთავად მიგვანიშნებს მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა საცხოვრებელი ციხესიმაგრის თუ სხვა შენობა-დაწესებულებების გალავანთან ან მის სიახლოვეს სავაჭრო-სახელოსნო საქმიანობის, ურთიერთობის დასახლების — მომავალი რაბადის — ჩასახვა-განვითარებაზე ჯერ კიდევ უძველეს დროში[230].

ამიერკავკასიის ქალაქებშიც ბაზრის შესწავლა საგულისხმო დასკვნებს გვაძლევს. ყურადღებას იპყრობს ის, რომ ბაზარი და მეჩეთი თითქმის განუყრელი წყვილია, ასეა ქალაქთა აღწერილობის ჩვენთვის ცნობილ უმრავლეს შემთხვევაში (იხ. ზემოთ, მეჩეთთან დაკავშირებით).

არაბ ავტორთა ინტერესს იწვევდა ბარდავის რაბადში მდებარე ბაზარი[231]. ვარსანში არსებობდა საგანგებო უბანი ბაზრებისათვის[232].

მოგვეპოვება რამდენიმე ცნობა ბაზრის აღნაგობის შესახებ. ბაზარი რომ გარკვეულ ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდა, ჩანს შემდეგი ცნობიდანაც: „უჯანი... პატარა ქალაქი აზერბაიჯანში... მას აქვს კედელი. არის იქ ბაზარი (სუკ), მხოლოდ (ამჟამად) მეტწილად დანგრეულია"[233]. სახელდობრ, თუ როგორი გარეგნული სახე ჰქონდა ბაზარს ამიერკავკასიის ზოგიერთ ქალაქში, შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ცნობებით: დვინის და არდებილის ბაზრები ჯვარედინი ფორმის იყო[234], ხოლო ბარდავის — გადახურული[235]. გარდა ამისა, ბაზრები

---

228 იხ. ვ. გაბაშვილი, ბაზარი შუა საუკუნეების საქართველოში, სიამ, I, გვ. 22—28; მ. ნედოსპასოვა, უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში, თბ., 1978, გვ. 41; Ф. И. Тер-Мартиросов, Фляги как торговая тара, «Эйрене», II, с. 414; ნ. ადონცის აზრი.

229 Н. Я. Марр, Надпись Русы II из Маку, ЗВОРАО, т. 25, вып. 1—4, с. 13.

230 შდრ. В. В. Бартольд, Персидская шу'убия и современная наука, Сочин., т. VII, с. 363: «В сасанидских городах базарная площадь большей частью находилась за пределами городских стен».

231 იბნ ჰაუკალი, იქვე, გვ. 87.

232 იქვე, გვ. 101.

233 ჯაკუთი, გვ. 3.

234 მუკადასი, BGA, ტ. III, გვ. 377.

235 იქვე, გვ. 375.

იყო თავრიზში — „უზარმაზარი“, სერატში — „ლამაზი“, არზანში — „კარგი“, უშნუში — „გაცხოველებული“.

ბარდავში ბევრი ბაზარიაო, აღნიშნავენ წყაროები და საგანგებოდ აღწერენ ერთ მათგანს, „ქურთების კართან“ მდებარე „ალ-ქურქის“ საკვირაო ბაზარს (ს უ კ). „მისი ფართობი არის ფარსახი ფარსახზე“, ხოლო საკუთრივ ბარდავის — „ფარსახზე მეტია სიგრძე-სიგანეში“[236]. ვირწმუნოთ, რომ ეს ბაზარი თითქმის ქალაქს უტოლდებოდა სიდიდით? როგორი აღნაგობისა იყო იგი, სავაჭრო ნაგებობებით გამართული თუ ბაზრობისათვის მიჩნეულ „ტრიალ მინდორს“ წარმოადგენდა, რომელიც ბაზრობის, ამ შემთხვევაში, კვირა დღეს გამოცოცხლდებოდა? როგორც ჩანს, ბარდავის საკვირაო ბაზარი (ბაზრობა) ორივე ამ მნიშვნელობას აერთიანებდა; თავისთავად ტერმინიც (ს უ კ) ხომ ასეთ შინაარსს მოიცავს[237].

ასეთი ბაზრობის არსებობა საყურადღებო ფაქტია X საუკუნის ბარდავის სიდიდისა და აქ მიმდინარე სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მოცულობის გასათვალისწინებლად.

ისტახრისთან დამოწმებულ (იაკუთიც იმეორებს) ბარდავის ბაზრობის სახელწოდების ახსნაში (კვირა დღე მსგეფსში) აშკარად გამოსჭვივის ქრისტიანულ სამყაროსთან კავშირი[238]. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ თიანეთთან, ნაქალაქარ არტანის მიდამოებში არსებულ ადგილსაც „კვირაობა“ ეწოდება[239].

ზემოთ ნახსენები იყო დარუბანდის „შუა კედელი“. იგი ამჯერადაც იპყრობს ყურადღებას შემდეგ კონტექსტში: 1072 წ. თურქმა სარდალმა „დაანგრია შუა (განივი) კედელი დარუბანდის ხალხის ბაზართან“[240]. აღსანიშნავია, რომ ვ. მინორსკის ეეჭვება ტექსტის ასეთი გაგება[241]. აქ უპრიანია გავიხსენოთ, რომ დარუბანდის საკრებულო მეჩეთიც ხომ ქალაქის „ბაზრების მოედნების შუაში“ იდგა. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ეს კედელი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული „სოციალური დატვირთვა“ ჰქონდა, ქალაქის სწორედ ამ რაიონში, ბაზრებსა და ციტადელს შორის ყოფილიყო აგებული ქალაქის „ბრბოსაგან“ თავდასაცავად.

სავაჭრო-სახელოსნო რიგები, სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულება-

---

236 ისტახრი, СМОМПК, ტ. 29, გვ. 8—9, იაკუთი, გვ. 31—32.

237 იხ. E. W. Lane, დასახ. ნაშრ., «سوق».

238 შდრ. D. M. Dunlop, Bardha'a, EI, ტ. I, გვ. 1041.

239 ლ. ჭილაშვილი, ქალაქები, I, გვ. 57—58.

240 თარიხ ალ-ბაბ, § 25, გვ. 62.

241 В. Ф. Минорский, История, გვ. 62, შ. 45: «...из него выходило бы, что стена... стояла около рыночной площади». შდრ. V. Minorsky, A history, გვ. 40, შ. 1: «... I am not sure that the wall... stood near the market place».

ნი აღმოსავლური ქალაქის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო. ისინი მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ბაზარს, მის განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ, სავაჭრო-საფინანსო ურთიერთობების მთავარ ადგილს წარმოადგენდნენ.

სავაჭრო-სახელოსნო სახლები თავიანთი განლაგებით ქმნიდნენ განსაკუთრებულ რიგებს, ქუჩებს, რომლებიც სახელს დარგობრივი წარმოების, ოპერაციების მიხედვით იძენდნენ.

ქართულში ქუჩის მნიშვნელობით „შუკა"-ც იხმარებოდა: „წარმოდგეს ბანსა ზედა და შუკათა შინა ისრის მსროლელნი და ქვის მსროლელნი"[242]. „შუკა"-ს არაბულ „სუკ"-თანაც აიგივებენ[243]. ვ. გაბაშვილის აზრით, „XI—XII სს. საქართველოში ბაზრის აღსანიშნავად იხმარებოდა სპარს. „ბაზარი" და არაბ. „შუკა"[244].

მნიშვნელობა აქვს გაირკვეს ქართული „შუკა" სავსებით გაემიჯნა „ფოლოცს" („ქუჩას"), თუ ამ უკანასკნელთა შინაარსსაც ინარჩუნებს.

სოციალური ტოპოგრაფიის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ანისში „მთავარ ქუჩაზე" (ბ უ ნ ფ ო ღ ო ც ი ნ) მდებარეობდნენ ქულბაგები (ქ ო ღ პ ა კ). გარდა ამისა, ისინი მდებარეობდნენ მეკედელთა და სარიჭის ქუჩებზე, ეასილის ბაზრის და გოგონცის ეკლესიის პირდაპირ, ტიგრანის კარიბჭესთან[245].

ქულბაგების განლაგება ანისში გვიჩვენებს, რომ ისინი მთელ ქალაქში არიან მოფენილი. არსებობს წინარე ხანის ცნობა, რომ მათ ქალაქის შუაში, ამაღლებულ ადგილზე, აშენებდნენ[246]. სომხური ეპიგრაფიკაც საკმაოდ ხშირად ასახელებს მათ სახლებთან (ტ უ ნ) ერთად. ასევე ხშირად ქულბაგებს სწირავენ ეკლესიებსა და მონასტრებს; IX საუკუნეში ერთ-ერთი თავადი თავის აშენებულ ტაძარს სწირავს ანისში მდებარე ხუთ ქულბაგს[247].

ირკვევა, რომ ქულბაგები მრავალგვარი დანიშნულებისა იყვნენ. სუმბატ მეორეს (977—990) ანისში აქვს ქულბაგი, რომელშიც „წლე-

---

[242] ისტორიანი და აზმანი, გვ. 59. «შუკი: შუკთა შინა („ქუჩებში")», ქ. ცხ., II (ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს) ლექსიკონი, გვ. 619.

[243] „ვეჟხისტყაოსანი", 478: „ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და ბანი"; 1460: „მოატყდეს მოქალაქენი, დაადგეს მუნ ბაზარია", და უშუალოდ ამას მოსდევს 1461$_1$: „შუკათა მოდგეს ვაჭარნი, ყოვლგნით მჭვრეტელთა ჯარია". ა. შ ა ნ ი ძ ე, იქვე, ლექსიკონში: „შუკა — სბაზრო მოედანი".

[244] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ბაზარი შუა საუკუნეების საქართველოში, სიპმ, I, გვ. 23.

[245] АНКА, გვ. 39, 53—54, 63, 85.

[246] ა ს ო ღ ი კ ი, გვ. 48.

[247] სტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ცნობა, იხ. Н. Марр, Ани, გვ. 127, შ. 116.

ბის განმავლობაში აწყობდნენ თივას და ნამჯას"[248]. ამ მრავალგვაროობას სხვა მასალაც ადასტურებს. „ხუარბლის ვაჭართა დაჰჴშნეს კარნი ქულბაგთა მათთანი და განაძნელეს იფქლი გლახაკთათჳს", „...იყო... ესე ქულბაგსა შინა მეღჳნისასა..."[249], როგორც ვხედავთ, პირველ ცნობაში ქულბაგი „თავისდა უნებურად" სოციალური ექსპლოატაციის იარაღად გვევლინება. მაგრამ ისიც ხომ წარმოების ერთ-ერთი იარაღია და, ამდენად, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობაში „თავის საქმეს აკეთებს".

ისიც ირკვევა, რომ ანისში მრავალი ქულბაგი და სავაჭრო სახლი იყო. ამ მხრივ იგი არ წარმოადგენდა გამონაკლისს: თინისში „ათი ათასი სავაჭრო სახლი (დ ო ქ ა ნ) იყო"[250]. ნახჩევანში კი სტეფანოს ორბელიანი „მხოლოდ" ოცდაათ დუქანს ასახელებს მთავარ ქუჩაზე[251].

როგორც ვნახეთ, ატენშიც ააგეს ქულბაგი და სახლი და ისინიც ეკლესიას შესწირეს[252]. ასეთი შესაწირავი ჩვეულებრივი ამბავია: „შესწირა მეფემან ჭურჭელი ოქროჲსა და ვერცხლისა და სოფელნი და ქულბაგნი და მეტოქე ქალაქსა შინა"[253]. საგულისხმოა „ნაქულბაქევიც" — „დედაქალაქის (მცხეთის) სამხრეთი კარიბჭე; ადგილი... შესაძლოა ძველადვე სავაჭრო უბანს წარმოადგენდა"[254].

ქალაქის რომელ ნაწილში მდებარეობდა ქულბაგი თუ სხვა სავაჭრო დაწესებულებანი, ამას, ცხადია, თავისი მნიშვნელობა აქვს. ახალქალაქის ქარვასლა „შიდაციხეზე უშუალოდ მიშენებული", «შიდა ციხის უკან, ზღუდის შიდა არეზე განლაგებულ ნაგებობათაგან აღნაგობითა და გარეგნული იერითაც გამოირჩევა (ტაბ. V, სურ. 1, 2)... გარდა ამისა, საქართველოში „ქარვასლების" არსებობა ციხე-ქალაქთა შიდა არეში დადასტურებულია იმავე ხანის (XI—XIII სს.) და გვიანფეოდალური საქართველოს სხვა ნაქალაქარებშიც (გრემი, დმანისი, ფარავნა, ზურტაკეტი და სხვა)»[255].

ეს ფაქტი ქალაქის ხელისუფლების, ქალაქის „პატრონის" ვაჭრობით, სავაჭრო ურთიერთობებით დაინტერესების და მის მიერ მათი მფარველობის მაჩვენებელია.

---

[248] ასოდიკი, გვ. 181—182.

[249] იხ. ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 453, „ქულბაგ-ი".

[250] ნასირ-ი ხოსროუ, გვ. 51.

[251] см. З. М. Буниятов, Государство, с. 56.

[252] თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

[253] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 101.

[254] ა. აფაქიძე, ქალაქები, გვ. 40.

[255] ე. ჯანდიერი, დასახ. ნაშრ., გვ. 60—61.

გამოქვაბულებში, ანისის გარეგან სახეს განსხვავებულ იერს რომ ანიჭებდნენ, სავაჭრო დუქნებიც იყო მოთავსებული[256].

ქარვასლა ქალაქის აუცილებელ და მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენდა. შემთხვევითი არ არის ის ყურადღება, შუა საუკუნეების ავტორი რომ იჩენდა მის მიმართ — იგი ხომ, არც თუ იშვიათად, თვითონ იყო ვაჭარი ან მოგზაური.

ქარვასლას, როგორც ვაჭრობასთან დაკავშირებულს, აგებდნენ არა მარტო ქალაქში, არამედ გზებზეც. „შეეედით მთის ძირას მდებარე ღია ეზოში. ასეთი ეზოები ან თავშესაფრები, ქარვასლებს რომ უწოდებენ, აგებულია სპარსეთში.... დიდი რაოდენობით დიდი გზების პირას აქაიქ, ერთი მეორისგან ერთი დღის სავალზე დაშორებული. უმრავლეს მათგანში ცარიელი თაღოვანი ნაგებობისა და თავლის გარდა არაფერია; ამიტომ სურსათ-სანოვაგე და საქონლის საკვები თან უნდა ატარო. ეს ქარვასლა (ავტორი ამ დროს შირვანში იმყოფება) ძალზე ძველი, დიდი კვადრატული ლოდებისგან, ოთხკუთხედად აგებული შენობაა, რომლის ყოველი გვერდი 42 ნაბიჯია. მაღლა, კარიბჭის თავზე ორი სენაკია...“[257].

მაგრამ სხვა ვითარებაც ირკვევა; კერძოდ, რამინმა „ყოველთა გზათა ზედა თვითო ფუნდუკი საქარავნო ააგო და სოფლები შესწირა მგზავრთა მადლისათუის“[258]. XVII საუკუნეშიც როსტომ მეფემ (1632—1658) — ზემოხსენებული ოლეარიუსი კი 1635—1639 წწ. მოგზაურობდა — „განჯის გზაზე... სოფელი და ქარვანსარაია ააშენა, რომ მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საჭმელი მზათ დახვდეს“[259]. ასეთივე კვალი ფუნდუკებით და ქარვასლებით კეთილმოწყობილი გზებისა აშკარად ჩანს ჯავახეთშიც[260]. ვახუშტიც გვამცნობს: „აქა არს ფუნდუკი თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათჳს“[261].

ქალაქის ქარვასლა, ცხადია, უფრო კეთილმოწყობილი და არქიტექტურულად გაფორმებული იყო. ყოველი ასეთი ქარვასლა ქალაქში თუ ქალაქგარეთ აღმოსავლეთის სინამდვილეში სავსებით გამოკვეთილ სოციალურ-ეკონომიკურ უჯრედს წარმოადგენდა.

ტიგრან ჰონენცის, სომხური ფეოდალური არისტოკრატიის და „სომ-

---

256 И. Орбели, Кр. путеводитель, с. 37.

257 ადამ ოლეარიუსი, გვ. 455—456.

258 „რაბატ ოხონი“ (خان ‹ خيو) — „ვისრამიანი“, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედ. და შესავ. წერილი, ლექსიკონი ი. აბულაძისა, ტფ. 1938, გვ. 321; ივანე, ა. გვახარიას და მ. თოდუას გამოც., თბ., 1962, გვ. 295.

259 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამ., ტფ., 1926, გვ. 54.

260 იხ. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები, II, გვ. 93—95.

261 ვახუშტი, გვ. 317.

ხური სავაჭრო სამყაროს ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის“ მიერ აგებული მონასტრის შესაწირავთა სიამ ანისის ტოპოგრაფიის შესასწავლად მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახა. შეწირულობათა შორის ანისში დასახელებულია „I. ოთხი სასტუმრო — 1. სასტუმრო-ფუნდუკი (ფ ნ დ უ კ ნ), 2. სასტუმრო-ფუნდუკი თაღოვანი გადახურვით (კ ა მ ა რ ა კ ა პ ფ უ ნ დ უ კ ნ), 3. სასტუმრო-ხ ა ნ ა პ ა რ ი 4. პაპენცად წოდებული მეორე სასტუმრო-ხ ა ნ ა პ ა რ ი დ ა ნ ორი დანგი; II. ჰატეცონცის ქუჩაზე (ზ უ კ ა კ) მდებარე ყველა სახლი; III. დუქნები: 1. (ყველა) დუქანი (პირველ შეწირულ) ხ ა ნ ა პ ა რ თ ა ნ (მდებარე), 2. დუქანი ხ ა ნ ა პ ა რ პაპენცის კართან“[262]. შეწირულობათა სია აქ არ წყდება. ყველაფერი ეს მდიდარი კაცის (ნ. მარი მას „თავისი ეპოქის ტიპიურ კაპიტალისტს“ უწოდებს) ქონების ნაწილს წარმოადგენდა.

სასტუმრო სახლებს ფლობდა სასულიერო წოდების უმაღლესი ფენებიც. ანისში „პატრიარქის პალატების სასტუმრო სახლ“ თავისი გამგებელიც ჰყავდა[263].

ადრინდელი (V ს.) ქართული ცნობის მიხედვით შესაძლებელი ხდება ერთი ასეთი სახლის აღნაგობის გათვალისწინებაც. «„აღაშენეს სახლი სასტუმრო ქალაქსა შინა და განასუფნებდეს მომაველთა ძმათა ქართუფლთა და ბერძენთა, რამეთუ განამზადეს ფერჯთა საბანელი და ტრაპეზი და სარეცელები...“ (პეტრე იბერი, გვ. 14—15). როგორც აქედან ჩანს, სასტუმრო სახლები შედგებოდა: ა) საპირფარეშოსაგან, ე. ი. ისეთი განყოფილებისაგან, სადაც გარდა „ფერჯთა საბანელისა“ იქნებოდა პირის საბანიც და, შესაძლებელია, ტანისაც; ბ) სატრაპეზოსაგან, ე. ი. სასადილო განყოფილებისაგან და გ) ძილისათვის განკუთვნილი განყოფილებისაგან, სადაც „სარეცლები“ იყო გაწყობილი»[264].

ჩვენ არ ვიცით ასე იყო თუ არა მოწყობილი სასტუმრო სახლები X—XII სს. საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებში; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ დროისათვის ქართული ფეოდალური საზოგადოება — და მასთან ერთად ცხადია, საქალაქო ცხოვრებაც — V საუკუნესთან შედარებით კულტურული განვითარების გაცილებით მაღალ საფეხურზე

---

[262] H. Marr, Ани, с. 33—34.

[263] а р и с т а к е с ლ а с т и в е р т ე ц и, გვ. 80: «...нашли перея Кюракоса, ведающего странноприимным домом при патриарших палатах...». შდრ. а р и с т а к е с ლ а с т и в е р т ე ц и, ისტორია, [ქართ. თარგმ. გამოკვლევით, კომენტ. და საძიებლებით გამ. ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974,] გვ. 66: „...კირაკოსი, რომელიც საკათოლიკოსო სახლში სტუმრებზე მზრუნველად იყო (გაწესებული)...“; შდრ. რუსთაველთან, 1070: „...დ ა მ ყ ე ნ ებ ე ლ თ ა უბრძანებს, ჰმართებდეს ვის დაყენება“ (ხაზი ჩვენია.— პ. თ.).

[264] შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა ძველ საქართველოში (V—XII სს.), საისტორიო ძიებანი, ტ. I, თბ., 1982, გვ. 40—41.

იდგა. მარაღაში, მაგალითად, წყარო აღნიშნავს „მშვენიერი ხანაგების“ (ხ ა ნ კ ა ჰ ა თ ჰ ა ს ა ნ ა თ) არსებობას[265]. საყურადღებოა, რომ ქულბაგი სოფელშიც არის დადასტურებული[266].

ანისში გათხრილი ერთი პატარა ქარვასლა „ერთ-ერთი იმ სხვადასხვა გვარტომის ვაჭართა და სხვა ყარიბთა სადგომთაგანი. რომლებიც აადვილებდნენ სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობებს შუა საუკუნეების აღმოსავლეთის შორეულ ქვეყნებს შორის“, თავისი მხატვრული გაფორმებით ახლოს დგას „მცირე აზიის დიდ სავაჭრო გზებზე მდებარე რუმის სელჩუკიანთა მონუმენტურ ნაგებობებთან. ორნამენტული და ფიგურული რელიეფებით შემკული ეს შენობა თავისი პორტალით გადიოდა ქალაქის მთავარ ქუჩაზე“[267].

ქულბაგის საქმიანობის ერთ პატარა სურათს რუსთაველიც აღწერს[268].

სხვადასხვა წყაროებში დამოწმებული ანისის ტოპოგრაფიული მასალა ქალაქის არქეოლოგიურმა შესწავლამ დაადასტურა მეტ-ნაკლებად. ეს ზრდის ნარატიულ წყაროებისადმი ნდობის ხარისხს.

ბარდავში ბაზართა, ქარვასლების, სასტუმრო სახლების სიმრავლეს აღნიშნავს იბნ ჰაუკალი[269]. დარუბანდში „ბაზრების მოედანზე“, სადაც საკრებულო მეჩეთი იდგა, გამოდიოდა სამი ქარვასლა[270]. ამრიგად, აქ უკვე წარმოქმნილია საქალაქო ცხოვრების ცენტრი[271].

სავაჭრო დაწესებულებათა შორის ამიერკავკასიის ქალაქებში დასახელებულია აგრეთვე „საბაზრო ადგილი“ (ბ ა ზ ა რ გ ა ჰ). (ბაილაყანში) „მრავალი სიკეთეა და ბევრი ბ ა ზ ა რ გ ა ჰ ი“[272]. თბილსში კი ეს

---

265 ზ ა ქ ა რ ი ა ალ-ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 45.

266 იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I შვენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 55.

267 В. В. Бартольд, Отзыв, с. 227. იხ. Н. Марр, Ани, с. 71, 72.

268 „ვეფხისტყოსანი“, 1074: „ღატმან ხათუს გაეხარნეს, გაადგება მონა ათი, მოუკაზმნა ქარავანსრანი, დააყენა ბარგი მათი“. შდრ. ზემოთ, „...დამყენებელთა უბრძანებს...“.

269 იბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, გვ. 86—87.

270 С. Хан-Магомедов, Дербент горная стена аулы Табасарана, М., 1979, с. 54.

271 შდრ. გვიანი შუა საუკუნეების ბაღში სავაჭრო კომპლექსი: მეჩეთი, ქარვასლა, დუქნები — იხ. А. Саламзаде, Материалы о неизвестных памятниках Баку, ДАН Аз. ССР, 1956, № 1, с. 72—73.

272 ა ჯ ი ბ ალ-დ უ ნ ი ა, გვ. 201—202. დედანში ქალაქის სახელი არ არის დასახელებული — აღიდგენს მთარგმნელი.

„საბაზრო ადგილები“ — ასევე მრავალი — ხიდთან არიანო განლაგებული[273].

შედარებით ნაკლები ცნობები მოგვეპოვება სავაჭრო-საბელოსნო რიგების შესახებ. ანისში ზოგიერთი ქუჩის სახელწოდება („მჭედელთა“, „ხარაზთა“) თავისთავად მიგვანიშნებს ამ ქუჩაზე მცხოვრებთა თუ მოსაქმეთა ხელოსნური წარმოების დარგობრივ დანაწილებაზე. ურმიაში, როგორც აღინიშნა, არსებობდა „აბრეშუმით მოვაჭრეთა (რიგები)“ და მათში საკრებულო მეჩეთი[274].

აღწერს რა „თავისი ქალაქის“ არწნის დარბევას, არისტაკესი გადმოგვცემს, რომ „მთელი ქალაქი — სავაჭრო რიგები, ჩიხები, სასტუმრო ეზოები — ყველაფერი სავსე იყო გვამებით“[275].

შეიძლება ვაჭარბებდეთ ცნობის ანალიზის დროს, მაგრამ ჩვენს ყურადღებას იპყრობს მემატიანის შეხედულება, თუ რა არის მისთვის „მთელი ქალაქი“. ყამთააღმწერელი კი მონღოლ-ქართველთა ლაშქრის მიერ ბაღდადის დარბევის შედეგს ასე აღწერს: „სავსე იყნეს უ ბ ა ნ ნ ი, ფ ო ლ ო ც ნ ი დ ა ს ა ხ ლ ნ ი მკუდართა მიერ“[276] (ხაზი ჩვენია — პ. თ.). როგორც ვხედავთ, ორივე ავტორთან მსგავსი მხოლოდ აღწერილი ვითარებაა, ხოლო ქალაქის ტოპოგრაფიული დანაწევრება ყამთააღმწერელთან — გაცილებით უკეთესი, ფაქტიურად ისეთივე, როგორც დღეს გვესმის. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ორი ავტორი სამი საუკუნით არიან ერთმანეთს დაშორებული.

რასაკვირველია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რაც უფრო მაღალ დონეზე იდგა ქალაქი მით უფრო რთული იყო მისი ტოპოგრაფიული აღნაგობა, შედგენილობა, მით მეტი იყო მასში „უბანნი, ფოლოცნი და სახლნი“.

ჩვეულებრივ, ქალაქი უბნებად იყო დაყოფილი. მათი შესწავლა ბევრ რასმე საგულისხმოს გვაძლევს. მერვეში, მაგალითად, საერთო გა-

---

[273] იქვე, გვ. 202; ქართ. თარგმ., გვ. 28/9: غلبه بازار گاه و بازل ქართ. თარგმანში ტერმინი სავადასტვანარ-ად არის თარგმნილი: „ბაზარი“ [ახლათში], გვ. 25/7; „სავაჭრო ადგილი“ [ბაილაყანში], გვ. 27—28/8; „სავაჭრო“ თბილისში, გვ. 28/9. იგივე წყარო (გვ. 203, ქართ. თარგმ., გვ. 28) თბილისში ასახელებს ავრეთვე დუქნებსაც — - كاكا. დამოწმებულ სპარს. პასაჟში „و“ ზედმეტი ჩანს (ქართ. თარგმანის ტექსტში იგი არ არის შეტანილი). სავარაუდოა: بر بل دكانها و بازار گاه غلبه ساخته „ხიდთან ბევრი დუქანი და სავაჭრო ადგილია მოწყობილი“.

[274] მ ე კ ა ლ ა ს ი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 10: „... мечеть соборная в шелковых торговых рядах» არ არის ზუსტი თარგმანი; დედანშია (BGA, III, გვ. 377):

و الجامع فى البزازين

[275] ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ერ ტ ე ც ი, გვ. 93.

[276] ყამთააღმწერელი, გვ. 232—233.

ლავნით შემოზღუდულ ქალაქის შიგნით უბნები და ქუჩებიც კი თავისი კედლებით და კარიბჭეებით იყენენ გამიჯნულნი[277].

ქალაქის ცალკეული ნაწილის ასეთ სწრაფვას განცალკევებისაკენ თავისი მიზეზები ჰქონდა, ზოგჯერ — ეთნიკური. არაბებმა დარუბანდში დამკვიდრების ხანაში ქალაქი ოთხ ნაწილად გაყვეს და თითოეულში დაანაწილეს აქ დამასკოდან, ჰიმსიდან, ქუფადან და ალ- ჯაზირადან გადმოსახლებული 24 000 სირიელი მეომარი[278]. სხვა ცნობით, ქალაქი შვიდ უბნად (მ ა ჰ ა ლ ე) დაყვეს, რომლებსაც მცხოვრებთა უმრავლესობის მიხედვით უწოდეს: ხაზართა, პალესტინის, დამასკოს, ჰიმსის, კაისარის, ჯაზაირის და მოსულის[279].

მცხეთაში ებრაელთა უბანი უკვე ადრეულ შუა საუკუნეებშია ცნობილი.

წყაროები კანტიკუნტად, მაგრამ მაინც, ასახელებენ უბნებს ამიერკავკასიის ქალაქებში: განძაში — „ციხის უბანი“ (მ ა ჰ ა ლ ლ ა თ ა ლ- კ ა ს რ), თვით ციხე კი ა ლ-ხ ა ს ს ი ს კარიბჭესთან იდგა[280]: ბაილაყანში — კვარტალი ა ს რ ი დ რ ი ს („იდრისის ძეგლი“?)[281].

ძველი ანისის გათხრებმა ზედ აშოტის კედლებთან გამოავლინეს „ანისის ღარიბი კვარტალის კუთხე“[282].

ისევე როგორც აღმოსავლეთის, ამიერკავკასიის ქალაქებშიც, სავარაუდოა, ყოველ უბანს თავისი მეთაური ჰყოლოდა. ისპაანში, მაგალითად, არსებობდა ურთიერთმტრულად განწყობილი „ყადის კვარტალი“ და „რაისის კვარტალი“[283].

რა თქმა უნდა, „მთელი ქალაქი“ თავისი უბნებითურთ მხოლოდ საკულტო და საეკონომო ნაგებობათაგან არ შედგებოდა. მის გარეგან სახეს შეადგენდნენ აგრეთვე ადმინისტრაციული, სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები. ასეთი სრული კომპლექსი, ცხადია, ამიერკავკასიის მხოლოდ მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრებს თუ გააჩნდათ.

ადმინისტრაციულ თუ „მთავრობის“ დაწესებულებათაგან სხვადასხვა წყაროები ამიერკავკასიის ზოგიერთ ქალაქში (არდებილი, ბარდავი, დვინი, მარაღა — არაბ გეოგრაფებთან) ასახელებენ „მმართველის

---

[277] В. В. Бартольд, К истории Мерва, с. 192; შდრ. Вл. Гордлевский, Государство Сельджуков Малой Азии, М.-Л., 1941, с. 124—125.

[278] В. В. Бартольд, Дербент, с. 421.

[279] დერბენდ-ნამე, გვ. 89—90; ა. კ ა ზ ე მ-ბ ე გ ი [illegible]-ს თარგმნის როგორც street.

[280] თარიხ ალ-ბაბ, § 5, გვ. 47.

[281] В. М. Бейлис, Мас'уд ибн Намдар, с. 25.

[282] Н. Марр, Раскопки, с. 10.

[283] ნ ე ს ა ვ ი, გვ. 115, 119.

სახლს (دار ال-'إمارة. دار ال-وزير). „ელდიგუზის უავგუსტოეს ხანაში (ნახჯევანმა) სრულ სიდიადეს მიაღწია. იქ ააგეს მეფის სასახლე (دار ال-ملك) და მთავრობის სახლი (دور الأتابك)“[284]. როგორც ვხედავთ, წყარო ანსხვავებს ამ ორ შენობა-დაწესებულებას ერთმანეთისაგან.

დარუბანდში دار ال-'إمارة სატუსაღოდაც გამოიყენეს. X ს. დასასრულს ამირა, რომელიც მამამისივით ჩვეულებრივ ციტადელში ცხოვრობდა, „იქიდან წაიყვანეს და მთავრობის სახლში დააამწყვდიეს, ხოლო ქალაქის ხალხმა (أهل ال-بلاد) დაიწყო შუა კედლის დანგრევა. მის აშენებასა და დანგრევას შორის გავიდა შვიდი წელი და ერთი თვე. ამირა მაჰმუნი იმყოფებოდა მთავრობის სახლში როგორც ტყვე, მთელი ძალაუფლება კი რაისების ხელში იყო“[285]. ირკვევა, რომ ციტადელი და دار ال-'إمارة დაპირისპირებული არიან ერთმანეთთან.

თბილისში კი „ტფილელთა ბერთა“ ბაგრატ IV „...შეიყვანეს საამიროსა დარბაზსა“, მეფემ „აღიხუნა კოშკნი კართანი თავის კაცითა, და აღიღო ციხე ქალაქისა დარიჯელი, და ორნივე კოშკნი წყალყინისანი და თაბორი, და დაადგინნა შიგან ლაშქარნი თუსნი და ერისთავნი. ხოლო ისნელთა ჩააგდეს ჯიდი და არა მოსცეს ისნი“[286].

მცირე ცნობები გაგვაჩნია ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებულ ქალაქის სხვა ნაგებობათა შესახებაც („სააჯო კარი“, „სადილეგო“).

მას'უდ ბ. ნამდარის მიმოწერიდან ვიცით, რომ განძასა და ბაილაყანში არსებობდა დივანი („სახელმწიფო კანცელარია“) და აგრეთვე ისეთი საგანგებო დანიშნულების დივანი, როგორიც არის دیوان الخراج („გადასახადების დივანი“) და دیوان المظالم („მიწათმფლობელობის დივანი“)[287]. არ ვიცით ოღონდ, ეს დივანები ცალკე შენობაში არსებობდნენ თუ რომელიმე دار ال-'إمارة-ან دار ال-وزير-სთან იყვნენ შეთავსებული. განძის დივანის შენობას კი უშუალოდ გვიდასტურებს წყარო[288].

შუა საუკუნეების ქალაქის ისეთი მნიშვნელოვანი დაწესებულების შესახებაც კი, როგორიც საბაჟო იყო, ერთობ იშვიათი ცნობები გვაქვს. თუ „XVII—XVIII სს. საქართველოს ყველა ქალაქში, დიდსა თუ პა-

---

[284] ياقوت ال-دونية, გვ. 209. შდრ. იქვე, ქართ. თარგმ., გვ. 34: «„...სატახტო ქალაქი გახდა და სახელმწიფო სგამეგლო შენობა ააგეს“.

[285] تاريخ ال-بلد, გვ. 68, § 36.

[286] მატიანე ქართლისა, გვ. 299.

[287] იხ. В. Ф. Минорский, История, с. 157; مسعود ب. نامدار, გვ. ٢٩٥.

[288] نسائي, გვ. 179.

ტარაში, არსებობდა საბაჟო"[289], ამას ვერ ვიტყვით, ვარაუდის გარეშე, ჩვენი საკვლევი ხანის ამიერკავკასიის ქალაქების შესახებ. ვარაუდი, ცხადია, ვერ შეცვლის საბუთებზე დამყარებულ დასკვნებს, მაგრამ მას ერთგვარად ამაგრებს სხვა, „მომიჯნავე" შინაარსის ცნობების და არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინება. ასე, ჩვენი წყაროები დუმილით გვერდს უვლიან ღარუბანდში საბაჟოს არსებობის საკითხს, იმ დროს, როდესაც მეზობელ ითილის შესახებ გვაწვდიან სათანადო ცნობას[290], მაგრამ, ვიცით, რომ დარუბანდი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო და იქ საბაჟოს არარსებობა გამორიცხულია.

ასევე არტანუჯიც X საუკუნეში დიდი სავაჭრო-სატრანზიტო პუნქტია. „იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის"[291].

ასეთი სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქი არა ერთი და ორი იყო ამიერკავკასიაში. გარდა ამისა, თუ ისეთ პატარა ქალაქში, როგორიც ხუნაჯი იყო, არსებობდა საბაჟო, რომელიც X ს. მეორე ნახევრის ავტორის ცნობით, ასი ათასიდან მილიონ დირჰემამდე შემოსავალს იძლეოდა წელიწადში, მით მეტი საფუძველი გვაქვს დიდ ქალაქებში მისი არსებობის ვარაუდისთვის[292]. თუმცა, გასათვალისწინებელია X საუკუნის შუა ანბიის ქალაქებში მცირე რაოდენობის საბაჟოების და დაბალი საბაჟო ნიხრების არსებობის ფაქტიც[293]; მაგრამ ეს — X საუკუნეში.

ყურადღებას იპყრობს საბაჟოსთან დაკავშირებული ტერმინებიც („მეზუერწ, „აზნაურნი საზუერელნი").

ზარაფხანას არსებობა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრებში მოულოდნელი, ცხადია, არ არის. მაგრამ მონეტას ჭრიდნენ შედარებით პატარა ქალაქებშიც. პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა (მომჭრელის „დამოუკიდებლობა"), ეს ფაქტი უშუალოდ უკავშირდება საშინაო ბაზრის განვითარების საკითხს და ზოგიერთ ქალაქში დადასტურებული „საკუთარი" ზომა-წონის ერთეულის არსებობის ფაქტთან[294] ერთად ეკონომიკის შესწავლის დროს არის განსახილველი.

---

[289] Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., Тб., 1950, с. 288.

[290] ჯაკუთი, გვ. 48: „რაც შეებება შემოსავლის წყაროებს იგი შედგება ბაჟისაგან, უშრისაგან სავაჭრო საქონელზე მათი წესის მიხედვით, ყოველ გზაზე, ზღვაზე, მდინარეზე".

[291] კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 279.

[292] იბნ ჰაუკალი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 103.

[293] А. М. Беленицкий და სხვანი, დასახ. ნაშრ. გვ. 293.

[294] იხ. ჯაკუთი, გვ. 9: „ირდებილის რიტლი", გვ. 87: „ვარავის რიტლი"

ცოტა რამ ვიცით ქალაქის სამეურნეო ნაგებობათა (ბაზრების გარდა) შესახებ.

თბილისის წისქვილები მემატიანეთა ყურადღებას იპყრობდნენ. „...მას (ქალაქს) მასზე (მტკვარზე) აქვს წისქვილები, სადაც ფქვავენ ხორბალს“, მსგავსად მოსულის, რაკას და სხვა წისქვილებისა ტიგროსზე და ევფრატზე[295]. ეს წისქვილები ბევრი ააშენეს და ჯაჭვით არიანო მდინარეზე დაბმული — გადმოგვცემს სხვა ავტორი[296].

წისქვილები დასახელებულია ბაილაყანშიც, არდებილთან მდებარე სერატის სიმდიდრეთა შორის აღნიშნულია წისქვილებიც[297]. წისქვილის ქვა აღმოჩნდა ბილაყანის საცხოვრებელი უბნის გათხრების დროს, მაგრამ ავტორი არ აზუსტებს ხელის წისქვილის იყო თუ არა ეს ქვა[298]. ახალქალაქში კი ასევე გათხრების დროს აღმოჩნდა ხელსაფქვავები[299].

ზემოხსენებულ ტიგრან ჰონენცის შეწირულობათა სიაში დასახელებულია ანისის „სამი წისქვილის ნაწილი: 1. დვინის კარიბჭესთან მდებარე წისქვილის მთელი ნაფქვავის ნახევარი; 2. იქვე, მეორე წისქვილის კვირაში ორი დღის ნაფქვავი; 3. გლიძორის ერთ წისქვილში კვირაში ორი დღის ნაფქვავი“[300]. ასეთი ცნობები უშუალოდ ახასიათებენ საზოგადოების რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

საწარმოო ძალების მახასიათებელ სხვადასხვა საწარმოო იარაღებსა თუ საშუალებებს შორის წისქვილსაც თავისი ადგილი უჭირავს ფეოდალურ საზოგადოებაში და, ამდენად, მისი ტექნიკური სრულყოფის ხარისხი საზოგადოების განვითარების მაჩვენებლადაც გამოდგება. აზერბაიჯანში (ყაზახის რაიონში), როგორც იტყობინებიან, აღმოჩნდა „ძველი ქარის წისქვილის ნაშთები“[301]. გარდა წყლისა და ქარისა, წისქვილის თვალის დასაბრუნებლად იყენებდნენ საქონლის გამწევ ძალასაც[302].

ზეთსახდელთა სიმრავლე (ცხრამეტი) დადასტურდა ანისში[303]. გა-

---

[295] ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 35.

[296] აჯიბ ალ-დუნია, გვ. 202—203; ქართ. თარგმ., გვ. 28.

[297] იბნ ჰაუკალი, იქვე, გვ. 101, 103.

[298] А. Л. Якобсон, Раскопки на городище Орен-Кала в 1953—1955 гг. (Раскоп I), МИА, 67, с. 52: «...найден часть каменного круглого жернова», შდრ. იქვე, გვ. 57: «...найден жернов».

[299] ე. ჯანდიერი, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

[300] Н. Марр, Ани, с. 34.

[301] გ. ა. ამბოლოვას ცნობა, იხ. СА, 1957, № 4, გვ. 294.

[302] С. М. Йовков, Жерисва великской Булгарии, СА, 1976, № 2, с. 251.

[303] Б. Н. Аракелян, Развитие ремесел и товарного производства Армении IX—XIII вв. СА, 1956, с. 129, ეკონომიკა მოგვანის აღწერა იხ. Н. Марр, Ани, с. 117.

მოვლინდა ის ახალქალაქშიც[304]. შაბარანში აღმოჩნდა საწნახელი[305]. მუკადასის ცნობით, „ბაილაყანში ხარშავენ საუკეთესო ნ ა ტ ი ფ ს“[306]— სხვადასხვა ტკბილეულს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბაილაყანის რაბადში აღმოჩენილ ნაგებობათა კომპლექსის დანიშნულება ხილისა და ყურძნის გადამუშავება და მათგან სხვადასხვა პროდუქტის დამზადება იყო[307].

ქალაქში არსებული აღნიშნული და სხვა სამეურნეო ნაგებობებთან დაკავშირებით მრავალი საგულისხმო კითხვა აღიძვრის: მხოლოდ მფლობელის ნედლეულს ამუშავებდნენ ისინი? ნედლეულის წყარო მფლობელის საკუთარი მეურნეობაა თუ ბაზარი? მზა პროდუქცია საკუთარ მოთხოვნილებისათვის არის გამიზნული, ბაზრისათვის თუ ორივესთვის ერთად? ამ საკითხების განხილვა საქალაქო ცხოვრების, ქალაქის ეკონომიკის სფეროს განეკუთვნება.

საქალაქო ცხოვრების განვითარების დონის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს ქალაქის დასახლების სიმჭიდროვის გარკვევას; რასაკვირველია, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამიერკავკასიაში დასახლებათა და საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები და ტიპები[308].

ბაილაყანის პატარა ქალაქის გამოვლენილი სტრატიგრაფია ცხადყოფს აქ მჭიდრო დასახლებას XII—XIII სს. დასაწყისში[309]. დადასტურდა უფრო მნიშვნელოვანი ფაქტიც: დასახლებული იყო არა მარტო ნაქალაქარის მთელი ფართობი, არამედ, დიდი უგალავნო ქალაქიც და მისი მიმდებარე მიწებიც[310]. უკვე X ს. თავრიზი და სალმასი მჭიდროდ დასახლებული ქალაქებია („თავრიზი ლამაზი ქალაქია სივიწროვემდე შეჯგუფებული მოსახლეობით“)[311].

ანისში დასახლების სიმჭიდროვე ნათლად ჩანს ზემოხსენებულ განათხარ ღარიბთა უბნის გეგმაზე, თან რომ ერთვის ნ. მარის ნაშრომს[312]. სიბტ იბნ ალ-ჯაუზთან დაცულია ცნობა, რომ ანისში 700 ათასი სახლი

---

304 ე. ჯ ა ნ დ ი ე რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 60

305 И. А. А л и е в, В. М. М а м е д о в, დასახ. ნაშრ., გვ. 419: «...расчищена винодавильня: давильный бассейн, каменный желоб и большой кувшин» (ქვევრი?).

306 მ უ კ ა დ ა ს ი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 9, BGA, III, გვ. 376.

307 Н. В. М и н к е в и ч-М у с т а ф а е в а, Мастерские ремесленного квартала Байлакана, КСИА, 120, Средневековая археология, 1969, с. 37.

308 А. Ф. Г о л ь д ш т е й н, Генетические связи дагестанского длиннопланового дома, Зодчество Дагестана, Махачкала, 1974.

309 А. Л. Я к о б с о н, Раскопки, с. 52.

310 А. А. И е с с е н, Городище, с. 43.

311 ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 83.

312 Н. М а р р, Раскопки, с. 10; მისივე, XI-я Анийская, გვ. 61, ტაბლ. 1.

იყო, გარდა იმ ათასი ეკლესიისა, ზემოთ რომ ვახსენეთ[313]. ჭეშმარიტების რა მარცვალია ამ ცნობაში, ახლა ამის დადგენა, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ქალაქის გარეგანი სახის და სოციალურ-ეკონომიკური ფონის წარმოსახვისთვის გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს ქალაქის შენობები, პირველ რიგში — საცხოვრებელი სახლები.

როგორც ირკვევა, მსგავსად ახლო აღმოსავლეთისა, ამიერკავკასიის ქალაქებისთვის უცხო არ იყო მაღალი შენობები. ასე, მაგალითად, სამსართულიანი შენობა გამოვლინდა ანისში[314]. ნახჭევანში „ააგეს მრავალი სარაჯ, ქუშქი და აჯვანი... ქუშქების უმრავლესობა სამი და ოთხსართულიანია (ტაბაყე), ციხეების (ყალ'ე) მსგავსად"[315]. ნახჭევანში არის „სახელგანთქმული შენობები, მედრესეები და ხანაგები"[316]. საგულისხმოა აქ მოცემული ნაგებობების თვით კლასიფიკაცია. მათი კონკრეტული შესწავლა დამატებით შუქს მოჰფენდა ქალაქის სოციალურ ტოპოგრაფიას.

ერთი ასეთი აჯვანი ჯალალ ალ-დინმა თავრიზის მოედანზე ააგო, ხოლო „აჯვანის უკან სულთანმა ააშენა სახლები და სასახლეები, რადგან მას არ სურდა გამუდმებით ეცხოვრა ქალაქის შიგნით"[317]. აქ მოცემულია აჯვანის ერთ-ერთი მნიშვნელობა. აჯვანს უწოდებს წყაროა ქაზნაში სასანელების მიერ (ცეცხლის ტაძართან ერთად) აგებულ „უზარმაზარ სასახლეს"[318]. ცნობიდან არ ჩანს ავტორის დროსაც არსებობდა თუ არა ეს სასახლე.

ჩვენს შემთხვევაში, მასალის სიმცირის გამო, ჭირს, მით უმეტეს დროის გარკვეულ მონაკვეთში, ქალაქის ტოპოგრაფიის კონკრეტული ობიექტების შესწავლა. არადა ფეოდალური ქალაქის არსში გასარკვევად მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, მუდმივ, ძირითად საცხოვრებელს წარმოადგენდა თუ არა ქალაქი ცენტრალური ხელისუფლებისა და მასზე უშუალოდ დამოკიდებული, უახლოესი სოციალური ფენისათვის. აღნიშნულია ტენდენცია, რომ პირველ საუკუნეებში სასახლე ციხიდან (ციტადელიდან) გარეთ „გადის" და ქალაქში მკვიდრდება[319]. ამ ტენდენციის შედეგიც უნდა იყოს, — საზოგადოების ფეოდა-

---

[313] იხ. ჰუსაინი, მთარგმნელის შ., გვ. 190—191, შ. 4.

[314] Н. Марр, О раскопках и работах в Ани летом 1906 года (Предварительный отчет), СПб., 1907, (ТР, X), с. 55.

[315] აჯიბ ალ-დინი, გვ. 209. შდრ. ქართ. თარგმ., გვ. 34: „...სასახლე, კოშკი და ბალტი..."

[316] ბაქუვი, გვ. 99.

[317] ნესავი, გვ. 199.

[318] ბაკერი, გვ. 80.

[319] Г. А. Меликишвили, К истории, с. 447.

ლიზაციის გათვალისწინებით, — საზაფხულო, და არა მარტო საზაფხულო, რეზიდენციების ქალაქგარეთ მშენებლობა „ხოლო სადგური იყო მეფისა (დავით აღმაშენებლის, — პ. თ.) წაღვლის თავი...[320]“. საკითხი არ ამოიწურება, რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული სოციალური ფენის საზაფხულო რეზიდენციების ქალაქგარეთ არსებობის ფაქტით.

სად ცხოვრობს ფეოდალური არისტოკრატია? ამის გარკვევას აქვს მნიშვნელობა. ანისში დადასტურებული სასახლეების მფლობელთა (მათ შორის მსხვილი ფეოდალებიც არიან) სოციალური სახის გარკვევა, საკითხს რამდენადმე გაშუქებს, სომხეთის სინამდვილეში, ცხადია.

ყოველ შემთხვევაში, XI საუკუნეში, როდესაც თბილისელებმა ბაგრატ მეფე ქალაქში შეიყვანეს, ის დასვეს „საამიროსა დარბაზსა“ (ვახუშტი: „...სახლსა საამიროსა“); მაგრამ „ისნელთა ჩაადეს ჯიდი და არა მოსცეს ისნი“[321]. ვახუშტი: „...და დაიპყრა კალა-ტფილისი; არამედ ისანი არა მოსცეს და ბრძოდეს ძლიერად“[322].

მაღალი სამხედრო თუ საერო არისტოკრატიის საცხოვრებელი სასახლეების შესახებ შედარებით დაწვრილებით შეიძლება მსჯელობა ანისის გათხრებით მოპოვებული მასალის საფუძველზე[323]. სულთნის სასახლე დამოწმებულია, თავრიზის გარდა, განძაშიც[324].

აღნიშნული რიგის (ს ა რ ა ჲ, ქ უ შ ქ ი, ა ჲ ვ ა ნ ი) შენობათა მფლობელების სოციალური სახის დადგენა ადვილია; მით უმეტეს, თუ მემატიანე უშუალოდ წერს: „ქალაქის მეთაურთა სასახლეები“, „უბრალო ხალხის (რ ა მ ი კ ე ბ ი ს) სახლები“[325]. ასეთი სასახლეების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ანისში გათხრილი მათი ნაშთები. ერთ-ერთი მათგანი ვაჭრობის საგანიც კი გახდა: ის ალფ არსლანმა შადადიან ფადლუნს მიჰყიდა 1072 წელს[326].

სომხური ეპიგრაფიკის თანახმად, საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების სახლები და ცალკეული ოთახებიც, მათ მფლობელთა შემოსავლის წყაროს წარმოადგენდნენ[327].

---

320 ვ ა ხ უ შ ტ ი (ბატონიშვილი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ქ. ცხ., IV, თბ., 1973), გვ. 156.

321 მატიანე ქართლისა, გვ. 299.

322 ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 146.

323 Н. М а р р, Ани, с. 93—94, 97.

324 ჰ უ ს ა ი ნ ი, გვ. 160.

325 ი ო ა ნ ე კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი იხ. Ас. Шахназарян, Двин историко-географический очерк, Ереван, 1940, с. 109; შდრ. „დიდებულთა სახლები“ იხ. Н. П и г у л е в с к а я, Города, с. 315.

326 Н. М а р р. Ани с. 112—113.

327 Н. М а р р. Раскопки. с. 11.

„ანანეთ კრიზილის“ ერთგვარ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ „გამოქვაბულების ანისი“, ქალაქთან ახლოს, წაღკოცაძორის ხევის ნაპირებსა ღელეებზე აღმოჩენილი გამოქვაბულები — არა მარტო საცხოვრებელი, აქვე იყო გამოქვაბული ეკლესიაც და სხვა დანიშნულების ნაგებობანიც[328]. მათ ფონზე კარგად ჩანს ანისის სოციალური სახე[329]. ამ გამოქვაბულებს თავშესაფარადაც იყენებდნენ. „რომელიმე იელტოდა (ანისის) დარბაზოანთა და მუნ გამაგრდა, რომელიმე იელტოდა ეკლესიანსა, რომელსა ქარტუნობითა (სომხ. „ქვის სახლი“. — ბ. თ.) უგზობენ“[330]. საყურადღებოა მტრის შემოსევის დროს „დარბაზოანთა“ თავშესაფრად გამოყენება. ეს ცნობა ქალაქის ამ ტიპის ნაგებობათა აღნაგობაზე მიგვანიშნებს. როგორც ჩანს, საცხოვრებელ გამოქვაბულს გულისხმობს მარაღასთან დაკავშირებული ერთი ცნობაც[331].

საერთოდ, ამიერკავკასიაში „კლდის არქიტექტურას“ ღრმა ფესვები და საკმაოდ ფართო გამოყენება ჰქონდა.

მეკადასი გადმოგვცემს, რომ არდებილელთა სახლების უმეტესობა მიწის ქვეშ არისო[332]. ამის მიზეზად სოციალურთან ერთად კლიმატური ფაქტორიც უნდა ვიგულისხმოთ.

არის რამდენიმე ცნობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობათა შესახებაც. დავით აღმაშენებელმა „აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა“. მემატიანესვე ცნობით, ეს საავადმყოფო — თანამედროვე ტერმინოლოგიით — ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და აღჭურვილი ყოფილა[333]. მიჩნეულია, რომ იგი დიდებულმა მეფემ გელათში ააგო[334]. თუ ასეა, ეს კიდევ ერთი საბუთია საქართველოს საერთო კულტურული განვითარების დონის განსასაზღვრავად აღებულ ხანაში. მას არც სომხეთი ჩამორჩებოდა. X ს. მსგავს ღონისძიებებს ახორციელებდა აშოტ სომეხთა მეფე. „მან ააგო მრავალი თავშესაფარი კეთროვანთათვის“[335].

განძაში დამოწმებულია „წიგნების ხაზინადარი“ (თარგმანში: „ბიბლიოთეკის მეთვალყურე“). საგულისხმოა ისიც, რომ ეს პიროვნება წარმოშობით ნახჭევნელი იყო[336].

---

[328] Н. Марр, Ани, с. 93.

[329] შდრ. ა. იაკობსონის რეცენზია წიგნზე «Д. А. Кипшидзе, Пещеры Ани...», ИФЖ, 1973, № 1.

[330] ისტორიანი და აზმანი, გვ. 100—101.

[331] ზაქარია ალ-ყაზვინი, გვ. 45.

[332] მეკადასი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 7, BGA, ტ. III, გვ. 375.

[333] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 331.

[334] იხ. ქ. ცხ., I, გვ. 445: ს. ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

[335] ვარდანი, გვ. 113—114.

[336] მაკუთი, გვ. 88, არაბ. ტექსტი, გვ. 92.

არზრუმსა და ხლათში დადასტურებულია „სახლი სამეძაო“[337].

ზოგიერთ შემთხვევაში, არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე, ლიტერატურული წყაროების მოშველიებითაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელი ხდება საქალაქო მშენებლობის, ზოგადად საქალაქო ცხოვრების შედარებით უფრო კონკრეტული სურათის წარმოსახვა. კერძოდ, აღნიშნულის საფუძველზე დაასკვნიან, რომ XII—XIII საუკუნეების დასაწყისში ანისსა და ბაილაყანში აღინიშნება სხვადასხვა მშენებლობის დიდი გაქანება, სისხლსავსე საქალაქო ცხოვრება. ეს ორი ქალაქი არ წარმოადგენს გამონაკლისს — უბრალოდ, ამ ქალაქების ისტორიულმა ბედმა შესაძლებელი გახადა მათი არქეოლოგიურად უკეთ (თუმცა, მაინც არასრული)[338] შესწავლა.

მცირეოდენი ცნობები შესაძლებლობას გვაძლევს მოქალაქეთა საცხოვრებლების შიგნითაც „შევისედოთ“, მაგრამ მათი განხილვა საქალაქო ცხოვრების შესწავლის დროს უფროა მიზანშეწონილი.

აბანოების შესახებ გაცილებით მეტი ცნობები მოიპოვება.

როგორც აღნიშნავენ, აბანო ბერძნულ-რომაული ქალაქისთვის იყო დამახასიათებელი და ირანის ქალაქებში მისი მშენებლობა V ს. დაიწყეს[339]. არაბები კი აბანოს მხოლოდ ბიზანტიური ოლქების დაპყრობის დროს გაეცნენ[340].

საქართველოს ქალაქებში აბანოს მშენებლობას ძველთაგანვე მდიდარი ტრადიცია მოსდგამს[341]. ტექნიკური თვალსაზრისით ეს მშენებლობა თავისი დროის მიღწევებს ითვალისწინებდა[342]. შესაძლოა, ამ ძველ ტრადიციებს გულისხმობდა ჰუსაინი როდესაც წერდა: „თბილისში არის აბანო „სულაიმან იბნ დაუდის მიერ... ცხელი წყლის წყაროზე აშენებული . . . ეს არის პირველი აბანო დედამიწაზე აშენებული“[343]. თბილისი სწორედ ამ ბუნებრივად ცხელი წყლის აბანოებითაც იყო

---

[337] ა ბ ა ი ბ ა ლ-დ ო ნ ი ა, 197—198. თარგმანში: «...открытый разврат» «Разврат и распущенность октрыты». მთარგმნელის კომენტარი: «Имеются в виду дома терпимости». შდრ. ქართ. თარგმ., გვ. 25, შ. 14: „აღბათ ავტორს სარისკიპოები უნდა ჰქონდეს მხედველობაში“; ავტორი იმოწმებს ნ. მიკლეხო-მაკლაის.

[338] А. Л. Якобсон, Раскопки..., с. 145.

[339] Н. Пигулевская, Города, с. 303.

[340] И. П. Петрушевский, Ислам в Иране в VII—XV веках (Курс лекции), Л., 1966, с. 127.

[341] იხ. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები, გვ. 28—29, 34—39; „აბანო საქალაქო ცხოვრების დამახასიათებელი ნაგებობა ჩანს აქ (მცხეთაში), ახ. წ. I საუკუნიდან, ე. ი. ეს ახალი სახეობაა საქალაქო ნაგებობისა ახ. წ. I საუკუნის ქართლის ქალაქებში“.

[342] თ. ქ ე ვ ლ ა ძ ე, ძველი ეგრისის დედაქალაქის ნოქალაქევის სამეფო აბანო, თსუ შრომები, ტ. 205, 1979.

[343] ჰ უ ს ა ი ნ ი, გვ. 55.

სახელგანთქმული დღიდან თავისი დაარსებისა; „მასში სამოცდახუთი აბანოა: ყველა აბანოს წყალი უცეცხლოდ ცხელია... იქ აბანოს ქირას (მ ო ზ დ) არ იხდიან“[344].

ეს საყურადღებო ცნობა არაერთ არსებით კითხვას აღძრავს თბილისის საქალაქო ცხოვრების ისტორიიდან.

გოგირდოვანი აბანოები იყო ავრეთვე თავრიზიდან რვა ფარსახით (ჯაკუთი, გვ. 3: „ათი ფარსახით“; დაახლოებით თბილის — მანგლისის მანძილი) დაშორებულ პატარა ქალაქ უჩანში. ამ აბანოებს „საკვირველი სასარგებლო თვისებები აქვთ და მათკენ მიეშურებიან ავადმყოფები“[345].

ანისის ორი აბანო ტიგრან ჰონენცმა მონასტერს შესწირა. საყურადღებოა, რომ ერთი მათგანი მოედანზე მდებარეობდა[346]. ბაგრატუნიანების სასახლის შვიდგანყოფილებიანი აბანოს დეტალური აღწერა[347] საშუალებას გვაძლევს აბანოს აღნაგობის წარმოდგენისა და შედარებითი შესწავლისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს უკანასკნელი საკითხი მნიშვნელოვან დასკვნებს იძლევა[348].

საქალაქო ცხოვრების, ქალაქის ტოპოგრაფიის განვითარების მეტყველი ფაქტია აბანოს არსებობა ანისში სუმბატის კედლების გარეთ. დმანისშიც „არა ერთი აბანო ყოფილა. ერთი შუაგულ ქალაქში, მეორე — გარე უბანში, ხევს გამოღმა“[349].

გამოტანილია დასკვნა, რომ სომხეთში აბანო არსებობდა ყველა სასახლეში, ციხესიმაგრეში, ქალაქში და შედარებით დიდ დასახლებებშიც კი[350].

ბაილაყანის გათხრებიდან ყურადღებას იპყრობს დიდი საზოგადოებრივი შენობის კომპლექსი მრავალი, მათ შორის ფართო სათავსოებით, ჩვეულებრივი ან ორმაგი (0,40×0,40 მ) აგურით აგებული. წინასწარი ვარაუდით — კომპლექსი სრულად არ არის გამოვლენილი —

---

[344] ა ჯ ა ი ბ ალ-დუნია, გვ. 203; სხვა წყაროს თანახმად, თბილისში 45 აბანოა ■ ■. ქართ. თარგმ., შ. 40. იხ. ავრეთვე რ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ნაშრომები „ცისკარში“, 1958, № 10, გვ. 167; ისტორიის ინსტ. შრომებში, ტ. V, ნაკვ. I, გვ. 128—130.

[345] ბ ა ქ უ ვ ი , გვ. 67 (31).

[346] Н. М а р р, Ани, с. 34: „ի մոզանիս“

[347] იქვე, გვ. 71; И. О р б е л и, Кр. путеводитель, с. 14.

[348] А. Л. Я к о б с о н, Из истории средневековой архитектуры в Крыму. III. Средневековые бани Херсонеса, СА, VIII, 1946, с. 275: «Важен, прежде всего сам факт наличия ближайших аналогий херсонским баням именно в Грузии и, особенно, в Армении, что является еще одним свидетельством культурных связей Крыма и Закавказья...».

[349] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები, გვ. 29.

[350] А. А. Д ж а г а ц п а н я н, Бани средневековой Армении и их теплотехнические особенности, ИФЖ, 1968, № 3, с. 211.

ეს უნდა იყოს XI საუკუნის დიდი, მდიდრულად მორთული და მხატვრულად გაფორმებული საზოგადოებრივი აბანო[351]. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ მეზობლად მდებარე არდებილში „სასიძოვნო აბანოები“ იყო[352].

*
* *

ქალაქის წყლით უზრუნველყოფა ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენდა შუა საუკუნეების ქალაქის მესვეურთათვისაც.

წყალსადენი ქალაქის ტოპოგრაფიისა და მის გარეთ მდებარე საცხოვრებელი კომპლექსების ისეთივე შემადგენელი ნაწილი იყო, როგორიც აბანო.

წყალსადენების შესწავლით ცხადად ირკვევა ამიერკავკასიის განვითარებულ, სოციალურ-ეკონომიკურად დაწინაურებულ ქალაქებში შუა საუკუნეების კომუნალური მშენებლობის მაღალი დონე. ირკვევა ისიც, რომ მშენებლობის მაღალი ტექნიკური დონე შესაძლებლობას იძლეოდა წყალსადენი რთულ რელიეფურ პირობებშიც გაეყვანათ (სხალტბის, ნადარბაზევისა სამშვილდის მიდამოებში)[353]. ანისის კედლებს გარეთ მიაკვლიეს წყალსადენის ნაშთს, რომლითაც ათი ვერსით[354] დაშორებული მთიდან ალაჯას წყაროების წყალი შემოყავდათ ანისში. წითელი, გამომწვარი თიხის, ერთმანეთში ჩასაჯენი მილების ფართო ნაწილის სიგრძე 0,40 მ, ვიწროსი — 0,72 მ, სისქე 0,052 მ იყო. ერთი მილის მეორეში ჩასაჯენი, დავიწროებული ნაწილის სიგრძეა 0,088 მ, მილის ფართო ნაწილის წრეხაზი 0,477 მ, მილის ფართო პირის დიამეტრი — 0,114 მ.[355] მოცემული ანაზომებით შესაძლებელია წყალსადენის წყალგამტარიანობის დადგენა.

წყალსადენი და აბანო ერთიმეორის არსებობას განაპირობებდნენ. ამას ადასტურებს გეგუთის სასახლეში არსებული აბაზანა და წყალსადენი, ნადარბაზევში — აბანო (თუ „წყაროს აუზი“). ანისის შიდაქალაქის სასახლეში აღმოჩნდა ორგანყოფილებიანი აუზი ოთახის წყალ-

---

[351] А. Л. Якобсон, Раскопки, с. 146: იქვე (გვ. 69—94) კომპლექსის სრული აღწერა.

[352] მუკადასი, BGA, ტ. III, გვ. 377—378: حمّامات طيّبة

[353] ალ. ლოსაბერიძე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 194; გ. ლომთათიძე, შუაფეოდალური ხანის ნამოსახლარების გათხრა სამშვილდის მიდამოებში, ფსაძ, II, გვ. 131.

[354] ვერსი=1,0668 კმ.

[355] Н. Марр, Ани, с. 76; მისივე, Раскопки, с. 13—14.

გაყვანილობის თიხის და რკინის და უფრო მსხვილი, სასახლის აბანოში წყლის მიმწოდებელი თიხის მილებით[356].

ნ. მარი ასკვნის: „უეჭველია ერთი: წყალგაყვანილობის სისტემა ფართოდ იყო განვითარებული და მრავალგვარ ფორმებს ღებულობდა არა მარტო ანისის შიგნით, არამედ მის გარეთაც... გაითხარა თიხის მილების წყალსადენი ყვავილოვანი ხევის (წაღკოცაძორის — პ. თ.) გაღმა: წყალი აქ მოვიდოდა მხოლოდ სხვა წყაროდან მეორე მაგისტრალით“[357].

ახალციხეში, როგორც აღნიშნავენ, წყალსადენი მხოლოდ ციხეს ჰქონია, ხოლო „მშრომელი ხალხი მდინარის წყლით სარგებლობდა“[358]. ჩვენი აზრით, ეს არ უნდა ავხსნათ „სოციალური ფაქტორით“. ორი ქალაქის წყლით მომარაგებაში სხვაობა ეკონომიკურ შეძლებაში განსხვავებამ განაპირობა. თუმცა, ამჯერადაც ხომ იგივე „სოციალურ ფაქტორს“ ეღებულობთ. მაშასადამე, რა გამოდის, ანისის კედლებს გარეთ უფრო მდიდარი მოსახლეობა ცხოვრობს, ვიდრე ახალციხის რაბადსა და გარეუბანში?

რთულ ნაგებობას წარმოადგენდა XII—XIII სს. დვინის წყალსადენი, მისი რვა ხაზი და მათი მიმართულების ცვალებადობა საავარაუდოს ხდის ერთიანი, ცენტრალური განმანაწილებელი აუზის არსებობას[359].

წყალსადენი, ისევე როგორც აბანო ეკონომიკური ურთიერთობების ობიექტი იყო. ანისში წარჩინებულმა აბულღარიბმა ეკლესიას გაუმართა წყალსადენი, ხოლო ტიგრან ჰონენცმა თავის აგებულ ეკლესიას შესწირა „წინაპართაგან ნაანდერძევი აბანო და წყალსადენი მოედანზე“. აღსანიშნავია, რომ ორივე სომხურ წარწერაში, სადაც ეს ფაქტებია დადასტურებული, არის „მილი“; მას ნ. მარი ქართ. „მილთან“ აკავშირებს[360].

შიომღვიმის მონასტერს წყლით უზრუნველყოფდა სხალტბის ქედიდან გამოყვანილი წყალსადენი[361].

ვიცით, რომ ანისში წყალსადენი მთავარი ქუჩის (ივი სიგრძეზე

---

[356] ივ. ჯავახიშვილი, მასალები, გვ. 29; გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., 123; Н. Марр, Ани, с. 76. შდრ. ა. აფაქიძე, ქალაქები, გვ. 37, 65, 81, 218, 221.

[357] Н. Марр, Ани, с. 76, 77.

[358] Д. Г. Кожоридзе, Город Ахалцихе в феодальную эпоху (IX—70-ые гг. XIX вв.). საკანდ. დისერტ., 1968, გვ. 12.

[359] А. А. Калантарян, К вопросу о способах изготовления керамики в средневековой Армении, ფსაძ, II, გვ. 280.

[360] Н. Марр, Ани, с. 34, 110, 117.

[361] შ. მესხია, ხელოსნობა, გვ. 153—155

ქვეთდა ძველ ანისს შიდა ქალაქის გალავნის კარიბჭედან აშოტის კედლებამდე) ქვეშაც იყო გაყვანილი[362]; მაგრამ ჩვენთვის უცნობია ანისის მოსახლეობის მიერ ამ წყალსადენით სარგებლობის კონკრეტული პირობები.

დარუბანდში „ქალაქის. განაპირას წყალსაცავია (ს ა ჰ ა რ ი ჯ) თაღიანი საფეხურებით, რომლითაც ჩადიან ამ წყალსაცავში, როცა იკლებს წყალი“[363]. ვინ ჩადის, რისთვის? ამასთან ერთად ცნობილია, რომ ქალაქში „უკვე ხოსროვ ანუშირვანის დროიდან მოქმედებდა წყალსადენი“, რომელიც არაბებმა შეაკეთეს ქუჩებთან ერთად“[364]. ქვის კიბეებიანი (80 საფეხურით) წყალსაცავი (ო ვ დ ა ნ ი) არსებობდა ბაქოშიც; ციხის გარეთ „კიბის ქვემოთ იყო ფართო ოთახები, აუზები, რომლებიც ახლა პირამდეა სავსე კარგი წყლით: მცხოვრებნი უკანასკნელ დრომდე სარგებლობდნენ ამ წყლით“[365]. წყალსადენი გამოვლინდა XIII—XIV სს. შაბარანში, XIV—XV სს. ბაქოში[366].

იბნ ჰაუკალი გადმოგვცემს ბაილაყანში ჭების არსებობას. ჩატარებული გათხრებით დღესდღეობით გამოვლენილი ჭები, როგორც ჩანს, სასმელი წყლის არ უნდა ყოფილიყო[367]. ბაქუვის თანახმად, ბაქოს მცხოვრებლები „კლდოვანი ჭების“ მტკნარი წყლით სარგებლობდნენ[368].

ჭის წყალიც ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში გადიოდა: „...დააკისრა ბადლისის მმართველს ხილატისა და მისი ჭების მსგავსი ხარაჯა“[369].

განძის „პირველი ქალაქის“ კედელთან, შიგნიდან, გაითხარა თიხის მილების წყალსადენი. მილის სიგრძე 40 სმ. ერთი ბოლოს დიამეტრი 15, მეორესი 12 სმ-ია. აქვე, სხვა ადგილას აღმოჩენილი მილების ზომები შესაბამისად არის 38, 18, 15 სმ. ირკვევა, რომ წყალსადენი უფ-

---

[362] Н. Марр, Ани, с. 76—77. იქვე განხილულია ბერძენი მოხელის, მაგისტროს აარონის მოღვაწეობა ანისში წყალსადენის გაყვანის თაობაზე, რასაც ის საგანგებო სომხურ წარწერაში აღნიშნავს.

[363] დ ა ვ ი თ ი, გვ. 23.

[364] А. А. Кудрявцев, Древний Дербент, с. 107.

[365] В. М. Сысоев, Кр. путеводитель, с. 7: «Эти овдани были выходами обширной системы водоводов, построенных в XVIII в. ... они доставляли в старый Баку... воду из источников, находящихся за несколько километров от города».

[366] АО—1981, გვ. 419, 421.

[367] ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, იქვე, ტ. 38, გვ. 83; Н. В. Минкевич-Мустафаева, Раскопки, с. 170.

[368] ბ ა ქ უ ვ ი, გვ. 89: آبار صخرية.

[369] დ ა ვ ი თ ი, გვ. 30.

რო ადრე იყო გაყვანილი, ვიდრე „პირველი“ და „მეორე“ ქალაქის კედლები — ესენი ფარავენ წყალსადენის მილებს[370].

თიხის მილებიანი წყალსადენის ნაშთი (ხუთი მუხლი) აღმოჩნდა ბაილაყანშიც[371].

ქალაქის ტოპოგრაფიის სხვა ობიექტების და საქალაქო მშენებლობასთან დაკავშირებული მთელი რიგი სხვა საკითხების განხილვა ამჯერად ვერ ხერხდება. ორიოდე სიტყვით შევეხებით ხიდებს, რომლებიც ქალაქის სხვა ნაგებობათა თანაბრად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავენ პირველ რიგში მშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში ხიდების მშენებლობასაც ხანგრძლივი ტრადიციები ჰქონდა და ამ საქმეშიც მაღალ ტექნიკურ დონეს მიაღწიეს. შესანიშნავი ნაგებობა, „სინჯის ხიდის — მსოფლიოს ერთ-ერთი სასწაულის — მსგავსი“, აგებული ყოფილა დიდი (თერგის?) მდინარის შესართავთან[372]. ასეთ ხიდებს აგებდნენ არა მხოლოდ დაბლობზე. „ქალ'ათ ალ-ლან ძალზე გამაგრებული ციხე ალ-ლანის მიწაზე, ბაბ ალ-ლანად წოდებულ მთის წვერზე... ქალაქს აქვს დიდი, საკვირველი ნაგებობის ხიდი“[373]. ბაქუვის საერთოდ აღაფრთოვანებს ერთთაღიანი ხიდები[374]; ასეთები კი საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული; იყო ის ანისშიც, ახურიანზე. ხიდის კამარა დაახლოებით 14 საჟენი იყო[375]. გარდა ამ ხიდისა, ანისის გეგმაზე აღნიშნულია კიდევ ერთი[376]; მაგრამ არც ერთი მათგანი არ უნდა იყოს ის ხიდი, რომელიც სიბტ იბნ ალ-ჯაუზთან დამოწმებული ცნობის თანახმად, ანისში შესასვლელ მთავარ გზაზე მდებარეობდა[377].

ამიერკავკასიაში ცნობილი იყო ასაწევი ხიდებიც. ახალქალაქში გალავნის წინ „იყო წყალი, ჯეიჰუნივით ღრმა. იქ იყო ხიდი, მაგრამ ალყაშემორტყმულებმა ასწიეს იგი და ისლამის მხედრებმა დაკარგეს იმედი ქალაქის დაპყრობისა“[378]. ეს ალფ არსლანის ზემოხსენებული ლაშქრობის დროს ხდება. მუღანის შირქაბუთის ციხესიმაგრეში შესვლა შეიძლებოდა მხოლოდ მის ირგვლივ ღრმა და ფართო, წყლით

---

370 А. Л. Якобсон, Раскопки, с. 126, 131.

371 И. Джафарзаде, Ист.-археол. очерк, с. 42, 58.

372 მას'უდი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 35.

373 ბაქუვი, გვ. 97 (54).

374 იქვე. გვ. 33 (4), 47 (78), 65 (16), 96 (48) ამ ხიდებიდან ერთი ფარსშია, მეორე — ანდალუზიაში.

375 И. Орбели, Кр. путеводитель, გვ. 14; საჟენი=2,1336 მ.

376 იხ. ანისის გეგმები — Н. Марр, Ани; И. Орбели, დასახ. ნაშრ.

377 ჰუსაინი, მთარგმნელის შ. 4, გვ. 190—191.

378 იქვე, გვ. 50.

სავსე თხრილზე გადებული, ასაკეცი ხიდის გავლით[379]. „იტილი... გაყოფილია დიდი მდინარით სამ ნაწილად. იგი აგებულია მდინარის ორ ნაპირზე, რომელთა შორის არის კუნძული, მასზე კი — მეფის სასახლე. მეფის ციხე მდებარეობს კუნძულის ერთ-ერთ კიდეზე, რომელიც შეერთებულია მდინარის ნაპირთან პონტონის ხიდით"[380].

იოვანე საბანის ძე აღნიშნავს თბილისში „ხ ი დ თ ა მათ ქალაქისათა არსებობას"[381] (ხაზი ჩვენია. — პ. თ.). ერთი მათგანი ბაგრატ მეოთხის თბილისთან ბრძოლის ხანაშიც იხსენიება: „ისნელთა ჩააგდეს ჯიდი და არა მოსცეს ისნი"[382]. ვახუშტი ხიდს არ ახსენებს. „ჩააგდეს" „ჩაანგრიეს" მნიშვნელობით? თუმცა, ი. აბულაძის „მასალებით" „გდება" „ნგრევა"-ს არ უკავშირდება[383]; „ჩააგდეს", როგორც ჩანს, შემდგომ საუკუნეებში გაჩნდა ტექსტში, ან კიდევ დამოწმებულ ლექსიკონში არ აისახა სიტყვის ეს მნიშვნელობა.

თბილისში ერთ-ერთი ხიდი ქვის იყო: „აშენდა მისი (ხიდის) კედლები ქვით შემდეგ მასზე (კედელზე) გადააკრეს ხე"[384]. სხვა ცნობით, „ქალაქსა და ციხეს შორის იყო ხის ხიდი, მაგრამ ის დასწვეს..."[385].

თუ ორივე ცნობა ერთსა და იმავე ხიდს გულისხმობს, მათი შედარებით ირკვევა, რომ მთელი ხიდი კი არ იყო ხის, არამედ ნაწილი, მოაჯირი? იბადება კითხვა: როგორი იყო ქალაქის ხიდები თბილისში და, საერთოდ, ამიერკავკასიის ქალაქებში, ჰქონდათ მათ მოაჯირი? მთის სინამდვილეში ამ საკითხს მიაქციეს უურადღება და აღნიშნულია, რომ იქ ხიდებს, ისევე, როგორც კიბეებს, არ ჰქონდათ მოაჯირი[386].

ცნობილია თბილისის ერთი ხიდის კონსტრუქცია — ის ერთთაღიანი იყო; მაგრამ ცნობა დუმს ხიდის მასალის შესახებ[387].

*
* *

ხიდები და გზები ურთიერთობათა გაცხოველებას უწყობდნენ ხელს. დარუბანდს, როგორც კასპიის ზღვის მნიშვნელოვან ნავსადგურს, გა-

---

379 ნ ე ს ა ვ ი, გვ. 271.

380 მ ა ს უ დ ი, მურუჯ... СМОМПК, ტ. 38, გვ. 43.

381 ძ ქ ე ი ძ, გვ. 172. შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 89.

382 მატიანე ქართლისა, გვ. 299.

383 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, იხ. „გდება".

384 მ უ კ ა დ ა ს ი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 8, BGA, ტ. III, გვ. 375—376.

385 ნ ე ს ა ვ ი, გვ. 168.

386 А. Ф. Г о л ь д ш т е й н, Дороги и мосты старого Дагестана, Зодчество Дагестана, с. 174.

387 ა ჯ ა ი ბ ალ-დუნია, გვ. 202.

მორჩეული ადგილი ეკავა ამიერკავკასიის ქალაქებს შორის. მისი ნავსადგურის აგებულება თვალნათლივ მოწმობს კასპიის ზღვაზე სავაჭრო ურთიერთობათა ინტენსიურ ხასიათს და ქალაქის მონაწილეობას ამ ურთიერთობაში. გარდა ამისა, ნავსადგური, — ერთადერთი ამიერკავკასიაში და ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობა მთელ ახლო აღმოსავლეთში, — სრულიად განსხვავებულ იერს აძლევდა ქალაქის გარეგან სახეს და საქალაქო ცხოვრებას.

სხვადასხვა აეტორთა აღწერილობათა შეჯერებით ირკვევა, რომ ნაპირიდან ზღვაში აგებული იყო 600 წყრთის (დაახლოებით 300 მ) სიგრძის პარალელური ორი კედელი. ამგვარად შექმნილი ხელოვნური ფარვატერი გემს ზღვიდან ნავსადგურში შესვლას უადვილებდა. კედლებს შორის „გაიელიან გემები იმ ადგილიდან სადაც ფარვატერი გაკეთებულია დაკლაკნილად. ამ ფარეატერის სათავეში გაჭიმულია ჯაჭვი, ტირისა და ბეირუთის ჯაჭვის მსგავსად, მასზე კი არის ბოქლომები, რომლებიც იმის განკარგულებაშია, ვინც თვალყურს ადევნებს ზღვის მდგომარეობას [მას საჰიბალ-კოფლ „ბოქლომის პატრონი“ ეწოდებოდა — პ. თ.]. გემი არ შედის და არ გამოდის ნებართვის გარეშე“[388]. იმავე თხზულების სხვა ხელნაწერით: ამ კედლებში „არის წყალზე დაკიდებული კარებები; ისინი გაკეთებულია მაგრად და მათი საგდულები თაღებზეა, თაღები კი გამოყვანილია ზედ წყლის ზედაპირზე და წყალი აღწევს თვით კარის საგდულამდე. კარებების მხრიდან დაკლაკნილი შესასვლელია გემებისთვის; სრუტის (ფარვატერის — პ. თ.) სათავეში, რომელშიც შედიან გემები, გაჭიმულია ჯაჭვი...“[389] და შემდეგ ისევე, როგორც ზემოთ არის დამოწმებული.

უკვე ელინისტურ ხანაში „ყოველ მნიშვნელოვან ქალაქს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა ჯაჭვებით ჩაეკეტა თუნდაც ერთი თავისი ნავმისადგომებიდან... ათენს ყველა თავისი ნავმისადგომის ჩაკეტვა შეეძლო“[390]. ნავსადგურის გრძელი კედლებით, ჯებირებით (ერთ-ერთი მათგანის, ძვ. წ. VI საუკუნით დათარიღებულის სიგრძე 220, სიგანე 40 მ იყო[391]) დაცვასაც უძველესი ტრადიციები გააჩნდა. ცნობილი იყო გემების შესასვლელის ჯაჭვის გარდა სხვა საშუალებით ჩაკეტვის ხერხიც[392]. ჯაჭვით იყო გადაკეტილი კონსტანტინოპოლში ოქროს რქა[393].

---

[388] იბნ ჰაუკალი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 88.

[389] იქვე.

[390] В. Тарн, Эллинистическая цивилизация. Перев. с англ., М., 1949, с. 283.

[391] Л. П. Маринович, Г. А. Кошеленко, Археологические работы последних лет в Малой Азии, ВДИ, 1967, № 1, с. 178.

[392] ასოღიკი, გვ. 97: «Император Лев... приказал протянуть решетчатую железную стену и замкнуть ворота [этого] цепного укрепления».

[393] История Византии в трех томах..., т. I, М., 1967, с. 363.

„დუმიატ... ძველი ქალაქია... ნილოსი აქ ზღვას უერთდება. ნილოსის სიგანე აქ დაახლოებით ასი წყრთა არის და მის ორივე ნაპირზე თითო კოშკია, მათ შორის რკინის ჯაჭვია (გაჭიმული), მასზე კი ზარი, და გემები შედიან და გამოდიან მხოლოდ ნებართვით"[394]. „ალ-მაჰდიიეა... ქალაქი იფრიკიაში. დაარსებული... 913 წ. ...მისი ნავმისადგომი გამოკეთილია მაგარ კლდეში და იტევს ოცდაათ გემს. ნავსადგურში არის ორი კოშკი, რომელთა შორის რკინის ჯაჭვია გემის ნავსადგურში შესვლის დროს გზავნიან დაცვას, რომელიც დაუშვებს ჯაჭვის ბოლოს რათა შევიდეს უცხო ქვეყნის გემი, შემდეგ კი ისევ დაჭიმავენ მას"[395].

კონსტანტინოპოლის ნავსადგურს ჰყავდა უფროსი[396]. სავარაუდოა, რომ ამ ხელის შესატყვისი იყო დარუბანდის ნავსადგურის ს ა ჰ ი ბ ა ლ-კ ო ფ ლ ი.

ირკვევა, რომ იბნ ჰაუკალის ცნობა არ არის გადაჭარბებული და დარუბანდის ნავსადგურიც თავისი დროის შესაფერი ტექნიკური აღჭურვილობით იყო აგებული. ცხადია, იგი ააგეს კასპიის ზღვის საკაჭრო ურთიერთობათა მოთხოვნილებების შესაბამისად. გვიანი ხანის მოგზაურები დარუბანდში, ნაპირთან ზღვაში ნანგრევი ლოდების სიმრავლეს აღნიშნავენ. პეტრე პირველის დროს სცადეს ნავსადგურის აღდგენა, მაგრამ უშედეგოდ[397].

*
* *

შესაძლებლობა გვაქვს შევეხოთ ქალაქის კეთილმოწყობის და სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებსაც.

საერთოდ, მემატიანენი იშვიათად, მაგრამ მაინც, ეხებიან ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების ამ მხარეს. ტრიპოლში, მაგალითად, სუფთა ქუჩები არისო, აღნიშნავს დაკვირვებული მოგზაურის თვალი[398]. „სუფთა, მშვენიერი ქალაქი" იყო ბარდავიც[399]. მაგრამ არდებილი სწორედ რომ საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენდა: ქალაქში „ბევრია აიენები[400], ხილი და უსუფთაობები; არის გამდინარე წყლები... ქალა-

---

394 ბ ა ქ უ ვ ი, გვ. 42 (49).

395 იქვე. გვ. 58 (129).

396 ა ს ო ღ ი კ ი, გვ. 178.

397 С. О. Хан-Магомедов, Планировка и застройка Дербента (до конца XIX в.), Зодчества Дагестана, с. 86.

398 ნ ა ს ი რ-ი ხ ო ს რ ო უ, გვ. 17.

399 ბ უ კ ა დ ა ს ი, იქვე, გვ. 7 და 375.

400 ასე ვთარგმნით ჩვენც დედნის كثير الرواشن -ს, კარაულოვის მსგავსად («много балконов»). მაგრამ რამდენად ზუსტია ეს თარგმანი და სახელდობრ, რას

ქი არის ჭუჭყიანი, მყრალი, მთელი ქვეყნის ერთი ფეხსადგილთაგანი (ა ჰ ა დ უ ქ უ ნ უ ფ ი ნ)"— გადმოგვცემს მეორე მოგზაური[401].

თუმცა ირკვევა, რომ არდებილი მთლად არ გაუწირავს ალაჰს — მუკადასისვე ცნობით, კეატი, ხვარაზმის ძველი დედაქალაქი მასზე გაცილებით უსუფთაო ყოფილა[402].

ასეთი ხასიათის ცნობები, ავტორებისთვის ჩვეული გაზვიადებაგადაჭარბების გამო, ალბათ, სინამდვილის ადეკვატურად არ უნდა აღვიქვათ. უარეს სურათს არდებილზე უფრო დიდ და მნიშვნელოვან ქალაქებშიც წააწყდებით[403].

ბაილაყანის დამახასიათებელ თავისებურებად თვლიან საცხოვრებელი სახლების ეზოებშიც მრავალრიცხოვანი მშთანთქავი ორმოებისა და ჭების არსებობას, მათ სანაგვედაც იყენებდნენ[404].

დარუბანდში არაბთა ბატონობის დროს ტაბარსარანელებს რიგრიგობით ევალებოდათ „ქალაქის ქუჩების გაწმენდა თოვლის, ტალახის და ყოველგვარი უსუფთაობისგან"[405].

თბილისის ციტადელის მცხოვრებნი, როგორც ირკვევა, „ნაგავგამტარად" მტკვარს იყენებდნენ[406]. სომხეთში დადასტურებულია აბანოს ნახმარი წყლის მშთანთქავი ორმო[407].

ﻭﺷﻦ

გულისხმობს روشن ეს საგანვებო შესწავლას მოითხოვს. იხ. E. W. Lane, დასახ. ნაშრ., ტ. I, ნაკვ. 3 გვ. 1091.

[401] მ უ კ ა დ ა ს ი, იქვე, გვ. 10 და 377—378.

[402] იხ. В. В. Б а р т о л ь д, Туркестан в эпху монгольского нашествия, Сочин , т. I, М., 1963, с. 200: «Город грязнее Ардебиля... жители большею частью совершают свои физические отправления прямо на улице... Жители сгребают грязь в кучи [просто] ногами». ბ ა რ ტ ო ლ დ ი შენიშნავს: «По переводу де Гуе: «Они принесят грязь на ногах в мечети».

[403] И б н а л-Ф а к и х, Мешхедская рукопись, гл. о городе Самарре. Публ. А. С. Ж а м к о ч я н а, ИФЖ 1973, № 2, с. 293: «...все равно Самарра, не похожа на Ваш грязный Багдад... Их отхожее место, как поток, а их дорога как свалка».

[404] იხ. МИА, 67, გვ. 56—68, 155, 171.

[405] Тарихи Дербенд-наме. Под ред. М. А л и х а н о в а-А в а р с к о г о, Тифлис, 1898, с. 81—82.

[406] ა ჯ ა ი ბ ალ-დუნია, გვ. 202. ქართ. თარგმ. გვ. 28 „წყალი ციხეს ძალიან ახლოს ჩუდის, ასერომ, რასაც ს ა რ კ მ ლ ე ბ ი დ ა ნ გადმოაგდებენ და გადმოყრიან წყალში ცეცვა". ხაზგასმული სიტყვის ადგილზე დედანში არის [illegible]; რუს. თარგმანში არის «...сыплют и бросают из маленьких ворот...» სპარს. რუს. ლექსიკონები: «دريچه (дариче) 1) дверца; окошко, оконце; форточка...» (Б. В. Миллер); «—1)дверца; калитка 2) форточка; окошко ..» (Ю. А. Рубинчик).

[407] А. А. Джагашпанян, Бани, с. 243.

ქალაქის გარეგან სახეს დიდად განსაზღვრავს მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სოფლის მეურნეობიდან საქალაქო მეურნეობის გამოყოფის დონე და ხარისხი. გარდამავალი „საფეხური“ ქალაქის ტოპოგრაფიაშიც აისახება. უფრო ფართოდ და ზოგადად ამ პროცესის აღმნიშვნელი უნდა იყოს სხვადასხვა ენაში დამკვიდრებული ტერმინი „სოფელ-ქალაქი“. ამავე დროს, ფეოდალური საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურის შესაბამისად განსაზღვრული უნდა გექონდეს ქალაქის ცნება, ქალაქის მცხოვრებთა იურიდიული მდგომარეობა და ეკონომიკური ურთიერთობის ფორმები.

ყოველივე აქედან გამომდინარე, წყაროებში დამოწმებული ქალაქის მოსახლეობის კუთვნილი „მიწები“ და „მამულები“, ისევე როგორც ქალაქის ფარგლებში არსებული „სოფლის ობიექტები“, ყოველთვის შეიძლება არ აღნიშნავდეს ქალაქის, როგორც ისტორიული კატეგორიის, განუვითარებლობას. ქალაქი ყოველთვის იყო მასზე „მოკიდებული“ ქვეყნის ცენტრი და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წარმმართავი.

ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ თითოეული ქალაქის კონკრეტულ შესწავლაზე დამყარებული განზოგადება თუ იქნება მეცნიერულად გამართლებული.

მემატიანეთა მიერ აღნიშნულ „თბილისის მამულებში“ (დ ი ‌ ‌ ‌

ლაქი დასახლებული, ლამაზი, მყარი გალავნებით აგურისა და თაბაშირისგან. მის შუაგულში მრავალი მდინარე მიედინება, ბაღები გარს ერტყმის მას"[409] (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

XIII ს. ანონიმი ნახჭევანს საკმაოდ დაწვრილებით აღწერს: „...ქალაქის სანახები (ساوَد) კარგია; გამდინარე წყალია; ბაღები (باغ) და'მწუანე' (سبز) ბევრია. მდინარე არეზი ქალაქის არეში მიედინება: ნაყოფი სასიამოვნოა. ამბობენ: მთელ ქვეყანაში ნახჭევნის ყურძენზე უკეთესი და სასარგებლო ყურძენი არ არის"[410].

ბაქუვი ნახჭევნის შესახებ: „...აქვს გალავანი და კუჰენდიზი. აგებულია გაშლილ ადგილზე (მდებარე) მაღლობზე ისე, რომ მოჩანს მდინარე არეზი. მასში ბევრია ბაღები, ხეები[411]; უხვია მარცვლეულით და ნაყოფებით"[412].

თუ პირველი ცნობა ეჭვს არ ტოვებს სოფლის მეურნეობის ობიექტების ნახჭევნის სანახებში არსებობის შესახებ, მეორეს მიმართ ამას ვერ ვიტყვით; პირიქით მისი ავტორის თანახმად ქალაქში ბევრი ბაღი და ხეა. მაგრამ აშკარად ჩანს, რომ პირველი უკეთესად იცნობს გარემოს. თუნდაც იმიტომ, რომ მეორესგან განსხვავებით მასთან არეზი ქალაქში მიედინება.

ცხადია, ნახჭევნის გარეგანი სახის დასადგენად (და აქედან გამომდინარე სხვა საკითხების გასარკვევად) მნიშვნელობა აქვს დაზუსტდეს — უჰენდიზიან ქალაქში გალავნის შიგნით მდებარეობდა თუ არა ბაღ-ვენახები და სახნავ-სათესი. ასეთ, შედარებით უკეთეს, ვითარებაშიც კი, როგორც ვნახეთ, ძნელდება ჭეშმარიტი სურათის აღდგენა. ჩვენ უპირატესობას პირველ ცნობას ვანიჭებთ.

XIII ს. შუა წლებში „რაბინი სიმეონი მღვდელი და ექიმი ფლობ-

---

[409] قزوینی, გვ. 37—38; შდრ. زکریا ال-قزوینی გვ. 31. „თიბრიზი. გამაგრებული ქალაქია, მყარი კედლებით... იქ ბევრი მდინარე და ბაღია რომელნიც მას გარს ეკვრიან". حمدالله قزوینی, نزهت ال-قلوب [The geographical part of the Nuzhat al-Qulūb compos. by Hamd-Allāh Mustawfi of Qazwin in 740 (1340). Ed. by G. Le Strange, Leiden—London, 1915 (GMS, XXIII, I)] გვ. ٧٩: „ნაჰე სარდრუდის სოფლების და ქალაქ თავრიზის ბაღები ერთმანეთს გადაებმოდა, რომელ სოფელს ეკუთვნის ვერ გაარჩევ". باقوی გვ. 67 (31): «Табриз... имеет крепкие стены... там много рек и он окружен садами».

მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ არაბულსა და სპარსულში رود მდინარის გარდა არხსაც ნიშნავს!.

[410] ابن الدین, გვ. 209.

[411] დედანში გარკვევით არის البساتين و الاشجار ბაქუვი, არაბ. ტექსტი გვ. [63a]. ზ. ბუნიატოვი თარგმნის: «...много садов, лесов» (sic) იქვე, გვ. 99 (66).

[412] იქვე.

და მარაღაში „სამეფო ბაღებსა და ბაღჩებს და მშვენიერ ადგილებს“[413]. ვიცით, რომ X საუკუნეში მარაღა „ერთობ ჯანმრთელი, აყვავებული; ბაღებით (ا ل-ب ا س ا ت ي ن), სოფლებით (ا ل-ر ا س ا ت ي ق) და ნათესებით (ا ل-ز ر ع) მდიდარი ადგილი იყო“[414], მაგრამ აქედან მხოლოდ ბაღები თუ შეიძლება იყოს ქალაქში. რუსტაკი „სოფლების ჯგუფია“[415], ხოლო, თუ „ნათესებიც“ ქალაქში აღმოჩნდა, მაშინ სოფელს რაღა „დარჩა“? ასე რომ, აქ და მსგავს შემთხვევებშიც ქალაქს მიმდგომი, მასთან დაკავშირებული სოფლები თუ სხვა სამეურნეო დასახლებანი უნდა ვიგულისხმოთ, სადაც, ადვილი შესაძლებელია, ქალაქის მცხოვრებლების მიწის ნაკვეთებიც მდებარეობდნენ.

მარაღაში ბაქუვი ასახელებს „ბაღს“ (ب و س ت ا ن) ყიდამათბადად სახელდებულს, რომლის ფართობი ფარსახი ფარსახზე იყო[416]; ესე იგი — 36 კვ. კმ. თუ მარაღაში მდებარე ბაღი ასეთი სიდიდის იყო, რაღას უდრიდა თვით ქალაქის ფართობი? შედარებისთვის შევნიშნავთ, რომ, ისტახრის თანახმად, ბარდავის ფართობი „კვადრატულ ფარსახზე (ესე იგი, სწორედ 36 კვ. კმ — პ. თ.) მეტი“ იყო[417].

ჩვენი აზრით, იბნ ჰაუკალი უფრო ზუსტია: „م ا س ت ا ن (მარაღასთან) ბევრი რუსტაკებია და ნათესები“[418] (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

თუ X ს. მარაღაში არ იყო ქალაქის შიგნით ბაღები და სახნავ-სათესი, რა საფუძველი გვაქვს XIII საუკუნეში ვივარაუდოთ მათი არსებობა? ეს ხომ საქალაქო ცხოვრების დაქვეითების მანიშნებელი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვგულისხმობთ ყოველთვის და ყველგან საზოგადოებრივი განვითარების განუწყვეტელ აღმასვლას; მაგრამ ბაქუვის დროს მარაღაში ნასირ ალ-დინ თუსის ობსერვატორია მოქმედებდა[419].

გასარკვევია შემდეგი: რამდენად შეესაბამება, აკმაყოფილებს ქალაქის ცნებას წყაროებში აღწერილი ესა თუ ის გეოგრაფიული პუნქტი, რომელსაც მემატიანე ქალაქს უწოდებს და რომელშიც (რომელთანაც?) ბაღები და სახნავ-სათესებია დასახელებული[420]. ზოგჯერ ისინი, შესაძლებელია, „სოფელ-ქალაქებს“ წარმოადგენდნენ, სუსტად

---

[413] ბ ა ქ უ ვ ი, გვ. 76.

[414] ი ს ტ ა ხ რ ი, СМОМПК, ტ. 29, გვ. 5.

[415] В. В. Бартольд, К истории орошения Туркестана, Сочин., т. III, с. 119.

[416] ბ ა ქ უ ვ ი, გვ. 80 (104).

[417] იხ. ბ ა ქ უ თ ი, გვ. 31.

[418] ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, იქვე, გვ. 83; შდრ. G. Le Strange, The Lands of the Eastern Caliphate, Cambridge, 1930, p. 164: «Maraghah was a most pleasant town, surrounded by a wall beyond which lay fruitful orchards“.

[419] ბ ა ქ უ ვ ი, გვ. 80 (104).

[420] იხ., მაგალითად, ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, იქვე, გვ. 85.

განვითარებული საქალაქო მეურნეობით, სადაც მცხოვრებლებს მჭიდრო კავშირი აქვთ სოფლის მეურნეობასთან; და რადგანაც მათი დასახლების გარეგანი სახე ქალაქის ტოპოგრაფიის კომპონენტებს (გალავანი, მეჩეთი, ბაზარი) შეიცავს, მემატიანე ამიტომაც უწოდებს მას „ქალაქს“. მაგრამ ამ საკითხების კვლევა ქალაქთა კლასიფიკაციის სფეროში შედის.

არცთუ იშვიათად ამა თუ იმ ქალაქის აღწერა სინამდვილეში ამ ქალაქის „ქვეყნის“ აღწერას გულისხმობს. ბარდავი „ძველი, დიდი ქალაქია არანის შუაში. (აქ) მრავალი სიკეთე და გამდინარე წყლებია, 'მწუანე' და ჭალები (ს ე ბ ზ ე ზ ა რ ო ბ ი შ ე) ბევრია, სასიამოვნო ხილია. ქალაქის გვერდით საძოვარია (ა ლ ა ფ ხ ა რ ი), რომელსაც ბ ა ლ-ი ს ა ფ ი დ ს უწოდებენ. მეფეთა საჯდომი ადგილია და კარგი სანადირო ადგილია (შ ე ქ ა რ გ ა ჰ). ბარდავში არის მეჩეთი...“[421].

ცხადია, რომ ავტორი ბარდავის „ქვეყანას“ აღწერს. იგივე უნდა ვიგულისხმოთ იმ შემთხვევებშიც, როდესაც იგივე ავტორი არ უთითებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თუ სად მდებარეობდა (ქალაქში თუ მის ოლქში) სახელდებულ თუ „უსახელო“ (ქალაქის აღწერა ქალაქის სახელწოდების გარეშე) ქალაქებთან აღწერილი „მრავალი მწუანე. მდელოები, საძოვრები, ბაღები“[422].

აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებოა ქ. მუღანის აღწერა: „მუღანი ორი მდინარით და მშვენიერი ბაღებით გარშემორტყმული ქალაქია, თითქოს ის ამ ბაღების სივრცეში (ჩაფლული) წალკოტია; ის თავრიზთან ერთად ორი ბაღია“[423].

რუსული თრგმანის მიხედვით ბაღები ქალაქში, მოედნებზე — ყოველ შემთხვევაში, ქალაქის ფართობზე — მდებარეობენ. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ასე არ არის. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული ბაღების არსებობა ისეთი პატარა ქალაქის შიგნით, როგორიც მუღანი იყო, მაგრამ არც ისეთი კატეგორიული მტკიცების საფუძველს გვაძლევს წყარო, როგორც ეს კარაულოვის თარგმანშია მოცემული.

თარგმანის „ბაღი“ დედანში სამი სხვადასხვა სიტყვით არის გად-

---

[421] აკ�ბ ალ-დენია, გვ. 201, სპარ. ტექსტი, გვ. 214. შდრ. ქართ.თარგმ., გვ. 27: „...ლდი სიმდიდრე აქვს, ნაკადულები, მდელოები და ბევრი ტყე... ქალაქთან ერთი მინდორია, რომელსაც „თეთრ ბაღს“ უწოდებენ.

[422] იქვე, passim.

[423] ბ ე ლ ა დ ი ს ი, BGA, ტ. III, გვ. 378: «موغان مدينة قد احاط بها نهران ، و حولها حدائق حسان ، كانها فى رحبها جنان ، هى مع تبريز روضتان».
СМОМПК, т. 28, вып. II: «Мукан—город окруженный двумя реками и прекрасными фруктовыми садами; сады же и на площадях его; он и Тебриз [illegible] сады».

მოცემული[424]. მაგრამ ამ ტერმინებს არა აქვთ ისეთი კონკრეტული შინაარსი, რომელიც მიგვანიშნებდა მათ ადგილმდებარეობაზე — ქალაქში თუ ქალაქის გარეთ.

სხვადასხვა თხზულებები გვაწვდიან ცნობებს, რომ ქალაქის მცხოვრებლებს ჰყავთ საქონელი. საქონელი კი თავის სადგომს და საკვებს საჭიროებდა. თივის ზვინს ქალაქელი კაცი თავისი საცხოვრებლის ეზოშიც დადგამდა. მაგრამ საქონლის სადგომი საგანგებო ნაგებობას მოითხოვდა, რომელიც, შესაძლებელია, საცხოვრებლის კომპლექსში შედიოდა ან ცალკე იდგა — ეს უკვე საქალაქო ცხოვრების და კულტურის განვითარების დონის შესაბამისად.

დამოწმებული მასალა ქალაქსა და სოფელს შორის უშუალო კავშირების, ქალაქისა და სოფლის მეურნეობის ერთმანეთისგან გამიჯვნის ხარისხის მაჩვენებელია. ეს ხარისხი გაცილებით მაღალი იყო ამიერკავკასიის დიდ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებში. ყველაფერი ეს, ცხადია, ქალაქის გარეგან სახეში გამოიხატებოდა.

ფეოდალური ქალაქის გარეგანი სახის წარმოსახვას აადვილებს საქალაქო მეურნეობის ძირითადი დარგის, ხელოსნური წარმოების, შესწავლაც.

---

[424] جَنَّة حَدِيقَة رَوضَة მათ შესახებ იხ. E. W. Lane, დასახ. ნაშრ.

თავი მეორე

ამიერკავკასიის ქალაქების ხელოსნური წარმოება

ხელოსნური წარმოების განვითარების დონე დიდად არის დამოკიდებული ადგილობრივ პირობებზე, სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებზე, ნიადისეულზე, მადნის შემადგენლობასა, ხარისხსა და მოპოვების პირობებზე და, რა თქმა უნდა, ხელოსანთა „კადრებზე“ ანუ ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე.

X—XIII სს. თხზულებანი და არქეოლოგიის მონაპოვარი არსებითი ხასიათის ცნობებს შეიცავენ აღნიშნული საკითხების შესასწავლად.

ლითონდამჭუშავებელი დარგის განვითარებას ხელს უწყობდა სხვადასხვა მადნეულის ადგილობრივ, ამიერკავკასიაში, არსებობა, მისი დამუშავების და ლითონის გამოდნობის უძველესი და უმდიდრესი ტრადიციები. ცალკეულ მხარეებში წყაროები ასახელებენ რკინის, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, ვერცხლის, ვერცხლისწყლის, მანგანუმის, სურმის საბადოებს[1].

„შიზი... მხარე აზერბაიჯანში... მისი ვერცხლისწყალი უკეთესია ხურასნისაზე, უფრო მძიმეა და სუფთა. ჩვენ გავსინჯეთ იგი და მისი შეფარდება [მისი შემცველობისა] მადნურ ვერცხლში აღმოჩნდა ერთი ოცდაათთან. ჩვენ მსგავსი არ გვინახავს აღმოსავლეთში. რაც შეეხება მის ვერცხლს, იგი ძვირია მათთან ნახშირის სიძვირის გამო“[2].

ოქროს ასახელებენ ალ-რანში და შიზში. „რაც შეეხება (შიზის) ოქროს იგი სამი სახისაა: ერთი სახეობა მისი ცნობილია ალ-კუმისიდ. ესაა მიწა, რომელსაც ასხამენ წყალს. მას (მიწას) ჩარეცხავს წყალი და რჩება თიბრი, ვითარცა წვრილი მარცვალი, რომელიც იკრიბება

---

[1] ვახუშტი, გვ. 311; იბნ ალ-ფაკიჰი, СМОМПК. ტ. 31, გვ. 39; აბუ დულაფი (Вторая записка Абу Дулафа. Изд., текста, перев., введ. и комм. П. Г. Булгакова, и А. Б. Халидова, М., 1960), გვ. 32, 34, 38, 39. მაკუთი, გვ. 25, 26, 58, 68. ჰამდალაჰ ყაზვინი, ნუზჰათ ალ-ყულუბ, გვ. 69; ბაქუვი, გვ. 72 (58.)

[2] აბუ დულაფი, გვ. 32; მაკუთი, გვ. 68—69.

ეერცხლის წყლის საშუალებით. იგი წითელია, ხალუკის ფერისაა, მძიმეა, სუფთა, ხასხასა, ცეცხლგამძლე, რბილი და ჭედადი.

მეორე სახე იწოდება ას-საჰრიკრდ. პოულობენ მას ნაჭრებად ერთი ჰაბბიდან ათ მისკალამდე წონით. იგი ხასხასა, მკვრივი და მძიმეა, მაგრამ არის მასში ცოტა სიმშრალე.

სხვა სახეობა იწოდება ას-საპანადრდ. იგი თეთრია, რბილი, მძიმეა, წითელია სინჯვისას და იღებება აჯასპით"[3]. ოქროს მეორე სახეობას აბუ დულაფთან ალ-შაჰრანი, მესამეს — ალ-საჯაბაზი ეწოდება"[4].

ირკვევა, თუ როგორი „ტექნოლოგიური" პირობები უნდა დაეკმაყოფილებინა ლითონს ხელოსნის, პირველ რიგში, ოქრომჭედლის ხელში.

საკმაო მრავალფეროვნებით ხასიათდება მინერალური საბადოებიც. პირველ რიგში აღსანიშნავია მარილი, რადგანაც მას ფეოდალურ საზოგადოების სავაჭრო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მარილის სარეწები ცნობილი იყო ვანის და ურმიის ტბების მიდამოებში, ბაქოს რაიონში. წყარო ახასიათებს მარილის ხარისხსაც: ურმიის ტბიდან „ამოაქვთ მარილი ბრწყინვალებით მსგავსი თუთიისა" და „ბემრიელი". არაბებში გაერცელებულ მარილის ოთხი სახეობიდან ერთს — „არმინიული" ეწოდებოდა[5].

სხვადასხვა წყაროებში დასახელებულია სხვა მინერალებიც: მაგნეზიტი, გოგირდი, დარიშხანი[6], შაბი თეთრი და წითელი, წითელი და შავი შაბიამანი და სხვ.[7].

დასახელებულია კარგი ხარისხის და დიდი რაოდენობის ბამბა განძაში, მარაღაში, კაბანში, მარანდში, ნახჩევანში, ბაილაყანში, ნავდიზში, დიზმარში, ორდუბადში[8]. ცხადია, აქ უნდა ვიგულისხმოთ ამ ქალაქების სასოფლო სამეურნეო რაიონები. მოჰყავდათ სელიც[9]. ამ კულტურას უძველესი ტრადიციები გააჩნდა ამიერკავკასიაში (კოლხური სელი).

წყაროები გვაწვდიან ცნობებს ბუნებრივი საღებავი ნედლეულის

---

[3] ჯაკუთი, გვ. 68—69.

[4] აბუ დულაფი, გვ. 32.

[5] იბნ ჰაუკალი, გვ. 97, 124—125, შ. 60. ჯაკუთი, გვ. 25, 29, 58; აბუ დულაფი, გვ. 37—38, 39; Тарихи Дербенд-наме, с. 86; აჯაიბ ალ-დუნია, გვ. 200; ზაქარია ალ-ყაზვინი, გვ. 31, 35.

[6] ორი სახის: ყვითელი და წითელი.

[7] იბნ ჰაუკალი, გვ. 125; იბნ ალ-ფაკიჰი, გვ. 39; აბუ დულაფი, გვ. 32, 34—36, 39, ჯაკუთი, გვ. 30, 34, 58.

[8] ჰოდუდ ალ-ალემი, გვ. 161.

[9] ისტახრი, СМОМПК, ტ. 29, გვ. 11, ВСА, I, გვ. 183; И. П Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV веков, М.—Л., 1960, с. 193.

შესახებ. აქაური ყირმიზი, ზაფრანი, ენდრო კარგი სახელით სარგებლობდა ამიერკავკასიის გარეთაც. აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი საღებავების წარმოება და გამოყენება ამიერკავკასიის შორეულ წარსულში იღებს სათავეს[10].

საგანგებო ყურადღებას უთმობენ წყაროები ყირმიზის საღებავს; იგი ვაჭრობის საგანიც იყო. „ქმნნ ამ საღებავს ჭია, აბრეშუმის ჭიის მსგავსად, როდესაც ეს ირგვლივ შემოიქსოვს პარკს“[11]. ეს ჭია „მარანდის ველებში არის და ზამთრის ერთ განსაზღვრულ კვირაში უნდა მოგროვდეს; თუ არა, ყირმიზი იჩუტება და ყვითლდება“[12]. „არმენიელები ამბობენ: ჩვენ ყირმიზი გვაქვს, რომელიც ჩვენს გარდა არსად არ არის. ეს არის წითელი ჭია, რომელიც გამოდის გაზაფხულის დღეებში. მას აგროვებენ, ხარშავენ და ღებავენ იმით შალს. უხვად არის ენდრო“[13]. მუკადასი უფრო აზუსტებს: საღებავების ნედლეულს ქალები აგროვებდნენო სპილენძის ჭურჭელში[14].

მაგრამ არმენიის გარდა ყირმიზი, ისევე როგორც ენდრო, სხვაგანაც იყო ამიერკავკასიაში. კასპიის ზღვის უდაბურ, მტკვრის შესართავთან მდებარე კუნძულზე „იღებენ ენდროს“[15].

ყირმიზის ჭია, მართლაც, მიწაში, განსაკუთრებით მარცვლეულის ფესვებზე იზრდება[16].

ამიერკავკასიაში ენდროს[17] გავრცელებასა და სამრეწველო მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ XIX ს. რუსეთის საფეიქრო მრეწველობის საღებავებზე გაზრდილი მოთხოვნილების გამო ბაქოს გუბერნიაში, დარუბანდის ოლქში ენდროს პლანტაციები 400 ათას ფუთ ნედლეულს იძლეოდნენ წელიწადში. დარუბანდის ენდრო ერთ-ერთ საუკეთესო ჯიშად ითვლება. ამ საღებავისგან, რომელიც თავისი თვისებებით უკეთესია ვიდრე ხელოვნური, სინთეზური საღებავები, ამზადებენ, გარდა მკვეთრი წითლისა, ასევე სხვადასხვა ფერის საღებავებს[18].

საღებავებს ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგში იყენებ-

---

[10] Т. А. Буниятов. К истории крашения пряжи в древнем Азербайджане. МИАз., т. VI, Баку, 1963, с. 15.

[11] იბნ ჰაუკალი, СМОМПК, ტ. 38, გვ. 92.

[12] ჰამდალაჰ უაზვინი, ნუზჰათ ალ-ყულუბ, გვ. 88.

[13] იბნ ალ-ფაკაჰი, გვ. 39.

[14] მუკადასი, იქვე, ტ. 38, გვ. 16.

[15] ბაკუთი, გვ. 28.

[16] В. Н. Русанова, Кошенил на Апшероне, ИАзФАН, 1944, № 11, с. 83.

[17] Rubia tinctorum.

[18] С. О. Хан-Магомедов, Планировка, с. 95—96.

დნენ. არქეოლოგიური მასალით დასტურდება ამიერკავკასიაში ფერადი მინის არსებობა[19].

არის ცნობები სხვადასხვა მცენარეების მოპოვების შესახებ. სომხეთში დამოწმებულია ბერძნული ლავანდი[20]. ამ ნახევრადბუჩქოვანი მცენარის ყვავილებისგან ხდიდნენ სურნელოვან ზეთს ნელსაცხებელთა დასამზადებლად[21]. ანონიმი ავტორი გადმოგვცემს, რომ 603/1206—1207 წელს, როდესაც ის არზან ალ-რუმში (არზრუმი) იმყოფებოდა, იმ დროს ყოველდღიურად ქალაქში ასი ხ ა რ ვ ა რ ი ია მოჰქონდათ[22].

ბაქოს ნავთობს აღნიშნულ საუკუნეებშიც სარეწაო მნიშვნელობა ჰქონდა. ცნობილი იყო რამდენიმე ფერის ნავთობი. ბაქოში „არის ნავთის [ნ ა ფ ტ] დიდი წყაროა... მის გვერდით მეორე საბადოა, რომლიდანაც განუწყვეტლივ, დღე და ღამე, მიედინება თეთრი ნავთი, როგორც ვერცხლისწყლის ზეთი“[23]. ასახელებენ აგრეთვე შავ და მწვანე ნავთობს[24].

---

[19] შდრ. რუსთაველთან, 689: „.. ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამან“, და 321 „...შეიქმნა პირითა მინა-ვარდ-ოა“; (მინის, როგორც ხელოსნური ნაწარმის შესახებ იხ. ქვემოთ).

[20] ლევადა Lavandula.

[21] „ვეფხისტყაოსანში“ (329) არის: „ალარზედა ბაღჩა, საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა;“ და 341: „მრავალად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა“. დამოწმებულია სტროფების „სარაჯი“ ა. შ ა ნ ი ძ ი ს ლექსიკონში (იხ. იქვე, გვ. 380) განმარტებულია: „ლარით ან მილით ვამოყვანილი წყალი“. შდრ. ა. ნ ე ი მ ა ნ ი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი: «სარაჯი, შადრევანი, ფავარი (ფავანი)“, „ვეფხისტყაოსნის“ დამოწმებით. ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი: „სარაჯა ქვისა და ძელის ლარივით რუსათვის“; „ს ა რ ა ჯ ი... იგივე ლარულად ნაკმარი... ქვა ანუ ძელი აქათ-იქით ოდვას, შუა რუსავით წყალი მოდიოდეს (მიდიოდეს) ავზი“. „მრავალი“ მილით ან ლარით აბანოში ვარდის წყლის დენა თითქოს ცოტა მოულოდნელია. რუსთაველს, როგორც პოეტს, რა თქმა უნდა, შეეძლო მოეცა ასეთი პოეტური სახე. მაგრამ აქ გასათვალსწინებელია შემდეგი: ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ.. «სარაჯ-ი: „ვითარცა ზეთი პატრუკსა, ვიდრემდის ადგნ-ლა ს ი რ ა ჯ ს ა, აწოვებენ და ცეცხლი იგი ძლიერად ინათებინ“ მ. სწ. (მამათა სწავლანი, X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ი. ა ბ უ ლ ა ძ ე მ ა. შანიძის რედ., თბ., 1955), გვ. 182$_{16}$». ეგზ: „სარაჯ-ი (სარაჭისა) იგივეა, რაც სარაჯი[2]“. „სარაჯი[2] (სარაჭისა) იგივეა, რაც ფიჭა“.

მუნჯიდის, Аттая-ს Баранов-ის Dozy-ს Vullers-ის, Steingass-ის ლექსიკონები: ს ი რ ი ჯ, ს ი რ ა ჯ (შ ი რ ა ჯ)— „გუნჯუთის (შირაბახტის), სესამის ზეთი, ს ი რ ა ჯ— „ლ ა მ პ ა რ ი“; ა ლ-ს ი რ ა ჯ მრ. ს უ რ ა ჯ— „ჭურჭელი, რომელშიც თაესდება ზეთი ან მისთანანი“.

ხომ არ გულისხმობს რუსთაველთან „სარაჯი“ ვარდისწყალზე დაყენებულ ნელსაცხებელს ან სანელსაცხებლე ჭურჭელს?

[22] ა ჯ ა ი ბ ალ-დუნია, გვ. 199; [illegible] Viola.

[23] ბ ა ქ უ თ ი, გვ. 26.

[24] ა ჯ ა ი ბ ალ-დუნია, გვ. 200. დაწვრილებით იხ. С. А ш у р б е й л и, Очерк, с. 47—75. ო ლ ე ა რ ი უ ს ი (გვ. 483) მხოლოდ ორი ფერის ნავთს აღნიშნავს.

ნავთობს სამხედრო მიზნით ამიერკავკასიაში იყენებდნენ უკვე ძვ. წ. I საუკუნეში[25]. „ნაფთის“ საწვავად გამოყენების შემთხვევა დადასტურებულია ადრეული შუა საუკუნეების საქართველოშიც[26].

„მე ვნახე... ბაქოსთან ადგილი, სადაც [მიწიდან] ამოდის კ ი რ-ი“[27]. დედნისეული კ ი რ სამშენებლო საქმეშიც გამოიყენებოდა.

ნავთობზე მოთხოვნილება — განსაკუთრებით სამხედრო საქმეში — მის მოპოვებასაც ზრდიდა. ბაქოში ყოველდღიურად იღებდნენ „ორას აქლემის სატვირთო ნავთობს...“[28]. საყურადღებოა, რომ აქვე ნავთობის „საბადოების გვერდით არის ყვითელი ფერის მკვრივი მიწა, რომელიც იწვის სანთლის მსგავსად. მას მოამტვრევენ ხოლმე ნატეხებს და მიაქვთ ქალაქში სახლებისა და აბანოების გასათბობად“[29]. ეს მნიშვნელოვანი, თუმცა რამდენადმე ნაგვიანევი ხანის, ცნობაა საქალაქო მეურნეობის, კულტურის ისტორიის შესასწავლად.

*
* *

წარმოების საშუალებათა წარმოებასაც ფეოდალური საზოგადოება სათანადო ყურადღებას უთმობდა. მაგრამ ფეოდალური ეკონომიკის, წარმოების ძირითად შინაარსს მაინც ადამიანის უშუალო მოთხოვნილებათა (სამხედრო საქმესთან ერთად) დაკმაყოფილება განსაზღვრავდა. ხოლო ფუფუნების საგნების წარმოება და გასაღება შუა საუკუნეების ხელოსნური მრეწველობის და საერთაშორისო ვაჭრობის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს წარმოადგენდა.

ახლო აღმოსავლეთის მცხოვრებთათვის, ა. მეცის აზრით, ტანსაცმელი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი რამ იყო. ჩაცმა-დახურვის ხელოვნება უაღრესად დაიხვეწა; ბინის მორთულობას კი ურიცხვი ფერადი ფარდები შეადგენდნენ. ფუფუნებაში ცხოვრება აქ, უპირველეს

---

[25] Н. Пигулевская, Города, с. 57.

[26] ი ო ვ ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე, გვ. 172: „მოიღეს შეშაჲ და თივაჲ და ნაფთი და დასხეს გუემსა მას... და დააგზნეს ცეცხლი“.

[27] ლ ა რ ნ ა ტ ი (რუს. თარგმ), გვ. 23 შ. 3. კირ — «Смола, битум» «Смола — ѳиѳи, ѳеѳеи, кирь, асфалтъ“ — Русско-грузинский словарь составл. Д. Чубиновым, Тифлис, 1886, 1901. ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი: „კირი ესე კერი სომხურია, ქართულად ასფალტოსია“; „ასფალტო (ასფალტ) ალდადმ და წყალდმ გამოვა შავი (ა) კირს(ა) ჰგავს“. ოშკის ბიბლიაში: „ეგზებდეს სასემოსსა მას ნაკოსა, ფისსა, ნაძეძსა და ნასხლეესა“ — ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., „ეფისი“.

[28] ბ ა ქ უ ვ ი, გვ. 89 (17). არის ცნობა ნახშირის საწვავად გამოყენების შესახებაც — იქვე, გვ. 94 (37).

[29] იქვე, გვ. 89 (17).

ყოვლისა, კარგად ჩაცმას გულისხმობდა, ხოლო მყუდროდ და სასიამოვნოდ ცხოვრება — კედლებისა და იატაკის ლამაზი ნოხებით მორთვას[30].

ამიტომაც თუ მიაღწია განვითარების მაღალ დონეს საფეიქრო ხელოსნობამ აღმოსავლეთის ხელოსნურ წარმოებაში. ამავე დონეს შეესაბამებოდა ამიერკავკასიის ქალაქების საფეიქრო მრეწველობა როგორც წარმოებული საქონლის ხარისხით, ასევე ნაწარმის მრავალფეროვნებით.

აბრეშუმის ქსოვილი შედარებით ფართოდ ვრცელდება უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში. წელთაღრიცხვათა მომიჯნავე ხანაში შუა აზიის საქარავნო გზის ათვისებას უკავშირდება აგრეთვე ჩინეთიდან აბრეშუმის გავრცელებაც პართიის სახელმწიფოში და, შესაძლებელია, ეგვიპტეშიც. ისახება აბრეშუმის წარმოების ადგილობრივი კერებიც დასავლეთ აზიაში და ფინიკიაში[31].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აბრეშუმის ჭიის გამოყვანა და, მაშასადამე, ქსოვილის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის გამომუშავება „ბიზანტიის ოლქებში მხოლოდ VI ს. განეკუთვნება“[32], მომდევნო ხანაში კი აბრეშუმის წარმოება უკვე დასავლეთიდან, ბიზანტიიდან აღმოსავლეთისაკენ ვრცელდება — სასანელებმა ბიზანტიის იმპერიიდან გადმოღებული აბრეშუმის წარმოება ხუზისტანში დანერგეს. X საუკუნეშიც ბერძნული ატლასი ისევ საუკეთესოდ ითვლებოდა[33].

სხვა მოსაზრების თანახმად. VI—X სს. შორის მეაბრეშუმეობა თანდათან ვრცელდებოდა მერვიდან და გურგანიდან ტაბარისთანში, დეილემში და სამხრეთ კასპიისპირეთის სხვა ოლქებში[34].

ამიერკავკასია აბრეშუმის გავრცელების ორივე აღნიშნული გზის შესაყარზე მდებარეობდა. ამდენად, აქ ის ადრევე უნდა გავრცელებულიყო. საკითხის შესწავლის დროს გასათვალისწინებელია ის ცნობები, რომლებიც, შესაძლებელია, აბრეშუმის ადგილობრივ წარმოებას უკავშირდებოდეს. კერძოდ, იაკობ ცურტაველთან დამოწმებული „ჭიჭ-

---

[30] А. Мец, Мусульманский ренессанс. Перев. с немец. предисл., библиогр. и указатель, Д. Е. Бергельса, 1966, с. 357. საქართველო და სომხეთი შედის ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფიულ არეში, მაგრამ თუ რა ვითარებაა ამ ქვეყნების კულტურის აღნიშნულ სფეროში, ეს საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

[31] В. Тарн, Эллин. цивилизация, с. 231—232; იხ. აგრეთვე ВДИ, 1940, № 2, გვ. 153; „M. Th. Schmitter, Chine ou Proche-Orient?“ რეზიუმე.

[32] Н. Пигулевская, Города с. 226.

[33] А. Мец, დასახ. ნაშრ., გვ. 360.

[34] И. Петрушевский, Земледелие, с. 166. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ნნიშვნელოვანი იყო ქ. ამული; იხ. В. В. Бартольд, Место, с. 680.

ნაუხტი“ განმარტებულია, როგორც „აბრეშუმის ქსოვილი“[35]. საყურადღებოა აგრეთვე სულხან-საბას ლექსიკონში დაცული მასალა. სახელდობრ, „ბოჟი — ახალი ყაჟის პარკი; ყაჟის პარკი უმი“ და აბრეშუმთან დაკავშირებული სხვა სიტყვები („ჭიჭნაური“, „ჩიგორგალი...“). თუ „ჭიჭნაუხტი“ მხოლოდ აბრეშუმის ქსოვილს აღნიშნავს, სიტყვის ეტიმოლოგიამ შესაძლებელია ზოგი რამ გაარკვიოს საქართველოში აბრეშუმის წარმოების ისტორიიდან. მით უმეტეს, რომ ჩვენში აბრეშუმის გავრცელების ხანად IV—V სს. ვარაუდობენ[36]. აღნიშნულია ისიც, რომ VI ს. ბიზანტიურ წყაროებში წერენ იბერიული აბრეშუმის შესახებ[37].

განძაში გათხრების დროს აღმოჩნდა მინის პატარა რგოლები, რომელთა დანიშნულებას აბრეშუმის ქსოვას უკავშირებენ, და ვარაუდობენ, რომ მათი საშუალებით აბრეშუმის ძაფს გრეხდნენ საქსოვ დაზგაზე, ისევე როგორც ამას აკეთებდნენ აბრეშუმის ქსოვის დროს შემახას ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ ახლო წარსულში[38].

მინგეჩაურის V—VII სს. დათარიღებულ სამარხში აღმოჩენილი საქსოვი დაზგის ნაწილები, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების ნაშთებითურთ, აბრეშუმის ადგილობრივ წარმოების ვარაუდის საფუძველს გვაძლევს[39].

ჩრდილო კავკასიის სამარხეულ კომპლექსებშიც აღმოჩნდა აბრეშუმის ქსოვილი. ნაპოვნია სოღდის დაბალი ხარისხის ან მისი მინაბაძი ადგილობრივი წარმოების აბრეშუმის ქსოვილისგან დამზადებული ნივთი. ასეთი აბრეშუმის ქსოვილი ფართოდ იყო გავრცელებული VIII—IX სს. ჩრდილოეთ კავკასიაში[40].

X საუკუნის არაბი გეოგრაფები უცილობლად ადასტურებენ ამი-

---

[35] იაკობ ცურტაველი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკის დედოფლისაჲ, ძველი, გვ. 139₃₂: „ესოდ ჩჩდიმან ზეზანაკ ნაცვალად ჭიჭნუხტისა საკმისა... ჯელთა აღიხუნა დავითნი“; გვ. 372 (ლექსიკონი): „ჭიჭნაუხტ-ი, აბრეშუმი“. შდრ. ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 558.

[36] გ. ლომთათიძე, წიგნში ᲥᲘᲑ, II, გვ. 566.

[37] „გეორგიკა“, ტ. VII, გვ. 31, ს. ყაუხჩიშვილის შ. 1: „ცნობილია, რომ ჯერ კიდევ VI საუკუნეში ბიზანტიურ წყაროებში არის ლაპარაკი იბერიულ (ე. ი. ქართულ) აბრეშუმზე“ (ხაზი ჩვენია — პ. თ.). შენიშვნა ეკუთვნის იოანე ცეცეს ცნობას.

[38] И. Д. Джафар-заде, Ист.-археол. очерк, с. 81—82.

[39] С. Б. Ашурбейли, Ремесла и торговля раннесредневековых городов Азербайджана, МИАз — Тр. музея ист. Аз., т. II, Баку, 1957, с. 152; შდრ. С. М. Казиев, О двух кувшинных и двух катакомбных погребениях (резюме), МКА, III, Баку, 1953, с. 35.

[40] В. А. Кузнецов, А. П. Рунич, Погребение аланского дружинника IX в., СА, 1974, № 3, с. 196—202.

ერკავკასიაში აბრეშუმის ჭიის კულტივირებას და აბრეშუმის ქსოვას. მათ ცნობებზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეს აქ დიდი ხნის ტრადიციები გააჩნდა.

ბარდავში „აბრეშუმის ჭია იკვებება თუთის ხეებზე, რომლებიც არავის საკუთრებას არ შეადგენს"[41]. იაკუთი ოდნავ აბუნდოვნებს: ბარდავიდან „გააქვთ მრავალი ნაკეთობა აბრეშუმისაგან, რომელსაც აგროვებენ თავისუფლად გაშვებულ თუთის ხეზე [s i c! — პ. თ.], რომელსაც არა ჰყავს პატრონი"[42]. განძაში „აბრეშუმის ჭიის გამოზრდაში და აბრეშუმის დამზადებაში... მცხოვრებლები გამოცდილი არიან. ჯანზას აბრეშუმი ხარისხით სხვა ქვეყნებისაზე მაღლა დგას"[43]; ამასვე იმეორებს ბაქუვი[44].

დამოწმებულ ავტორთაგან მხოლოდ ისტახრი აღნიშნავს საერთო საკუთრების (?) ბჟოლის ხეებზე აბრეშუმის ჭიის გამოკვების ფაქტს. ეს ცნობა საგულისხმოა ამიერკავკასიაში აბრეშუმის ჭიის კულტივირების ისტორიისთვის.

თანამედროვე პირობებში, — ყოველ შემთხვევაში, საქართველოში, — აბრეშუმის ჭიას ზრდიან რაიმე შენობაში საგანგებოდ გამართულ ჩელტებზე, ლასტებზე. როდესაც ჭია გარკვეულ ასაკს მიაღწევს, ჩელტებზე ალაგებენ ხმელ, ხშირწინწკარიან რტოებს ან მცენარეებს. ჭია შედის ამ რტოებში და ირგვლივ იხვევს პარკს. პარკის დამზადების აღნიშნულ ორ წესს შორის განხვავება, როგორც ვხედავთ, დიდია.

ანონიმი ავტორის ცნობით, ბარდავის საქონელს (სხვასთან ერთად) „შეადგენს აბრეშუმი და ყ ა ზ ზ-ი", განძისას — „ყ ა ზ ზ-ქ ა შ ი დ ე და აბრეშუმი", ხოლო ბაილაყანისას — „ყ ა ზ ზ-ქ ა შ ი დ ე"[45].

ყ ა ზ ზ-ი განმარტებულია, როგორც „დაუმუშავებელი, მეორეხარისხოვანი აბრეშუმი"[46]. აბრეშუმის ჭიას დ უ დ ო ლ-ყ ა ზ ზ და ყ ა ზ ზ ეწოდება (იხ. ზემოთ ზაქარია ალ-ყაზვინი და ბაქუვი).

---

[41] ი ს ტ ა ხ რ ი, СМОМПК, ტ. 29, გვ. 7.

[42] ჯ ა კ უ თ ი, გვ. 32.

[43] ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ-ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 41: «في تربية دودالقز و عمل الابريسم.»

[44] ბ ა ქ უ ვ ი, გვ. 91 (25).

[45] ა ჯ ა ი ბ ალ-დუნია, გვ. 201, 202, 208; აღწერილობაში ბაილაყანის და განძის სახელწოდება აღდგენილია მთარგმნელის მიერ. შდრ. ქართ. თარგმ., გვ. 27: „ბარდავის... საქონელია: ყაჭი, აბრეშუმი". შენიშვნაში: „ტექსტშიაკ (ხამი აბრეშუმი)". ყაზზ-ქაშიდე თარგმნილია როგორც „აბრეშუმით დაქარგული ქსოვილი" (გვ. 28, 33).

[46] برهان قاطع : «قز ...ابریشم خام بد قماش را گویند ...معرب کز ...در گیلان ...بابریشم خام اطلاق شود. در عربی بمعنی ابریشم (خام) ، دزی ج۲ص۴۴۲. غیاث الغت بکوشش محمّد دبیر سیاقی : «قز نوعی از

აქ უნდა დავიმოწმოთ იბნ ჰაუკალის ერთი ცნობა. სახელდობრ: ყირმიზის საღებავის „საფუძველი არის ჭია (დ უ დ), რომელიც ქსოვს თავის ირგვლივ როგორც აბრეშუმის ჭია (დ უ დ ო ლ-ყ ა ზ ზ) ისევე, როგორც ის იქსოვს თავის ირგვლივ პარკს (ა ლ-ყ ა ზ ზ). და გააქვთ აქედან (დვინიდან) დიდძალი აბრეშუმის ქსოვილი (ბ ა ზ ი უ ნ ა). რაც შეეხება მათ აბრეშუმს იგი გავს რუმის აბრეშუმს"[47].

ამ ცნობაში, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ის, რომ აბრეშუმის ჭიას და აბრეშუმის პარკს აღნიშნავს ერთი და იგივე სიტყვა — ყ ა ზ ზ-ი.

ქართულში „ხამი აბრეშუმი" და „ყაჭი" აბრეშუმის პარკის სინონიმებია[48]. არანაკლებ საყურადღებოა, რომ „ხ ა მ ი ესე გ ლ ე ხ თ ა-გ ა ნ მოღებულ არს და სახელ-სდებენ... გამოუჯაგვავთა ცხენთა და პირუტყვთა, ა ბ რ ე შ უ მ თ ა, ჩ ი გ ო რ გ ა ლ თ ა და რაგინდ(ა)რასა სხვათა". იქვე, სხვა ნუსხა: „ხამად ითქმის... გინა გამოუჯაგავი რამე, გინა გ ა მ ო უ ხ ა რ შ ა ვ ი ა ბ რ ე შ უ მ ი" (ხაზი ჩვენია — პ. თ.)[49]. ამასთანავე, „ყაჭი" აბრეშუმია: „ყ ა ჭ-ი აბრეშუმი: რომელი — იგი (სთუ-ლი) გიქმნის თქუენ ჭიამან ყ ა ჭ ი ს ა მ ა ნ საქუსლად სამოსლისა ლბილისა"[50].

დამოწმებული მასალა, ჩვენი აზრით, გვაძლევს საფუძველს აღვნიშნოთ, რომ ყ ა ზ ზ-ი ნიშნავდა როგორც აბრეშუმის ქსოვილს, ასევე აბრეშუმის პარკს.

ბარდავის და სხვა ქალაქების საქონელს შორის დასახელებულია აგრეთვე ყ ა ზ ზ-ქ ა შ ი დ ე. მთარგმნელის ვარაუდით იგი „აბრეშუმით ნაქარგ ქსოვილს" აღნიშნავს[51].

R. Dozy, Supplément aux dictionnaires arabes, v. 1—2, 2 éd., [P.], 1927, t. II, p. 312: „Soie non preparee". F. Steingass, A comprehensive Persian-English dictionary, L., p. 968: „Raw silk, a silken garment". ابریشم که کم بها باشد«. أعلام ال-دنيا, გვ. 201, შ. 4: «Кэзз — шелк-сырец, шелковые очесы, шелковое сырье второго сорта».

[47] ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, კრამერსის გამოც., ტ. II, გვ. ٣٤٢.

[48] ა. ნ ე ი მ ა ნ ი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, „აბრეშუმის პარკი".

[49] ს ო ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ლექსიკონი ქართული, „ხამი". შდრ. ხამთ-ე ხამ — «خام خشت.....необожженный кирпич, сырцовый кирпич»; ზარ-ე ხამ — «زر خام ... самородок, слиток золота» — Персидско-русский словарь ... под ред. Ю. А. Рубинчика خام. შევნიშნავთ, რომ ხალხური წესის მიხედვით აბრეშუმს (ყაჭს) პარკისაგან ძაფის ამოსახვევად მას ცხელ წყალში ყრიან, ხარშავენ.

[50] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., „ყაჭი".

[51] أعلام ال-دنيا, გვ. 202, შ. 2: «Казз-кашидэ — вышитая шелком ткань(?)».

თუმცა, სპარსული ქ ა შ ი დ ე ქარგვასა და კერვასაც უკავშირდება[52], მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ყ ა ზ ზ-ის მნიშვნელობას და აბრეშუმის ძაფის დამზადების ტექნოლოგიას (აბრეშუმის პარკისგან ძაფის ამოხვევა, „ამოქაჩვა“)[53], ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყ ა ზ ზ - ქ ა შ ი დ ე აღნიშნავდა აგრეთვე აბრეშუმის, ყაჭის ძაფს, ნართს და არა მხოლოდ ნაქარგ ქსოვილს[54].

აღნიშნულ ცნობებს ერთმანეთს თუ შევაჯერებთ გაირკვევა, რომ ბარდავის და სხვა ქალაქების საქონელს აბრეშუმთან ერთად აბრეშუმის პარკიც, ძაფიც შეადგენდა. ესე იგი, ქალაქებიდან სავაჭროდ გაჰქონდათ არა მარტო აბრეშუმის ქსოვილი — მზა ნაწარმი — არამედ აბრეშუმის პარკი და ძაფიც — არასრული წარმოების პროდუქცია, ნახევარფაბრიკატი.

ეს დასკვნა მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობათა თვალსაზრისით არ არის მნიშვნელოვანი. გამოდის, რომ ამიერკავკასიის ზოგიერთი ქალაქის აბრეშუმის წარმოება (მთლიანი ციკლი: აბრეშუმის პარკის მოწევა — ძაფის დამზადება — ქსოვა) იმ რაოდენობის ნაწარმს უშვებდა, რომ იგი აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას როგორც ნედლეულზე, ასევე პროდუქციაზე, ხოლო ნამატი ბაზარზე გადიოდა. მოგვაჩნია, რომ ასეთი ანალიზი არ არის გადაჭარბებული.

ფეოდალური საზოგადოების (უკეთ: ქალაქის) ეკონომიკაც, პირველ რიგში, ადგილობრივ ბაზარს აკმაყოფილებდა. რომ ნაწარმი („ბარდავის საქონელი“) ბაზრისთვის იყო გამიზნული, არც ეს იწვევს ეჭვს. წინაალმდეგ შემთხვევაში, იგი ვაჭარ-მოგზაურის თვალსაწიერში ვერ მოხვდებოდა, მწარმოებლისვე ხელში დარჩებოდა.

კარგად არის ცნობილი, რომ შინამრეწველი გლეხის ნაწარმი მხოლოდ ბაზარზე „გასვლის“ შედეგად, მასში „ჩაძალული“ საცველი ღირებულების ეკვივალენტის „პოვნის“ დროს იქცევა საქონლად. ხოლო ქალაქის ხელოსნის შრომის ნაყოფი თუ ბაზრისთვის არ არის გამიზნული, ასეთი მწარმოებელი არც ჩაითვლება ქალაქის ხელოსნად: ის განუვითარებელი ხელოსნობის (სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის

---

[52] F. Steingass, დასახ. ნაშრ., გვ. 1035; كشيده — A kind of needle work».

[53] საგულისხმოა ისიც, რომ სპარს. ზმნა ქაშიდან „წევას“, „თრევას“, „ქაჩვას“ ნიშნავს.

[54] შდრ. „განძიდან გაჰქონდათ ბამბა და ყაჭი“. რ. კიკნაძე, ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა X—XIII საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 151; აკიპ ალ-დუნია, გვ. 208. ქართ. თარგმ., გვ. 33 ١٢ განძის საქონელია: اطلس و ديبا و قطنى و قز كشيده و ابريشم „ატლასი, დიბა, ბ ა მ ბ ე უ ლ ი, აბრეშუმით დაქარგული ქსოვილი და აბრეშუმი“; «...атлас, парча (диба), хлопок, казз-кашиде, шелк» (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

გამოყოფის დაბალი დონე, სოფლისა და ქალაქის მეურნეობის სუსტი დიფერენციაცია) წარმომადგენლად, გლეხური კომლის შინამრეწველად მოგვევლინებოდა.

ამიერკავკასიის ქალაქებში წარმოებული აბრეშუმის ქსოვილებიდან სხვადასხვა თხზულებებში დასახელებულია ატლასი (განძაში, თავრიზში). ცნობილი იყო ბიზანტიის (რუმის) და ბაღდადის ატლასი[55]; ფარჩა (ლარი) (განძაში, ხოიში). ხოის ფარჩას (ფარჩის ერთ-ერთ სახეს?) ა ლ-დ ი ბ ā ჯ ა ლ-ჯ ვ ლ ხ ეწოდებოდა[56]; ფარჩა ჩინური (თავრიზში, ნახჭევანში), არსებობდა რუმის ფარჩაც[57]. შავი ფარჩის ნატიფი ქსოვილი (არდებილში); ჩინური ქსოვილი (ჯāმე-ი ხāთაჲ — ნახჭევანში); ქ ი მ ხ ა, ხ ა ზ ზ, შ ა'რ (თავრიზში)[58]. შ ა'რ ეწოდებოდა აბრეშუმის ნართს და გადასაფარებელსაც. „სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა"[59]. შესაძლებელია, აქ ერთი და იგივე ქსოვილი (შ ა'რ, შ ა რ დ ი) იგულისხმებოდეს[60].

---

[55] ატლასი ცხენის აღკაზმულობაშიც გამოიყენებოდა: დასახელებულია საჩუქრად მიძღვნილი არაბული ბედაურების ბაღდადური ატლასით გამოკრული ბიზანტიური ატლასის ჩულები (ჩული: „სახურავი, ასალი") — ნ ე ს ა ვ ი, გვ. 238.

[56] ზ ა ქ ა რ ი ა ალ-ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 43. სპარსულში ჯულახ მსხვილად ნაქსოვ შალს, ჭოს აღნიშნავს. საყურადღებოა, რომ ამ ქსოვილის ტანსაცმლის მატარებელს სოციალური შინაარსიც ეძლევა: იხ. მნიშვნელობანი სიტყვებისა: جولخى ، جلق ، جلقى შდრ. ქართ. „ჯვალო". ზირიბგერანში (დიბა დარუბანდთან) კი გარდაცვლილ მდიდრთა ვასეღთავებულ ძვლებს ფარჩის (დიბაჯ), ღარიბებისას კი რუხი ქსოვილის (كيس خام : ბარტოლდი: «из небеленой ткани») ტომრებში ალაგებდნენ. იხ. В. В. Бартольд. Еще о самаркандских оссуариях, Сочин., т. IV, с. 121. შდრ. ღ ა რ ნ ა ტ ი (რუს. თარგმ.), გვ. 51: „რუმის ოქრო (ქსოვილის) ფარჩის და კოლენკორის და მისი მსგავსი ქსოვილის ტომრები".

[57] დ ი ბ ა, დ ი ბ ა-ი ხ ა ტ ა ი, დ ი ბ ა-ი რ უ მ ი, თავისთავად ხატაი აბრეშუმის ქსოვილის ერთ-ერთი სახე იყო. შდრ. რუსთაველთან, 471: „ხარაჯა დასდეს, შეჰკეთეს დრაჰკანა, ასჯერ ასია, ყველა ხატაური მრავალი, სხვა სტავრა, სხვა ატლასია".

[58] იხ. აჯაბ ალ-დუნია, გვ. 196, 200, 204, 207, 208, 210; შდრ. ქართ. თარგმ., გვ. 24, 26, 29, 33, 34. ნ ა ს ი რ-ი ხ ო ს რ ო უ, გვ 65; ჲ ა ق უ თ ი, გვ. 38. უნდა აღინიშნოს, რომ მ. ფ. ფეხნერი ფარჩის ქსოვილების — სხვებთან ერთად დასახელებულია კამკა-ც — წარმოების დასაწყის ხანად ვარაუდობს არა უადრეს XIV საუკუნისა. М. Ф. Фехнер, Из истории торговых связей Руси со странами Востока в домонгольское время (По материалам шелковых тканей), Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье, М., 1981, с. 143. შდრ. მისივე, Шелковые ткани в Восточной Европе, СА, 1982, № 2, с. 67: გატარებულია იგივე აზრი.

[59] ვეფხისტყაოსანი, 331.

[60] ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერს ლექსიკონში: „შარდი შადი ნაქსოია მძიმე. ლექსში შ ა რ დ ა დ უთქვამს რუსთველსა...", „შადი ნაქსოვია. ვეფხის-ტყაოსანში რომელთამე მწერალთა შ ა რ დ ა დ აღუწერიეთ უმეცრებით".

ხაზგასმით აღნიშნულია აბრეშუმის სიმრავლე შაბარანში. დმანისის აბრეშუმი კი სავაჭროდ გაჰქონდათ[61].

ელდიგუზიანთ ყიზილ-არსლანი პოეტ მუჯირ ალ-დინ ბაილაყანის ყოველ კვირა დღეს ასაჩუქრებდა ატლასის და ქ ა მ ხ ა ბ-ის ქსოვილებით[62]. იმავე ავტორის ცნობით, შარვანშაჰის ვეზირმა პოეტი ზუ-ლ-ფაყარ შარვანი († 1280 წ. თავრიზში) დაასაჩუქრა შვიდი ხ ა რ ვ ა რ ი (დაახლოებით 2100 კგ) ყაჭით[63].

თავრიზში, აბრეშუმის ქსოვილების წარმოების ერთ-ერთ ცნობილ ცენტრში[64], ქსოვდნენ სიკლატუნს[65]. აბრეშუმის ეს ოქროქსოვილი დიდად სახელგანთქმული იყო აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც. შუა საუკუნეებში ამ ქსოვილის აღმნიშვნელი ეს სიტყვა გავრცელებული იყო მთელ ევროპაში[66].

ეს ძვირფასი ქსოვილი გვხვდება მთიან კავკასიაშიც. მას'უდი გადმოგვცემს, რომ ქაშაქები (ჩერქეზები) თეთრი, ბიზანტიური ფარჩის, სიკლატუნის და სხვადასხვა, ოქროქსოვილის ტანსაცმლით იმოსებოდნენო[67].

„რუმის დიბა" ამიერკავკასიაში საგადასახადო ერთეულსაც წარმოადგენდა[68]. აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი იხმარებოდა ღირებულების განმსაზღვრელადაც[69].

გარდა ზემოაღნიშნულისა, აბრეშუმის წარმოება დასახელებულია დვინში, ყაბალაში, ყარსში, შემახაში[70]. ეს უკანასკნელი მთელი შუა

---

[61] ჯ ა ყ უ თ ი, გვ. 57.

[62] დ ო ვ ლ ე თ-შ ა ჰ ი, გვ. 127 تذكرة الشعراء دولتشاه سمرقندی از روی چاپ براون با مقابله نسخ معتبر خطی قدیمی بتحقیق و تصحیح محمد عباسی ، طهران [1958]

[63] თემცა, კ. ჩ ა ი კ ი ნ ი, ერთგან დ ო ვ ლ ე თ-შ ა ჰ ს მ ტ ყ უ ა რ ა ს (плут) უწოდებს, მაგრამ ამ კერძდ ჩვენთვის საყურადღებოა საჩუქრის რაობა — «шелк-сырец» — იხ. Иран (Сб. статей), М., 1971, с. 161.

[64] იგი დასახელებულია შუა საუკუნეების ესპანეთის, ბიზანტიის, ირანის, შუა აზიის აბრეშუმის წარმოებით სახელგანთქმულ ქალაქებს შორის. იხ. М. В. Фехнер, Шелковые ткани, с. 57.

[65] سقلاطون ცნობილი იყო سقلاط-ის („სკლატი" ქართულში) ფორმითაც. მას მატყლისგანაც ქსოვდნენ. ვ ა ხ უ შ ტ ი ს თ ა ნ ის უმეტესად ასეთი გვხვდება იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა, გვ. 97, 99, 108.

[66] R. Dozy, Supplément. I, p. 663.

[67] В. Ф. Минорский, Мас'уди о Кавказе, с. 206.

[68] იხ. ქ ა ს რ ა ვ ი თ ა ბ რ ი ზ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 102.

[69] М. В. Фехнер, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

[70] ი ს ტ ა ხ რ ი, იქვე, გვ. 19. ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, იქვე, გვ. 92; ჯ ა ყ უ თ ი,

საუკუნეების მანძილზე აბრეშუმის ქსოვილების აღიარებულ ცენტრს წარმოადგენდა.

ცნობილი იყო სომხეთში დამზადებული აბრეშუმის სარტყლები და სხვადასხვა ხვანჯარ-თასმები (თ ი ქ ქ ა)[71].

ერთი შეხედვით, ასეთი ნაწარმი თითქოს წვრილმანია, მაგრამ არის ცნობა, რომ ერთი ასეთი სარტყელი ათი დინარი ღირდა[72]. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ ერთი ცხენის (ფეოდალურ ლაშქარზე გადამრავლებულს) აღკაზმულობისთვის საჭირო თასმებისა და სარტყლების რაოდენობას, ნათელი გახდება საფეიქრო წარმოების ამ დარგის მოცულობა და მის ნაწარმზე არსებული მოთხოვნილება.

ზემოხსენებულ ბედაურებს აბრეშუმის სადავეები ამშვენებდათ. ნადავლის ერთ-ერთ აღწერაში კი ეკითხულობთ: „...შესამოსელთა და ლარის არტახთა მიერ სავსე იყო ყოველი ბანაკი მათი“[73]. აქვე დავიმოწმებთ რუსთაველს (1395): „აწ ვინცა ვიცით უკეთე შეტყორცა ს ა გ დ ე ბ ე ლ ი ს ა, / მან ერთსა ბურჯსა გარდეაგდოთ წვერი ს ა ბ ლ ი ს ა გ რ ძ ე ლ ი ს ა“ (ხაზი ჩვენია — პ. თ.). ხოლო „ს ა ბ ე ლ ი ზოგადი სახელი არს ყო(ვ)ელთა შეგრეხილთა“; ესენია: ხეზი, ბაწარი, ლარო, შიშთვილი, თოკი, საკოვავი, ჭაპანი, ბაგირი, წალაები, მუკუდი, ტოილო, გვარლი, ავრიტი, საგდებელი. დიდი ლექსიკოგრაფი თითოეული მათგანის დანიშნულებას და ზოგიერთის მასალასაც გვიხასიათებს[74].

ასეთი ნაწარმის თუნდაც უდიდესი ნაწილი რომ სამეფო სახელოსნოებში, ხოლო ნაწილი გლეხურ მეურნეობაში დაემზადებინათ, იგი მაინც საზოგადოებრივი წარმოების ზრდას ნიშნავდა. საზოგადოებრივი წარმოებისთვის კი, როგორც ცნობილია, არც ერთ ეპოქაში არ არსებობს „წვრილმანი“ და „მსხვილმანი“ დარგები: საზოგადოებრივი დოვლათის შექმნაში ყველა მათგანს თავისი წვლილი მიუძღვის.

აბრეშუმის ქსოვის დახვეწილი, მაღალი ტექნიკა, ქსოვილის ნაირფერად (ჭითელი, ვარდისფერი, მოყვითალო, ყოლოსფერი, ჩესუჩის ფერი) ღებვა, ოსტატური ქარგვა თვალსაჩინოდ მტკიცდება ანისში, ყვავილოვანი ხევის გამოქვაბულების კომპლექსში მოთავსებული ერთ-ერთი კარგად შენახული სამარხის (პატარა გოგონასი, როგორც ვარა-

---

გვ. 32; ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი, ნუზჰათ ალ-ყულუბ, გვ. 92; M. Ш а р и ф л и, Из истории города Шемахи, ИАз. ФАН, 1944, № 8, რეზიუმე.

[71] M. B. Ф е х н е р, დასახ. ნაშრ., გვ. 64—65.

[72] A. M e ц, დასახ. ნაშრ., გვ. 360. ავტორის შენიშვნით, მის დროსაც ბაღდადის ადგილობრივ მრეწველობაში აღნიშნული წარმოება ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი დარგი ყოფილა.

[73] ისტორიანი და აზმანი, გვ. 98.

[74] ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი, „საბელი“.

უდობენ, ტიგრან ჰონენცის ნათესავის) ნივთებით. ბავშვს ტანთ ემოსა აბრეშუმის ჩესუჩის ფერის, წითელი აბრეშუმის ძაფით ამოყვანილი, გასწვრივი ხაზებით შემკული პერანგი[75]. აქ უპრიანია გავიხსენოთ: „გათენდა. ბანად წავიდა მზე, სოფელს შუქ-ნაკიდები; / დიაცმან უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდები, / მრავალი ფერი სურნელი, ტ ურ ფ ა პ ე რ ა ნ გ ი, წ მ ი დ ე ბ ი: / რაც გეწადოსო, ჩაიცვი, მე ნურას ნუ მერიდები“[76] (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

ამიერკავკასიის ქალაქებში აბრეშუმის წარმოება — თავისი ხარისხით ის არ ჩამოუვარდებოდა ირანის აბრეშუმს (ანდა რატომ უნდა ჩამოვარდნოდა?) — მონღოლთა ბატონობის ხანაშიც მაღალ დონეზე იდგა[77]. ასეთი ვითარება ამ წარმოების ძირძველ ტრადიციაზეც მიგვანიშნებს, რომელიც არ ჩაკვდა მონღოლთა დაპყრობითი ომების „სისხლის წვიმების“ დროს.

შალის სხვადასხვა ქსოვილი (ყ ა თ ი ფ ე, ფ ა შ მ ი ნ), როგორც საქონელი, დასახელებულია ბარზანდში, განძაში, დარუბანდში, დვინში. მარანდში, შამქორში, ხურსანში[78].

სელის ქსოვილებზე საერთოდ დიდი მოთხოვნილება იყო და მისი წარმოებაც მაღალ დონეზე იდგა. ცნობილი იყო თავისი კარგი ხარისხით და ძვირადაც ფასობდა დ ა ბ ი ყ ი („დაბიყური“, ეგვიპტის ქ. დაბიყის სახელიდან). ჩვეულებრივ, მასში აქსოვდნენ ოქროსა და აბრეშუმის ძაფს. დანიშნულების მიხედვით იგი მჭიდროდ და სიფრიფანად იქსოვებოდა; მას გეოგრაფიული რუკების დასამზადებლადაც იყენებდნენ[79]. ჩერქეზთა ქვეყანაში „ქსოვენ სხვადასხვა ქსოვილს იმ სახეობის სელისგან, რომელსაც ეწოდება ტ ა ლ ა (?) „ოქრო“ და რომელიც უფრო თხელია და გამძლე, ვიდრე დაბიყის სახეობისა. მისი ერთი თოფი ღირს ათი დინარი და ის გააქვთ მეზობელ ისლამის ქვეყნებში“[80]. ალბათ, კავკასიის ბარიც არ ჩამოუვარდებოდა მთას, ამ შემთხვევაში, სელის ასეთი ძვირფასი ქსოვილების წარმოებაში.

სელის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი იყო დარუბანდი. აქედან

---

[75] სამარხის დაწვრილებით აღწერა იხ. И. Орбели. Каталог Анийского музея древностей, вып. I, Анийская серия. № 3, СПб., 1910, с. 34—39.

[76] „ვეფხისტყაოსანი“, 1255.

[77] А. Ю. Якубовский, Феодальное общество Средней Азии и ее торговля с Восточной Европой в X—XV вв., Материалы по ист. Узб., Тадж. и Туркм. ССР, вып. 3, ч. I, Л., 1933, с. 45.

[78] ჰოდუდ ალ-ალემი, გვ. 159, 161, 163; მ უ კ ა დ ა ს ი, BGA. ტ. III, გვ. 377; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, იქვე, გვ. 92.

[79] А. Мец, დასახ. ნაშრ., გვ. 357—358.

[80] В. Ф. Минорский, Мас'уди о Кавказе, с. 206.

„გააქვთ სელის ტანსაცმელი და არ ამზადებენ სელის ტანსაცმელს არანში, არმენიაში და აზერბაიჯანში არსად, გარდა ამ ადგილებისა“[81].

ეგვიპტეში, ტინისში ძვირფას, ხალიფასთვის განკუთვნილ ერთ-ერთ ტანსაცმელს (ბ ა დ ა ნ ა) იმთავითვე მთლიანს, ჩასაცმელად გამზადებულს ქსოვდნენ ისე, რომ მას აღარ სჭირდებოდა გამოჭრა და შეკერვა[82].

ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა, რომ დარუბანდიდან „გააქვთ სელის მთლიანი ტანსაცმელი“(?)[83].

თუ აქაც იგივე ბ ა დ ა ნ ა იგულისხმება ქსოვის „თავისი წესით“ — ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ძვირფასი ცნობა გვექნებოდა ამიერკავკასიაში, კერძოდ დარუბანდში, საფეიქრო წარმოების დონის გასათვალისწინებლად.

კარგი სახელი ჰქონდა განძის ტანსაცმელს. სასახლის მონა-მსახურს ერთგული სამსახურისთვის მიგებული პატივისა და დაფასების თანდათანობით ზრდის შესაბამისად მეშვიდე წელიწადს ანიჭებდნენ ვ ი ს ვ ე ბ ვ შ ი ს („კარვის უფროსი“. კარავში მის გარდა კიდევ სამი კაცი ირიცხებოდა) ხელს. ამ ხელის განმასხვავებელი, გარეგნული ნიშნები იყო ვერცხლით ნაკერი შავი ქუდი და განძის ტანსაცმელი[84].

ხოი ცნობილი ქალაქი იყო აზერბაიჯანის ოლქში, „აქედანაა ხუვეური ტანსაცმელი“[85]. უფრო ზუსტად, „წმინდა, თხელი ტილოს (ქ ა რ ბ ვ ს) ტანსაცმელი (ქ ე ს ვ ა თ“)[86] — აზუსტებს მეორე წყარო ამ ქალაქის ტანსაცმელს. ამ სამოსს შალის ქსოვილისგანაც კერავდნენ[87].

---

[81] ი ს ტ ა ხ რ ი, გვ. 11; შდრ. ბ ა კ უ თ ი, გვ. 21.

[82] A. Мец, დასახ. ნაშრ., გვ. 358. ბადანას შესახებ: Dictionaire Arabe-Français par A. de Biberstein Kazimirsky: «بَدَن pl. أَبْدَن 1. Corps, surtout tronc, c.à.-d. abstraction faite de la tête, des pieds et des mains».

[83] ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, კრამერსის გამ., ტ. II, გვ. ٣٣٩: ويرتفع منها ثياب كتّان فى عروض الابدان. კ ა რ ა უ ლ ო ვ თ ა ნ (СМОМПК, ტ. 38, გვ. 88) არის: «Вывозится из него полотняное полное верхнее платье».

[84] სიასეთ-ნამე (Siyar al-muluk also known as Siyasat-nama of Nizam al-Mulk, ed. with crit. notes and comm. by H. Darke, Teheran, 1962), გვ. 134: كلاهى نمدين سياه سيم كشيده قباى گنجه‌اى در پوشانيدندى. В. В. Бартольд, Туркестан, с. 286.

[85] ბ ა კ უ თ ი, გვ. 52.

[86] ალ-ბაქი ალ-დუნია, გვ. 206; ქართ. თარგმ., გვ. 31.

[87] R. Dozy, Supplément, II, p. 468.

ნახჭევნის საფეიქრო საქონელს შეადგენდა: „ჩინური ქსოვილები, ნატიფი გადასაფარებლები, ქეჩა (ნაბადი?), ჩოხა (?), ф у т е“[88].

დვინში „ამზადებენ თივთიკის[89] და შალის ქსოვილებს ნოხების, ბალიშების, დასაჯდომების, გადასაფარებლებისათვის, თასმებს და სხვა არმინიულ ნაწარმს შეღებილს ყირმიზით“[90].

ცნობილი იყო აგრეთვე „რუმის ტანსაცმელი“, რომელსაც სულთნის მსახურთა ერთი ნაწილი ატარებდა[91].

ხელოსნობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა ამიერკავკასიის ქალაქებში ხალიჩების წარმოება. საერთოდ ამ დარგის ნაწარმს ა. მეცი სამ ძირითად სახეში ანაწილებს: „1. კედლის ხალიჩები (ს ი ტ რ) 2. იატაკის ნოხები (ბ უ ს ა ტ) და ფარდაგები (ნ ა ჰ ჭ) 3. ნოხები, რომლებზეც არ დადიოდნენ (ნ ა მ ა ტ)“[92]. ნ ა ჰ ჭ-ი იქსოვებოდა თავრიზში, ნ ა მ ა ტ-ი (სპარს. ნ ა მ ა დ) გაჰქონდათ დვინიდან, ხოლო ბ უ ს ა ტ ი (ბ უ ს უ ტ) — სომხეთის ქალაქიდან, რომელსაც იაკუთი კალიკალას უწოდებს და ვანიდან[93].

აღსანიშნავია, რომ იაკუთისვე ცნობით, კალიკალაში მოქსოვილი ნოხები ცნობილი იყო კ ა ლ ი ს სახელით. სომხურ ნოხებს ზოგადად

---

[88] აჯაიბ ალ-დუნია, გვ. 218: «شعرهى نفيس نمد و جوقا و فوطه» სპარს. „ჩუყა (ჩუხა, ჩუხე) — გლეხთა და მწყემსების უხეში შალის ქსოვილის ზედა ტანსაცმელი“ (Перс.-русс. словарь, под ред. Ю. А. Рубинчика). ქართ. „ჩოკა ჩოხა (საბერო სამოსელი)“, ი. ა ბ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 512. სულხანსაბასთან კი — „ჩ ო ჭ ა მატყლის სამოსელი, მატყლის სამოსელი სქელი“. ფეტეს ქსოვილს მრავალგვარი ვამოყენება ჰქონდა (იხ. R. Dozy, II, გვ. 289).

[89] مرعزى — „ბუმბული; ის, რაც ჰგავს შალს; თხის ბალანი; როგორც ეპითეტი.— რბილის მნიშვნელობით მატყლის მიმართ“ (Lane). შდრ. ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი, „თმა“: „თხათასა (თმათა ... ეწოდებიან) ბალანი და მისსავე ქვეშე ლბილთა თმათა თხისური“; „თივთიკი სხვათა ენაა ქართულად თხისური ჰქვიან“. ᲙᲘᲒᲚ: „თივთიკი 1. ზოგიერთი ცხოველის (თხის, ცხვრის, სასამერის, კვერნის...) წვრილი და ნაზი ბალანი, ამოსული მქისე ფაკაბის ქვეშ; ცხვრის ასეთი ბალნისაგან მზადდება წვრილი ძაფი, რომელიც გამოიყენება ნაზი ქსოვილებისათვის. ამ ბეწვისაგან დამზადებული ქსოვილი“. კარაულოვი თარგმნის: «пуховые и шерстяные ткани».

[90] ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, კრამერსის გამ., ტ. II, გვ. ᳬᲔᲣ; СМОМПК, ტ. 38, გვ. 92.

[91] ნ ა ს ი რ-ი ხ ო ს რ ო უ, გვ. 68.

[92] А. Мец, დასახ. ნაშრ., გვ. 357.

[93] აჯაიბ ალ-დუნია, გვ. 204; ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, იქვე; Ა ᲐᲙᲣᲗᲘ, გვ. 74, 89.

„არმენიულსაც“ უწოდებდნენ: მათ შეხვდებოდით შორეულ ვოლგის-პირეთში — ბულღართა ქვეყანაშიც[94].

სომხური წყაროები ასახელებენ ნოხს (ტ ა პ ა ს ტ ა კ); ერთ მათგანს ათი წელი ქსოვდნენ[95].

სომხურ ნოხებს დიდად აფასებდნენ. საერთოდ შალის ნოხებში გამოირჩეოდა სპარსული, სომხური (არმენიული) და ბუხარული. ძვირფას საჩუქრად ითვლებოდა სომხური ნოხი შუა აზიაში[96]. ა. მეცი წერს: «„იმ დროს (X ს.) ყველაზე მეტად ფასობდა სომხური ნოხები, ესე იგი მცირეაზიური, ჩვენი სმირნული ნოხების წინამორბედნი. უკვე . . . ხალიფა ალ-ვალიდ II [743—744] სახლში კედლები და იატაკი დაფარული იყო სომხური ნოხებით. არ-რაშიდის [786—809] მეუღლე სომხურ ნოხზე „ზესთა-ჯდა“, ხოლო მისი ქალები —— სომხურ ბალიშებზე ისხდნენ... ერთ-ერთმა ვასალმა ხალიფა ალ-მუკთადირს [908—932] ძღვნად მიართვა სხვა საჩუქრებთან ერთად შვიდი სომხური ნოხი. სპარსული ნოხებიდან ყველაზე მეტად ისინი ფასობდნენ, რომლებიც არ ჩამოუვარდებოდნენ სომხურ ნახელავს, ისპაანის ოლქის საუკეთესო სპარსულ ნოხებს აქებდნენ იმიტომ, რომ ხარისხით ისინი ახლოს იდგნენ ძვირფას სომხურ ნოხებთან. ჯერ კიდევ მარკო პოლომ შენიშნა: „სომხეთში ქსოვენ ყველაზე კარგ და ყველაზე ლამაზ ნოხებს“. ასეთი მაღალი შეფასების მიზეზი, ალბათ, სომხური მატყლი იყო, რომელსაც ას-სა'ლიბი პირველ ადგილზე აყენებს ეგვიპტურის შემდეგ, მაგრამ პირველ რიგში ეს იყო სახელგანთქმული სომხური წითელი ფერი... კაიროს ნოხების საწყობში ხშირად აქებდნენ წითელ ნოხებს, ხოლო ეგვიპტის ქ. სეუტის „ყოლოსფერი ნოხების“ შესახებ ამბობდნენ: „ისინი ჰგვანან სომხურებს“»[97].

ეს ვრცელი ამონაწერი, სხვადასხვა წყაროების ცნობებს რომ ეყრდნობა, გასაგებს ხდის მემატიანეთა გულისყურს სომხური საფეიქრო ნაწარმის და საღებავების მიმართ.

გარდა აღნიშნულისა, ამიერკავკასიის ქალაქებში წარმოებული მრავალგვარი საფეიქრო ნაწარმის სიას შეადგენს: სხვადასხვა ფარდაგი თუ ნოხი — ფ ლ ა ს, ზ ი ლ უ, მ ა ჰ ფ უ რ ი, ს ე ჯ ა დ ე; ბ ა ლ ი შ (ბა-

---

[94] الفرش الارمنى ამ ნოხებით იყო მოფენილი მეფის კარავი, რომელიც ათას სულს იტევდა — А. П. Ковалевский, Книга Ахмеда Ибн Фадлана о его путешествии на Волгу в 921—922 гг. Статьи, перев. и комм., Харьков, 1956, с. 137. შდრ. იქვე, გვ. 213, შ. 529: ალ-მაყდესთან (BGA, VII, გვ. 331, სტრ. 20-21): მასში [ქ. ასუტში, ზემო ეგვიპტეში] ამზადებენ კარმაზინის ნოხებს (القرمز الفرش), რომლებიც ჰგვანან სომხურს (يشبه الارمنى)».

[95] F. H. Аракелян, დასახ. ნაშრ., გვ. 135.,

[96] იხ. В. В. Бартольд, Туркестан, с. 345.

[97] А. Мец, დასახ. ნაშრ., გვ. 361.

ლიში), ბ ო რ ყ ა' (პირბადე, ეუალი, საფარველი), ჯ უ რ ვ ბ (წინდა), შ ა ლ ვ ა რ ბ ა ნ დ (შარვლის სარტყელი), ჯ ო ვ ა ლ (ტომარი), ქ ა-ფ ა ლ ფ უ შ (ასალი, თოქალთო), შალის სხვადასხვა ნაწარმი (ა ლ ა-თ-ე ფ ა შ მ ნ ე) და სხვა ნაწარმი.

ამ შემთხვევაშიც, წყაროების მონაცემებს სრულფასოვნად ვერ ჩავთვლით; ასე, ერთ-ერთი მათგანი თითქოს დაწვრილებით აღწერს თბილისის ხელოსნურ ნაწარმს, მაგრამ მასაც ყურადღებიდან გამორჩა აქაური საფეიქრო ნაწარმი[98]. მოგვიანო ხანის ავტორი თბილისურ სავაჭრო საქონლის სიაში ასეთ ნაწარმსაც (ნაბდები, ტანსაცმელი, ნოხები, ქვეშაგები, შალი, აბრეშუმი) ასახელებს[99]. ცნობა შედარებით გვიანდელია, მაგრამ დასახელებულ ნაწარმს წარმოების დიდი ხნის ტრადიციები გააჩნდა ამიერკავკასიის ქალაქებში. ასე რომ, ვფიქრობთ, არის საფუძველი ეს ცნობა ჩვენს ქრონოლოგიურ მონაკვეთშიც გავითვალისწინოთ. მცირე აზიაში გადიოდა საქართველოსა და შირაზის ნოხები[100].

როგორც ირკვევა, მრავალფეროვანი იყო ამიერკავკასიის ქალაქების საფეიქრო ნაწარმის ასორტიმენტიც, თანამედროვე ტერმინს თუ ვიხმართ. წყაროებში დასახელებულია „ნაქსოვი ფერად-ფერადი"[101], „შესამოსელნი და შესამკობელნი" („აბდულმესიანი") ზოლებიანი და ფერადი ქსოვილები[102].

ქსოვილი მატერიალური დოვლათის, ქონების შემადგენელი ნაწილთაგანიც იყო. ლაშქრობაში მყოფი ნესავი გადმოგვცემს, რომ მას ბაილაყანში ჰქონდა „რამდენიმე ცხენი და ქსოვილები"[103].

ქსოვილი და ტანსაცმელი ხარკის საგანსაც შეადგენდა. „დიდი ლაშქრობის" დროს „წარჩინებულნი... თავრეჟისანი განიზრახვიდეს, რათა ხარკის მიცემითა, და ძღუნითა და შევრდომითა... დაამშვიდნეს ქართველნი თავადნი და სპანი... ითხოვეს მშვიდობა, არა მოოჯრება ქალაქისა მათისა. აღუთქუეს ძღუენი: ოქრო და ვეცხლი, უამრავი თუალი პატიოსანი და მარგალიტნი ძვრფასისანი... მოიღეს ოქრო და ვეცხლი, ლ ა რ ი, ცხენები, ჯორი და აქლემი, თუალი, მარგალიტი, შ ე ს ა მ ო-

---

98 ა ჯ ა ი ბ ალ-დუნია, გვ. 203.

99 ზ ა ქ ა რ ი ა ალ-ყ ა ზ ვ ი ნ ი, გვ. 40.

100 Вл. Г о р д л е в с к и й, Государство, с. 114. ცნობის წყარო არ არის დასახელებული.

101 სხვათა შორის, ასე განსაზღვრავს მემატიანე აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და სპარსეთში ქართველთა „დიდი ლაშქრობის" შედეგად ნადავლად მოპოვებულ ქსოვილებს; — ბასილი ეზოსმოძღვარი (ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქ. ცხ., II), გვ. 128. შდრ. „ვეფხისტყაოსანი", 121: ავთანდილ „ადგა და კაბა ჩაცვა, მჯობი ყოველისა ჭრელისა".

102 არდებილში და ბაილაყანში — ჰოდუდ ალ-ალემი, გვ. 158, 161.

103 ნ ე ს ა ვ ი, გვ. 272.

ს ე ლ ი... აღივსნეს დიდი და მცირე"[104]; და კიდევ, „რომელი აღგიღიათ ნატყუენავი სომხითით პ ი რ უ ტ ყ ჯ, ოქრო, ვერცხლი და ხ ა ქ ს ო ვ ი"[105] (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

საფეიქრო წარმოების სიმძლავრეთა და ნაწარმის რაოდენობის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ერთი ცნობა; კერძოდ, იმავე ნესავიმ მონღოლთა სარდალს გადაუხადა ათი ათასი წყრთა (თითქმის ხუთი ათასი მეტრი!) შალის ქსოვილი; „მისთვის საკმარისი არ იყო ის ტანსაცმელი, ნასის მცხოვრებთ რომ გამოსძალაო" — აღნიშნავს მემატიანე[105]. ნესავი კი ძლიერი, მაგრამ მაინც „მხოლოდ" ციხე-დარბაზის" მფლობელი იყო, თანამდებობით — ჯალალ ალ-დინის მდივანი.

ამგვარად წარმოჩნდება, ერთობ მოკლედ და ზოგადად დახასიათებული, საფეიქრო წარმოება ამიერკავკასიის ქალაქებში.

*
* *

შედარებით ნაკლები ცნობები მოგვეპოვება ხელოსნური წარმოების მეტყავეობის დარგის შესასწავლად. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ტყავის დამუშავება და მეტყავე ხელოსნების (დაბაღთა) ნაწარმი ფეოდალურ ქალაქში ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა. ამას აპირობებდა საზოგადოების მოთხოვნილება ამ ნაწარმზე (საყოფაცხოვრებო, კულტურული, სამხედრო).

მომთაბარე საზოგადოებათა (დ ე შ თ-ი ყ ი ფ ჩ ა ყ „ყივჩაყთა ველი") ახლო მეზობლობა, ადგილობრივ წყაროებთან ერთად საიმედოდ ამარაგებდა ნედლეულით მეტყავე-ხელოსნებს. ირკვევა, რომ ტყავი სავაჭრო საქონელი იყო მთის მოსახლეობისთვისაც: სარირის, დარუბანდის მეზობლად მდებარე მთის მხარის, საქონელს ტყავიც შეადგენდა[107].

ტყავის გამოქნა და დამუშავება საკმაოდ მძიმე ჰიგიენურ პირობებს ქმნიდა და ამის გამო მეტყავე ხელოსნები, ჩვეულებრივ, ქალაქის გარეუბნებში საქმიანობდნენ. იმავე პირობებით უნდა ავხსნათ მონის შრომის გამოყენება ამ დარგში. „ალ-ლანი... ვრცელი ქვეყანა არმენიის

---

[104] ისტორიანი და აზმანი, გვ. 105—106. შდრ. „სა-ლარ-ო" თანამედროვე მნიშვნელობით და ს.-ს. ორბელიანთან: „ს ა ლ ა რ ო ლ ა რ თ ს ა უ ნ ჯ ე", „მ ო ლ ა რ ე ლ ა რ ის მცველი", „ლ ა რ ი კუმაში, ფარჩა".

[105] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, გვ. 45.

[106] ნ ე ს ა ვ ი, გვ. 103—104.

[107] ა ჯ ა ბ ალ-დენია, გვ. 205—206. ქართ. თარგმ. გვ. 31/\\: «кожи», „ტყავები". დედანშია پوستين რაც გამოქნილ ტყავთან ერთად ნიშნავს აგრეთვე «тулуп; шуба; длинное меховое пальто (обычно из овчины)». შდრ. განძაში ტანსაცმლის 	rg.

მხარეში [sic. — პ. თ.] ბაბ ალ-აბვაბის ახლოს, ხაზართა მეზობლად... ისინი ქრისტიანები არიან. მოჰყავთ მათგან ტყავის დამმუშავებელი მონები"[108].

რამდენიმე ცნობა შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ხელოსნობის აღნიშნული დარგის განვითარების დონე. პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს დარუბანდის დაბაღთა რაისის, მეთაურის გავლენა და მონაწილეობა ქალაქის ცხოვრებაში და მის გარეთაც.

შაქი ცნობილი იყო თავისი „შაქქური ტყავით"[109]. ასევე ცნობილი იყო უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში ლაზური წაღები[110]. აზერბაიჯანის ორი ქალაქის (სახელები ტექსტში გამოტოვებულია) საქონელთა სიაში აღნიშნული ნატ'ი. მთარგმნელის აზრით, „ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ეს უნდა იყოს ტყავის ჰატარა ფარდაგი (коврик), რომელსაც საფენად იყენებდნენ ჭადრაკის და შაშის თამაშის დროს"[111]. რუსთაველთან (267; შდრ. 618) ვკითხულობთ: „მან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები". სულხან-საბას განმარტებით „ნატა თალათინი, მოქნილი ტყავია"[112].

ასეთი მოქნილი, რბილი ტყავის გამოყენების სფერო ფართო იყო — მისგან შეიძლებოდა დამზადებულიყო მუსკუსის შესანახი ჭურჭელიც[113] და ტიკებიც. ბაქოსთან „არის კუნძული, რომლის მკვიდრნი ნადირობენ წყლის ძაღლებზე (ქილაბუ-ლ-მაა'ი). მათ ატყავებენ, იღებენ ქონს, აღნობენ როგორც ლამპრის ზეთს (ქადაჰნი ალ-სურუჯი) და მიაქვთ ამ ტყავებით (ჯულუდ) ნავთობი (სხვადასხვა) ქვეყნებში გემებით"[114].

მეტყაველთა ნაწარმის ერთი მთავარი დამკვეთ-გამსაღებელი ფეოდალური ლაშქარი იყო.

ვახტანგ გორგასლის საჭურველს შეადგენდა აგრეთვე „ფარი მისი

---

[108] ჯაკუთი, გვ. 81.

[109] იქვე, გვ. 66.

[110] გ. გოზალიშვილი, ფიქრები „დიგენის აკრიტასის" ირგელივ, „მნათობი", 1976, № 4, გვ. 181.

[111] აჯაიბ ალ-დუნია, გვ. 197. შევნიშნავთ, რომ ლექსიკონები მხოლოდ ამ მნიშვნელობას აღნიშნავენ.

[112] თალათინი კი, მისივე ცნობით, „სხვათა ენაა, ქართულად ნატა ჰქვიან"; შდრ. ფრანგ. natte.

[113] ნესავი, გვ. 245: „არა ყოველი ტყავი გამოდგება მუსკუსის შესანახად" — შეგონებად წერს მემატიანე.

[114] ბაქუვი, გვ. 122 შდრ. რუს. თარგმ. გვ. 89 (17). გამოქნილი თევზის ტყავი არის „თეთრი როგორც თოელი, რბილი და მაგარი". იხ. ღარნატი (რუს. თარგმ.), გვ. 54. სპარს. ქალბოლმა' არის тюлень (Ю. А. Рубінчик) ეს უკანასკნელი კი — „ზღვის ძაღლი, ზღვის ღორი, ფუკინი, სელაპი" (Д. Чубинов-ის ლექსიკონი).

ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერა ჰკუეთდა მახჯლი"[115]. გადაუჭარბებელად, ყოველ შემთხვევაში, ის ირკვევა, რომ ამ ცხოველის ტყავი სხვათაგან გამორჩეული ყოფილა, რადგანაც მასალად სწორედ მას იყენებდნენ. ხმარობდნენ თუ არა ასეთ ფარს ჩვენს საკვლევ ეპოქაში, არ ვიცით. ეს შესაძლებელია, საომარი საჭურვლის საგანგებო შესწავლით გაირკვეს.

რა არის ვიგრი? ს.-ს. ორბელიანი აღნიშნავს „ვახტანგს აქვნდა ფარი ვიგრისაო" და განაგრძობს: „...წ მ ი დ ა ბ ა ს ი ლ ი წ ე რ ს: ლომი, ვიგრი და ვეფხიო. აწ ვიგრის ტყავს ზღვის თევზის ტყავს უჴმობენ და ჴმელთა ცხოველიც არს, მისი ტყავი(ცა) ეგრეევე ძვალით მოლურსმილია... ვიგრი არს რომლისა ტყავსა ფარად შემზადებენ, რომელსა სპარსნი ქ ა რ გ ა რ დ ა ნ ს[116] უჴმობენ... აწე რომე ვიგრის(ა) ტყავსა უწოდენ, იგი კორკოდილოს ტყავი არს, რომელსა ქართულად ხ ვ ი თ ქ ი ეწოდების. კვალად სხვა არს ოთხფერჴი ცხო(ვ)ელი, რომელსა სპარსნი დ უ ზ უ ბ ა ნ ს უწოდენ, და თევზიც არს მსგავსი ტყავმოსილობითა მათი(თა)..."[117].

თბილისური საქონლის სიაში XIII ს. პირველი მეოთხედის თხზულება ასახელებს თახვს და „წყლის ძაღლს"[118].

თახვი საქართველოშიც ბინადრობდა: „ესე არს ტბაჲ.... რომელსა ეწოდების ს ა თ ა ჯ უ ე, და არს ამას შინა სიმრავლჱ თაჯუთაჲ და სხვათა ნადირთაჲ და არს დედა შფოთთა და ბრძოლათა. რამეთუ ყამსა ამას აქა იხილვებიან მდევარნი ნადირთანი, შეკრებულნი თჳთოეულთა

---

[115] ჯ ე ა ნ შ ე რ ი, გვ. 154.

[116] ორბელიანი, ალბათ, ქარვადან-ს გულისხმობს— „كرگدن — носорог; دريايى~ а) нарвал; б) меч-рыба» — Ю. А. Рубинчик-ის ლექსიკონი. გასათვალისწინებელია შემდეგიც: „სახის მეტყველმან თქუა მ ა რ ტ ო რ ქ ი ს აჲ: ეგევითარი მკჳდრობაჲ და სახჱ აქუს: მცირე არს და მსგავს არს თევნისა და დიდად სასტიკ არს მჴეცი იგი და რქაჲ ერთი ადგს თავსა მისსა ზედა". ბ ა ს ი ლ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, მჴეცთა-თჳს სახისა სიტყუაჲ, ძველი, გვ. 240.

[117] ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი, „ვიგრი".

[118] قندس سگ آبى. ა ჯ ა ბ ალ-დენ.ა, სპარს.-ტექს. გვ. (217), სურ. 4, გვ. 203: „ბობერ, выдра»; ქართ.-თარგმ., გვ. 29; „თახვი, წყლის ძაღლი". Steingass: „قندس qundus... perhaps=قنذز. قنذز qunduz, The beaver; sable...". beaver=ბობერ=თახვი. თუმცა Ч у б и н о в-თან «бобёр — წავის ბეწვეული; მწავი, წავი". შდრ. М. Д а л ь, Толк. сл.: «Бобр, бобёр два животныя разнородныя... речной бобр Castor Fiber...». იქვე: Выдра зверек Mustela Lutra, Lutra fluviatilis... — поречная; водниха... нечто среднее между норкой и морской выдрой... В реках средней России». Выдра=1. წავი. 2. წავის ბეწვი. ს.-ს. ორბ., ლექსიკ. „თაჯუ (თაჯუ...); (ოთხფ.) კოსტტიროს".

მაგრამ ამავე დროს qunduz='соболь', 'sable'. ეს კი „სიასამურია" — „Martes

სანახებთანი და ურთიერთას მდევარნი საქმეთა უჯეროთანი, რომელნი კლვადცა მზა არიან თუთოეულისა“[119].

ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ თახვზე ნადირობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული; იმ ზომამდე, რომ მონადირენი ამ ძვირფასი ცხოველის მოსანადირებლად ერთმანეთის დახოცვასაც არ ერიდებოდნენ — „კლვადცა მზა არიან თუთოეულისა“.

ასეთ ვითარებას კი ბაზრის, — სხვათა შორის თბილისისაც, — მოთხოვნილება განაპირობებდა.

თახვი მოხსენიებულია აგრეთვე სარირის და დარუბანდის საქონლის სიაში; უკანასკნელში — სიასამურსა და ციყვთან ერთად[120].

თახვის დამუშავების შესწავლის თვალსაზრისით საგულისხმოა ცნობები რუსეთის სინამდვილიდან[121].

„წყლის ძაღლი“ ლექსიკონების ერთი რიგის მიხედვით ასევე თახვია თითქოს[122], მაგრამ ირკვევა მისი მეორე მნიშვნელობაც — წავი

---

zibellina საშუალო სიდიდის მტაცებელი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა; აქვს მურა-მოშავო ძვირფასი ბეწვი, — სამური, ხაზ-დი“ (ქეგლ).

ასე, რომ ყუნდუს (ყუნდუზ)=თახვი, бобёр. თახვის (Castor fiber) „სხეულის სიგრძე 100 სმ აღწევს, წონა 30 კგ. აქვს მასიური სხეული... კუდი ბრტყელი, 15 სმ სიგანისა, თითქმის უბეწვო, რქოვანი ფარებით დაფარული... ძვირფასბეწვიანია. უმეტესობა ლიაწაბლისფერია, მეტი მურა, ზოგჯერ — შავიც... მამალს სასქესო ორგანოსთან წყალი მეშკის ჯირკული აქვს, რომელიც გამოყოფს სეკრეტს — თახვის ყარის...“ (ქსე „თახვი“). შდრ. „არს ნადირი კასპორიოს, თაკვ ეშველისაგ... და სეერველნი მისნი საკურნებლად წამლად არნ...“ — ბასილი კესარიელი, დასახ. ნაშრ., გვ. 240. შდრ. Физиолог. Армяно-грузинский извод. Груз. и арм. тексты изсл., изд. и перев. Н. Марр, ТР, VI, с. 112—114.

[119] ბასილი ზარზმელი, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი, ძველი, გვ. 195.

[120] აჯაიბ ალ-დუნია, (ქართ. თარგმ.), გვ. 26—27/V—A, 31/١٠—١١: و قندس سمور و سنجاب.

[121] იხ. Словарь русского языка XI—XVII вв.: «Бобр... 2. Шкурка бобра, мех бобра... бобр деланый — выделанный мех бобра. Бобр сырой — невыделанная шкурка бобра. Бобр пушной — мех бобра с незычесанным пухом, подшерстком. Бобр чесаный — мех бобра с вычесанным пухом, подшерстком. Бобр черненый — подкрашенный мех бобра».

საგულისხმოა ისიც, რომ სიასამური (ხაზ-დი), მაგალითად, «...подбирается сороками. 40 соболей составляет мех, сорочек; парный соболь, на воротники и отвороты» — Вл. Даль, Толк. сл. «Соболь».

[122] ნაფისის ლექსიკონი: „سگاب (sag-âb) سگابی (sag-âbi) მღრღნელთა ოჯახის ერთ-ერთი ოთხფეხა ცხოველია. არაბულად قضاعة ფრანგულად كاستر [castor. — ბ. თ.] სპარსულად بیدستر-საც უწოდებენ“. Б. В. Миллер: „سگابی бобр“. მაგრამ Ю. А. Рубинчик: „سگ آبی а) бобр, б) выдра“.

(მწავი)[123] და, როგორც ჩანს, იგივე იგულისხმება თბილისურ საქონელში თახვთან ერთად. ფასობდა ამ ცხოველის ბეწვი, მისგანვე ღებულობდნენ ნივთიერებას სამედიცინო წამლის დასამზადებლად[124].

როგორც ჩანს, ტყავეულის წარმოება განვითარებული იყო თბილისში, აგრეთვე სურმარში და ყარსში. ყოველ შემთხვევაში, სპარსული ანონიმი მხოლოდ ამ ქალაქებში ასახელებს ისეთ ხელოსნურ ნაწარმს — უნაგირი, კაპარჭი, ხილიფა — რომლისთვისაც აუცილებელი იყო ტყავი[125]. იგივე ავტორი თავრიზში ტყავის ნაწარმთაგან მხოლოდ წიგნის ყდას (ჯ ე ლ დ) ასახელებს[126]. ყდის მასალა თბილისიდანაც გაჰქონდათ, ხოლო ხელნაწერის სხვა „დასაკაზმი მასალა . . . რგოლი და ღილი ანისიდან"[127].

ხელნაწერი წიგნების გადაწერა, შემკობა, აკინძვა, მოვარაყება და სხვა სამუშაოები შუა საუკუნეებში ხელოსნობის სავსებით ჩამოყალიბებულ, საგანგებო დარგს შეადგენდა. ამიტომ, როდესაც წერენ „წიგნ-

---

[123] იხ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი: „მწ ა ვ-ი ძაღლი, canis aquatilis sive marinus; მ წ ა ვ-ბ ა ღ ლ-ი წყლის ძაღლი, იგივე მწავი". ბ ა ს ი ლ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 241, § 28. შდრ. Физиолог, თ. XXVIII, გვ. 115—116. ნ. მარი „მწავ-ძაღლი" სტ ყ ვ ს მკორე ნაწილს (ძაღლი) ზედმეტად თვლის, გამოწვეულს მთარგმნელის მისწრაფებით: სტ ყ ვ ს ს ტ ყ ვ ი თ გადმოცცა სომხური დედანი. A. de Biberstein Kazimirski, Dict. Arab.-Fr: قضاعة—Loutre ეს უკანასკნელი = выдра = წავი. შდრ. Steingass: „سگ...sagiab-gir, A water-lizard". ნ. მიკლუხო-მაკლაისთან ზემოდამოწმებული آبی ساگ თარგმნილი: «выдра», აკაბ ალ-დუნია (ქართ. თარგმ.), გვ. 29: „წყლის ძაღლი".

-წავი (Lutra lutra) 10 კგ-მდე იწონის, სიგრძე 70 სმ აქვრბებს, გრძელი კუდი (დაახლ. 45 სმ) აქვს. ბეწვი ძრ სველდება და იქცრს ჰაერს" — БСЭ, «Выдра».

[124] იხ. ნ ა ფ ი ს ი ს ლექსიკონი, «سگاب».

[125] აკაბ ალ-დუნია, გვ. 203, 205, 208; გვ. 203 (217), სურ. 4: თბილისის საქონელია كارى بساج و قربان و كيش و زين... თარგმანი: «седла... колчаны (киш), футляры для луков (кирбан), инкрустированные слоновой костью». ქ ი შ колчан-ის გარდა (სხვა მნიშვნელობებთან ერთად), ნიშნავს აგრეთვე «оперение (стрелы)». შდრ. „a quiver: case for bows and arrows; a feather, particularly of an arrow (S t e i n-g a s s). შდრ. „ს ა ფ რ თ ე ისრის ყობული; ყ ო ბ უ ლ ი სისრე, საფრთე... საისრე კალთა...; ისარი... განიყოფ(ვ)ილ... ფრთე-დაბალი და პრ-ფრილი... ფრთე-მობრტყე... ფრთე-მაღალი... სამ-ფრთოსანი... უფრთო" (ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი-ა ნ ი). قربان = колчан: შდრ. „კ ა პ ა რ ჭ-ი, კ ა ბ ა რ ჭ-ი სისრე" (ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ლექს.). „კ ა პ ა რ ჭ ი... ისრის ქარქაში... ისართ ქარქაში.. საფრთხე; ხილიფა მშვილდის ჩასადებელი", შდრ. „ქარქაში" (ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი).

ხომ არ გულისხმობს თბილისური საქონლის ქ ი შ ისრის ფრთეს?

[126] აკაბ ალ-დუნია. გვ. 204.

[127] იხ. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები, II, გვ. 137.

ნი მოპედილ-მოუპედელნი"[128]. აშკარაა, რომ აქ სხვადასხვა ხელობის შრომა იგულისხმება.

ანისში აღმოჩენილი ტყავის ხალათის ნაშთის მდიდრული მორთულობა, — არაბული (სტილიზებული?) წარწერა კალთის კიდეზე, ვერცხლის (მოოქროვილი?) ძაფით შესრულებული ნაქარგობა და სხვა[129], — აშკარად მოწმობს ტყავის დამუშავების, ტყავეულის წარმოების დონეს.

არსებითია კითხვა: უშუალოდ დაბაღის სახელოსნო ამზადებდა მთლიანად ასეთ ნაწარმს?

არის ცნობა (თუმცა, გვიანდელი) თავრიზის მეოთხე ოლქის (ნ ა ჰ ი ე) ერთ-ერთ სოფელში მრავალი დაბაღის საქმიანობის, ხოლო ხალათში — დაბაღის სახელოსნოს — შესახებ[130].

ხის დამმუშავებელი ხელოსნობის, ხით ხუროობის ნაწარმიდან ცნობათა ერთი რიგი ჭურჭლის და ხის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების ხვეწის შესახებ მოგვითხრობენ. რა თქმა უნდა, ეს ნაწარმიც მრავალგვარი იყო დანიშნულებისა და ღირებულების მიხედვით.

სელი („სავარძელი"), მაგალითად, სამეფო კარის ავეჯშიც შედიოდა; იგი „ოქრო-ჭედილიც" კეთდებოდა, ტახტის გვერდით იდგა და მასზე სკარამანგმოსხმული დიდი მოხელე დაბრძანდებოდა ხოლმე[131]; სელი არის „სკამი... რომელიც შეიკვრის და გაიჯსნების. სხვა კეთილ-ჭრელებულსა დასადგმელსა — სავარძელი... მეფეთა და მღ(რ)დელ(თ)-მთავართ საჯდომელსა და ზედ გავალაკიანსა — საყდარი, ვიეთნი ტახტს უწოდენ"[132]. ცხადია, ტერმინთა სიმრავლე ავეჯის წარმოების მრავალგვარობას გულისხმობს.

არდებილის „საქონელია:... ხის ნაკეთობანი (ა ლ ა თ-ი ჩ უ ბ ი ნ ე), სავარცხლები (შ ა'ნ ე)... საზიდრები (გ ა რ დ უ ნ) და კარგი ხარები"[133].

სპარსულ ენაში შ ა'ნ ე ს მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს, ისევე

---

[128] მატიანე ქართლისა, გვ. 282. ერცლად ამ დარგის შესახებ საქართველოში იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა, გვ. 117—118, 125—126.

[129] И. О р б е л и, Каталог, с. 32: «...остатки кожаной рубахи?»

[130] ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი, ნუზჰათ ალ-ყულუბ, გვ. ٨٩; ნ ე ს ა ვ ი, გვ. 243.

[131] ისტორიანი და აზმანი, გვ. 33, 43.

[132] ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი, „სკამი".

[133] ა ჯ ა ი ბ ალ-დუნია, გვ. 196.

როგორც ქართულში „სავარცხელს“[134]. პირველ რიგში იგი ხისებილებიანი ხელსაწყოა, როგორც ადამიანის ტუალეტის დროს, ასევე საფეიქრო წარმოებაში გამოსაყენებელი. არდებილიდან თუ საფეიქრო დაზგის სავარცხლები გაჰქონდათ. ცნობა ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გაცილებით მნიშვნელოვან შინაარსს იძენს.

გ ა რ დ უ ნ ი ს მნიშვნელობათაგან[135] ამ შემთხვევაში „საზიდარი“[136] უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც ეტლი (კ ო ლ ე ს ნ ი ც ა), როგორც საომარი საშუალება, იმ დროს უკვე აღარ იხმარებოდა[137].

დამოწმებული ცნობა უშუალოდ აღნიშნავს[138] წარმოების საშუალებათა („საზიდრები და კარგი ხარები“) სასაქონლო ნაწარმად დამზადებას. ასეთი შინაარსის ცნობები აუცილებლად ყურადსაღებია ფეოდალური ეკონომიკის შესწავლის დროს; მით უმეტეს, რომ ფეოდალურ საზოგადოებრივ წარმოებაში წარმოების საშუალებათა წარმოება ბაზრისთვის, როგორც წესი, სუსტად განვითარებულად მიიჩნიათ[139]. ყოველ შემთხვევაში, ფეოდალური ეკონომიკის შესწავლის დროს ეს ცნობა თავისი არსებობით გაცილებით მეტს გვაძლევს, ვიდრე ვკარგავთ მისი, თუ ასე ვიტყვით, არარსებობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ არზან ალ-რუმის საქონლის სიაში არის

---

[134] ს. ნ ა ფ ი ს ი ს ლექსიკონის (გვ. 1994) მიხედვით, საფეიქრო საქმეში ეს არის ხელსაწყო, რომელიც ქსოვის დროს მასში გატარებულ ძაფებს იცავს გადასკვნისაგან. ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი: „ს ა ვ ა რ ც ხ ე ლ ი... თმათ დასავარცხელი; ს ა ვ ა რ ც ხ ე ლ ი ეწოდების ფეიქრის ლაფთინსა ლერწმისაგან (ლერწამთაგან) შეწყობილსა... გინა საფეიქროთა შეწყობილთა საბეჭავთა ლელწამთაგან“. Перс-русс. словарь... Ю. А. Р у б и н ч и к а: „شانه 1) гребень, гребёнка, гребешок, расчёска; اسب ~* скребница: 2) чесалка (для хлопка шерсти и т. п.); текст[ильное дело] бердо ...4) борона». Б. В. Миллер-ის ლექსიკონი უმატებს“... 3) веялка».

[135] იქვე: „گردونه [gārdune] и گردون [gārdun] повозка, телега; колесница“.

[136] არ ეწერთ „ურემი“, რადგან არ ვიცით ზუსტად შეესატყვისება თუ არა მას ბ ა რ დ უ ნ ი, შდრ. აკადან ალ-დენია, ქართ. თარგმ. გვ. 24: „ურმები“.

[137] საგულისხმოა, რომ ქართულ სინამდვილეში ის იხსენიება ადრეულ შუა საუკუნეებში: მომდინარე ბრძოლის დროს „...გარდამოკდა მეფე ვახტანგ ეტლთაგან...“ — ჯ უ ა ნ შ ე რ ი, გვ. 173. იმავე ავტორთან (გვ. 237), ჩანართში, ცხენისწყალზე დაბანაკებულ „სარკინოზთა“ ლაშქარში დადასტურებულია „უნები და ეტლები“. დამოწმებული ორივ „ეტლი“, შესაძლებელია, სხვადასხვა რამ იყო დანიშნულებითაც და ავებულებითაც.

[138] ყოველგვარი სუბიექტური შეხედულების, აზრის გამორიცხვის შემდეგ ასე გადაჭრით ვერ ვიტყვით სავარცხლების შესახებ.

[139] შდრ. Ф. Я. П о л я н с к и й, Товарное производство в условях феодализма, изд. МГУ, 1969, с. 87.

„ფიჭვის ხე“[140], ხოლო ნახჭევნის „საქონელია... ხის პატარა, მოხატული (მ ო ნ ა ყ უ ა შ), ძალიან კარგი თასები (ტ ა ბ ა ყ ჩ ე) ისე, რომ (ისინი) აქედან მთელ ქვეყანაში (‘ა ლ ე მ) საჩუქრებად (თ ო ჰ ფ ე) გააქვთ“[141]. ეს ხომ თანამედროვე სუვენირების წარმოებას მოგვაგონებს.

ხით ხუროობაში ნახჭევნელთა დახელოვნებას სხვა ავტორიც ადასტურებს: „მისი ხალხი დაოსტატებულია ხის ხელსაწყოების და ა ლ ხ ა ლ ა ნ ჯ ი ს ჭურჭლის კეთებაში“[142].

ხელოსნების ამავე დარგის საქმიანობაში შედის აგრეთვე მუსიკალური საკრავების ერთი ნაწილის კეთებაც. მუსიკალური საკრავები მრავალგვარი არსებობდა და ეს ხელობაც, როგორც ჩანს, გარკვეულ დარგად ჩამოყალიბდა. ტ ა ბ უ ლ-ხ ა ნ ა („ორკესტრი“) ერთგან განძეულობასა და ბაირაღებთან ერთად იხსენიება და ისიც ნადავლში მოყვა[143]. საკრავების მიხედვით მათზე დამკვრელნი, შესაძლებელია, ცალკე სოციალურ ჯგუფებად ერთიანდებოდნენ („მეჩანგენი“, „მეებნენი“); ეს საკითხები უკვე ქალაქის სოციალური აღნაგობის წიალში გადის.

საქართველოში ცნობილი იყო ორღანიც: „არცა მშჯლდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობასა, არცა ძალი[144] ორღანოსა მარადის განსხირპულობასა, რამეთუ ჟამსა ჯმარებისა მათისასა თითოეული მათი უჯმარ იპოვოსო“[145]; „...რამეთუ მოაკლდებოდა ძალსა მოპმადიანთასა, და მცემელიცა ებანსა, რამეთუ ქრისტიანეთა ორღანონი ჯმოვანობდეს კიდით კიდედმდე“[146].

არდებილში აკეთებდნენ — „სასიამოვნოსო“, აზუსტებს ავტორი — და სავაჭროდ გაჰქონდათ მუსიკალური საკრავი საზი; სარირში — კარგ ძველებურ საყვირებს[147].

---

140 აჯაიბ ალ -დუნია, გვ. 199, صنوبر ფიჭვი, ნაძვი, პიტო, სოჭი (Abies). ამ ხის შესახებ იხ. ღ ა რ ნ ა ტ ი (რუს. თარგმ). გვ. 28, 69 შ. 62.

141 აჯაიბ ალ-დუნია, გვ. 210: შდრ. ქართ. თარგმ. გვ. 34: „მოხატული ხის თასები და პატარა ტაბაკები იმდენად ლამაზია, რომ მთელს მსოფლიოში გააქვთ საჩუქრებად“.

142 ბ ა ქ უ ვ ი, გვ. 137; შდრ. რუს. თარგმ. გვ. 99 (66); ხ ა დ ა ნ გ ი ს (ხალანჯის) ხის შესახებ საკმაოდ დაიწერა, მაგრამ ამ საკითხს ამჯერად აქ ვერ განვიხილავთ.

143 ნ ე ს ა ვ ი, გვ. 60.

144 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., „ძ ა ლ-ი ლ ა რ ი, სიმი“.

145 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 357.

146 ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, გვ. 131.

147 აჯაიბ ალ-დუნია, გვ. 196; ქართ. თარგმ., გვ. 31. უნდა შევნიშნოთ, რომ მინგეჩაურში აღმოჩენილი ნივთების კომპლექსის განსაზღვრამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია: მკვლევართა ერთი რიგი მათ მუსიკალური საკრავების კომპლექსად თვლის,

•
• •

შუა საუკუნეების ხელოსნური წარმოების ერთ-ერთ ძირითად დარგს ლითონის დამუშავება წარმოადგენდა. როგორც აღინიშნა, ამ დარგს ძირძველი ტრადიციები გააჩნდა ამიერკავკასიაში[148].

ლითონი მტკიცედ იყო დამკვიდრებული შუა საუკუნეების ეკონომიკაში. აღინდა კვალად, შესაბამისად გაიზარდა და განვითარდა ამ დარგის წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი. ამის მოწმობაა შუა საუკუნეების ლითონთა მრავალგვარობა და თვისებრივ-ხარისხობრივი შემადგენლობა.

ანისში, მთავარი ქუჩის ორივე მხარეს, აღმოჩნდა სახელოსნოს ნაშთები გამოდნობილი სპილენძის ნარჩენიანი ბუთებით[149]. გამთხრელთა აზრით, ეს უნდა იყოს სპილენძის წვრილმანი ნივთების და სამკაულების სახელოსნო[150]. მსგავსი მასალა აღმოჩნდა ბაილაყანის საცხოვრებლების ფართობზე არსებულ ერთ-ერთ სანაგვე ორმოში, რაც მის ახლოს ლითონის სადნობ-დამამუშავებელი სახელოსნოს არსებობაზე მიუთითებს[151].

რასაკვირველია, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში არ არის

მეორე — ამიერკავკასიაში ადრეული ევრაზიული სტეპური ტიპის ცხენის აღფერის პირველ მონაპოვრად. — იხ. А. Н. Мелентьев, Две узды из Мингечаура, СА, 1968, № 1, с. 226.

[148] ამ ტრადიციების შესახებ საქართველოში იხ. შ. მესხია, ხელოსნობა, გვ. 12—13; О. Д. Лордкипанидзе, Археология в Грузии, Вестник АН СССР, 1982, № 4, с. 71—72. ცხადია, მეტალურგიის კერების აღმოცენება-განვითარებას განაპირობებს ადგილობრივ მადნეულის არსებობა. ამ თვალსაზრისით არქეოლოგები „ბოლნისის ქვეყანას" ისტორიული საქართველოს ერთ მთავარ სარკინეთად თვლიან. იხ. გ. ლომთათიძე, ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საწარმოო კერათა ისტორიისათვის, ფსაძ, I, გვ. 15. იქვე მითითებულია ი. გრძელიშვილის ნაშრომები საქართველოში რკინის მეტალურგიის შესახებ. შდრ. „... იწროთა რკინის ქვეყანათა", ლეონტი მროველი, გვ. 51; იხ. ავრეთვე К. Х. Кушнарева, К вопросу о развитии ремесла на Южном Кавказе в древности (По данным металлургии и гончарства), ИФЖ, 1974, № 2, ავტორი, როგორც თვითონ წერს, აყენებს და განიხილავს პალეოეკონომიკის რიგ საკითხებს.

[149] შდრ. ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი: „ბოვი ილეკროს პირველად გამოსადნობელი". ხოლო „ილეკრო ეწოდების ოქროსა, ვერცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველსაე მისთანათა ერთბამად". ნ. მართან (იხ. ქვემოთ, შ.) არის «тигель».

[150] Н. Марр, Ани, с. 96; И. Орбели, Каталог, с. 107, 108.

[151] Н. В. Минкевич-Мустафаева, Раскопки на городской стене Орен-Кала в 1953—1954, гг., МИА, 67, с. 155; ორმოში იყო სპილენძის წიდის და ხის ნახშირის ნატეხები, სფეროკონუსისებური ჭურჭლის ნამტვრევები სპილენძის წიდებით შიგნითა მხარეს, ჩამოსასხმელი თიხის ყალიბები. დაწვრილებით იხ. იქვე.

მოულოდნელი მსგავსი არქეოლოგიური აღმოჩენები, ისევე როგორც ცნობა შამქორში და არზრუმში, შესაბამისად, კარგ დანებს და ხმლებს აკეთებენო, ხოლო თბილისში — ლაგმებს[152].

მაგრამ როდესაც იმ ძვირფასი ძღვენის აღწერილობაში[153], ხალიფამ ჯალალ ალ-დინს რომ გაუგზავნა, ცხენის აღკაზმულობაში დასახელებულია თბილისური აბზინდები (ق ا ب ا ب ي ش ا ل-ت ي ف ل ي س ي ة)[154] — ეს უკვე აღარ არის წვრილმანი; რადგანაც კარგი „წვრილმანი“ ნივთის წარმოება ისევე მოითხოვს ხელოსნობის განვითარებულ დონეს, როგორც „მსხვილმანი“ (შდრ. ზევით).

საყურადღებოა, რომ ლაპარაკია არა ოქრომჭედლის ნახელავზე, არამედ „ჩვეულებრივი“ ლითონდამუშავებელი ხელოსნის ნაწარმზე, რომელიც საგარეო ვაჭრობის საგნად არის ქცეული — ის ხომ ხალიფას საგანძურებში თუ საწყობებში მოხვდა.

---

152 აჯაიბ ალ-დუნია, გვ. 207, 199; ქართ. თარგმ., გვ. 29/9. საგულისხმოა, რომ სპარსულში ي ا م ه „ქართული ხანჯალს“ ნიშნავს: „قمه qama A large Georgian dagger“ (Steingass).

153 უაღრესად მრავალგვარი შედგენილობის ძღვენის 13 „კომპლექტი“ თავისთავად ხელოსნური ნაწარმის მშვენიერ სას წარმოადგენს.

154 ნ ე ს ა ვ ი. გვ. 238; აღნიშნულ სიაში არის: „...11. თოთხმეტი ლირსეული ძღვენი ხანებისათვის. ყოველ მათგანს შეადგენდა ცხენები თავისი მოსართავებით და თუღებით, ოქროს გარსაკრავებით (საწყვეტებით) და თბილისური აბზინდებით“.

XIII ს. შესრულებულ ნესავის თხზულების სპარსულ თარგმანში არის کونپوشهای اطلس ქუნფუშპაი ატლას. ქუნფუშპა თავისთავად ცხენის აღკაზმულობის ნაწილია, შატროვანი (?) [შდრ. ი.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი: „შატროვანი (შარტოვანი)... ესე არს ქვეშაგებზედ ანუ ცხენზე(დ) გადასაფარებელი ნაკერი მძიმე ფასისა (+ გინა ნაქსოვი).. უცხო რამე... საფენელი ოქროსო�ilი... ანუ ნაკერი ჭრელად მრავალფასისა...“. შდრ. იქვე, „ქუნთა“] ნ ე ს ა ვ ი (სპარს. თარგმ) سیرت جلال الدین مینکبرنی تصنیف ...نسوی ترجمه فارسی از اصل عربی از مترجم مجهول درقرن هفتم هجری به تصحیح و با مقدمه و تعلیقات م. مینوی مینوی استاد دانشگاه طهران ، تهران ، ۱۳٤٤. م. მინოვი მას ვრცლად განიხილავს, იხ. იქვე, გვ. ج აღსანიშნავია, რომ მინოვისთან შენიშვნებში არის ق و و ي ش ا ل-ქანბრშ ალ-თიფლისიშია და არა ق ا ب ا ب ي ش. არაბ. كونپوش მრ. كنابيش იგივეა, რაც სპარს. ქუნფუშ — „ასალი (ყაჯარი)“. არაბ. كبشة kubša მრ. كبش kubaš (ნესავისთან არსებულ მრ. რიცხვის ფორმას ق ا ب ا ب ي ش თანამედროვე ლექსიკონები არ იძლევიან) ნიშნავს „კაკი, კაუჭი, მოსაკერი, ბალთა, აბზინდა“ — Hans Wehr, Arabisches Wörterbuch, Leipzig, 1956: Haken, Klammer, Spange, Agraffe. როგორც ჩანს, მასთან ახლოს მდგომ „აბზინდას“ მნიშვნელობა: „ლითონასენიანი შესაკრავი ქამრისა, ცხენის მოსართავისა და მისთანათა“—ქეგლ. „...აბზინდის სახესხვაობაა აგრაფი, რომელიც იხმარებოდა წამოსასხმის შესაკრავად ა(ბზინდას) ხევსურეთში, ს ა ყ რ ე ლ ს, ‚ ‚ ‚

ასეთ შემთხვევაშიც რამდენიმე კითხვა წამოიჭრება; მათ შორის არსებითი: მხოლოდ საგარეო ბაზრისთვის იყო გამიზნული, თუ ამ წარმოებას „სერიული“ ხასიათი ჰქონდა?

რა თქმა უნდა, ეს კითხვა თანაბარი მნიშვნელობით ეხება ამიერკავკასიის ქალაქების ხელოსნური წარმოების ყველა დარგს.

ახლა მხოლოდ ვარაუდი თუ შეგვიძლია იმის შესახებ, რომ მხოლოდ ამ აბზინდებს აკეთებდა თბილისელი ოსტატის სახელოსნო, თუ იგი ჩვეულებრივი, მრავალგვარი ნაკეთობის მწარმოებელი რკინა-კაკეულის სახელოსნო იყო? ვფიქრობთ, რომ პირველი უფრო მისაღები აზრია, — ცხადია, ფეოდალური ეკონომიკის ბუნების გათვალისწინებით, — რადგანაც წარმოების ნებისმიერ დარგში ასეთი გამორჩეული, აღიარებული, ბაზარზე სახელმოხვეჭილი („საფირმო“) ნაწარმის დამზადება ტრადიციას, გამოცდილებას, დაოსტატებას, სპეციალიზაციას მოითხოვდა. ყველაფერი ეს კი, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროის კატეგორიაში უნჯდება და სხვა პირობებთან ერთად წარმოების არსს განსაზღვრავს.

აღნიშნულ და სხვა პირობებსაც თანაბრად, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებდა ქალაქის ყოველი ხელოსნის თუ სახელოსნოს წარმოება. აქედან — განსხვავება ნაწარმის ხარისხსა და გასაღებში, ხოლო ამის შედეგად — სხვაობა მისი მწარმოებლის ეკონომიკურ-ფინანსურ შეძლებაში. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ფეოდალიზმის დროსაც ძირითად პირობას წარმოადგენდა წარმოების ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი გაუმჯობესებისა და ზრდისათვის.

ეს საკითხები მჭიდროდ უკავშირდება ხელოსანთა იურიდიულ მდგომარეობას, რადგანაც თავისუფალი ხელოსნის, თავისუფალი მწარმოებლის წარმოება გაცილებით მაღლა დგას ბატონყმურ ურთიერთობებით დაბეჭავებულ მწარმოებლის შრომასთან შედარებით. ყველაფერი ეს კი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას თავის დაღს ასვამდა და მის შინაარსს, განვითარებას, პროგრესის გზაზე აღმასვლას განაპირობებდა.

ერთ ასეთ დახელოვნებულ, აღმოსავლური ქალაქისთვის თუ არა ტიპიურ, ყოველ შემთხვევაში, მისთვის ჩვეულ პოეტ-მწიგნობარს, შაფიიტურ თეოლოგს და სახელგანთქმულ ოსტატ-ხელოსანს გვაცნობს ნესავი. X საუკუნეში მცხოვრები ეს პიროვნება ცნობილი გახდა საოცარი ბოქლომის გაკეთებით, რომლის კლიტე ნახევარ გრამს იწონიდა; აქედან — მისი თიკუნი ა ლ-კ უ ფ ფ ā ლ („მებოქლომე“)[155].

ანისში აღმოჩნდა „ძალზე საინტერესო რკინის მექანიზმიანი ბრინ-

---

[155] ნ ე ს ა ვ ი, გვ. 64.

ჯაოს ბოქლომი გამოსაწევი კლიტით. ბოქლომის ჩამოსხმული კოლოფი მოჩუქურთმებული იყო[156].

ხოლო ხლათში ერთი ოსტატი კი არა მთელი მოსახლეობა ყოფილა — ბაქუვის თუ დავუჯერებთ — ისეთი ბოქლომების (ალ-ქუფალ) დამზადებაში დახელოვნებული, რომელთა მსგავსს სხვაგან ვერ იპოვიდით[157].

ბაქუვის უნდა დავუჯეროთ, იმიტომ, რომ ამიერკავკასიაში ქალაქის თუ დაბის მცხოვრებთა ასეთი ჯგუფური დახელოვნება ხელოსნობის ცალკეულ დარგში ერთეული შემთხვევა არ არის. „დარუბანდთან ახლოს არის დიდი მთა, მის ძირში ორი სოფელია[158], სადაც ცხოვრობს ხალხი, სახელად ზირიჰგერან ანუ მეჯავშნეები. ისინი ამზადებენ ყოველგვარ საომარ საჭურველს: ჯავშნებს, აბჯრებს, მუზარადებს, მახვილებს, შუბებს, შვილდებს, ისრებს, ხანჯლებს და სპილენძის ყოველგვარ ნაკეთობებს. ყველა მათი ცოლები, შვილები ვაჟები და ქალები, მონები და მონა-ქალები დაკავებული არიან ამ ხელობით მთლიანად. ისინი არ ამუშავებენ მიწას, არ აქვთ ბოსტნები (ბაღები) მაგრამ ქონება და ფული მათ სხვებზე მეტი აქვთ, რადგანაც ყოველი მხრიდან მოაქვს ხალხს მათთან ყოველგვარი სიკეთე. ისინი არიან კარგი (კეთილი) და მდიდარი ხალხი. მათ შორის არ არის რელიგია და არ იხდიან ჯიზიას“[159]. აქვე უნდა დავიმოწმოთ შემდეგი: დარუბანდი „ნავსადგურია (კასპიის) ზღვაზე. იკრიბებიან მასში ხაზარები, სარირები, სინდუნები, ხაჯზუნები, ქურჯები, რუკლუნები, ზარანქარუნები, ‘ამრქები — ეს უკანასკნელნი ჩრდილოეთის მხრიდან, იკრიბებიან მასში აგრეთვე, ჯურჯუნიდან, ტაბარისთანიდან, დაჯლამიდან და ჯიბალიდან“[160].

ღარნატის ცნობა იმდენად მდიდარი შინაარსის არის, რომ მისი გამოწვლილვით განხილვა არაერთ საყურადღებო დასკვნას გვპირდება.

პირველ რიგში, ამჯერად, ყურადღებას იპყრობს ის, რომ „ყოველი მხრიდან მოაქვს ხალხს მათთან ყოველგვარი სიკეთე“. ცხადია, ამ „სიკეთის“ სანაცვლოდ ეს ხალხი ზირიჰგერანელთა ხელოსნურ ნაწარმს

---

156 И. Орбели, Каталог, с. 98, იქვე ნახატიც.

157 ბაქუვი, გვ. 92(27).

158 ღარნატის მეორე თხზულებაში (რუს. თარგმ.) გვ. 26: „დარუბანდის ზემოთ, ერთი დღის სავალზე, მთის ძირში ორ დიდ გორაკზე“.

159 ღარნატი [Le Tuhfat al-albab de Abû Hamid al-Andalusi al-Garnati éd. d'après les Mss. 2167, 2168, 2170 de la Bibliothèque Nationale et le Ms. d' Alger par G. Ferrand, P. 1925 (Ext. du JA, t. CCVII, 1925)]. p. 84. ღარნატი თვითონ იყო დარუბანდში. შდრ. ბაქუვი, 113 (10): „ბულღარის მცხოვრებლებს მაქვთ ჟურაში (ქვეყანა ბნელეთის ზღვასთან) მახვილები, რომლებსაც არ უკეთებენ არც ტარს, არც რაიმე მორთულობას. მოაქვთ ისეთი, როგორიც გამოაქვთ ის ცეცხლიდან და ჩაუშვებენ წყალში და ასეთი (მახვილები) გამოდგება მათთან მსატანად“.

160 ბაკუთი, გვ. 21.

გაიტანდა. ესე იგი, მყიდველი (ვაჭარი) თვითონ მიდის საქონელთან. მაშასადამე, მოთხოვნილება სჭარბობს წარმოებას. ამიერკავკასიის ქალაქებში წარმოებული საომარი საჭურველი ვერ აკმაყოფილებს ბაზარს და მთაში (ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებთან?) აღმოცენებულ წარმოებას თავისი საქონელი თვითონ არ გააქვს ბაზარზე.

თუ ასეა, საზოგადოების ბუნებრივი განვითარების პირობებში ასეთი ვითარება ხომ ჭეშმარიტად ხელსაყრელ პირობებს უქმნის წარმოების ზრდას, მის გაცხოველებას (რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც, ანგარიშგასაწევია იმდროინდელი „საწარმოო სიმძლავრეებიც“).

თუ ვიტყვით, რომ ასეთი აზრი ნაწილობრივ მაინც მოითხოვს ამა თუ იმ შინაარსისა და განვითარების საერთო ბაზრის არსებობას, — რაც ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისთვის თითქოს ნაკლებად არის დამახასიათებელი, — ასეთ შემთხვევაში როგორღა ავხსნათ აღნიშნული ცნობა, რა ეკონომიკური პირობები წარმოქმნის და ასაზრდოებს მასში აღნიშნულ ვითარებას?

რატომ აუვლის ვაჭარი ადვილად მისადგომ და ამდენად მისთვის უფრო იაფ საქონელს გვერდს და ზირიჰგერანში ავა საქონლის შესაძენად?

ახლა განვიხილოთ იაკუთის ცნობა. ზარანქარანები იგივე ზირიჰგერანელები არიან[161]. ეს ცნობა, როგორც ჩანს, სავაჭრო ურთიერთობებს რომ გულისხმობს, სამწუხაროდ, არ აღნიშნავს ვის რა მიჰქონდა სავაჭროდ დარუბანდის ბაზარზე. მაშასადამე, თუ ზირიჰგერანელებს (ან მათ მონებს, ამას, ამ შემთხვევში, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს) თვითონ გააქვთ თავიანთი ნაწარმი ბაზარზე, ასეთ ვითარებაში ყველაფერი „თავის ადგილზე დგება“ და ზემოხსენებული მსჯელობაც საფუძველს ჰკარგავს. თუ ეს ასეა, მაშინ რა ვუყოთ ღარანტის ცნობას? ჩავთვალოთ, რომ ის სინამდვილეს არ ასახავს?

რა თქმა უნდა, ერთეული ცნობების ანალიზი, შესაძლებელია, სრულად არ ასახავდეს, შეესატყვისებოდეს გარდასულ ვითარებათა მთლიან, საზოგადო სურათს. არსებითია და მნიშვნელოვანი, ვიცოდეთ ამა თუ იმ საზოგადოების რა ნაწილს მოიცავს, შეეხება („პროცენტულად“) ეს ცნობები. უნდა ვივარაუდოთ, რომ დარუბანდთან — მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრთან — ზირიჰგერანის სიახლოვე ქმნიდა იმ ხელსაყრელ პირობებს, ადგილობრივ არსებულთან ერთად, რომელთა წიაღშიც შესაძლებელი ხდებოდა ზირიჰგერანელთა მსგავსი წარმოებით ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარება.

---

[161] ზირიჰგერანი XVI საუკუნიდან ცნობილია, როგორც ყუბაჩი. ორივე სახელი — ერთი სპარსულ, მეორე თურქულ ენაზე „მეჯაქმნეებს“, „ჯაქმნის მკეთებლებს“ ნიშნავს. ჩვენს დროში მათი წარმოების შესახებ იხ. Н. Бакланов, Златокузнецы Дагестана, М., 1926, с. 15—16.

ცხადია, ასეთი საკითხების განხილვა სოციალური და ეკონომიკური ვითარების (ფართოდ — მთისა და ბარის), სავაჭრო ურთიერთობათა გულდასმით, ღრმად შესწავლის პირობებშია მიზანშეწონილი.

ამიერკავკასიის ფეოდალური საზოგადოებები X—XII საუკუნეებში მიმდინარე განვითარების შედეგად აღარ წარმოადგენენ — განსაკუთრებით XII—XIII საუკუნის პირველ მეოთხედში — ჩაკეტილ, ურთიერთისგან გათიშულ, თვითკმარი ნატურალური მეურნეობის აბსოლუტური ბატონობის ნიშანმატარებელ საზოგადოებებს.

იარაღის წარმოების შესახებ ღარნატი ერთ საყურადღებო ცნობასაც გვაწვდის. ვაჭრებს ბულღარიდან „ურწმუნოების ქვეყანაში, რომელსაც უწოდებენ ვისუს (ჩრდილოეთ რუსეთის ზოგიერთი ოლქები[162]) მიაქვთ მახვილები რომლებსაც აკეთებენ აზერბაიჯანში ვითარცა პირებს[163], გაუპრიალებლად. ყიდულობენ აზერბაიჯანში ოთხ [ასეთ] მახვილს ერთ დინარად და აწრთობენ ამ მახვილებს ძლიერი წრთობით ისე, რომ როდესაც დაჰკიდებენ ძაფზე პირს და დაჰკრავენ, დიდხანს ჟღერს. და ეს ის [მახვილებია], რომლებიც გამოსადეგია მათთვის; და ყიდულობენ მათ ნაცვლად თახვის (ბეწვს)[164].

ჩვენთვის საყურადღებო ადგილს ამონაწერიდან აზუსტებს იგივე ავტორი თავის მეორე თხზულებაში: აღნიშნულ მახვილებს „აკეთებენ ზენჯანში, აბჰარში, თავრიზში და ისპაანში ვითარცა პირებს, უვადოდ მორთულობის გარეშე, მხოლოდ რკინა, როგორც გამოდის ის ცეცხლიდან«[165].

რატომ აკეთებენ ასეთ ხმლებს? სად ხდება მათი, როგორც სახელოსნო ნაწარმის სრული ციკლის დასრულება? რამდენად ნიშანდობლივია წარმოების ასეთი ხასიათი ამიერკავკასიის სხვა ქალაქების სახელოსნოებისთვის? მხოლოდ ჩრდილოეთში გადიოდა ასეთი ნაწარმი?

---

[162] ღარნატი, (რუს. თარგმ.), Исторический комментарий, с. 101: «...страна вису — это белозерская весь... весь занимала территорию от Восточного Приладожья до Белозерья включительно».

[163] نصل; გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი: „წვეტი მახვილისა, ისრისა და მისთ.“ Х. К. Баранов, Араб-русс. словарь: «острие, лезвие; клинок». როგორც ჩანს, იგულისხმება მახვილის ლითონის მთელი ტანი. შდრ. ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი: „პირი“: „პირად უწოდენ ლახვართა და მახვილთა მკვეთელობათა“. მაგრამ შდრ. „ლახვარი... გმური არს ლახვარი პირ-ბრტყელი... ვეონი არს მოწლო და სამძგადე... ხიშტი არს ლახვარი პირ-გრძელი, ძგიდე-მახვილი“ (დაყოფა ჩვენია — პ. თ.).

[164] ღარნატი, გვ. 118; ღარნატი (რუს. თარგმ.), გვ. 58—59; შდრ. Р. М. Джанполадян, А. М. Кирпичников, Средневековая сабля с армянской надписью, найденная в приполярном Урале, ЭВ, 1972, XXI, с. 23—29.

[165] იქვე, გვ. 33.

(იხ. ზევით: „ეს ის [მახვილებია], რომლებიც გამოსადეგია მათთვის“). ქარქაშს ხომ ღარნატი საერთოდ არ ახსენებს. და ისევ მრავალი სხვა კითხვა. სათანადო პასუხები საშუალებას მოგვცემდა ნათლად წარმოგვეჩინა ლითონდამმუშავებელი ხელოსნური წარმოების ხასიათი, შინაარსი. თუნდაც აღნიშნულ ოთხ ქალაქში.

„სპანი . . . ცხენ-თორნოსანნი[166] [sic] და ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი“ ვახტანგ გორგასლის ლაშქარშიც გვხვდება. თვით გორგასალი „აღჯდა ტაიუსა შეეურვილსა ჯავშნითა“. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ ჯავშანს ისარი ატანს: „და კუალად ჰკრა სხუა ისარი ცხენსა ვახტანგისსა, და გაადო შიგა“; ეს იმ დროს. როდესაც მებრძოლი მეფე წარმატებით იცავს თავს მტრის ისრისგან ზემოხსენებული ვიგრის ტყავის ფარით[167]. ვფიქრობთ. ეს ცნობა გასათვალისწინებელია საქართველოში აბჯრის, კერძოდ. ცხენის ჯავშნის წარმოების შესწავლის დროს[168]. საგულისხმოა შემდეგიც: „ქ ე ჯ ი მ ი სამკაულია, ცხენთა გეერდთა საფარი, შეეედილი ანუ ოქრომკედოვანი, მოსაჯდომელადცა და ომში საფარად... ქეჯიმი ეწოდების მას სამკაულთა (სამკაულსა) ცხენთასა, რომელ უნაგირთა დამოჰკიდებენ კეთილად შეეედილთა ანუ სირმითა ნაკერთა, რათა გეერდნი დაუფარნეს ცხენთა ომსა შინა, კვალად საშვენებელცა არს“ (ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი).

შესაძლებელია, „ცხენ-თოროსანი“ მხედრობა იგულისხმებოდეს გიორგი პირველის იმ ლაშქარშიც. რომლის საბრძოლო მოქმედების შესახებ წერს სომეხი მემატიანე[169].

„თოროსანი“ მეომარი კი, როგორც ჩანს, „იყო... ჭურვილი რკინითა და რვალითა ტერფთაგან ვიდრე თხემამდე“[170].

ქართველთა ლაშქრის შეიარაღებაში XII საუკუნის ავტორი ასახელებს „სამწვერა შუბებს“[171].

საომარი საჭურვლის წარმოება ხელოსნობის სხვა დარგებთანაც იყო დაკავშირებული. ასე, მაგალითად, ბამბისა და აბრეშუმისგან იქსო-

---

[166] Мп ნუსხები: „ცხენ-თოროსანნი“.

[167] ჯ ა ნ შ ე რ ი, გვ. 155.

[168] შდრ. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები, II, გვ. 30—31; იქვე შედარებით ვრცლად — საქართველოში მიღმე აბჯრის შესახებ.

[169] ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ი, გვ. 67: «Они дерзостно напали на врага на конях обоссиленных тяжелыми [всадниками], железным вооружением и долгими перехоодами». შდრ. ქართ. თარგმ., გვ. 51 „[ქართველები] გაბედულად მიეწიენენ (მოწინააღმდეგეს) ცხენებით, რომლებიც ძალაგამოცლილნი იყვნენ ტვირთის, რკინის ისარ ს [ტარებისა] და სწრაფი და ხანგრძლივი სვლის გამო“.

[170] ლ ე ო ნ ტ ი მ ბ ო ე ლ ი, გვ. 7.

[171] ჭ ე ს ა ა ნ ი, გვ. 139. ლედანში არის الطراد თარგმანში: «копьи-трезубцы».

ვებოდა ჯავშნის ქვეშ ჩასაცმელი საგანგებო ტანსაცმლის ქსოვილი — у а ъ ъ ъ ъ а н д, (ქ а ჯ ъ ъ а н д, ქ а ჯ ъ г а н д)[172].

ქალაქის გარეგანი სახის შესწავლის დროს აღნიშნული იყო ქალაქის კარების რკინისგან გამოჭედვის შემთხვევები. მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს: დარუბანდის ამირამ 993 წ. „ბრძანა დამასკოს და პალესტინის კარები გაეკეთებინათ ხალასი (ხ ъ ლ ი ს) რკინისაგან“[173].

რკინის კარები მხოლოდ დარუბანდის გალავანს არ ჰქონდა.

რკინით ხუროთა საქმიანობის სფერო ფართო იყო. სოფლის მეურნეობაში რკინის საწარმოო იარაღის დამკვიდრება კიდევ უფრო აფართოებდა აღნიშნულ სფეროს. რკინის სახნისი აღმოჩნდა ბაილაყანის და დვინის X—XII სს. არქეოლოგიურ ფენებში. სახნავში მისი გამოყენების გავრცელების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მათეოს ედესელის ცნობა[174]. დვინსა და ბაილაყანში ნაპოვნია რკინის შემდეგი ნაწარმი: ბარები, ნაჯახები, წყალსადენის მილები[175], ნალები; როგორც აღნიშნულია, სპილენძის უმეტესად — სამკაული[176]. ახალქალაქში მოპოვებული ლითონის ნაწარმი სამ ჯგუფად არის დაყოფილი: „1. რკინის საგნები (სატევარი, დაშნა); 2. ბრინჯაოს საგნები (სამაჯურები, ზარაკი); 3. მონეტები (უმთავრესად სპილენძისა)“[177].

მემატიანე წერს: მონღოლებმა „ქმნეს საკჳრველი ესე საქმე უ ჭ ე დ ე ლ ი თ ა ცხენითა...“[178] (ხაზი ჩვენია — ბ. თ.). მაშასადამე, იქ, სადაც ცხენს ჭედავდნენ — მონღოლებთან შედარებით განვითარების უფრო მაღალ დონეზე მდგარ საზოგადოებებში — „უბრალო“ ნალის მჭედელიც უნდა ყოფილიყო, ხოლო რკინა, როგორც ირკვევა, აღნიშ-

---

[172] ნ ე ს ა ვ ი, გვ. 182; ისპაანის მოსახლეობის სომური ტანსაცმლის შესახებ.

[173] თარიხ ალ-ბაბ, § 36.

[174] Н. М а р р. Ани, с. 30: Из его (ژورژیسکوبوس დევთაკის) дома (на пахотные работы) выходили सससससस

ნულ დროსაც საცვლელი ღირებულების მქონე ლითონს წარმოადგენდა: „...ვიყიდე ყანაჲ: ა: და მივეც ჯარი ეროი, რკინაჲ ლიტრაჲ რვაჲ და ქალამანი :ბ:“; „...ვიყიდე ...ყანაჲ :ა: და მივეც რკინაჲ და მატყლი დრამისა :ლ: საჲ“[179].

ამ ცნობებიდან, უდავოდ, ის ირკვევა, რომ რკინა „ძვირია“, ის გაცვლის საშუალებას წარმოადგენს და, ამდენად, მისი ნაწარმის შეძენა გლეხური მეურნეობისათვის გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს. ასეთი ვითარება საზოგადოების რთულ, გაღრმავებულ სოციალურ დანაწევრებას და სოციალურ ფენათა პოლარიზაციას უწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში გლეხისა და ხელოსნის შრომის, სოფლისა და ქალაქის მეურნეობის გამიჯვნაში გამოიხატება ხოლმე.

ანისში 1001—1015 წწ. აგებული მეფე გაგიკის დიდებული ტაძრის სპილენძის ჭაღი საყურადღებოა არა მარტო როგორც ხელოსნური ნაწარმის ნიმუში — ის ანელთა კულტურის დონესაც წარმოგვიდგენს.

ჭაღი ეკიდა 19.20 მ სიგრძის რკინის ჯაჭვზე. ჯაჭვს შეადგენდა 192 ათი სმ სიგრძის რგოლები. მაღალი ქუდის მოყვანილობის ჭაღის ძირითადი ნაწილი იყო მარტივი ჭედურობით, არწივების და რგოლებში გამოჭრილი ზღაპრული ცხოველების გამოსახულებებით მორთული გვირგვინი: დიდი ჭაღის შიგნით ეკიდა პატარაც. ჭაღს ჰქონდა ნაირფერადი მინის 120 დიდი და პატარა ლამპარი. გვირგვინის ქვედა წრეხაზი რვა თანაბარ ნაწილად იყო დაყოფილი კაუჭებით. მათ შორის დამაგრებული იყო ფურცლოვანი სპილენძისგან გამოჭრილი, ფრთაგაშლილი რვა ფრინველი (მტრედი?). ისინი თითქოს გარშემო უფრენდნენ ჭაღს. ყოველი მათგანის ნისკარტიდან ეშვებოდა ლამპრის დამჭერი ძეწკვები. როგორც აღნიშნავენ, ჭაღის მოწყობილობა და აღნაგობა გამორჩეული იყო[180].

ეკლესიას უკავშირდება აგრეთვე ანისში აღმოჩენილი ბრინჯაოს პატარა ზარის ნატეხები. ანისის ორი ეკლესიის XIII საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებულ წარწერებში მოხსენიებული „სამრეკლოს“ (ზ ა ნ კ ა კ ა ტ უ ნ) განხილვის დროს ნ. მარი ეხება ანისში ზარების ჩამოსხმის, წარმოების საკითხსაც. მისი აზრით XIII საუკუნის ანისისათვის ზარები ჯერ კიდევ უცხო იყო და ისინი იქ ქალკედონიანი სომხებით დასახლებულ სამხრეთ საქართველოს, სომხეთთან მოსაზღვრე, ოლქებიდან უნდა შეეტანათ. ამასთანავე, XIII ს. 70-იანი წლე-

---

[179] იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა, გვ. 111. XI ს. ამ ძვირფასი ცნობის საგულდაგულოდ შესწავლამ, შესაძლებელია, ბევრი რამ მნიშვნელოვანი გაარკვიოს ფეოდალურ ეკონომიკაში.

[180] დაწვრილებით იხ. И. О р б е л и, Каталог, с. 39—45, იქვე — აღდგენილი ჭაღის სურათი.

ბიდან ქალაქედონიანი სომხებივე უნდა ყოფილიყვნენ ანისში ამ საქმის მოთავენი და წამომწყებნი.

ზარების წარმოების საკითხს შეეხო ი. ორბელიც, როდესაც მან შეისწავლა ქ. ვიატკის გუბერნიაში არსებული ზარების ქარხნის მფლობელის მიერ საიმპერატორო არქეოლოგიურ კომისიაში გაგზავნილი ზარის ფოტოსურათი. ეს ზარი, რომელიც ქ. ფოთიდან მოხვედრილა ქარხნის მეპატრონის ხელში, ორბელის სიტყვით, უეჭველად უძრავად დამაგრებულ და თავისუფლად მოძრავენიანი აღმოსავლური ტიპის ზარებს განეკუთვნება.

ფოთიდან ვიატკის გუბერნიაში მოხვედრილი ზარის წარმოშობისა და თარიღის დასადგენად ორბელი ზარის შემკულობას, კერძოდ, მასზე გამოსახულ ჯვარს განიხილავს და ვარაუდის სახით დაასკვნის, რომ, თუ მისი „წინასწარი მოსაზრება მართებული აღმოჩნდა და თუ ზარი ნამდვილად ანისის კულტურული გავლენის სფეროში იყო ჩამოსხმული, რაც ს ა ვ ა რ ა უ დ ო ზ ე უ ფ რ ო მ ე ტ ი ა. ასეთ შემთხვევაში, მისი გაკეთების დრო შეგვიძლია დაეჭვების გარეშე განვსაზღვროთ XII—XIII სს. ხანით“ (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

6. მარი მოკლედ იმოწმებს ორბელის ამ მოსაზრებას და წერს, რომ აღნიშნულ სფეროში არ შეიძლება ვიგულისხმოთ არც შირაკის ოლქი და არც მისი დედაქალაქი ანისი, სადაც სამრეკლოების მშენებლობა დაიწყეს მხოლოდ XIII საუკუნის 70-იან წლებიდან, — ესე იგი, სამიოდე ათეული წლით გვიან, ვიდრე სომხურსავე აღპატის მონასტერში, — და სადაც ზარები შეჰქონდათ ჯერ კიდევ XIII ს. ბოლოს[181].

ერთ დროს ანისის მუზეუმში გამოფენილი და შემდეგ დაწვრილებით აღწერილი, აგრეთვე სომხეთის სხვა, და საერთოდ ამიერკავკასიის ქალაქებში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ლითონის დამუშავების ტექნიკური ხერხები და წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები[182].

ლითონის ძვირფასი (სამეფო კარისა და ფეოდალური არისტოკრატიის) და უბრალო (დაბალი სოციალური ფენების) ჭურჭლის შესწავლაც საყურადღებო დასკვნებს გვაძლევს სოციალური ისტორიის და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის გასარკვევად. ასე, მაგალითად, საგანგებო გამოკვლევის საგანი გახდა ამიერკავკასიაში ცნობილი ბრინჯაოს ქვაბები.

---

[181] ვრცლად ამ საკითხების შესახებ იხ. Н. Я. Марр. XI-я Анийская, с. 37—39; მ ი ს ი ვ ე, Ани, с. 103—105, 112; И. Орбели, Колокол с анийскими орнаментальными мотивами XII—XIII века, — Избр., тр., с. 175—187, პირველად დაიბეჭდა 1912 წ.

[182] იხ. И. Орбели, Каталог; მ ი ს ი ვ ე, Развалины Ани, с. 20—21; Б. Н. Аракелян, Развитие ремёсел, с. 120—123.

როგორც გაირკვა, ზირიჰგერანის (ყუბაჩის) ლითონის ნაწარმის, კერძოდ. ბრინჯაოს ქვაბების შესწავლა გაცილებით ღრმა კულტურულ-ისტორიული წიაღსვლებისთვის იძლევა საფუძველს, ვიდრე ეს შეიძლება ვივარაუდოთ ამ ქვაბების როგორც „ჩვეულებრივ“ სახელოსნო ნაწარმად მიჩნევის შემთხვევაში. ამ ლითონდამმუშავებელი ხელოსნური წარმოების ცენტრის „ფესვების“ კვლევის შედეგად ი. ორბელი 30-იანი წლების დასასრულს წერდა, რომ მის წარმოქმნა-ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღოდათ იმ ძველ ალბანელებს, რომლებიც მტრის მოძალების გამო იძულებული იყვნენ გასცლოდნენ თავიანთი ქვეყნის მიწა-წყალს, — განსაკუთრებით მტკვრისა და არეზის შუამდინარეთიდან არანიდან, — და თავი შეეფარებინათ სამხრეთ დაღესტნის მთიანეთში.

ბრინჯაოს ქვაბებიდან მკვლევარი გამოყოფს ოთხ ნაირსახეობას. ხოლო ესენი, თავის მხრივ, ორ ქვეჯგუფად იყოფა. ერთ მათგანს ყოფაცხოვრებაში გამოყენებული ჭურჭელი შეადგენს, მეორეს — უკვე ხმარებიდან გამოსული, მაგრამ დაფასებული და ოჯახში საპატიო ადგილზე გამოფენილი ქვაბები.

საყურადღებოა პირველ ორ სახეობაში გაერთიანებული ქვაბების სახელწოდებანი. პირველი სახეობის აღმოსავლეთისთვის ჩვეულებრივი მომრგვალებული ფსკერის და კონუსური, ზემოთკენ დავიწროებული გვერდების მოყვანილობის ქვაბს, რომლის ფორმის უხსოვარ სიძველეს სახელგანთქმული მაიკოპის ყორღანის ოქროს პატარა ქვაბი განსაზღვრავს, ეწოდება გ ი ურ ჯ ი-ე შ ე ქ „ქართული ქვაბი“.

მეორე სახეობის ნახევარსფერულ, გადაზნექილგვერდებიან და შვეულად ამართულ ქობიან, ორი შვეულივე სახელურებით და ქვაბთან ერთად ჩამოსხმულ სამ პატარა ფეხებიან ქვაბებს ეწოდებათ შ ი რ ვ ა ნ-ე შ ე ქ „შირვანული ქვაბი“;

ორ უკანასკნელ, ხმარებიდან გამოსულ, მაგრამ საპატიოდ შენახულ ქვაბების ჯგუფში გაერთიანებულთ — ხ ა ჩ-ე შ ე ქ; ხ ა ჩ სომხურად ჯვარს ნიშნავს.

ქვაბების წარმოების ტექნოლოგიაში ორი ხერხი გამოიყოფა. ერთ-ერთი ნაირსახეობის ქვაბები ყოველთვის მთლიანი ჩამოსხმით არის დამზადებული. მეორესი — მხოლოდ ქვედა ნაწილია ჩამოსხმული, ხოლო ზედა ნაწილი — უმეტესად ძველ ნიმუშებზე — მიმოქლონებული.

როგორც უფრო ძველ, რამდენიმე ნაწილისგან დამოქლონებულ, ასევე უფრო გვიანდელ, მთლიანი ჩამოსხმის ქვაბებს მოქლონვის ადგილზე დაუყენება რელიეფური, ჩუქურთმით შემკული სარტყლები: ფართო ჰორიზონტალური — ქვაბის შუა წელზე და რამდენიმე ვერტიკალური ქობიდან შუა სარტყელზე დაშვებული.

ვერტიკალური სარტყლების ჰორიზონტალურთან შეერთების ადგილზე გამოსახულია ქვაბის ძირთან ერთად ჩამოსხმული ჯიქის მკერდი, კისერი და თავი, რომლებზეც დამაგრებულია ჩამოსხმული, რგოლების მოყვანილობის სახელურები. საუკეთესო ნიმუშებზე სახელურები ქვაბთან ერთად არის ჩამოსხმული, სხვებზე — ყრუდ დამოქლონებული.

განხილული ქვაბების ერთ ჯგუფს ი. ორბელი მოჩუქურთმების და არაბული წარწერების ასოების მოყვანილობის საფუძველზე XII—XIII საუკუნეებით ათარიღებს.

სომხური თიხის ჭურჭლის (კ ა რ ა ს ი) და ქვაბების ჩუქურთმის ისტორიულ-კულტურული ანალიზის შედეგად მკვლევარი ასკვნის, რომ ერთადერთი ქვეყანა კავკასიაში, სადაც შეიძლებოდა XII—XIII საუკუნეებში ეკეთებინათ ასეთი ქვაბები, ეს იყო ძველი ალბანეთის ჩრდილოეთ მთიანეთის განაპირა მხარეები, ხოლო მათი მკეთებელი ოსტატები ისინი უნდა ყოფილიყვნენ, რომელთა მაღალ დახელოვნებას აღნიშნავდა ღარნატი[183].

აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა ისიც, რომ ძველ შემახაში აღმოჩენილი მოოქროვილი ვერცხლის თასის შეპწავლის საფუძველზე მკვლევარნი ვარაუდობენ ლითონის დამუშავების სკოლის არსებობას ადრეულ შუა საუკუნეებში, სასანელთა სახელმწიფოს ჩრდილოეთში, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე[184]: ამ ვარაუდს კიდევ უფრო ამაგრებს ი. ორბელის დამოწმებულ ნაშრომში გარკვეული კულტურულ-ისტორიული ვითარება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „XIV ს. ბრინჯაოს ჩამოსხმის სასწაულის“ (იაკუბოვსკი). „შუა საუკუნეების მსოფლიო პრაქტიკაში სწორუპოვარი ქვაბის“ შემქმნელი ხელოსნის მამა თავრიზელი ოსტატი იყო[185].

საერთოდ კი, ამიერკავკასიაში გავრცელებული ჭურჭლის (თიხის, ლითონის, ხის) სახელწოდებათა და დანიშნულების გათვალისწინებაც

---

[183] И. Орбели, Албанские рельефы и бронзовые котлы.— Избр. тр., Ереван, 1963, с. 317—361. ამავე ნაშრომში ი. ორბელი ეხება საკითხს ეგრეთ წოდებულ სელჩუკური ხელოვნების შექმნაში ამიერკავკასიის ხალხების კულტურულ ი წვლილის შესახებ.

ეგრეთ წოდებული „ქ. მოსულის ბრინჯაოს“ წარმოშობის და წარმოების შესახებ იხ. Н. Марр, О раскопках, с. 50. სადაც მარი გამოთქვამს ვარაუდს ამ ბრინჯაოს სომხეთში შესაძლო წარმოების შესახებ.

[184] Дж. А. Халилов, Серебряное блюдо с позолотой из древней Шемахи, ВДИ, 1976, № 3.

[185] М. С. Булатов, Шедевр мастера Абдаль Азиза (Из истории художественного литья в эпоху среднеазиатского ренессанса), СА, 1969, № 2, с. 225 226.

კი თავისთავად მიგვანიშნებს ხელოსნური წარმოების შესაბამისი დარგების ნაწარმის მრავალფეროვნებაზე[186].

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი აზერბაიჯანსა და სომხეთში ლითონის დამუშავებას ხელოსნური წარმოების წამყვან დარგადაც კი მიიჩნევს[187].

•
• •

მინის ნაწარმი ამიერკავკასიაში ძვ. წ. უკანასკნელ საუკუნეებიდან ვრცელდება[188]. მომდევნო ხანებში, მისი გავრცელების ზრდასთან ერთად, ადრეულ შუა საუკუნეებით დათარიღებული ზოგიერთი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, შეიძლება ვიმსჯელოთ მინის ადგილობრივი წარმოების შესახებაც[189]. ხოლო VIII—IX სს. დათარიღებული მინის საწარმოს ნაშთების აღმოჩენამ (ორბეთი) ეს მსჯელობა მყარ საფუძველზე დააყენა[190]. ცხადია, ასეთ მდგომარეობას — პოლიტიკურ ვითარებაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად — ხელი უნდა შეეწყო განსახილველ ეპოქაში მინის წარმოების შემდგომი განვითარებისათვის ამიერკავკასიაში.

არსებული მასალა შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ მინის წარმოების ძირითადი კერები (დვინი, დმანისი, თბილისი, მცხეთა, ორბეთი, რუსთავი), ნაწარმის ხარისხი, ჯგუფები დანიშნულების მი-

---

[186] იხ. თუნდაც ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი, „ჟურნალი".

[187] Б. Н. Аракелян, დასახ.ნაშრ., გვ. 119; Ф. Л. Ибрагимов. Металлообрабатывающее ремесло в средневековых городах Азербайджана IX—XIII вв. (на основании археол. и этнограф. материалов), Баку, 1969, с. 3. (საკანდიდატო დისერტ. ავტორეფ.).

[188] ა. აფაქიძე, ქალაქები, გვ. 233; ვანი I, არქეოლოგიური გათხრები, 1947—1969; თბ., 1972, გვ. 116; Е. А. Пахомов, Обследования и раскопки кувшинных погребений Азербайджана, ИАз. ФАН, 1939, № 3, с. 71; Б. Н. Аракелян, Пути развития, с. 17.

[189] იქვე: აღნიშნელია, რომ ელინისტურ სომხეთში «...налаживается производство стеклянных изделий». ა. აფაქიძე, ქალაქები, გვ. 233—234; გ. ლომთათიძე, ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საწარმოო კერათა ისტორიისათვის (არქეოლოგიურ ძეგლთა მიხედვით), ფსაძ, I. გვ. 15; ვ. მ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის, ფსაძ, II, გვ. 101; Н. Н. Угрелидзе, К уточнению стратиграфии Мцхета-Самтаврского некрополя I—VIII вв. н. э. ფსაძ. II, გვ. 248—249.

[190] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 15; შდრ. მისივე, სინ-ში II, გვ. 557; ნ. უგრელიძე, მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961, გვ. 6; მისივე, ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისთვის, თბ., 1967, გვ. 88—92.

ხედვით; გავიაზროთ წარმოების ზოგიერთი მხარე: თვალი გავადევნოთ კავშირ-ურთიერთობათა მიმართულებებს, შინაარსს.

დანიშნულების მიხედვით ნაწარმი სამ ძირითად ჯგუფს შეადგენს: სამკაული, ჭურჭელი, სარკმლის მინა.

ყურადღებას იპყრობს მინის ნაირფერადობა. რუსთავში მოპოვებული მინის ნაწარმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ შუაფეოდალურ ხანაში აქ გავრცელებული იყო შემდეგი ფერის და ხარისხის მინა: მუქი მწვანე, კრიალა, ამჟამად მცირედ გამოფიტული; მომწვანო-მოცისფრო, უბუშტულებო, ალაგ-ალაგ მოყავისფროდ გამოფიტული; ღია მწვანე, ბუშტულებიანი, გამოუფიტავი; მწვანე, მოსქო მინა, ყავისფრად გამოფიტული. გვხვდება სხვა ფერებიც: მოყვითალო, მომწვანო-მოყვითალო, მოთეთრო, ღვინისფერი, თაფლისფერი, მუქი შავი, მუქი მომწვანო-მოყვითალო. სიას კიდევ უფრო გაზრდიდა წინარე ხანის მინის ფერების დამოწმება[191]. ანისში გამოვლინდა შავი, მწვანე, ყვითელი, ცისფერი, ლურჯი, წითელი (ღვინისფერი). ამასთან, თითოეული ფერი (ისევე, როგორც რუსთავში) რამდენიმე ელფერში გადადის მუქიდან ნათლამდე[192]. ბაილაყანში — მომწვანო, მოწითალო-ალუბლისფერი[193]; განძაში — შავი, ლურჯი, მომწვანო-მოყვითალო[194].

რუსთავის მრავალფეროვან მინას ერთ სახელოსნოში და, ალბათ, არც ერთ ქალაქში არ აწარმოებდნენ. მაგრამ შემოტანის გათვალისწინებითაც, მაინც საგულისხმოა ესოდენ ნაირფერადი მინის ნაწარმი. შესაძლებელია, ეს მოვლენა, ობიექტური (ადგილობრივი ნედლეული) მიზეზების გარდა, მწარმოებლის მიერ ბაზრის ინტერესების გათვალისწინებითაც ავხსნათ.

მაგრამ ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე მინის ნაირფერადობის ახსნა და აქედან გამომდინარე დასკვნა, — ადგილზეევე აღნიშნული წარმოების არსებობის შესახებ, — შესაძლებელია, მცდარი გამოდგეს; ვინაიდან ცნობილია, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლებული ხელოსნები არ წყვეტდნენ კავშირს ძველ, „მშობლიურ" კერებთან და იქიდან ნედლეულსაც კი ღებულობდნენ ახალ ადგილზე წამოწყებული მინის წარმოებისათვის[195]. ხელოსახთა ასეთი გადასახლების შემთხვევები ამიერკავკასიაშიც არის ცნობილი როგორც ად-

---

191 მ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, შუასაუკუნეთა რუსთავში მინის წარმოების ისტორიისათვის, ფსაძ. I, გვ. 138 passim.

192 И. О р б е л и, Каталог. с. 124—125; იქვე, გვ. 80—83 — დაწვრილებით ანისში მოპოვებული მინის ნაწარმის შესახებ.

193 იხ. МИА, 67, გვ. 66, 155, 162, 171 იქვე — ნაწარმის დახასიათება.

194 И. Д ж а ф а р з а д е, Ист.-археол. очерк, с. 34.

195 Р. М. Д ж а н п о л а д я н, Резное стекло из Двина, СА, 1968, № I, с. 274, შ ჩ ა პ ო ვ ა ს ნაშრომის მითითებით ВВ-ში 1961, XIX, გვ. 60—67.

რეულ, ასევე შუა საუკუნეებშიც — უშუალოდ ჩვენი კვლევის ეპოქაშიც. მაგრამ ასეთი ვითარებაც, ცხადია, ხელს უწყობდა ცოდნის, გამოცდილების, საწარმოო საშუალებების, ტექნიკის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას, გავრცელებას და — საბოლოო ჯამში — საზოგადოებრივი განვითარების ზრდას.

სხვადასხვა ქალაქში ერთი და იგივე ფერის მინის არსებობის მიზეზების გარკვევაში ნაწარმის ქიმიური ანალიზების შედარება დაგვეხმარებოდა.

საგულისხმო მასალა გამოავლინა ნადარბაზევის გათხრამ. აქაური მინის საგანთა ერთი ჯგუფი „...საყურადღებოა და ნაკლებ ჩვეულია: შეიცავს მოსქო ბრტყელი მინის რამდენსამე ნატეხს... მათმა საგანგებო შესწავლამ ცხადყო, რომ ისინი შუა საუკუნეებს მიეკუთვნება და რაც მთავარია სარკმლის მინის ნატეხებს წარმოადგენს. ეს დაკვირვება დამატებით შუქსა ჰფენს სასახლის აღნაგობა-მოწყობილობის საკითხს: შესაძლოა, გარდა ნამდვილად ზედმეტად ვიწრო სარკმლებისა, ჭერშიც იყო სინათლის წყარო — მინით დაფარული ზედაპირები?“ ამასთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ იქვე „ამოდიოდა... სარკმლის მინის (მრგვალი, ბრტყელი, ნ ა პ ი რ ე ბ ა კ ე ც ი ლ ი) ნატეხები“ (ხაზი ჩვენია — პ. თ.)[196].

თუ ეს ნატეხები კრამიტის მსგავსად არის ნაპირებაკეცილი, გამოთქმული მოსაზრება მეტ დამაჯერებლობას იძენს[197].

შუა საუკუნეების საქართველოში მინის ასეთი დანიშნულებით გამოყენება თუ დადასტურდა, ეს იქნებოდა არა მარტო კარგად განვითარებული მინის წარმოების (სქელი მინის წარმოება თხელი, საუურჭლე მინისგან განსხვავებით ხომ საკუთარ ტექნოლოგიას მოითხოვდა), არამედ მაღალგანვითარებული საერო არქიტექტურის მაჩვენებელი კიდევ ერთი საბუთი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძეგლი ქალაქგარეთ არის აგებული.

რუსთავის მინის „ჭურჭელი უმთავრესად ჩაბერვითაა გამოყვანილი; ვეჭედება ყალიბში ნაკეთებიც“[198]. „თვალდათვალ შენიშვნით“, ნაწარმის ლაბორატორიული ანალიზის გარეშეც რუსთავის მინის ნაწარმი „ითქმის ყოველთვის მაღალხარისხოვანია: მეტწილად სრულიად უბუშტულო და მცირედ ან სრულიად გამოუფიტავი“, ასევე ხასიათდება რუსთავული სამაჯურებიც. ისინი „სხვებთან შედარებით

---

[196] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, შუაფეოდალური..., გვ. 129—130.

[197] ესე იგი, მინა, როგორც სახურავი, — თორემ სარკმლის ჩარჩოს ნაწილში ჩარჩენილი „ლია მშვენე მინის ნატეხი“ აღმოჩენილია ურომის ტაძართან. იხ. ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, მინა, გვ. 10—11.

[198] ვ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

გვაოცებენ არა მარტო სიუხვით, არამედ... მრავალგვარობით და კარგი ნახელაობით . . . კარგი ხარისხის მინით (სურ. 6)"[139].

ნ. მარი აღნიშნავდა, რომ მცირერიცხოვანია, მაგრამ მეტად ძვირფასი ანისში ნაპოვნი მოხატული მინის ფრაგმენტები. ასეთია მოხატული სასმისის (ბ ო კ ა ლ) ნატეხები ადამიანის და ოქროს შროშანების გამოსახულებებით[200]. აქვეა ნაპოვნი გარედან და შიგნიდან ცისფრად შეღებილი მინის ლამპრის სამი ნატეხი არაბული წარწერის ნაწყვეტებით ოქროთი შემოვლებულ სარტყელზე[201].

მინის წარმოების ტექნიკური დონის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დვინის მინის ჭურჭლის კრებულის შესწავლა[202]. აღსანიშნავია მინის წარმოების და მხატვრულ-ტექნიკური დამუშავების ხერხების ის სიმრავლე, რომლებიც აღნიშნულ ნაშრომშია გამოვლენილი. ზოგიერთი მათგანი ანტიკურ ხანაში იქმნება და შემდგომ, შეცვლილ ვითარებაში, ახალ შინაარსს იძენს, ზოგიერთიც დღევანდელ მინის წარმოებაშიც გადმოვიდა გაუმჯობესებული სახით.

ნაწარმს აკეთებდნენ ჩაბერვით („ნელი ბერვა", „თავისუფალი ბერვა") და ყალიბში ჩამოსხმითაც (შდრ. რუსთავის მინა). ყალიბში დამზადებულ ნაწარმს შემდეგ ციცად ამუშავებდნენ. შესაძლებელია, რომ ყალიბში წინდაწინ იყო მონიშნული ყველა ის დეტალი, რომელიც შემდეგ დამატებით მუშავდებოდა. ასეთი ფაქტები შუა საუკუნეების ხელოსნობაში „სერიული წარმოების" ჩანასახებად უნდა განვიხილოთ.

„ჩვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში მთელს წინა აზიაში ძალზე გავრცელებული იყო ძვირფასი ლითონის და მთის ბროლის ჭურჭელი. ოქროსა და ვერცხლის ძვირფას ჭურჭელთან ერთად იყო ნაკლებად ძვირი ბრინჯაოს და კერამიკის ჭურჭელი. მოუძებნეს შემცვლელი მთის ბროლსაც. ჭიქისმოქმედთა ისწავლეს გამჭვირვალებით მთის

---

[199] იქვე, გვ. 150—151. ნაშრომში დახასიათებულია აგრეთვე ნაწარმის მხატვრული დამუშავება. მინის 11 სამაჯური და ერთი ბეჭედი აღმოჩნდა XII—XIII სს. დათარიღებულ ბაქოს სამარხებში. საყურადღებოა აქ აღმოჩენილი მრავალგვარი ნივთის მრავალფეროვანი მასალა: თიხა, ფერადი თიხა; ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძის და ერთი ბრინჯაოს მონეტა (თემურიანთა და XV ს. დასაწყისის შარვანშაჰების); ქარვა, ლაგვარი, მარგალიტი, სადაფი, სმალტა ცისფერი ჭიქურით, სარდონი ლალაქვა, აქატი; დაშლილი აბრეშუმის ნაჭერი.— იხ. В. В. Бартольд, Отчет об осмотре мусульманского кладбища в г. Баку, Сочин. т. IV, с. 136 — —138 არის ფოტოც.

[200] შდრ. შროშანა სასანური ირანის და ამერიკავკასიის პოლიტიკური ხელისუფლების სიმბოლიზმში.

[201] დაწერილებით იხ. Н. Марр, XI — я, с. 61; მასვე, Ани, გვ. 101.

[202] იხ. Р. М. Джанполадян, დასახ. ნაშრ., შდრ. ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, ადრეულ.., გვ. 86—88.

ბროლის მსგავსი მინის წარმოება, რომელიც შეიძლებოდა გამოედნოთ და ჩამოესხათ ყალიბებში როგორც ლითონი, ხოლო კვეთით დაემუშავებინათ როგორც ბროლი. ამრიგად, ღებულობდნენ ჭურჭელს, რომელიც ჰგავდა როგორც ლითონს ასევე, ბროლს, იყო უფრო იაფი და არანაკლებ მშვენიერი"[203].

ს.-ს. ორბელიანი: „ჭიქა არს კაეისა მიერ გამონადნობი (გამოდნობილი) ჟელოვანთაგან და მისგან შთაბერვისა მიერ შეიქმენ ჭურჭელთა მ ს გ ა ვ ს თ ა ბ რ ო ლ ი ს ა თ ა, საწდეთა .... და ყოველთა ჭურჭელთა, რომელიმე შეღებენ ფერად-ფერადად, გინა ჭურჭელთა მათ, გინა სარკველთათვის კანკელთა სასინათლოთათვის, რომელიმე თვალთა პატიოსანთა ამსგავსებენ, რომელნიმე მინასა შე(ჰ)მზადებენ, რომელთა შთასხმენ ოქროთა შიგან ვითარცა მხატვრისაგან ჟელოვანთასა დახატულსაებრ. რომელიმე თმათა მსგავსთა იქმენ და სხვანი მრავალთა უცხოებსა სხვარიგსა (სხვარიგთა)"[204].

ხელოვნური ბროლის წარმოებასთან დაკავშირებით საგულისხმოა შემდეგი ცნობაც: ხალიფასადმი მისი წარმომადგენლის მიერ გაგზავნილ ალფ არსლანის მიერ ანისის აღების აღწერილობაში, — სიბტ იბნ ალ-ჯაუზთან რომ არის დაცული, — ნათქვამია: „...ამბობდნენ, რომ ერთ-ერთ ეკლესიაში იპოვეს წყლის ცხრა ბროლის ჭურჭელი. ისინი დაამტვრიეს და გაიყვეს მეომრებმა. ყოველი ნატეხი იწონიდა 18 რატლს (რატლი=406,5 გ)"[205].

ისმის კითხვა: ხომ არ ჰქონდა ალფ არსლანის მეომრების თვალში ბროლის ჭურჭლის ნატეხებს გარკვეული ღირებულება?

ბროლის და საერთოდ მინის წარმოების ერთ-ერთ ცენტრად გვევლინება თბილისი. მისი „საქონელია... მინა, ფიალები, კარგი ბროლის ნაკეთობანი"[206].

ჭურჭლის მხატვრულად შემკობის ხერხთაგან ცივად დამუშავება გულისხმობდა ხეხვას, თლა-დაწახნაგებას, კვეთას. ისინი თვალსაჩინო-

---

[203] Р. М. Джанполадян. Резное стекло, с. 273.

[204] ლექსიკონი „ჭიქა".

[205] იხ. ჰ უ ს ა ი ნ ი, გვ. 191, მთარგმნელის შ. 4.

[206] ალიბ ალ-დუნია, გვ. 203 (217), სურ. 4: «...شيشه و پياله آلت ابگينه نيكو» თარგმანი: «стекло (шишэ), пиалы, хорошие хрустальные изделия (алат-и абгинэ)». „ალიბ ნეი", ამ შემთხვევაში, მინასაც ნიშნავს და ბროლსაც. დამოწმებულ ნაწყვეტში სწორედ „ბროლი" უნდა იგულისხმებოდეს, რადგანაც მინის აღსანიშნავად თხზულების ავტორმა სხვა სიტყვა („შიშე") იხმარა. შდრ. ქართ. თარგმ., შ. 50: „დ. მეგრელაძე და მ. ალშვილი ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ბროლის ნაწარმის მოსალესები იგულისხმებოდა (მოსალესი კონუსური ბროლია, რომლის ზედა მხარე ლითონთ არის შეკვდილი და მინიატურული დეკორატიული ქანდაკებით შემკული)".

დაა დახასიათებული — ამა თუ იმ ხერხით დამზადებული ჭურჭლის მაგალითზე — დამოწმებულ ნაშრომში და აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

დვინის მინის ჭურჭლის ნამდვილად ძვირფასი კრებულიდან ყოველთვის არ ხერხდება ადგილობრივ წარმოებული ნიმუშების გამოყოფა. მაგრამ დვინელთა სოციალური ფენების და ეკონომიკური შეძლების შესწავლა-განსაზღვრას ის დიდად შეუწყობს ხელს.

ნაწარმის მხატვრულ დამუშავებასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის, რომ „ადრეფეოდალურ ხანაში ამოხეხილ ფოსოებს ანუ ფაცეტებს თუ რელიეფურ ორნამენტს, რომელიც მინის ჭურჭელზე ტალღურ ზედაპირს ქმნის, შუა ფეოდალურში ენაცვლება რელიეფური ძაფებისა და ხვეული კოპების (ხშირად ფერადის) დაძერწვა“[207]. ცხადია, ასეთ და მსგავს ცვლილებებს განვითარებული ფეოდალიზმის ხელოსნურ წარმოებაში თავისი საფუძველი გააჩნდა.

ირკვევა, რომ მინა სულ უფრო ღრმად იჭრება ყოფა-ცხოვრებაში. „საგანგებო დანიშნულების მინის საგნებიდან შეგვიძლია დავასახელოთ შიბაქი, რომელიც რუსთავშიც და საქართველოს სხვა ნაქალაქარებშიც მრავლადაა მოპოვებული... იგი ფორმით ჰგავს თანამედროვე ყოფაში შემორჩენილ ხის შიბაქებს. ნაკეთებია მწვანე, ბუშტულებიანი მინისაგან.

რუსთავულ შიბაქებს პარალელები ეძებნებათ აზერბაიჯანის და შუა აზიის ნაქალაქარებიდან მომდინარე, XI—XIII სს. დათარიღებულ მასალებს შორის“[208].

პირველ რიგში, ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, „შუა ფეოდალური ხანის საქართველოში — და აზერბაიჯანსა და შუა აზიაშიც, დავძენდით ჩვენ — ბავშვის ჰიგიენის ჯეროვან დონეს მოწმობს“[209].

აქ სხვა რამეც შეიძლება გაირკვეს, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი; კერძოდ, როდის შეცვალა ხემ მინა შიბაქის დამზადებაში და რამ გამოიწვია ეს? ნივთის დანიშნულების გაუმჯობესებისაკენ (იგივე სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე: მაგრამ ამ თვალსაზრისით, თითქოს მინა უკეთესია ხეზე) თუ წარმოების გაიაფებისაკენ („იძულებით“?) სწრაფვამ?

მინა ერცელდება, როგორც პრაქტიკული დანიშნულების ჭურჭელი. დვინის კრებულიდან „კვეთილი მინის ერთ ჯგუფს შეადგენს პატარა, სქელკედლიანი, სწორკუთხა, ყალიბში ჩამოსხმული და დამა-

---

[207] ე. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

[208] იქვე. გვ. 149—150, აზერბაიჯანისა და შუა აზიის მიმართ დამოწმებულია სათანადო წყაროები.

[209] იქვე, გვ. 150.

ტებით ცივად დამუშავებული სანელსაცხებლები... მცირე ზომისა და ვიწრო ყელის გამო ეს ჭურჭელი მოხერხებული იყო სურნელოვანი ზეთების, ამბრთა და მურთა შესანახ-გადასატანად. ისინი ძალზე ხშირად გვხვდება მთელს აღმოსავლეთში, მათ შორის კავკასიაშიც. სამარაში ნაპოვნი ზოგიერთი მათგანი საიმედოდ თარიღდება IX—XI სს. ეს დათარიღება ემთხვევა დვინურს. სომხეთში მსგავსი ჭურჭელი ნაპოვნია ანისში და ანბერდში"[210]. ასევე მრავლად გვხვდება ამგვარი ჭურჭელი შუა საუკუნეების ადრეულ და შუა ხანების საქართველოში[211].

იზრდება მინის ნაწარმის რაოდენობა და ფართოვდება მომხმარებელთა სოციალური წრეც. „რუსთავის მინის ნაწარმი განსაკუთრებით მრავალფეროვანი ხდება შუაფეოდალურ ხანაში... (XI—XIII სს.)... მინის ჭურჭელი, სამკაული, სარკმლის მინა და საგანგებო დანიშნულების საგნები უხვადაა წარმოდგენილი... ნაქალაქარზედაც და ნაციხარზედაც, კულტურულ ფენებშიცა და სამარხებშიც"[212]. ასეთი ვითარება უკვე ადრეულ შუა საუკუნეებშიც აღინიშნება (დვინი, ურბნისი).

ქალაქის სოციალური ფენების ეკონომიკური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო კულტურის დონის გასარკვევად მნიშვნელოვანია მკვლევრის აზრი: „გვგონია, რომ ჭიქისებრი სასმისები საყოველთაო მოხმარების საგანი უნდა ყოფილიყო, ძაბრისებრი კი — უფრო ძნელმისაწვდომი, ე. ი. შეძლებულ მოქალაქეთათვის განკუთვნილი"[213]. ამავე ფენის კუთვნილებად ივარაუდება დვინის კრებულის ძვირფასი, მაღალმხატვრული, როგორც ჩანს, შემოტანილი ნაწარმი[214]. ძვირფასი მინის, ფერადი ბროლის ჭურჭელი შედის კავკასიონის „ოლქების მეფეების სამფლობელოებშიც"[215].

მინის ნაწარმი გარკვეულ ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობათა არსებობას სახავს როგორც ამიერკავკასიის შიგნით (დვინი, რუსთავი, ურბნისი, ორბეთი, თბილისი, ბაილაყანი, მინგეჩაური, ჩმა, ბაქო, დმანისი), ასევე მის გარეთ (ანისი — სირია, სპარსეთი; დვინი — სამარა; რუსთავი — რეი, ტირიტაკა)[216].

---

[210] Р. М. Джанполадян, დასახ. ნაშრ., გვ. 271—272.

[211] ნ. უგრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 28—40.

[212] ვ. ჩხატარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 144.

[213] იქვე, გვ. 147.

[214] Р. М. Джанполадян, დასახ. ნაშრ., გვ. 274.

[215] იბნ ჰა�, СМОМПК, ტ. 38, გვ. 98.

[216] ვ. ჩხატარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 140—147; 149; В. В. Бартольд, Отзыв, с. 211; Р. М. Джанполадян, დასახ. ნაშრ., გვ. 269.

*
* *

არსებული მასალის შესწავლა ნათელყოფს ხელოსნური წარმოების მეთუნეობის დარგის განვითარების დონეს ამიერკავკასიაში. ადგილობრივი ნედლეულის წყაროები ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა დარგის ჩასახვა-განვითარებას ჯერ კიდევ უძველესი დროიდან. იდრისის ცნობით (XII ს. შუა წლები), ვანის ტბის ნაპირზე, სომხეთში „მოიპოვებენ ერთი სახის თიხას, რომლიდანაც ამზადებენ ჭურჭელს სითხისათვის და გააქვთ ერაყში, სირიაში, ეგვიპტეში სადაც ყიდიან ძალიან მაღალ ფასში". ხოლო, განვითარებული კერამიკული წარმოების მქონე ამ ქვეყნებში მხოლოდ უაღრესად მაღალხარისხოვანი კერამიკის გატანა თუ შეიძლებოდა[217].

საყურადღებოა, რომ მეთუნეობის კერები ამიერკავკასიის ისტორიის უძველეს ხანებში დასტურდება. მინგეჩაურის ნაქალაქარზე გამოვლენილი ექვსი თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა ქრონოლოგიურად ძვ. წ. III საუკუნიდან ახ. წ. VI—VIII სს. თავსდება. ორსართულიანი აგებულების ამ სახეობის ქურები არსებობდნენ XI—XII საუკუნეებშიც[218]. ბაილაყანში აღმოჩენილ ქურებიდან კი ორი IX ს. თარიღდება, ხოლო ერთი — XII—XIII სს. „კერამიკის გამოსაწვავი კარგად შენახული ღუმელი აღმოჩნდა ჟინვალში XI—XIV სს. დათარიღებულ საგნებთან ერთად. XII საუკუნის ღუმელი გამოვლინდა დმანისში"[219].

ქურების ტექნიკური აგებულების შესასწავლად მნიშვნელოვანი მასალა მოგვცა თბილისში გათხრილმა XII—XIII საუკუნეების ხუთმა ქურამ. გაირკვა მეთუნეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიაში მანამდე ცნობილი საგნების (სამფეხი, სოლი, კაკვი, ერთ ხაზზე განლაგებული ქურის კედელში ჩარჩენილი სოლების ნაშთები) დანიშნულება. გამოსაწვავ ქურაში გამშრალ, ერთმანეთზე დაწყობილ ჯამის მოყვანილობის ჭურჭელს შორის სამფეხს დგამდნენ. მისი კვალი აშკარად ჩანს ზოგიერთი ჭურჭლის შიდა ზედაპირზე. სახელურიან ჭურჭელს კი ქურაში გამაგრებულ სოლებზე S-ის მაგვარი კაკვებით ჰკიდებდნენ.

აღნიშნული ფორმის კაკვები და სოლები სხვაგანაც აღმოჩნდა და,

---

[217] Б. А. Шелковников, Среднегековая белоглиняная поливная керамика Армении и свидетельство Идриси, СА, 1958, № 1, 227, შდრ. Н. Марр, Ани, გვ 128, ტ. 165 а.

[218] Г. И. Ионе. Гончарные печи древнего Мингечаура, КССИМК. вып. XXIV, 1949, с. 42—54.

[219] Н. В. Минкевич-Мустафаева, Раскопки, с. 182—183; О. Д. Лордкипанидзе, Археология, с. 73; СА, 1968, № 3, с. 303.

როგორც ჩანს, შუა საუკუნეების მეთუნეობის ტექნოლოგიაში საყოველთაოდ გავრცელებულ ტექნიკურ საშუალებას წარმოადგენდა. დვინში აღმოჩენილი სოლები სხვადასხვა სიგრძის და დიამეტრის არის (სიგრძე 40—50 სმ-დან 1 მ-მდე). შესაძლებელია, ისინი ან სხვადასხვა ქურაში გამოიყენებოდა ან ერთსა და იმავეში, ოღონდ სხვადასხვა სიბრტყეზე. თბილისური კაკვების მსგავსი შუა აზიაშიც არის ცნობილი. მაგრამ დვინში ჯერჯერობით მათთვის არ მიუკვლევიათ. მკვლევრის აზრით, მათ გამოიყენებდნენ ჭიქურიანი სურების და სხვა სახელურიანი ჭურჭლის გამოსაწვავად. დვინში კი მოუჭიქავ ჭურჭელს პირდაპირ ალაგებდნენ სოლებზე გამოსაწვავად[220].

სახელოსნოებში აღმოჩნდა წყალსადენის ნაშთები, რომლითაც სახელოსნო წარმოებისათვის საჭირო წყლით მარაგდებოდა.

აღსანიშნავია, რომ გათხრების სამივე ობიექტზე ქურები ერთად იყო თავმოყრილი ისე, რომ დაზიანებული, გამოუსადეგარი ქურის ადგილზევე აუშენებიათ ახალი. ერთ ადგილზეა აგებული ქურები ბაილაყანში, დვინში[221].

წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის შესასწავლად მნიშვნელოვანია ისიც, რომ, როგორც X—XI სს. ერთი სომეხი პოეტის ცნობა არკვევს, ძველთაგანვე ცნობილი მეთუნის ჩარხს აღნიშნულ საუკუნეებში ღვედით აბრუნებდნენ[222].

არქეოლოგიური მასალის სხვადასხვა საშუალებებით და მიზნით შესწავლა წარმოების ტექნიკის სხვადასხვა მხარეს გვირკვევს.

ბაილაყანის მოჭიქული კერამიკის ქიმიური ანალიზით გაირკვა ნაწარმის სხვადასხვა ჯგუფის ქიმიური შედგენილობა პროცენტულად[223], გამოწვის ტემპერატურა[224], ჰიგროსკოპიული ტენი და სხვა მონაცემები[225].

დვინის მასალიდან ირკვევა, რომ მსხვილმარცვლიანი თიხით უფრო ხშირად სარგებლობდნენ ძირითადად დიდი ბადიების და ლამპრების (ჭრაქების) დასამზადებლად. ამ სახის ჭურჭლის შესწავლით ერთი მნიშვნელოვანი დასკვნაა მიღებული: თიხის გარეცხვის და აზელვის პროცესი სწრაფი და უხარისხო იყო, თუმცა თვით ნაწარმს ძვირფასი

---

220 А. А. Калантарян, К вопросу, с. 287—288.

221 გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზაფთარში, მსაკ, ტ. 1. თბ., 1955; გვ. 135—136, 141, 144—145; Н. В. Минкевич-Мустафаева, Раскопки, с. 174; А. А. Калантарян, К вопросу, с. 280, 288.

222 Б. Н. Аракелян, Развитие ремесел, с. 124.

223 კაზმის შემადგენლობაში სხვადასხვა რაოდენობით შედის: SiO_2, Al_2O_3 TiO_2, Fe_2O_3, CaO, MgO.

224 უმაღლესი —დაახლოებით 900°, უმდაბლესი — 800-860°.

225 МИА, 67, с. 301.

ჭიქურით ფარავდნენ. ეს, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, სავარაუდოა, ამ ნაწარმზე დიდი მოთხოვნილების შედეგად ხდებოდა.

წვრილმარცვლიანი თიხით უმეტეს შემთხვევაში სითხის შესანახად გამიზნულ ჭურჭელს ამზადებდნენ. დიდი ოსტატობით და გულდაგულ, ფაქიზად ამუშავებდნენ ნაწარმის მოუჭიქავ ზედაპირს. დაზგაზე გამოყვანილ ბადიებს და ხელით ნაძერწ ჭრაქებს ჯერ, შედარებით დაბალ ტემპერატურაზე გამოწვავდნენ, შემდეგ ფარავდნენ ანგობით, მოხატავდნენ და ხელმეორედ გამოწვავდნენ უფრო მაღალ ტემპერატურაზე. წინარე ხანისგან განსხვავებით, ანგობზეევე დაიტანდნენ ხოლმე ჩუქურთმას.

აღსანიშნავია, რომ იმავე მასალის მოჭიქულ ნაწარმში ბევრია წუნი: ჩანს დამწვარი ჭიქურის კვალი, ამობუშტული და დეფორმირებული ნაწილები. ყველაფერი ეს ღუმელში ტემპერატურის არასწორი მართვით უნდა იყოს გამოწვეული[226].

მაგრამ ასეთი ნიშნები ზოგადად არ ახასიათებდა მეთუნეობის განვითარების ტექნიკურ დონეს თვით დვინში და ამიერკავკასიის ქალაქებშიც. იმავე დვინში გათხრილი წყალსადენის თიხის მილების შესწავლა ნათელყოფს წარმოების ტექნიკურ შესაძლებლობებს. მილის სიგრძე 43—46 სმ, დიამეტრი ვიწრო ნაწილის 12—17,5 სმ, ფართოსი — 17—21,5 სმ, კედლის სისქე 1,5—3,5 სმ იყო[227]. კარგად განლექილი თიხისგან დამზადებული, მშვენივრად გამომწვარი ეს მილები ამავე დროს მკვეთრად განსხვავდებიან დვინის ცენტრალური კვარტლის V—VII სს. წყალსადენის მილებისაგან თიხის ხარისხით, ფერით და ზომებით[228].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ XII—XIII სს. მოჭიქული თიხის ჭურჭლის წარმოებაში ითვლება ახალი ხანის დასაწყისად. „იგი პრინციპიალურად ახალი ტექნოლოგიური ხერხების (მაღალ უხვკაჟიანი მასების, უტყვიო გამჭვირვალე ჭიქურების და სხვ. აღმოჩენა) გამოგონებასთან ერთად ხასიათდება კერამიკულ წარმოებაში კობალტის ფართო გამოყენებით, რამაც თავ.ს მხრივ წარმოშვა კერამიკის ახალი ტიპები, სახეები, ჯგუფები. კობალტის საღებავს კერამიკაში სამი მიმართულებით იყენებდნენ: ... 1) საღებავად ჭიქურს ქვედა მოხატვის დროს; 2) გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე ჭიქურების საღებრებად; 3) საღებავად გაუმჭვირვალე ჭიქურებზე ჭიქურსზედა მოხატულობისათვის. აქედან მეორე და მესამეს საწყისები წინა ხანებში ეძებნება, ხოლო პირველი XIII—XV სს. არის დამახასიათებელი ... კობალტი (ლურჯი ფერის საღებარი) ძირითადად გვხვდება ლუსტრით

---

[226] А. А. Калантарян, К вопросу с. 285—286.

[227] შდრ. ზემოთ დამოწმებულ ქალაქის წყალსადენის მილებს.

[228] А. А. Калантарян, К вопросу, с. 281.

მოხატულ კერამიკულ ნაწარმზე, რომელიც სამარაში, მესოპოტამიაში და დვინში IX საუკუნიდან არის ცნობილი, ხოლო მომდევნო ხანებში — ფართოდ გავრცელებული"[229].

შეიძლება აღინიშნოს, რომ თიხის ჭურჭლის ზოგიერთი სახის მხატვრული დამუშავება მაღალ დონეზე იდგა ამიერკავკასიის კერამიკულ ცენტრებში. ასე, მაგალითად, ბაილაყანის მოჭიქული ჭურჭლის ერთ-ერთი ჯგუფი, მკვლევრის აზრით, რომელმაც გულდასმით შეისწავლა განათხარი მასალა, „თავისი მხატვრული ხარისხით გამოყენებითი ხელოვნების თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს IX საუკუნის ამიერკავკასიაში"[230].

თიხის ნაწარმი შუა საუკუნეების ქალაქის ისტორიის სხვადასხვა საკითხების გასარკვევად პირველხარისხოვან წყაროთა რიგში დგება, როდესაც ის კარგად არის შესწავლილი. მაგრამ აქ პრაქტიკულთან ერთად თეორიული სიძნელეებიც იჩენს თავს. გარდა ამისა, მხოლოდ გამოწვლილვით შესწავლილი არქეოლოგიური კომპლექსების შედარებითი ანალიზის საფუძველზეა გამართლებული ისტორიული განზოგადოებებისა და შესაბამისი დასკვნების მიღება[231]. ცხადია, პრობლემა გაცილებით რთულდება და კვლევის შედეგიც უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც საქმე ეხება დიდ რეგიონებს თუ რამდენიმე ქვეყანას.

ჭურჭელს დანიშნულების მიხედვით ჩვენი წინაპრებიც განასხვავებდნენ: „...საფქვილე, საცერცვე, საზეთე და საღვნე — ყოველნივე ჭურჭელნი..."[232]. მაგრამ ამჯერად ყურადღებას თიხის ჭურჭლის ტექნოლოგიური მხარე იპყრობს.

რა თქმა უნდა, სწორ საფუძველზე კლასიფიცირებული მასალა კვლევის წარმატების კარგი საწინდარია[233]. ჩვენი მიზნებიდან გამომ-

---

[229] Н. М. Булатов Кобальт в керамике Золотой Орды, СА, 1974, № 4, с. 135.

[230] А. Л. Якобсон, Художественная керамика Байлакана (Орен-Кала) (По материалам раскопок 1952—1955 гг.), МИА, 67, с. 236.

[231] შდრ. В. Ф. Генинг, Программа статистической обработки керамики из археологических раскопок, СА, 1973, № 1, გვ. 114, 134; С. Е. Михальченко, Систематизация массовой неполивной керамики золотоордынских городов Поволжья, СА, 1973, № 3.

[232] ლეონტი მროველი, გვ. 134; შდრ. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი, „ჭურჭელი".

[233] ამიერკავკასიის ქვეყნების თიხის ჭურჭლის კლასიფიკაციის საკითხებმა უკვე კარგა ხანია მიიპყრო მკვლევრთა ყურადღება: В. Н Левиатов, Керамика Старой Ганджи. Баку, 1940; ზ. მაისურაძე, ქართული მხატვრული კერამიკა XI—XIII სს. (დმანისის ანგობიანი კერამიკა), თბ., 1953; ვ. ჯაფარიძე, კერამიკული წარმოება XI—XIII სს. საქართველოში (არქეოლოგიური მასალების მი-

დინარე, მასალას ორი ჯგუფის მიხედვით განვიხილავთ, რადგანაც თითოეულ მათგანში გაერთიანებული ჭურჭელი — თავის მხრივ რამდენიმე ქვეჯგუფებად რომ იყოფა — თვალნათლივ წარმოგვიჩენს ამა თუ იმ საზოგადოების ჩვენთვის საყურადღებო ტექნიკურ-ეკონომიკურ განვითარების ნიშნებს და სოციალურ ელფერს.

დამოწმებულ ნაშრომებში ქრონოლოგიური, მხატვრულ-ტექნიკური თუ სტილისტური ნიშნებით დაყოფილი ჯგუფების უბრალო ჩამოთვლაც კი ნათლად წარმოაჩენდა ამიერკავკასიის კერამიკის მთელ მრავალფეროვნებას; მაგრამ ჩვენ ამისგანაც თავს ვიკავებთ. იმიტომ, რომ ამ ჯგუფების მხოლოდ დასახელება, თუნდაც მათი ძალზე მოკლე დახასიათებით, მკითხველს ვერ წარმოუდგენს არსებულ ვითარებას სასურველი სისრულით. ამის გამო, მასალას ორი ძირითადი ჯგუფის — მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკა — მიხედვით განვიხილავთ. ასეთი გეზი იმითაც არის გამართლებული, რომ იგი შესაძლებლობას გვაძლევს შედარებით ნათლად წარმოვსახოთ კერამიკული წარმოების და ნაწარმის ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

მოუჭიქავი თიხის ნაწარმი სანდო წყაროს წარმოადგენს არქეოლოგიური მასალის დათარიღებისათვის და, ამდენად, შუასაუკუნეთა საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა ქრონოლოგიური მონაკვეთების შესასწავლად. ის, განსაკუთრებით მოჭიქული კერამიკის საუკეთესო ნიმუშებთან შეფარდებული, დიდ მნიშვნელობას იძენს ქალაქის მოსახლეობის სოციალური ფენების განშრევება-დახასიათების დროს. ასეთივე ღირებულება აქვს ამ მასალას ქალაქებს შორის კულტურულ-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების, ცალკეული ქალაქის თუ ქვეყნის საშინაო ბაზრის შინაარსის, ხასიათის დადგენა-შესწავლისათვის[234].

უბრალო, მოუჭიქავი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭელი, გასაგები მიზეზების გამო, საერთოდ სჭარბობს ხოლმე განათხარ მასალაში. „ამგვარი ჭურჭელი... სრულებით სხვადასხვა დანიშნულების, ფორმისა და მოცულობის ნიმუშებისგან შედგება“[235]. მათგან დიდი

ხედვით), თბ., 1956, გვ. 16; Б. А. Шелковников, Поливная керамика из раскопок города Ани, Ереван, 1957; А. Л. Якобсон, Художественная...; ამ ნაშრომებში წინააღმდეგობა შეინიშნება კლასიფიკაციის საფუძვლების შერჩევაში. იხ. ვ. ჯაფარიძე დასახ. ნაშრ., გვ. 15, შ. 1, სადაც ავტორი არ ეთანხმება ზ. მაისურაძეს დმანისის კერამიკის დაჯგუფებაში; იაკობსონი კი ჯაფარიძისეულ კლასიფიკაციას მიიჩნევს არადამაკმაყოფილებლად, რომლის მთავარ ნაკლად მას მასალის ქრონოლოგიურად აღრევა მიაჩნია, იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 229.

[234] შდრ. Г. М. Ахмедов, Неполивная керамика Орен-Кала IX—XIII вв. (по материалам раскопок 1953—1955гг.), МИА, 67, с. 186. ეს დებულებები, რა თქმა უნდა, საყოველთაოა და მიღებული ისტორიკოსის ლაბორატორიაში.

[235] ვ. ჯაფარიძე, „კარას“-ის სახელწოდებისათვის ქართულში, სსმმ, ტ. XV—B, 1948, გვ. 64.

ზომით გამოირჩევა ერთი ჯგუფი. ასეთი ჭურჭელი ანისში ნ. მარის ხელმძღვანელობით ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩნდა და სომხური სახელწოდების (კ ა რ ა ს) მიხედვით დამკვიდრდა არქეოლოგიურ ლიტერატურაში. მის ქართულ შესატყვისად დერგი, ხოლო განძასა და ბაილაყანში გათხრილი მასალიდან — კ ა უ პ ი, შუა აზიაში — ხ უ მ-ი (ხ ო მ) მიაჩნიათ[236].

მხოლოდ ბაილაყანში აღმოჩენილ ამ სახის ჭურჭელს მკვლევარი სამ ძირითად ჯგუფად ყოფს[237]. პირველ ჯგუფში გაერთიანებულია დიდი (სიმაღლე ზოგჯერ 1,5 მ. აღწევს), გაუკრიალებელი ჭურჭელი, რომლის ტანი შუაში ფართოვდება, ხოლო ძირში ვიწროვდება, ფსკერი პატარა, ბრტყელი აქვს. ყელი დაბალი, გასქელებული ქობა (სისქე ოთხიდან — ექვს სმ-დე) გადაკეცილია, სახელურები, უმეტეს შემთხვევაში, არ აქვს. მაგრამ განძაში აღმოჩენილ კ ა უ პ ე ბ ს (დიამეტრი — 40—60 სმ, სიმაღლე — 1 მ.) ორი ან ოთხი მთლიანი სახელურები აქვს[238]. ბაილაყანში ამ სახის სახელურიანი ჭურჭელი მეორე ჯგუფშია გაერთიანებული; მოპოვებული მასალით შემდეგი ზომები (სმ-ბში) გამოირკვა: მაღალი, სწორი ყელის სიმაღლე 20—30, პირის დიამეტრი — 20—30, უდიდესი დიამეტრი — 60—70, ფსკერის დიამეტრი — 20, პირის სისქე — 1,5—2,5, კედლის სისქე — 1—1,5.

საგულისხმოა ბაილაყნური კ ა უ პ ე ბ ი ს მესამე ჯგუფი, რომლებიც თავისი „მოყვანილობით არაფრით არსებითით არ განსხვავდებიან" ამიერკავკასიაში (ანისი, განძა, გარნისი, დვინი, თბილისი) და მის გარეთ (სამარა) ცნობილ ასეთი სახის ჭურჭლისაგან[239].

მეორე ჯგუფის დიდი, სქელკედლიანი ჭურჭელი დაფარული იყო თეთრი წერნაქით (ანგობით), მესამესი — წითელი საღებავით და თან გაკრიალებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ გ. ახმედოვის დასკვნით, პირველი ჯგუფის ჭურჭელი, დანარჩენებთან შედარებით, იაფი და ფართოდ გავრცელებული საქონელი იყო, გამოიყენებოდა მხოლოდ სამეურნეო დანიშნულებით — „თხევადი და ნახევრადთხევადი პროდუქტების შესანახად", ხოლო II, III ჯგუფისა — ძირითადად საზეიმო ხასიათის ჭურჭელი (ღვინისა) იყო, ქეიფის დროს ხმარებული.

საყურადღებო ცნობებს გვაწვდის აღნიშნული ჯგუფების ჭურჭლის დამზადების ტექნიკაზე და მორთულობაზე დაკვირვება. თუ II ჯგუფის კ ა უ პ ე ბ ი ს კეცი თანაბრად არის ხოლმე გამომწვარი, III ჯგუფის —

---

236 Г. М. Ахмедов, დასახ. ნაშრ., გვ. 192—194.

237 ბაილაყანის კ ა უ პ ე ბ ი ჯგუფების მიხედვით დაწვრილებით არის დახასიათებული: იხ. იქვე, გვ. 192—205; იქვე ლიტერატურა წამოჭრილი საკითხების ირგვლივ.

238 В. Н. Левнатов, Украшения на карасах из Старой Ганджи, ИАН Аз. СССР, 1945, № 8, с. 50—51.

239 Г. М. Ахмедов, დასახ. ნაშრ., გვ. 197—198.

ყოველთვის არ არის ასე. ამავე ჯგუფის შესწავლით ირკვევა, რომ კ ე უ პ ს გამოყვანის შემდეგ ნახევრად გამოაშრობდნენ, შეაკრიალებდნენ, საბეჭდავით დაიტანდნენ ჩუქურთმას, ღებავდნენ ფუნჯით და შემდეგ ხელახლა გამოწვავდნენ.

საერთოდ, როგორც აღნიშნავენ, დიდი ზომის თიხის ჭურჭელი პატარასაგან შედარებით უფრო ძნელი გასაკეთებელი იყო და მეთუნის დიდ გამოცდილებას და დაოსტატებას მოითხოვდა. ამასვე ადასტურებს გ. ახმედოვის მიერ დამოწმებული ეთნოგრაფიული ჩანაწერი. ამიტომ გასაგებია, რომ ამ სახის ჭურჭლის დამზადების სიძნელით ავხსნათ ის ფაქტი, რომ „საყოფაცხოვრებო დანიშნულების მოუჭიქავი ჭურჭლის ფართო ასორტიმენტიდან მხოლოდ კ ე უ პ ე ბ ს აქვთ ზოგჯერ წარწერები, ტვიფრები და ოსტატის ნიშნები, ისევე, როგორც მოჭიქული ჭურჭლის ზოგიერთ ნიმუშს და სფეროკონუსებრ ჭურჭელს — ესე იგი ყველაზე ძვირად ღირებულ ჭურჭელს"[240].

მეორე ჯგუფის ჭურჭელი მხატვრულად დამუშავებულია ამოსახვით, დეკორაციული კვეთით, ტვიფრით, მიკრული ლილვაკებით, ლომების დაკრული გამოსახულებებით. ამ უკანასკნელთ ცალკე ამზადებდნენ და შემდეგ დააკრავდნენ ჭურჭელს. აღსანიშნავია, რომ „ლომის ნაჭდევი გამოსახულებანი ბაილაყანის კ ე უ პ ე ბ ი ს მეორე ჯგუფის დამახასიათებელი ნიშანია და სხვა სახის ჭურჭელზე არ გვხვდება"[241].

რა თქმა უნდა, ლომის გამოსახულებას თიხის ჭურჭელზეც ამიერკავკასიის იმ ძირძველ ტრადიციებთან აქვს კავშირი[242], რომელთა ერთი ნაკადი ქალაქის გარეგანი სახის შესწავლის დროს გამოვლინდა ნაგებობებზე არსებული ქანდაკის სახით.

აღნიშნული სახის ჭურჭლის მხატვრული დამუშავების შესწავლის შედეგად მიღებული მოსაზრებებიდან, სხვებთან ერთად, საყურადღებოდ მიგვაჩნია ის, რომ, როგორც ჩანს, ამ ჭურჭელს საცხოვრებელ შენობაში გამოსაჩენ ადგილზე, და არა საწყობში ან სარდაფში, დგამდნენ და ამით ამდიდრებდნენ მის მორთულობას; ეს იმიტომ, რომ ჭურჭლის მხოლოდ ერთი მხარეა მხატვრულად დამუშავებული, მეორე მხარე, სავარაუდოა, მათ კედლისკენ ჰქონდათ მიბრუნებული[243].

დასახელებული ჭურჭლის მოხატვის თავისებურებების ახმედოვისეული ახსნა მართებულად მიგვაჩნია, რადგანაც ფაქტის სხვაგვარად გააზრებისათვის საფუძველი, ყოველ შემთხვევაში ამჟამად, არ გაგვაჩნია.

---

[240] Г. М. Ахмедов, დასახ. ნაშრ., გვ. 205.
[241] იქვე, გვ. 196.
[242] იქვე, გვ. 196—197.
[243] იქვე.

თუ აღნიშნული ჭეშმარიტ სურათს ასახავს, ის ბაილაყნელთა და ყველა ამ ჭურჭლის მყიდველთა ყოფის კულტურის დონის განმსაზღვრელად გამოდგებოდა. სხვათა შორის, ამ აზრს განამტკიცებს ბაილაყანისვე სხვადასხვა ჭურჭლის სახურავების მორთულობა და თვით ფორმაც[244]. ჩანს, რომ ყურადღების გარეშე არ ტოვებდნენ ნივთის ესთეტიკურ მხარესაც. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ განხილული ჭურჭელი უბრალო, თიხის, სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელია.

მესამე ჯგუფის კ ა ვ უ პ ე ბ ი მოხატულია სახვითი ნახატებიანი ტვიფრებით დატანილი სარტყლებით. ეს მხატვრული სარტყლები დაჭდეულია საგანგებო ცილინდრული ლილვაკებით, რომლებზეც ნეგატიურ-რელიეფურად ამოკვეთილი იყო გამოსახულება. ბაილაყანში 26 ასეთი სარტყელია გამოვლენილი[245]; მაგრამ თვით ლილვაკები არ ჩანს, ჯერჯერობით. სამაგიეროდ, ისინი აღმოჩნდნენ განძაში (თიხის), ანისში (ქვის)[246].

ასეთი საშუალებების დანერგვა უცილობლად მიგვანიშნებს ფეოდალურ წარმოებაში „სერიული" პროცესების აღმოცენება-დამკვიდრებაზე. ჩვენ არ ვეხებით საკითხს, არსებობდა თუ არა ასეთი პროცესები წინარე ეპოქების ხელოსნურ წარმოებაში. მნიშვნელოვანია ის, რომ ისინი სწორედ განსახილველ ეპოქაშია დადასტურებული ბაილაყანში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში.

აქედან დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება გამოვიტანოთ: ბაილაყანის მეთუნეობის სახელოსნოებში ნაწარმის მხატვრულ დამუშავებაზე ცდილობენ ნაკლები დრო დახარჯონ. თუ ამ შემთხვევაში, ნაწარმის მხატვრული დამუშავების ხარისხი არ აგებს, — ჭურჭელი მასზე დაჭდეულ სარტყლის მოხატულობას გამოწვის შემდეგ მკვიდრად ან „სამუდამოდ" ინარჩუნებს, — ამას ვერ ვიტყვით ცალკე გამოძერწილი ლომის გამოსახულებებით ჭურჭლის მოკაზმვის შემთხვევაში, რადგანაც ისინი შეიძლებოდა ჩამოცვენილიყვნენ კიდეც — ასეთი ერთეულებიც აღმოჩნდა გათხრების დროს. მაგრამ სახელოსნოდან ბაზარზე გასული ამგვარად დამუშავებული, — ნაკლები დროის დახარჯვით, — საქონელი მყიდველს, ცხადია, იზიდავდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბაილაყანში, სადაც კერამიკული წარმოების მაღალი დონე თვალნათლივ დასტურდება, IX—XII სს. ყველა არქეოლოგიურ ფენებში გვხვდება ჭურჭელი (ქვაბები და სხვა სახის

---

[244] იქვე, გვ. 205—210, სურ. 1, ტაბლ. IX, 2, 3; ამ უკანასკნელის ფორმა იქცევს ყურადღებას. ავტორის შენიშვნით, ერთ-ერთი მათგანი ჰგავს აზერბაიჯანელთა დღევანდელ ყოფაში გავრცელებულ ფლაეის ჭურჭლის სახურავს — серничи.

[245] იხ. იქვე, გვ. 200—201: სარტყლების სურათები.

[246] იქვე, გვ. 198.

ჭურჭელი), რომელიც არ არის დამზადებული დაზგაზე. მათგან თითქმის მთელი ერთეულია მრგვალმუცლიანი ქოთანი, ბრტყელი ძირით და ფართო ყელით, გასქელებული პირით, კეცი მხსვილი სილის მინარევით ხასიათდება და არათანაბრად არის გამომწვარი. ზომები: სიმაღლე — 17 სმ, დიამეტრი: ყელის — 11 სმ, ფსკერის — 9 სმ, ტანის — 16 სმ, კედლის სისქე — 1 სმ. ჭურჭელს ათარიღებენ (ნაპოვნი ადგილის მიხედვით) XII—XIII ს. დასაწყისით. მაგრამ ასეთი წარმოების ჭურჭელი იშვიათია ბაილაყანის განათხარ მასალაში[247].

ხელით ნაძერწი ჭურჭლის არსებობა არ არის აუცილებელი ქალაქის მოსახლეობის ეკონომიკური შეძლების დიფერენციაციით აეხსნათ ყოველთვის. ამის მიზეზი ფეოდალური მეურნეობის ხასიათშიც უნდა ვეძებოთ — ფული ცოტაა, ძნელად საშოვარი და, ამდენად, „ძვირი“.

საერთოდ კი XI—XIII სს. ბაილაყანში არქეოლოგიური მონაპოვრის საფუძველზე აღინიშნება მოუჭიქავი ჭურჭლის — კერძოდ, დოქების — ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება და ასორტიმენტის ზრდა. ამ დოქების ერთი სახეობის (ა ფ თ ა ფ ა — სიმაღლე — 30 სმ, ყელის დიამეტრი 6 სმ, უდიდესი დიამეტრი — 19,5 სმ.) შემადგენელ ნაწილებს (ტანი, ყელი, სახელური, ტუჩი) ცალკე ამზადებდნენ და შემდეგ აერთებდნენ. ავტორი აღნიშნავს, რომ ასეთი წესი ხელოსნურ წარმოებაში დღესაც გამოიყენება, და არა მარტო მეთუნეობაში, არამედ ლითონის ჭურჭლის წარმოებაშიც. ამ დოქების წარმოების დროს ყელში ჩადგამდნენ ხოლმე ბადეს[248].

„როდესაც შემოტანილზე ან იმპორტულის მიმსგავსებულ ნაწარმზეა ლაპარაკი, გვერდს ვერ აუვლით საწურიანი დოქების ერთ ჯგუფს, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი აღმოჩენილია თბილისში... ჭურჭელი თხელკედლიანია, ღია ფერის თიხისა. ყელში გასაწური ფილტრი აქვს დატანებული, რომელიც აურულ ორნამენტებს გადმოსცემს. დოქს ირგვლივ გვერდებზე რელიეფური წნულები შემოუყვება. მათ შორის ასევე რელიეფურად შესრულებული სპარსული წარწერაა მოთავსებული“[249].

აღნიშნული ორი საწურიანი დოქი განსხვავდება ერთმანეთისაგან მოყვანილობითაც და ხარისხითაც[250]. ორივესგან განსხვავდება XII—XIII სს. ფენებიდან წარმომდგარი მდიდრულად მოჩუქურთმებული (ყელთან, ტვიფრიანი სარტყლით) დოქები ბაილაყნიდან, რომლებსაც, ასევე, ბადე აქვთ ყელში ზოგს გამოწვის შემდეგ. ზოგსაც გამოყენების

---

[247] იქვე, გვ. 211.

[248] იქვე. გვ. 214.

[249] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები, II, გვ. 152—153.

[250] შდრ. ტაბულები XI—1 (იქვე) და XI 1, 2 (Г. М. А х м е д о в, დასახ. ნაშრ., გვ. 215).

დროს ჩადგმული. ასეთი დოქების ზედა ნაწილი დამზადებულია საგანგებო ყალიბებში, რომლებშიც წინდაწინ იყო ამოკვეთილი ჭურჭელზე დასატანი ჩუქურთმა. აღსანიშნავია, რომ ერთი ასეთი ყალიბი (ნატეხები) ნაპოვნია სამარაში, მეორე (მთელი) შეიძინეს კაიროში[251]. „...საწურიანი ფილტრები... ერთხანს თითქმის ძირითადი ნიშანი ყოფილა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების თხელკედლიანი თიხის ნაწარმისათვის. თხელკედლიანი თიხის ჭურჭელი ხშირად შემკული წარწერებით და აუურული საწურით ძლიერ გავრცელებულია შუა საუკუნეების ეგვიპტეში და მესოპოტომიაში. ეგვიპტეში, მაგალითად, ფილტრი, ჭურჭლის ყელში, შემკული იყო ხოლმე ფაქიზი სახეებით. ფილტრი საჭირო იყო მწერებისა და ბუზებისაგან სითხის გასაწმენდად"[252]. საწურიანი დოქების გამოყენებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ „ა ფ თ ა ფ ი ს მსგავს ჭურჭელს ამჟამად ლითონისგან აკეთებენ და იყენებენ განბანის დროს"[253].

საგულისხმოა ისიც, რომ IX—X სს. მოუჭიქავი დოქების საუკეთესო ნიმუშები აღმოჩნდა იმავდროულ მოჭიქულ კერამიკასთან ერთად. ისინი ერთობ თავისებური მოყვანილობისა არიან და მათი მსგავსი 1953—1955 წწ. ბაილაყანის გათხრებში არ გამოვლენილა[254].

მოუჭიქავი თიხის ნაწარმის, როგორც ხელოსნური წარმოების მრავალფეროვნების, შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ყოველი კარგად შესწავლილი შუა საუკუნეების ნაქალაქარზე გამოვლენილი მასალის საფუძველზე. ამჟამად ყურადღებას ახალქალაქის მაგალითზე შევაჩერებთ: „...მ ო უ ჭ ი ქ ა ვ ი (ჩვეულებრივი თიხისა, უწერნაქო): ა) სამზარეულო ჭურჭელი (ქოთნები, კოპები, სადუღრები, სარქველები... კეცები, ტაფისმაგვარი); ბ) სასუფრე ჭურჭელი (ჯამები... ფიალები, დოქები, ხელადები,... ლანგრები, ქილები, ზოგჯერ მოხატული); გ) სამეურნეო ჭურჭელი და მოწყობილობა (დერგები... ქვევრები, ქოცოები, თონეები, კერები); დ) საგანგებო დანიშნულებისა („ზარისებრი" ზედადგარები, ჭრაქები, სფეროკონუსები, ჩიბუხები, „ხარიხიანი" (?) ჭურჭელი)..."[255].

ე. ჯანდიერის დაკვირვებით, „ზემოაღწერილი კერამიკის უმეტესობა დამზადებულია ძალზე ტლანქად დამუშავებული, ცუდად გაცრილი თიხისაგან, ლეგად ან მოყავისფროდაა გამომწვარი... თვით ამ კერა-

---

[251] იქვე, გვ. 216—218.

[252] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

[253] Г. М. А х м е д о в, Неполивная..., с. 214 ავტორი იმოწმებს: «М. И. Атакишиева, Об утвари из окрестных сел г. Мингечаура».

[254] Г. М. А х м е д о в, დასახ. ნაშრ., გვ. 214.

[255] ე. ჯ ა ნ დ ი ე რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 63; აღნიშნული მასალა ქრონოლოგიურად მოთავსებულია XI—XIII საუკუნეებში.

მიკისა და თანმხლები მეთუნეობის უფრო მეტყველი ნაწარმის ტიპოლოგიური შეჯერების შედეგად დავასკვნით, რომ... ისინი — თავისებური მასალით, ნაკეთობით, მოყვანილობით, მარტივი ორნამენტითა და, უფრო კი, სისადავით — ჩაითვლება იმ კუთხის ოსტატთა, ხშირად ტლანქ და მოუხეშავ ნახელავად... მათი მოყვანილობისა თუ შემკულობის ზოგიერთი მოტივის პარალელები იძებნება რუსთავის, დმანისის, თბილისის, ანისის, დვინის, და სხვა განათხართა მასალებში, მაგრამ მსგავსებასთან ერთად აქვე პრინციპული თავისებურებაც იჩენს ხოლმე თავს"[256].

რა თქმა უნდა, ეს ერთეული, მხოლოდ ახალქალაქისთვის დამახასიათებელი მოვლენა არ იყო. განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ხოლმე — და ამიტომ კავშირების გამოვლენა-შესწავლისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს — ჭურჭლის შემკულობის ესა თუ ის ხერხი. მაგალითად, „მოჭიქული დოქების შემკობა ჩანაზნექებით ოდნავადაც არ არის ორენ-ყალის (ბაილაყანის — პ. თ.) კერამიკის თავისებურება. დოქების შემკობის იგივე ხერხი აღინიშნება XI—XII სს. ამიერკავკასიის სხვა. შუა საუკუნეების ქალაქებშიც: მინგეჩაურში, ძველ განძაში, დვინში, ანისში, თბილისში. ჭურჭლის დამუშავების ეს ხერხი ამიერკავკასიიდან გავრცელდა ალბათ ყირიმის შუა საუკუნეების ქალაქებშიც"[257].

თიხის მოუჭიქავი ჭურჭლიდან დიდი ხანია ყურადღებას იპყრობს თავისი ფორმით[258] და წარმოების ტექნოლოგიით ეგრეთ წოდებული სფეროკონუსებრი ჭურჭელი. ეს იყო „უმთავრესად მონაცრისფროდ გამომწვარი, სქელკედლიანი, ვიწროხვრელიანი, სფეროსებრი ტანისა და კონუსური ძირის პატარა ზომის ჭურჭელი"[259]. ის ხერხი, რომლითაც ამ სახის ჭურჭელს გამოწვავდნენ, კლინკერნის სახელით არის ცნობილი და თანამედროვე პირობებშიც საკმაოდ რთულად ითვლება[260]. ჭურჭელი, ჩვეულებრივ, გაკეთებულია ხოლმე ძალზე წმინდა, წვრილმარცვლიანი თიხისგან, აქვს სქელი — განსაკუთრებით ყელთან და ძირში, ფსკერთან — ორივე მხრიდან ანგობით დაფარული კედლები. მიუხედავად სადა გარეგნობისა, იგი სრულიადაც არ იყო იაფი ნაწარმი[261]. ამიტომაც არის, რომ არქეოლოგიური მასალის დახასიათების დროს სფეროკონუსებს ცალკე ჯგუფად გამოყოფენ ხოლმე.

---

256 იქვე, გვ. 66. აღნიშნული მასალა X—XIII სს. განეკუთვნება.

257 Г. М. Ахмедов, დასახ. ნაშრ., გვ. 216.

258 ფორმის მიხედვით ჭურჭლის „წინაპრად" შეიძლება მიეიჩნიოთ ბერძნული aryballos, იხ. ქსე, I, გვ. 566.

259 ლ. ჭილაშვილი, ქალაქები, II, გვ. 149.

260 Э. В. Ртвеладзе, Сфероконические сосуды из Маджар, СА, 1974, № 4, с. 283.

261 Р. М. Джанполадян, Сфероконические сосуды из Двина и Ани, СА, 1958, № 1, с. 202.

აღსანიშნავია ამ ჭურჭლის გავრცელების ერთობ ფართო საზღვრები და ფორმის ანალოგიურობა როგორც მოყვანილობით[262], ასევე, სიდიდით. ამიერკავკასიაში სფეროკონუსები აღმოჩნდა ანბერდში, ანისში, ახალქალაქში, ბაილაყანში, განძაში, გორში, დვინში, დმანისში, ეჩმიაძინში, ვარძიაში, თბილისში, ნადარბაზევში, რუსთავში, უჯარმაში. ყაბალაში, შაბარანში და სხვაგანაც[263].

ბაილაყანის სფეროკონუსები შემდეგი ზომისაა: სიმაღლე 7,5—13 სმ, უდიდესი დიამეტრი 8—12 სმ. ყელის ხვრელის დიამეტრი 0.5—1 სმ, კედლის სისქე 0,5—2 სმ, ზოგჯერ (ფსკერთან ახლოს) — 3.5 სმ-დე. ხშირია 300—315 სმ³-დან 393—408 სმ³-მდე ზომის მოცულობის ჭურჭელი, საერთოდ კი გვხვდება 215 სმ³-დან 622 სმ³-მდე მოცულობისა[264]. საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ანისში აღმოჩენილი სფეროკონუსების[265] დახასიათება: „კედლები, განსაკუთრებით ტეხილებში შეიწოვენ წყალს, თუმცა საკმაოდ დუნედ. კედლების მოყვანილობა უმეტესად შეესაბამება გარეგან ფორმას, მაგრამ ზოგჯერ განსხვავდება მისგან, განსაკუთრებით ფსკერში. ფსკერი შიგნიდან ხშირად მომრგვალოა, ზოგჯერ თითქმის ბრტყელი. კედლებს ახასიათებთ მნიშვნელოვანი სისქე, რომელიც სულაც არ არის დამოკიდებული ჭურჭლის ზომაზე. კედლები შეადგენენ მოცულობის უმეტეს ნაწილს, ასე რომ ჭურჭლის მოცულობა თუ არის 295 სმ³, მისი ტევადობა უდრის 125 სმ³, და შესაბამისად 590—265, 760—287, 1270 — ასევე 287 და ა. შ. . . . ყველაზე დიდის სიმაღლე არის დაახლოებით 0,25 მ“[266].

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ჭურჭლის დანიშნულება[267]. ი. ორბელმა ადრევე გამოთქვა აზრი (ჩვენი შეხედულებით, სავსებით სწორი), რომ ჭურჭელი გამოიყენებოდა ყოველგვარი ძვირფასი და საშიში სითხის შესანახ-გადასატანად[268].

---

262 შეინიშნება მცირე გადახრა: არის ისეთებიც, რომელთაც ყელი გვერდზე აქვთ გაკეთებული — იხ. Р. М. Джанполадян, დასახ. ნაშრ., გვ. 202.

263 იქვე, გვ. 205; ლ. ჭილაშვილი, ქალაქები, II, გვ. 150.

264 Г. М. Ахмедов, Неполивная..., გვ. 222; Н. В. Минкевич-Мустафаева, Раскопки..., с. 181; იქვე მოცულობათა ცხრილი ნაპოვნი ერთეულების მიხედვით და ტაბლ. XIV; შდრ. ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, ტაბლ. IX, 17—29.

265 ი. ორბელის სიტყვით, ჭურჭლის ფორმა უმეტესწილად არის კვერცხისმაგვარი.

266 Н. Марр, Ани, с. 94—96. ნ. მარი იმოწმებს ვრცელ ამონაწერს ი. ორბელის ნაშრომიდან. შდრ. ქ. მაჯარის სფეროკონუსების ზომები: უმსხვილესი — 15×11 სმ, უმცირესი — 10,5×8 სმ, უფრო ხშირად — 12×9 სმ, 13×9 სმ; Э. В. Ртвеладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 281.

267 ვრცლად იხ. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები, II, გვ. 150—152.

268 И. Орбели, Каталог, с. 73—74; Н. Марр, Ани, с. 98.

სფეროკონუსებზე გვხვდება სხვადასხვა შემკულობანი, ნიშნები და წარწერები. ამ უკანასკნელთაგან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ბაილაყანის სფეროკონუსებზე აღნიშნული წარწერები და ნაკდეები. ყველა ისინი (ერთის გარდა) გაკეთებული იყო ნედლ თიხაზე, გამოწვამდე[269].

წარწერის გარკვეულობით და სისრულით გამოირჩევა ჭურჭლის ნატეხზე შერჩენილი წარწერიანი ჭდე. ქუფური სტილით შესრულებული სამსიტყვიანი წარწერის თითოეული სიტყვა ცალკე ხაზზე, სტრიქონზეა მოთავსებული. დასახელებულ ნაშრომში წარწერის დაწვრილებით განხილვა-შესწავლის შემდეგ ლ. გიუზალიანი მას ასე კითხულობს: „გააკეთა ფადლუნმა ბაილაყანში"[270]. როგორც გაირკვა, ოდნავ შეცვლილი იგივე წარწერაა მოთავსებული ასევე ჭურჭლის ნატეხზე შემორჩენილ მეორე ჭდეზე: „გაკეთებული ფადლუნის [მიერ] ბაილაყანში"[271]. მესამე ჭდე, თითქოს პირველი ორის შემოკლება იყოს, სამის ნაცვლად ორ სიტყვას შეიცავს და ასე იკითხება: „გააკეთა ფადლუნმა"[272].

აღნიშნული ჭდეების პოვნის ვითარება და ტექნიკური მაჩვენებლები საკმაო დამაჯერებლობით ადასტურებენ მათ ერთდროულ წარმოშობას. არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მკვლევრის დასკვნა, რომ სამივე ჭდეზე აღბეჭდილი „ფადლუნი" ერთი და იგივე პირის სახელია და, რომ ამ ჭდეთაგან ერთ-ერთი, რამდენიმე ცალად არსებობდა. ყველაფერი ეს კი იმას მოწმობს, რომ სახელოსნო, რომელიც ფადლონს ეკუთვნოდა „მნიშვნელოვანი რაოდენობის სფეროკონუსებრ ჭურჭელს აწარმოებდა. თუ იმასაც კი დავუშვებთ, რომ ჭდეებს ერთდროულად კი არ ხმარობდნენ, არამედ ისინი თანმიმდევრულად ცვლიდნენ ერთიმეორეს, ამ შემთხვევაშიც, თვით მათი გამოყენების ფაქტი, წარწერის ნაცვლად, რომლის დატანა უფრო მეტ დროს მოითხოვდა, უნდა ადასტურებდეს წარმოების მნიშვნელოვან სიდიდეს. ეს თანაბრად ეხება იბრაჰიმის წარმოებასაც, რომლის ჭდე შეგვხვდა მოჭიქულ და მოუჭიქავ ნიმუშებზე, რომლებიც თავისი ხარისხით აშკარად განეკუთვნებიან უხეშ და იაფ მასობრივ ნაკეთობათა კატეგორიას.

---

[269] Л. Т. Гюзальян, Надписи на местной керамике из Орен-Кала, МИА, 67, с. 340.

[270] იქვე, გვ. 341: عمل فضلون بالبيلقان იქვე დაბეჭდილ ჭდის ფოტოზე დაკვირვებაც წაკითხვის სასურველი ეჭვს არ ბადებს.

[271] იქვე, გვ. 342: [ن]عملى بالبيلقان فضلون «сделанное Фадлуном в Байлакане». ფოტოზე წარწერა წინა წარწერასთან შედარებით რთულია და ძნელად იკითხება, რადგანაც «...оттиск до обжига был немного придавлен и утратил свою четкость».

[272] იქვე, გვ. 344: عمل فضلون.

სფეროკონუსებრ ჭურჭლის მნიშვნელოვან წარმოებას ადასტურებს აგრეთვე გათხრებით აღმოჩენილი გამოსაწვავი ქურების რაიონში წარმოების წუნის სიუხვე"[273].

იბრაჰიმის წარწერა მოთავსებულია უხეში კერამიკის ნიმუშზე, მუქი მწვანე ჭიქურით დაფარულ ნაცრისფერი კეცის ნატეხზე დაბეჭდილ ჭდეზე, რომელზეც შემორჩა წარწერის ნაწილი: „გააკეთა ეს იბრაჰიმმა"[274].

წარწერები არის მოუჭიქავი ჭურჭლის სხვა ერთეულებზეც. როგორც გიუზალიანი აღნიშნავს, მათ შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა კ ა უ პ ი ს ნატეხზე ორი ნაწილისაგან შემდგარი, ნედლ თიხაზე ამოკაწრული წარწერა. სპარსულენოვანი წარწერის მარცხენა ნაწილში შეცდომებია დაშვებული. მარჯვნივ იმავე ხელით და იმავე ჩვევით ერთ სტრიქონად შესრულებულ წარწერაშიც არის შეცდომა. წარწერას ლ. გიუზალიანი ასე კითხულობს: „გააკეთა ალიმ, აზიზის შვილმა, მეთუ[ნ]ემ"[275]. ასეთ წაკითხვას (ფრჩხილებში ჩასმული პირველი ბ ე ნ-ის გამოტოვებით) ამაგრებს ამავე სახის ნაწარმზე არსებულ წარწერებში მოხსენიებული „ალი" და „გააკეთა". ერთი მათგანი კი საყურადღებო ცნობას შეიცავს: „გააკეთა ოსტა[ტმა ალიმ]". გიუზალიანი აღნიშნავს, რომ აქ პირველად ორენ-კალას წარწერებში ვხვდებით სიტყვას უ ს თ ა ღ „ოსტატი"[276].

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბაილაყანშიც დასტურდება ხელობის მამიდან შვილზე გადასვლის შემთხვევები. ასე, მამის ხელობას გაჰყვა ფადლუნის შვილიც. როგორც ლ. გიუზალიანი აღნიშნავს, ფადლუნთან დაკავშირებული შემთხვევა სხვებისაგან «მომგებიანად განსხვავდება», იმით, რომ ფადლუნს ჩვენ ვიცნობთ არა მარტო შვილის წარწერებიდან, არამედ საკუთარ ნაწარმზე თავისივე სახელის აღნიშვნებითაც.

ასევე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ფადლუნის შვილმა „არ გადაიღო ნაწარმზე ტვიფრის დატანის მამისეული ჩვეულება და ჭურჭლის მხრებზე ზოგჯერ, რამდენადაც შეიძლება ვიმსჯელოთ მოღწეული ნიმუშების მიხედვით, საკმაოდ ვრცელ, ერთმანეთზე გადაბმულ წრიულ წარწერებს აკეთებდა"[277]. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი წარწერები ყოფილიყო სხვა ასეთივე სახის ისეთ ჭურჭელზე, რომელსაც არ შემორჩა ზედა ნაწილი. ერთ-ერთ-

---

[273] იქვე.

[274] იქვე, გვ. 337: عمله ابرهيم.

[275] იქვე, გვ. 337—339: عمل (بن) على بن عزيز الفخارى.

[276] იქვე, გვ. 339—340: عمل استا [دعلى].

[277] იქვე, გვ. 345.

ასეთ ნიშან-წარწერას, რომელსაც ნაწილობრივ ფარავს გამოწვის დროს მასზე მიკრული მეორე ჭურჭლის ნაწილი, როგორც მას სჩვევია, დაწვრილებით განიხილავს (ფოტოსურათების დართვით) ლ. გიუზალიანი და დაასკვნის: «მთელი წარწერიდან დარწმუნებით იკითხება მხოლოდ შემდეგი: 'გააკეთა აპმ[ედმა] შვილმა ფადლუნისა... მფლობელი ამისა'»[278]. სხვა ნატეხზე აღმოჩნდა ოსტატის სახელის დაბოლოება მ დ, რომელსაც მოსდევს ი ბ ნ ფ ზ, რაც პირველ ნიშან-წარწერასთან შეჯერებით ადვილად აღსდგება როგორც «[აპ]მედ ძე ფად[ლუნისა]»[279].

ნაწერს ლ. გიუზალიანი ნასხის სტილს მიაკუთვნებს, რადგანაც იგი არ შეიცავს ქუფური სტილის რაიმე აშკარა ნიშნებს, იმ დროს, როდესაც სხვა წარწერაში ასეთი ნიშნები აშკარად შეინიშნება.

მესამე წარწერაში იკითხება: «გაკეთებული აპმედ ძისა...»[280]. ფორმა ა მ ა ლ ი („გაკეთებული") მეორდება მეოთხე ნიშან-წარწერაშიც, რომელსაც მკვლევარი ასე კითხულობს: „გაკეთებული აპმედისა. სიკეთე (ფადლუნს?)..."[281].

შემდეგ, „როგორც ხატტაბის[282] და ფადლუნის სახელების საკითხის განხილვის, ასევე ამ შემთხვევაშიც უეჭველია, რომ ნიშან-წარწერებში მოხსენიებული „აპმედი" ერთ პიროვნებას უნდა გულისხმობდეს. ამისათვის საკმარის საფუძველს წარმოადგენს ამ სახელთან განმეორებადი მამის სახელი 'ფადლუნის ძე'. ამასთანავე, ხატტაბის ნიშნების და ფადლუნის ტვიფრების ანალოგიით, აპმედის ნიშნებშიც აღინიშნება სხვადასხვა ხელწერა". იქვე ავტორი ასაბუთებს ამ აზრს და დაასკვნის: „ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ აპმედის სახელოსნოში საქმის ვითარება ისეთივე იყო, როგორც მამამისის და ხატტაბის სახელოსნოებში, ესე იგი, რომ ნ ი შ ნ ე ბ ს ა კ ე თ ე ბ დ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე"[283] (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

სახელი „ხატტაბი" გვხვდება ბაილაყანის მოჭიქული კერამიკის იაკობსონისეული კლასიფიკაციის მე-9 ჯგუფში გაერთიანებულ ჭურჭლის წარწერებში. ეს არის სრულიად ახალი, მეტად თავისებური სახის გრაფიკული ნახატით შესრულებული მანგანუმის ფონზე გრავირებით მოხატული მოჭიქული ლანგრები. ეს კერამიკა მხოლოდ ბაილაყანისთვის არის დამახასიათებელი და არსად სხვაგან ამიერკავკასიის

---

278 იქვე, عمل احمد [د]ابن فصلون ... صاحبه...

279 იქვე, مد ابن فض [ون] [احـ].

280 იქვე, გვ. 346. عملى احمد ابن...

281 იქვე, გვ. 346.

282 ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

283 იქვე, გვ. 347.

ქალაქებში იგი არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ფრაგმენტს განძიდან. იაკობსონი აღნიშნავს, რომ «ეს კერამიკა მგონი რომ წარმოადგენს მონღოლების წინადროინდელი ბაილაყანის მხატვრული კულტურის ყელაზე საინტერესო მოვლენას.

ლანგრებს აქვთ წითელი, წერნაქით დაფარული კეცი... მანგანუმის ფონზე ნაწარმოებია მეტად ფაქიზი გრავირება ისე, რომ საკვეთის წვერი დადიოდა მხოლოდ ანგობის ფენამდე, რისი წყალობითაც მუქ მანგანუმის ფონზე ნახატი გამოიყოფა თეთრი ხაზებით.

ეს ჯგუფი საკმაოდ მნიშვნელოვანი და ძალზე მრავალფეროვანია ნახატის მხრივ, მაგრამ მასში სჭარბობს „სელჩუკური ჯაჭვის“ ან უფრო რთული წნულის ან კიდევ სტილიზებული, გულის მოყვანილობის მცენარეული ფიგურების სახით გაბედულად და ზუსტად შესრულებული გეომეტრიული ნახატი. მხოლოდ ერთ ფრაგმენტზე (ტაბლ. XXXII, 5) ცენტრში დახატულია მტრედი, რომლის ბუმბული გამოსახულია გრავირებული კულულებით, მეორეზე — პატარა თევზი»[284].

ლ. გიუზალიანი აღნიშნული ჯგუფის მასალას ორ არათანაბარ ნაწილად ყოფს. უდიდესი ნაწილისთვის დამახასიათებელ ნიშნებს შორის ყურადღებას იპყრობს ნახატის ფაქიზი, ოსტატური შესრულება და წარწერების თუმცა სხვადასხვა ჩვევა, მაგრამ ერთი და იმავე, რამდენადმე კალიგრაფიული ღირსების მქონე ხელი[285].

სამი ნატეხისგან შეკრულ რთული გრაფიკული ჩუქურთმით მოხატულ ლანგარს შიგნიდან, ნაპირზე ზოლად დაუყვება სპარსული ლექსის ტაეპი. მეორე ასეთივე ლანგრის ზედა პირის ფსკერზე, წრეში ზის წარწერა „ხატტაბ“. ეს სახელი „რამდენჯერმე გვხვდება ორენ-კალას კერამიკაზე და უმეტესად განხილული ჯგუფის ნივთებზე. მაგრამ, აღნიშნული შემთხვევისგან განსხვავებით, ის ყოველთვის შეთავსებულია მსგავსი ნიშნებისათვის ჩვეულებრივ არაბული ზმნის ფორმასთან ა მ ა ლ ‘გააკეთა‘. ასეთი სრული სახით — ‘გააკეთა ხატტაბმა‘[286] ნიშანი შემორჩა ერთ-ერთ ნატეხზე“[287].

მკვლევრის აზრით, ეს წარწერა საერთო ნახატზე რამდენადმე მიმალულია. მაგრამ სხვა ნიშნები, რომლებშიც ხატტაბის სახელია აღნიშნული, მოთავსებულია უფრო ღია, თვალსაჩინო ადგილებზე. აქვე დავძენთ, რომ, იმავე მკვლევრის აზრით, ნიშან-წარწერის ადგილის საკითხში ასეთი ვითარება ბაილაყანის ნაწარმის დამახასიათებელი თვისებაა და ამით იგი არსებითად განსხვავდება, მაგალითად, ირანის კერამიკისაგან[288].

---

[284] А. Л. Якобсон, Художественная..., с. 273.

[285] Л. Гюзальян, Надписи..., с. 326.

[286] იქვე, გვ. 328.

[287] იქვე.

[288] იქვე, გვ. 325, 328.

აქ სიტყვას ვეღარ გავაგრძელებთ ხატტაბის წარწერების შესახებ. აღვნიშნავთ, რომ ბაილაყანის კერამიკის ერთი სახის ნაწარმის მნიშვნელოვანი რაოდენობა სწორედ ამ სახელს უკავშირდება. საყურადღებოა, რომ „გააკეთა ხატტაბმა“ აღნიშნულია განსხვავებული სახის თიხის ნაწარმზე.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე გიუზალიანი დაასკვნის: „როგორც ჩანს, ხატტაბი — ოსტატი, ამავე დროს სახელოსნოს მფლობელიც იყო. ალბათ მას ეკუთვნის განსაკუთრებული ოსტატობით დამზადებული ნაწარმი. სახელოსნო აწარმოებდა სხვადასხვა სახის კერამიკას. სამუშაოს მხატვრული ნაწილის ყოველი შემსრულებელთაგანი ანდა ყოველი მხატვარ-მწერალთაგანი მათ მიერ დამზადებულ ნაწარმზე სვამდა ნიშანს მაგრამ არა თავისი სახელით, არამედ სახელოსნოს ოსტატ-მფლობელის სახელით. ამით აიხსნება როგორც ხარისხობრივი განსხვავება ერთი და იმავე სახის ნაწარმში ასევე, წარწერებსა და ნიშნებში შემჩნეული სხვადასხვა მწერლის ხელი“[289].

მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის, რომ „ხატტაბის“ შემთხვევა ერთეული არ იყო ბაილაყანში. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ნიშნის — „გააკეთა ნასირმა“ — შესახებ, რომელიც მეორე ადგილზეა გამოვლენილი სიმრავლის მხრივ“[290].

გარდა აღნიშნულისა, ბაილაყანის მოჭიქული კერამიკის სხვადასხვა ტექნოლოგიური ხარისხისა და მხატვრული ღირსების ნაწარმზე გამოვლინდა პირთა სახელები: ალი, იუსუფი, ლაშქარი ჩვეულ ზმნასთან — „გააკეთა“ — შეთავსებით. არის აგრეთვე „ძე რუსთემისა“ და „‘ამირ ჰამზა(?)“, რომლებთანაც აღნიშნული ზმნა წარწერებში აღარ შემორჩა[291].

ამ შემთხვევაშიც არა ერთი და ორი კითხვა იბადება, მათ შორის არსებითი: როგორია აღნიშნული ხელოსნების იურიდიული სტატუტი? ამ საკითხის გარკვევის გარეშე წარმოუდგენელია შუა საუკუნეთა აღმოსავლეთის ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული აღნაგობის, არსის გაშუქება. ვფიქრობთ, რომ ბაილაყანის ხელოსნური ცხოვრების ზემოაღწერილი მასალა სათანადოდ იქნება გათვალისწინებული მომავალში აღნიშნული საკითხის შესწავლის დროს.

ბაილაყანის თიხის ნაწარმზე არსებული ჭდეების და ნიშან-წარწერების განხილვის დროს უნდა გავიხსენოთ რუსთაველთან (1551): — „იაგუნდისა ჯამები იყვის ლალისა ჭიქები, / კვლა უცხო ფერთა ჭურ-

---

[289] იქვე, გვ. 335.
[290] იქვე.
[291] იქვე, გვ. 336—337.

ჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები". როგორც გაირკვა, „სიქები ისხდა" არა მარტო „იაგუნდის ჯამებსა" და „ლალის ჭიქებზე", არამედ უბრალო და ძვირფასი თიხის ჭურჭელზეც.

ბაილაყანის კერამიკაზე (ჭურჭლის ძირზე) დასმული ტვიფრები შეისწავლა იაკობსონმა[292]. დავიმოწმებთ მის ზოგიერთ დასკვნას: კერძოდ, სხვადასხვა ჯგუფში დანაწილებული ტვიფრები, სავარაუდოა, რომ სხვადასხვა სახელოსნოს ეკუთვნოდა; ამა თუ იმ სახის ნახატზე და ორნამენტაციის ტექნიკაზე არ იყო ხელოსნების მკაცრი სპეციალიზაცია; მოჭიქულ ჭურჭელს ტვიფრავდნენ არა მარტო ბაილაყანში, ერთგვარი და, როგორც ჩანს, ერთი და იგივე ტვიფრებიც კი აღინიშნა განძაში, შაბერანში, მაგრამ აზერბაიჯანის გარეთ ისინი არ არიან ცნობილი; თუმცა ასეთი ტვიფრვა არ იყო საყოველთაოდ გავრცელებული, რადგანაც ლანგრებისა და თასების უმრავლესობას, მათ შორის რთულად მოხატულებსა და მხატვრულად გამორჩეულებსაც, საერთოდ არა აქვთ ტვიფრი; ამასთანავე, დატვიფრულთაგან ბევრი განეკუთვნება ყველაზე უბრალო და, შესაბამისად, იაფ ნაწარმს, მაშასადამე, ტვიფრვა არ უკავშირდება მოჭიქული ჭურჭლის ხარისხს; აღნიშნულის გამო, ძნელია ტვიფრებში დავინახოთ ხელოსანთა ნიშნები, თუმცა თავისი ხასიათით ისინი ყველაზე მეტად შეესატყვისებიან ასეთ ნიშნებს; საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა მოითხოვს გაცილებით მეტი რაოდენობის მასალას[293].

დასკვნებში შეიმჩნევა გარკვეული წინააღმდეგობა, არც მოპოვებული მასალა გვეჩვენება მცირერიცხოვნად. ცხადია, რომ საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

აღნიშნული ჭდეებისაგან განსხვავებით, ხელოსნის საკუთარი სახელის აღნიშვნა ტვიფრზე და წარწერებში და ნაწარმის ზედაპირზე, — არც თუ იშვიათად თვალში საცემ ადგილზე, — მათი მოთავსება, რა თქმა უნდა, ხელოსნური წარმოების წყობისა და შინაარსის შემდგომი განვითარების ნიშნად უნდა განვიხილოთ.

საგანგებო ნიშან-ჭდეები და განსხვავებული შინაარსის წარწერები ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში აღმოჩენილ ხელოსნურ ნაწარმზეც დასტურდება. განძაში ნაპოვნ წითელკეციანი, ანგობით დაფარული, მოჭიქული თასის ფსკერის ზედა პირზე შემორჩენილი წარწერა ასე იკითხება: „გააკეთა აჰმედ აბუბაქრის ძემ განძელმა"[294].

ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო სოციალურ-კულტურუ-

---

[292] მარტო 1953—1954 წწ. გათხრებმა გამოავლინა თხრის პირველ ფართობზე (I раскоп) 91, მეორეზე — 17 უწარწერო ტვიფრი; А. Л. Якобсон, Художественная..., с. 288—299, ილუსტრაციებით.

[293] იქვე, გვ. 298—299.

[294] И. Джафарзаде, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

ლი ხასიათის დასკვნები გამოაქვს ნ. მარს ანისის კერამიკის წარწერების შესწავლით. „იმ ძვირფას ჭურჭელზე, უეჭველად რომ ეროვნებით სომხებს და სარწმუნოებით ქრისტიან ანისის უკანასკნელ მმართველებს ეკუთვნოდა წარწერები მხოლოდ არაბულ, ზოგჯერ სპარსულ ენაზეა გაკეთებული და არც ერთი ასო — სომხურზე . . . არსად არ გვხვდება მინიშნებაც კი რაიმე ქრისტიანულ მოტივზე, რაიმე სომხურ ხალხურ საყოფაცხოვრებო ხასიათებზე.

ამ უაღრესად დამახასიათებელი ვითარების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, როდესაც მას ჩვენ ვადარებთ იმას, რომ საზოგადოების საშუალო და დაბალ კლასებში მიმოქცევადი უბრალო თიხის და შედარებით უბრალო ნახელავი ჭურჭლის მრავალრიცხოვან ნატეხებზე სომხური წარწერა, სომხური ტიპები და ქრისტიანული სიუჟეტები ჩვეულებრივი მოვლენაა. ...უბრალო თიხის ჭურჭლის ნატეხებზე სხვა წარწერები, გარდა სომხურისა ჩვენ ჯერ არც გვიპოვნია". მარი იქვე ღრმად განიხილავს ამ მოვლენის მიზეზებს, არსს და დაასკვნის: ეს მოხდა იმიტომ, რომ ანისში „დაირღვა ყოველგვარი პროგრესის ძირითადი საფუძველი — კულტურულ ტრადიციათა უწყვეტობა"[295].

უბრალო თიხის ჭურჭლის წარწერებიდან ამჯერად აღსანიშნავია საკმაოდ სქელკედლიანი კარასის ორ ნატეხზე საბეჭდავით ნედლ თიხაზე დაჭდეული წარწერების გრიგორი. ი. ორბელის აზრით, ორივე წარწერა სრულებით ერთი და იგივე შინაარსის არის და სავსებით შესაძლებელია, რომ ორივე ერთი და იმავე ხელოსნის გრიგორის სახელოსნოში იყოს გაკეთებული[296]. მეორე, დიდი კარასის შემორჩენილ ნაპირზე „უხეში, შერეული სახის ასოებით ამოკაწრულია" საკუთარი სახელი: თ ო რ ო ს. ცნობილია მსგავს წარწერებში აღნიშნული სხვა საკუთარი სახელები და სახელების საწყისი ასოები[297]. გარდა ამისა, ხელოსნის ნიშნები არის არა მხოლოდ თიხის ნაწარმზე: ანისში გათხრილი შენობის პერანგის ქვების პირზე აღნიშნულია „ოსტატთა ორი, სამი სახის ნიშნები, რომელთაგანაც ერთი ცნობილია ანისის XI—XII სს. მშენებლობაში"[298].

ზემოთ, საწურიანი დოქების დახასიათების დროს, ლ. ჭილაშვილის ნაშრომზე დაყრდნობით აღწერილი იყო თბილისში აღმოჩენილი ერთი დოქი. მას «ირგვლივ გვერდებზე რელიეფური წნულები შემოუყვება. მათ შორის ასევე რელიეფურად შესრულებული სპარსული წარწერაა მოთავსებული. დოქი დაზიანებულია და ასევე არასრულია წარ-

---

[295] Н. Марр, Ани, с. 43—44.

[296] И. Орбели, Каталог, с. 64.

[297] იქვე, გვ. 64—65: «...с вицарапанными грубыми буквами мешаного типа...»

[298] Н. Марр, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

წერაც. ორრიგად შემოვლებული (ტაბ. XI—1) წარწერიდან გასარჩევია: ზედა რიგში ბერაბარაშ დაჰანვაქარდე „მის პირდაპირ პირდაღებული“, ქვედა რიგში ინ ქუზე...ქარდე „ეს ხელადა...“ [sic! პ. თ.]. აწ განსვენებული ვ. ფუთურიძის აზრით, აქ შეიძლება იყოს ომარ ხაიამის ლექსის ნაწყვეტი. მის ლექსებში ხშირია ღვინის ჭურჭლების ხსენება»[299].

შეენიშნავთ, რომ ორივე დამოწმებულ ნაშრომში ქვედა რიგის ფრაზის თარგმანს აკლია მესამე სიტყვის თარგმანი „გააკეთა“; ესე იგი, უნდა იყოს „ეს ხელადა... გააკეთა“.

დოქის სადაურობისა და თარიღის შესახებ აღნიშნულია: „ერთი რამ ცხადია: სპარსულწარწერიანი ჭურჭელი სტრატიგრაფიულად წინ უსწრებს საწარმოს, რომლის დანგრევაც XIII საუკუნეში მომხდარა. დოქის თარიღიც XIII საუკუნემდე კარგა ხნით ადრე უნდა ვიანგარიშოთ. იგი, ჩანს, შემოტანილია სპარსეთის რომელიღაც ცენტრიდან. მისი განსაზღვრა, როგორც „ირანული ელემენტისა“, წარწერის მიხედვით მაინც, ალბათ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მთავარი კი ის არის, რომ აღნიშნულმა დოქმა მოგვცა საშუალება მსგავსივე იმპორტული ნიშნები გვეპოვა სხვა ნაწარმშიაც“[300].

ომარ ხაიამის რობაიებში ფრაზა ინ ქუზე სულ ორჯერ გვხვდება, მაგრამ არც ამ შემთხვევებში და არც საერთოდ რობაიებში არ არის დამოწმებული ფრაზები[301].

შესაძლებელია, თბილისში აღმოჩენილ ჭურჭლის მეორე ფრაზაში ხელოსნის წარწერა იგულისხმებოდეს: „ეს ხელადა [მავანმა] გააკეთა“ და იმავე ხასიათს ატარებდეს, როგორსაც — ზემოგანხილული წარწერები.

ხელოსნურ, განსაკუთრებით კერამიკულ, ნაწარმზე სხვადასხვა ნიშან-ჭდეების დატანა თუ ამოტვიფრვა არც უძველესი დროისათვის იყო უცხო. ამიერკავკასიაში ტვიფრები და დანაკაწრი ნიშნები კერამიკაზე ცნობილი იყო ჯერ კიდევ ურარტუს დროიდან[302]. ანტიკურ სამყაროში კი მათ ხშირად საგანგებო და პრაქტიკული დანიშნულებაც

---

[299] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 152—153, იქვე წარწერის სპარს. ტექსტი; გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა, გვ. 154, იქვე — დამოწმებული ტრანსკრიფცია.

[300] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

[301] Омар Хаайям. Руба'ийат. Подготовка текста, перев. и предисл. Р. М. Алиева, и М.-Н. О. Османова. под ред. Е. Э. Бертельса, ч. 2, М., 1959, იხ. რობაი 239, 256.

[302] Г. А. Тирацян, Из материалов раскопок Армавира в 1973 году, ИФЖ, 1974, № 3, с. 179.

ჭონდათ[303]. როგორც ირკვევა, ტრადიცია არც შუა საუკუნეების ხელოსნურმა წარმოებამ დაარღვია.

აღსანიშნავია, რომ IX—X სს. შუა აზიის ზოგიერთ ქალაქში წარმოებულ ძვირფას ჭურჭელზე მხატვარ-კალიგრაფის მიერ შესრულებული მოხატულობისა და სხვადასხვა შინაარსის წარწერების გვერდით უბრალო სამზარეულო თიხის ჭურჭელზე ჩნდება მწარმოებელი ხელოსნის მიერ ნედლ თიხაზე გამოწვამდე შესრულებული დანაკაწრი წარწერები[304]. საყურადღებოა ისიც, რომ კერამიკულ და საფეიქრო ნაწარმზე ნივთის მფლობელის სავარაუდო სახელის გარდა, გვხვდება ხელოსანთა სახელებიც[305].

X—XI საუკუნეებში კერამიკულ ჭურჭელზე წარწერების მომრავლებას ამავე საუკუნეებში თავისუფალი აზროვნების ყოველგვარ გამოვლენასთან ორთოდოქსალური ისლამის გამწვავებულ ბრძოლასაც უკავშირებენ[306]

რუსეთის ქალაქებში თიხის ჭურჭელზე წარწერები X ს. მეორე ნახევრიდან ჩნდება, ხოლო XI—XIII სს. ისინი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცნენ, და არა მარტო მეთუნეობაში[307]. წარწერების ერთ ნაწილს მკვლევარნი ხელოსანთა ნიშნებად მიიჩნევენ. აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც ისინი მემკვიდრეობით გადადიან[308]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხელოსნის მიერ ტვიფრის დასმის ერთი მიზანი საკუთარი ნაწარმის ნაყალბევისაგან დაცვაც იყო[309]. იგივე მკვლევარი წარწერებს ხელოსანთა შორის წერა-კითხვის გავრცელების დამადასტურებელ ნიშნადაც განიხილავს[310].

მაგრამ ეს შეიძლება ყოველთვის ასე არ იყოს. მით უმეტეს, საბეჭდავების გამოყენების შემთხვევებში. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა დმანისში ნაპოვნ ჭურჭლის ნატეხზე არსებული არაბული დამწერლობის მსგავსი წარწერა, რომელიც „წერა-კითხვის უცოდინა-

---

303 К. Бюхер, Очерки экономической истории Греции. Перев. с немец... Л., 1924, с. 102—103.

304 А. М. Беленицкий, Арабская надпись из Пянджикента, ЭВ, XI, 1956, с. 28—29.

305 В. А. Крачковская, Эволюция куфического письма в Средней Азии, იქვე, III, 1949, გვ. 4, 6.

306 О. Г. Большаков, Арабские надписи на поливной керамике Средней Азии IX—XII вв., იქვე, XIX, 1969, გვ. 16.

307 М. Н. Тихомиров, Великий Новгород в истории мировой культуры, — Русская культура X—XVIII вв., М., 1968, с. 26.

308 Б. А. Рыбаков, Ремесло Древней Руси, изд. АН, 1948, გვ. 176—177, საერთოდ თიხის ნაწარმზე ტვიფრების შესახებ, იხ. გვ. 175—182.

309 М. Н. Тихомиров, Древнерусские города, М., 1956, с. 112.

310 М. Н. Тихомиров, Великий Новгород, с. 28.

რი ხელოსნის ნახელავი უნდა იყოს"[311]. ანისის ზოგიერთ წარწერაში აღინიშნება ვულგარიზმი და შეცდომები[312]. ბაილაყანის მასალა არკვევს, რომ ჭურჭლის მოხატულობაში არაბული ან სპარსული წარწერის მინაბაძი ყოველთვის არ ნიშნავს წერის უცოდინარობას — იგი მორთულობის ნაწილს წარმოადგენს. ერთ ფრაგმენტზე კი არის მინაბაძიც და წარწერაც[313].

რა ვითარება არსებობს წარწერების თვალსაზრისით საკუთრივ ქართულ კერამიკულ წარმოებაში? „მაგალითად, სომხურ მასალებში არც თუ იშვიათად ჯამებზე ხელოსნის ნიშნებია მოცემული, რითაც ნაწარმის ცალკეულ ჯგუფებს გამოჰყოფენ. აზერბაიჯანულ თიხის ნაწარმზე ოსტატების სახელებია აღნიშნული... ქართული კერამიკის არცერთ ნიმუშზე ასეთ რამეს ვერ ვხვდებით. არის თუ არა ეს ტრადიციის გავლენა? აუცილებლად არის. რა გასაკვირია თიხის ჭურჭელს რომ ხელოსნის სახელი არ ეწეროს, როცა ალავერდის ამშენებელზე არაფერი დაუწერიათ, სიტყვა არ გაიმეტეს შუამთის, ზეგნის, ურიათ-უბნის და სხვათა ქტიტორებზე (ამ მხრივ განსაკუთრებით კახეთის ძეგლებია გამოსარჩევი). ეს ქართული მოკრძალების ტრადიციული ნიშანი იყო, იმ ტრადიციისა, რომელმაც თავისი დაღი დაასვა მხატვრული კერამიკის ადგილობრივობას"[314] (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

მაგრამ ქართველი ხელოსანი განზე იდგა კერამიკული წარმოების განვითარების ზოგადი მიმდინარეობიდან? შიგ ქალაქში (თბილისი, დმანისი) შემოჭრილ წარმოების „სიახლეზეც" თვალს ხუჭავდა? განა ნაწარმზე ხელოსანთა ნიშნების დასმის „საკუთარი" ტრადიცია არ მოსდგამდა ქართულ სამშენებლო კერამიკას? საქმე ის არის, რომ, უბრალოდ, არქეოლოგიურ გათხრებს ჯერჯერობით, როგორც ჩანს, სათანადო მასალა (უშუალოდ სიტყვა „გააკეთა"-ს აღნიშვნით) არ გამოუვლენია[315].

---

311 ზ. მაისურაძე, ქართული კერამიკა, გვ. 33.

312 Н. Марр, Раскопки, с. 19: «...в надписи оригинальны самые начертания букв б и р: первая изображена в виде грузинского рукописного б, а вторая в виде греческого χ».

313 А. Л. Якобсон, Художественная..., გვ. 274, შ. 98; მინაბაძების შესახებ: გვ. 265, 270, 272—274, 276, 278, 286.

314 ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 158.

315 ჭურჭელზე გამოწვამდე დატანილი ზოგიერთი სახის ასო-ნიშნები საქართველოშიც გვხვდება. იხ. გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, I, 1955, გვ. 183, 185. შდრ. ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 167: „ეს ორნამენტი ქართული ასოა 'ხ'. აქ ისეთივე ანალოგია ხომ არა გვაქვს, როგორც ქართულ ჯამებზე, რომლებზედაც არაბული წარწერის იმიტაციაა მოცემული სპარსულ-არაბული ნაწარმის გავლენით?..."

მაგრამ არსებული მასალაც საყურადღებოა. კერძოდ „შუაფეოდალურ ხანაში გვხვდება აგრეთვე წარწერიანი კრამიტები (მაგ. რუსთავში, არმაზის ხევის მონასტერში, უჯარმაში, შიომღვიმეს), მაგრამ, სამწუხაროდ, წარწერათა ნაწყვეტ-ნაწყვეტობისა თუ ძლიერ დაქარაგმებისა გამო მათი ამოკითხვა არ ხერხდება"[316]. მაგრამ „შიომღვიმის კრამიტზე (საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საინვ. № 900) კი რელიეფით არის გამოყვანილი ნეგატიურად შვიდი ასო: ᲩᲔᲚᲘ ᲧᲠ ᲘᲜ („თაყას შეუნდენ ღმერთმან" — ჯ. ჯ.)"[317].

ვინ უნდა იყოს ეს „თაყა" თუ არა კრამიტის მომქრელი ხელოსანი, იქნებ, სახელოსნოს მფლობელიც და, ამგვარად (ვფიქრობთ, არცთუ უსაფუძვლოდ), — ხატტაბის და ფადლუნის ქართველი „კოლეგა".

როგორც ჩანს, მას გვერდში უნდა ამოუდგეს თოდორეც (თეოდორე?). საქმე ის გახლავთ, რომ რუსთაველი დერგებიდან „...ერთი დერგის ყელ-პირის ნატეხს (რ ა ე ს წ № 693) ბაკოზე გამოწვამდე ამოღარული აქვს სამი მხედრული ასო 'თოდ', რაც ალბათ შემოკლებული 'თეოდორე' არის. სავსებით დასაშვებია, რომ იგი ხელოსნის სახელს წარმოადგენდეს. პალეოგრაფიული დაკვირვებით, წარწერა XII—XIII სს. მიეკუთვნება". ავტორის შენიშვნით „წარწერა წაიკითხა და ხნოვანება დაადგინა ისტ. მეცნ. კანდიდატმა თეიმურაზ ბარნაველმა"[318].

ყოველ შემთხვევაში, ნებისმიერი „მოკრძალებით" (ლ. ჭილაშვილი), თუნდაც ის ქართული იყოს, სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის მოვლენის ახსნა თითქოს არ უნდა იყოს დამაჯერებელი.

როგორც აღვნიშნეთ, წარწერებიდან და საბეჭდავების გამოყენების შემთხვევებიდან, პირველ რიგში, ისეთები იქცევენ ჩვენს ყურადღებას, რომელთა შინაარსი ხელოსნური წარმოების ცალკეული უჯრედის (სახელოსნოს) შესწავლაში გვეხმარება. ზემოხსენებული შიომღვიმის კრამიტის წარწერა „რელიეფით არის გამოყვანილი ნეგატიურად". ესე იგი, ტვიფრზე არასწორად, პოზიტიურად იყო ამოკვრილი წარწერა? თუ ასეა, ამომკვრელს უხეში შეცდომა დაუშვია, რომელიც შემდეგ აღარ გაუსწორებიათ (ვერც შეამჩნიეს?). ასეთ შეცდომასთან

იკონოგრაფიული შინაარსის („წმინდა გიორგი") ოთხი ქართული ასოა (და არა „ქართული წარწერა", როგორც აღნიშნულია, — იხ. ი ქ ვ ე, გვ. 168; — წარწერა არაბულია) მოთავსებული ხლათში აღმოჩენილ, XIII ს. დასაწყისს მიკუთვნებულ ბრინჯაოს ლამპარზეც. — იხ. И. Орбели, Грузинская бронзовая лампада с арабскими надписями, Избр. тр., с. 336—340, პირველად გამოქვეყნდა ПЭР-ში.

[316] ჯ. ჯ ღ ა მ ა ი ა, საშენებლო კერამიკის წარმოება ფეოდალური ხანის საქართველოში, ფსაძ, I, გვ. 100.

[317] იქვე, გვ. 101.

[318] თ. ა რ ჩ ვ ა ძ ე, მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის წარმოების ისტორიისათვის შუასაუკუნეთა საქართველოში (რუსთაველი დერგები), ფსაძ, I, გვ. 127.

უმნიშვნელოდ გვეჩვენება ის, რომ ზემოაღნიშნულ' დერგების ერთ ცალზე „ბაკოს ირგვლივ ნატვიფრი სარტყელი თავდაღმაა. ვ. ჯაფარიძე მსგავს შემთხვევას დმანისის ერთ ასეთსავე ნიმუშზე შ ე გ ი რ დ ი ს შეცდომით ხსნის“[319] (ხაზი ჩვენია — პ. თ.); და ხლათის ლამპრის შემკულობაზე დაშვებული შეცდომა, როდესაც ოსტატმა ორი წყვილი მამაკაცისა და ქალის გამოსახულების (ერთმანეთის შენაცვლებით მოცემული ღვთისმშობლის და მთავარანგელოზ გაბრიელის) ნაცვლად ჩამოსასხამ ნიმუშზე სამი ქალის და ერთი მამაკაცის გამოსახულების ყალიბი მოათავსა[320].

რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები გამონაკლისს წარმოადგენს და ისინი გაუწაფავი ხელოსნის თუ ახლად დაწყებული წარმოების დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ. იმავე რუსთავულ დერგებზე, მაგალითად, „ამოტვიფრულ გამოსახულებათა დიდი ნაწილი მიღებულია ნედლ თიხაზე ცილინდრული, ნ ე ვ ა ტ ი უ რ ა დ ნაკვეთი საბეჭდავის გორებით“[321] (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

ბაილაყანის თიხის ჭურჭლის ტვიფრების შესწავლის შედეგად გარკვეული დასკვნების გამოტანის დროს, რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ ახლო თუ შორეული, მსგავსი თუ განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური წყობის მქონე რეგიონების (ქვეყნების, სახელმწიფოების) სინამდვილეში არსებული სათანადო მასალა.

თუ როგორ იურიდიულ მიმართებაში იმყოფებიან, ვთქვათ, ხატტაბი და ფადლონი იმ სახელოსნოების მიმართ, რომელთა ნაწარმს მათი სახელები აზის, ამის შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი — ისინი სახელოსნოს მფლობელად მიაჩნია ლ. გიუზალიანს, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგაც იმავე მოსაზრებას გამოთქვამდა[322]. მაგრამ, როგორია ამ სახელოსნოებში მომუშავეთა იურიდიული უფლებები, სარგებლობენ თუ არა აქ მონის ანდა თუნდაც ქირაზე მომუშავის შრომით?

აღძრულ კითხვებზე ერთნიშნა პასუხისთვის მასალა თითქმის რომ არ გაგვაჩნია. მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საკითხის შედარებით შესწავლას.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ალ-ლანი არის „ბაბ ალ-აბვაბის ახლოს, ხაზართა მეზობლად“ მდებარე „ვრცელი ქვეყანა“; „მოჰყავთ მათგან ტყავის დამმუშავებელი მონები“[323]. დედანში არის თ უ ჯ ლ ა-

---

[319] თ. ა რ ჩ ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 129, შ. 26.

[320] И. О р б е л и. დასახ. ნაშრ., გვ. 337.

[321] თ. ა რ ჩ ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

[322] Л. Т. Г ю з а л ь я н, Надписи на двух сфероконических сосудах из Байлакана, ПС, 13 (76), 1965, с. 166—167.

[323] ბ ა ა კ უ ბ ი, გვ. 91.

ბუ მინჰუმ 'ყაბიდუ აჯლადინ[324]. სიტყვასიტყვითი თარგმანი: „მოჰყავთ მათგან ტყავების მონები". ცხადია, პირველ თარგმანში „დამმუშავებელი" აზრის ნათლად გადმოცემის მიზნით არის ჩართული.

ძნელია გადაჭრით ითქვას, რას გულისხმობს ამ კონკრეტულ შემთხვევაში იაკუთი — ტყავის დამმუშავებელ მონა (დატყვევებულ?) ხელოსნებს თუ ზოგადად ტყავის დასამუშავებლად გამოყენილ მონებს? უკანასკნელ შემთხვევაში თითქოს ზედმეტია „ტყავის". მაგრამ თუ ხელოსანი გამოყავდათ, მაშინ უპრიანი იქნებოდა — „ხელოსანი-დაბალები".

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, „ტყავის დამმუშავებელი მონები" „ტყავის მონებთან" შედარებით მცირეოდენს, მაგრამ თითქოს მაინც იძლევა რაღაც მინიშნებას, რომ მასში ხელობის მქონე ადამიანები ვიგულისხმოთ. აქედან გამომდინარე, ჩვენ დედნისეულ, სიტყვასიტყვით თარგმანს ვამჯობინებთ. „ტყავის მონებში" ტყავის გამოქნის საწყისი, უხეში პროცესის შემსრულებლები უნდა ვიგულისხმოთ.

თუ დარუბანდის დაბალთა რაისის მფლობელობაში (ან გამგებლობაში?) თუნდაც ერთი სახელოსნო არსებობდა, ასეთ შემთხვევაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი აღნიშნული მონების შრომის გამოყენების ობიექტს წარმოადგენდა.

თუ ხელოსნური წარმოების მეტყავეობის დარგში იყენებდნენ მონის შრომას, — გაიხსენოთ: ზარიპგერანში „...მონები და მონა-ქალები დაკავებული არიან ამ (იარაღის წარმოების) ხელობით მთლიანად" (იხ. ზემოთ), — სრული საფუძველი გვაქვს ასეთი რამ მეთუნეობასა და სხვა დარგებშიც ვიგულისხმოთ. მაშასადამე, ხატტაბსაც და ფადლუნსაც შეეძლოთ თავის კუთვნილ მეთუნეობის სახელოსნოში (აქაც მძიმე სამუშაოს — თიხის მოკრა, მოზელა და სხვათა შესასრულებლად) ისევე გამოეყენებინათ მონის შრომა, როგორც ამას აკეთებდა დარუბანდში დაბალთა რაისი ალ-ჰაისამ ბ. მაიმუნ ალ-ბაი[325].

ზემოთ, ქალაქის გარეგანი სახის განხილვის დროს, შევეხეთ ბაილაყანის რაბადში არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილ ნაგებობათა კომპლექსს, სადაც, როგორც ვარაუდობენ, ხილისა და ყურძნის გადამუშავება ხდებოდა. ამჯერად ჩვენთვის საყურადღებო ის არის, რომ ამ კომპლექსის ერთ-ერთ აუზში იპოვეს ბეჭდის დაფა წარწერით „ალლაჰ მუჰამედ". კომპლექსის მკვლევრის აზრით, არ არის გამო-

---

[324] იქვე, არაბ. ტექსტი, გვ. 85.

[325] მის. გაელენისა და მოქმედების შესახებ დარუბანდში და მის ფარგლებს გარეთაც იხ. ბ. თოფურია, ამიერკავკასიის ქალაქების ისტორიიდან. გვ. 120.

რიცხული, რომ ბეჭედი საწარმოს მფლობელს კუთვნებოდა[326]. თუ ეს მართლაც ასე იყო, ბაილაყანის საქალაქო ცხოვრებიდან კიდევ ერთი პიროვნება წარმოგვიდგება — მუჰამედი, ასევე სახელოსნო-საწარმოს მფლობელი. დავუბრუნდეთ ისევ კერამიკული ნაწარმის განხილვას.

მოჭიქული, ანგობით დაფარული, სხვადასხვა ხერხით მხატვრულად დამუშავებული ნაწარმი განსაზღვრავს კერამიკული წარმოების დონეს და მხატვრულ ღირსებას. სათანადო ლიტერატურის შესწავლის შედეგად შეიძლება აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის კერამიკული წარმოების ცენტრებში დამზადებული მაღალმხატვრული ნაწარმი თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება იმდროინდელ საერთო დონეს.

ჭიქურის დამზადება არ იყო მარტივი პროცესი. სპარსული ბ ა ი ა ნ ა ლ-ს ა ნ ა ა თ ი („ტრაქტატი ხელოსნობის შესახებ") მეხუთე თავს სხვადასხვა ფერის („ყველა სახისო" — წერს ავტორი) ჭიქურის დამზადების ხერხებს უძღვნის. აქ აღწერილია წითელი, მწვანე, ყვითელი, ცისფერი, ლაჟვარდის, იაგუნდის, ფისტის (ფსტის), უნაბის, ოქროსფერი ყვითლის[327] ჭიქურების დამზადების წესები. ყვითელი ფერის ჭიქური, მაგალითად, ასე უნდა დამზადებულიყო: „იღებენ ერთ დირჰემ[328] ქლიბით (ს უ ჰ ე ნ) დაფხვნილ მაგნეტიტს (ს ა ნ გ-ე ჯ ჰ ა ნ), ერთ დირჰემ სპილენძის მადანს (ს ა ნ გ-ე მ ე ს), ერთ დირჰემ კარგად დაფხვნილ შავ კორალს (აგატს) (ს ა ნ გ-ე შ ა ბ ე)[329], ერთ დირჰემ კალას (ს ა ნ გ-ე

---

[326] Н. В. Минкевич-Мустафаева, Производственные сооружения ремесленного квартала Байлакана, СА, 1968, № 3, с. 220.

[327] შესაბამისად (მარჯვნიდან მარცხნივ): سرخ ، سبز ، زرد ، اسمان گون ، لاجوردی ، یاقوت ، فستقی ، عنابی ، زرد برنگ زرماند.

[328] ირანული დირჰემი, როგორც წონითი ერთეული, 4,3 გ, ხოლო არაბული, 4,68 გ უდრიდა. იხ. გ. ჯაფარიძე, IX—X საუკუნეების არაბული მეტროლოგიის ისტორიიდან (წონის ერთეულები და საწყაოები), თსუ შრომები, ტ. 121, 1967, გვ. 274. შდრ. მისივე „ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), თბ., 1973, გვ. 38—39: „არაბული მონეტები იჭრებოდა დირჰემისა და მისკალის ბაზაზე. სამონეტო საქმეში არსებული წონის კანონიკური სისტემის (დირჰამი= 14 კირატს, მისკალი = 20 კირატს) გარდა, არსებობდა კიდევ სხვა სისტემებიც [დამოწმებულია ვ. ჰანცის ნაშრომი — პ. თ.] რომელთა თავისებურებათა მიუხედავად ძირითადი სამონეტო ერთეულები — დირჰამი და მისკალი (დინარი) ერთი და იგივე წონის იყო (შესაბამისად 2.97 და 4.25 გგ). დირჰამის განხილული სისტემა არ იყო კანონიკური, თუმცა მას გავრცელების საკმაოდ დიდი არეალი ჰქონდა ... IX ს. შუა წლებიდან მთელ მახლობელ და შუა-აღმოსავლეთში დირჰამის ფაქტიური წონა ამეღავნებს მიდრეკილებას ზრდისაკენ. სახალიფოს ნებისმიერ ზარაფხანაში მოჭრილი დირჰამების საშუალო წონა აღმატება თეორიულს (2.97 გ-ს), ამასთან, შეურილობითი წყაროები არ მიუთითებენ რაიმე ცვლილებაზე მონეტების წონით სტანდარტში".

[329] شبه (შაბე); მაგრამ იგივე, ოღონდ სხვაგვარად გახმოვანებული (შაბიკ) ნიშნავს წითელ სპილენძს, თითბერს.

ვარზიზ) და ერთ დირჰემ დაფხვნილ წითელ გოგირდოვან დარიშხანს (სანგ-ე ზარნიხ). შემდეგ ყველაფერი ეს კარგად აურიე მაგარ ძმარში (სერქე-ითიზ), თასი ან სხვა რამე თასის მსგავსი, რაც გსურს ამით დაფარე და რამდენიმე ხანს ცეცხლში ატრიალე, ვიდრე არ გამაგრდება და გაფაქიზდება"[330].

თბილისის კერამიკულ სახელოსნოში ჭიქურის წარმოების აშკარა კვალი აღმოჩნდა 1948 წ. წარმოებული გათხრების დროს. სახელოსნოს ფართობზე მიაკვლიეს თეთრი კაჟის და სპილენძის ჩაყანგულ ნატეხებს. იქვე იპოვეს ქვის როდინი, ხელსაფქვავი, „პატარა სასწორი ან, უკეთ, მისგან შემორჩენილი სპილენძის ორი ჯამუკა (დიამეტრი 6 სმ), თხელი და სამ-სამ ადგილას ნაპირგახვრეტილი"[331].

როგორც ვხედავთ, თბილისის სახელოსნოს წარმოების იარაღებს შორის სპარსულ ტრაქტატში დამოწმებული ქლიბი არ ჩანს. მას, ალბათ, როდინი ცვლიდა, რომლითაც — უნდა ვივარაუდოთ — ხელსაფქვავზე დაფშვნილ ნედლეულს დამატებით ნაყავდნენ საჭირო ფხვნილის მისაღებად.

ანისში, ბაილაყანში, განძაში, დმანისში, თბილისში მოპოვებულ ანგობით დაფარულ თუ წითელ ან სხვა ფერის კეციან მოჭიქულ კერამიკულ ნაწარმზე თვალის ერთი გადავლებითაც კარგად ჩანს, რომ აღნიშნულ ცენტრებში იცოდნენ დამზადება და იყენებდნენ კიდეც ყველა იმ ფერის ჭიქურს, რომელსაც დასახელებული ტრაქტატი აღნიშნავს. აქ გვხვდება როგორც უფერო ჭიქური, რომელიც უცვლელად ინარჩუნებს მხატვრულად დამუშავებული ანგობის ფერს, ასევე ფერადი ჭიქურები: მწვანე, ყვითელი, ლურჯი, ცის, იის, ნარინჯის, ფირუზის ფერი. ყველა ამ ფერადი ჭიქურის გარკვეული ზომების ერთმანეთში შეზავებით ღებულობდნენ ფერთა განსაკუთრებულ სიუხვეს.

აღნიშნული ფერების ჭიქურით შემკული ნაწარმი შეადგენს სწორედ იმ მხატვრულ კერამიკას, რომელიც ადასტურებს თიხის დამუშავების მაღალ დონეს ამიერკავკასიაში და მას იმდროინდელი საუკეთესო ნიმუშების გვერდით აყენებს.

ყურადღებას იპყრობს ანისში მოძიებული მოჭიქული ჭურჭლის მარისეული განხილვა: „არც ერთი გათხრა არ ჩატარებულა ანისში უბრალო თუ მოხატული მოჭიქული ჭურჭლის ნამსხვრევების პოვნის გარეშე. მაგრამ არსად ანისში არ ამოდიოდა საღებავებისა და ნახატის

---

[330] ბაიან ალ-სანაათ. გვ. 54 بيان الصناعات تأليف ابو الفضل حبيش بن| ابراهيم تفليسى (دانشمند قرن ششم) با مقدمه ...بقلم ايراج افشار مستخرج از» فرهنگ ايران زمين« دفتر ٤ ، جلد ٥ ، ١٣٣٦].

[331] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 135, 143, 148, 149.

მიხედვით საუკეთესოდ შერჩეული მოჭიქული[332] თიხის და აგრეთვე მინის ჭურჭლის უკეთესი ნატეხები ვიდრე სასახლეში. ამასთანავე, ამ ნატეხებს პოულობდნენ არა ჩვეულებრივ ნაყარ ნიადაგში, არამედ ღრმა ორმო-სათავსებში. . . . მასალის, თიხის, ასევე მოხატულობის და საღებავების მიხედვით ისინი დიდ მრავალფეროვნებას ქმნიან. საღებავების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ არ ჩანს კაშკაშა, თვალისმომჭრელი ფერები: იგრძნობა გემოვნება, მიდრეკილება რბილი, ფერმკრთალი ტონებისადმიც კი. გვხვდება ერთფეროვანი ერთეულებიც... შედარებით ღია ფერებიდან გარკვეული უპირატესობა ენიჭება ცისფერს შავი, ზოგჯერ ყვითელი ოქროსფერი ნაყშებით.

მწვანე და ლურჯი ფერები უფრო ხშირად მეორეხარისხოვან ნაწარმში ვეხვდება. არის ერთი, ლურჯი ფერის ჭურჭლის მთელი კატეგორია, რომელიც საყურადღებოა ასეთი თუ ისეთი რელიეფური ფიგურებით, მრავალფურცლიანი ვარდულებით, ნახევარსფეროთი, ჯვრით, ადამიანისსახიანი ლომის თავით და ქალის გვირგვინოსანი თავით. განსაკუთრებით გავრცელებული ლომის თავი ადამიანის სახით"[323].

ამ შემთხვევაში ჭურჭლის სადაურობის საკითხთან შედარებით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ამონაწერში დაცული ანისის მცხოვრებთა სოციალური და კულტურული დონის განმსაზღვრელი ცნობები. ხოლო თუ განსაკუთრებით ძვირფას ჭურჭელს ანისში არ ამზადებდნენ და გარედან შემოჰქონდათ, ესეც ანგარიშგასაწევი ვითარებაა, რადგანაც ამ ქალაქის განათხარ კერამიკულ მასალაში არის ერთეულები. თავისი მხატვრულ-ხარისხობრივი მახასიათებლებით (განსაკუთრებით მტკიცე და მჭიდრო კეცი) შორეულ აღმოსავლეთს (ჩინეთი) რომ განეკუთვნებიან. აქვეა ირანული (რეი) წარმოშობის ნაწარმი[324]. მაგრამ საკუთრივ ანისში გარკვეული სახის ძვირფასი მოჭიქული ჭურჭლის წარმოება ეჭვს არ იწვევს საკითხის მკვლევართა შორის[325].

აქვე დავიმოწმებთ დასკვნას შელკოვნიკოვის ნაშრომიდან. ავტორი განხილულ მასალას XI—XIII საუკუნეებით ათარიღებს. X და

---

[332] «...глазированной и поливной посуды...».

[333] Н. Марр, დასახ. ნაშრ., გვ. 43. ანისის მოჭიქული კერამიკის VI ჯგუფში გაერთიანებული ცისფერი და ლურჯი ჭიქურით დაფარული ნაწარმი ხასიათდება რელიეფური, დაკრული (დანაძერწი) მასკარონებით (იტალ. mascherone, ადამიანის სახის ან ცხოველის თავს გამოსახულებიანი სკულპტურული მორთულობა), რომელთა მსგავსი არსდ, გარდა კავკასიისა, არ გვხვდება. მსგავსი მორთულობით შემკული ჭერჭელი ცნობილია დვინიდან, დმანისიდან; იხ. Б. А. Шелковников, დასახ. ნაშრ., გვ. 51—54.

[334] იქვე, გვ. 46—50, V ჯგუფი; გვ. 55—59, VII, VIII, X ჯგუფები, გვ. 60—64 XI—XIV ჯგუფები.

[335] იქვე, გვ. 38—39, 42.

XIV სს. ნივთები გამონაკლისის სახით აღინიშნება. XI ს. შუა ხანას, სელჩუკიანთა მიერ ანისის დარბევის წინა დროს განეკუთვნება მაღალხარისხოვანი ფაიანსის მნიშვნელოვანი ნაწილი, მსგავს ფაიანსებს (ქაშანურებს) პოულობენ ირანში, მაგრამ ანისურს აქვს განმასხვავებელი ნიშნები. განსაკუთრებით ორიგინალურია მეორე და მესამე ჯგუფების ფაიანსები, რომელთა სრულიად განსხვავებული ნიშნები გამორიცხავს მათ ირანულ წარმოშობას. ასევე განსაკუთრებული, მხოლოდ ანისში აღნიშნული მორთულობა ვვაიძულებს ამ ნაწარმს ადგილობრივი წარმოშობა მივაწეროთ. მაშასადამე, ანისში, ანდა საღმე მის მეზობლად, XI საუკუნეში არსებობდა კერამიკული ცენტრი, რომელიც აწარმოებდა თეთრ, ძალზე ფაქიზ, დახვეწილად მოხატულ ფაიანსებს. მოხატვის ხასიათს მივყავართ შორეული აღმოსავლეთის შესაძლებელ გავლენამდე.

XII ს. დასასრულსა და XIII საუკუნეს მიეკუთვნება იმპორტული, განსაკუთრებით ჩინური და ირანული, ნაწარმის დიდი რაოდენობა, რაც მიუთითებს „ანისის საგაჭრო ბურჟუაზიის“ ეაჭრობის ხასიათსა და სიმდიდრეზე. აღსანიშნავია ჩინური ნაწარმის მრავალფეროვნება, კიდევ უფრო მდიდარია ირანული კოლექცია. XII—XIII საუკუნეების ირანული ფაიანსის თითქმის ყველა ძირითადი სახე წარმოდგენილია ანისში... XII—XIII სს. კერამიკა უეჭველად ადასტურებს საქალაქო ცხოვრების მნიშვნელოვან განვითარებას, ახლო და შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობათა ცხოველ ხასიათს და ანისის საზოგადოების „მაღალი კლასების“ მორჭმულობას. მეორე მხრივ, ზაქარიანთა ეპოქაში, ბაგრატუნიანთაგან განსხვავებით, როგორც ჩანს, არ არსებობდა ადგილობრივი მაღალხარისხოვანი კერამიკული წარმოება. აღნიშნულ დროში ადგილობრივს შეიძლება მივაწეროთ მხოლოდ წითელკეციანი კერამიკა და ფაიანსები დაკრული რელიეფური მორთულობებით. მაგრამ კეცის და ჭიქურის ხარისხი შეუდარებლად დაბლა დგას XI საუკუნის დახვეწილ აუურულ ფაიანსებთან შეფარდებით[336].

საქართველოში არქეოლოგიური კვლევის შედეგად რიცხობრივად თანდათან იზრდება ფაიანსის მოპოვებული ნიმუშები. ამ მხრივ უპირატესობა დღესდღეობით დასავლეთ საქართველოსთან შედარებით აღმოსავლეთ საქართველოს ეკუთვნის. ამის მიზეზად პირველის არქეოლოგიურად სუსტად შესწავლა მიაჩნიათ. დასავლეთ საქართველოში „...სულ რამდენსამე განათხარში (ბათუმში —„ თამარის ციხეზე“, გო-

---

[336] იქვე, გვ. 66—68.

ნიოსა და სოხუმში) გამოერევა ფაიანსის ჭურჭლის თითო-ოროლა ნატეხი...“[337].

დამოწმებულ ნაშრომში ავტორი ფაიანსის ნაწარმს სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად ყოფს: ადრე, შუა და გვიანფეოდალური. „ადრეფეოდალური საქართველოს კერამიკული ნაწარმი ჯერ არ არის საკმაოდ შესწავლილი. იმდროინდელი ფაიანსის ნაწარმი არქეოლოგიურ მონაპოვრებში წარმოდგენილია ერთადერთი ნატეხით, რომელიც კუხეთის რუსთავის ნ ა ც ი ხ ა რ ი ს არქეოლოგიური თხრისას აღმოჩნდა. აღნიშნული ნატეხის სათანადო ჭურჭელი მესოპოტამიიდან ჩანს შემოტანილი“[338] (ხაზი ჩვენია — პ. თ.). აღნიშნული ნატეხის თარიღად ავტორი IX ს. მეორე ნახევარს მიიჩნევს[339].

ჩვენთვის საგულისხმო მეორე ჯგუფის მასალა „აღმოჩენილია: თბილისში, კუხეთის რუსთავში, დმანისში, გუდარეხსა და უჯარმაში [ახალქალაქში „(ლუსტრიანი, შემოზიდული)“][340] ამ მონაპოვარში გვხვდება ადგილობრივიცა და შემოზიდული ნაწარმიც“[341].

საქართველოში კერამიკური წარმოების ტექნიკური დონის შესასწავლად მნიშვნელობას იძენს აღმოჩენილი ფაიანსის ჭურჭლის წარმოების სადაურობის გარკვევა. თუმცა, საკითხის კვლევის დროს, გარკვეული უნდა გვქონდეს, თუ რამდენად განაპირობებს ამ წარმოებას ადგილობრივი ბუნებრივი პირობები. კერძოდ, შეიძლება თუ არა აღმოცენდეს (შუა საუკუნეების წარმოების ტექნიკურ შესაძლებლობათა დონის გათვალისწინებით) ფაიანსის წარმოება იქ, სადაც არ არსებობს ამისათვის საჭირო საგანგებო ხარისხის და შემადგენლობის თიხის საბადოები?

საქართველოში „მოჭიქული თიხის ჭურჭლის უფაქიზესი და ულამაზესი თეთრკეციანი სახეობის, ფაიანსის... საგანგებოდ და გულდასმით შესწავლამ“, — მკვლევარის განცხადებით — „საგულისხმო ღა თითქმის მოულოდნელი სურათი გადაგვიშალა თვალწინ... გამოირკვა, რომ გარდა ირანული საწარმოო ცენტრებიდან შემოზიდული ფაიანსის ჭურჭლისა, შუაფეოდალურ ეპოქაში ჩვენს ქალაქებშიც (თბილისში, დმანისში, რუსთავში?) კეთდება საკმაოდ სათუთი და მშვენიერფერადი ფაიანსის სხვადასხვაგვარი, ზოგჯერ თავისებური ჭურჭელი. ამ უკანასკნელის გამოცნობას, სხვა ნიშნებთან (მოყვანილობა, შემკულობა) ერთად ხელს უწყობს მისი კეცი — მონაცრის-

---

[337] ნ. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, შუასაუკუნეთა საქართველოში ფაიანსის წარმოების დამოხმარების ისტორიისათვის, ფსაძ, I, გვ. 106.

[338] იქვე.

[339] იქვე, გვ. 107.

[340] ე. ჯ ა ნ დ ი ე რ ი, ჯავახეთის ახალქალაქის.., გვ. 63.

[341] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს..., გვ. 14.

ფრო და 'ხეიშირი' (ჩანს, ჩვენებური, მაგ., ქვემო-ქართლური კაოლინის დამახასიათებელი). ამრიგად, მახლობელი აღმოსავლეთიდან მოძალებულ იმპორტთან ერთად შემოსული მიდრეკილება ფაიანსის უხვად წარმოებისადმი მარჯვედ არის განხორციელებული რუსთაველის ხანის საქართველოში. ეს ბოლოდროინდელი კვლევით დადგენილი გარემოებაა, უწინ ამას ვერც ვიფიქრებდით"[342].

მაგრამ ასეთი დაბეჯითებული მტკიცების საფუძველს თითქოს არ იძლევა ნ. მამაიაშვილის ნაშრომი, რომელსაც იმოწმებს გ. ლომთათიძე.

ჩვენთვის საყურადღებოა, რომ „საქართველოს ნაქალაქართა არქეოლოგიურ განათხარებში X ს. ფაიანსის ნაწარმი ჯერჯერობით ცნობილი არ არის... ჩვენში XII—XIII სს. ფაიანსის ნაწარმია ყველაზე მრავალრიცხოვანი. მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენილი ჭურჭლები ნატეხებითაა წარმოდგენილი, მათში — ჯერჯერობით საკმაოდ პირობით, მაგრამ მაინც — ხერხდება ადგილობრივი ნაწარმის გამოყოფა უცხოურისაგან... გამოირკვა, რომ ნაწილს პარალელები მოეძებნება საქართველოს გარეთ, ხოლო გარკვეული მოყვანილობის, ჭიქურისა და კეცის მქონე ნაწარმი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება საქართველოს ამა თუ იმ ნაქალაქარში და არსად სხვაგან. ამან საფუძველი მოგვცა გვევარაუდა მათი ადგილობრივი წარმომავლობა"[343] (ხაზი ჩვენია — პ. თ.). ადგილობრივი ნაწარმის გამოყოფა ხერხდება ზოგჯერ კეცის, ზოგჯერაც კეცის ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზით.

აღნიშნული ნიმუშების ქიმიური ანალიზის შედარებით ირკვევა, რომ ადგილობრივში კირი გაცილებით მეტია (7%), ვიდრე შემოტანილ სპარსულ ნიმუშში (მხოლოდ 2%-მდე). ამის თაობაზე მკვლევარი წერს: „ადგილობრივი ნაწარმის კეცის კაზმში კი კირი ხელოვნურად უნდა იყოს შეტანილი — შესაძლოა იმ მიზნით, რომ კეცი უფრო თეთრად გამომწვარიყო და თან გამოწვას უფრო დაბალი ტემპერატურა ჰყოფნოდა: ცნობილია, რომ კირიანი ფაიანსი უფრო ადრე გამოიწვება"[344]. მაგრამ, როგორ მოქმედებს წარმოების ტექნოლოგიაში ასეთი ცვლილებები ნაწარმის ხარისხზე? მით უმეტეს, რომ „რეცეპტურა და ტექნიკური პროცესები ყოველთვის ექვემდებარებიან ადგილობრივი ნედლეულის თავისებურებებს"[345].

---

[342] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

[343] ნ. მამაიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 108—109 იქვე დამოწმებულია ადგილობრივი და შემოტანილი ნიმუშების ქიმიური შემადგენლობა. შდრ. ზევით ბაილაყანის მოჭიქული ნაწარმის ერთი ჯგუფის ქიმიური ანალიზი.

[344] იქვე, გვ. 109.

[345] Б. А. Шелковников, Фаянсы, расписанные люстром по белой непрозрачной глазури из Орен-Кала, МИА, 67, с. 316.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ადასტურებს ადგილობრივ კერამიკულ წარმოებაში საკუთარი ტექნოლოგიური ჩვეულების, პროცესების არსებობას.

მკვლევრის მიერ ადგილობრივ ნაწარმად მიჩნეულ „გმკვირვალე ჭიქურით დაფარული, სადა, შეუმკობელი ჭურჭელიდან“ ყურადღებას იპყრობს რუსთავში აღმოჩენილი სამარილეები, რომელთაც „სხვადასხვა მოყვანილობა და კეცი აქვთ. ისინი დაფარულია ცისფერი (სპილენძის) ან ლურჯი (კობალტის) გამჭვირვალე ჭიქურით“. ეს სამარილეები წარმოების ტექნიკური დონის, წარმოების პროცესის თვალსაზრისით იქცევენ ჩვენს ყურადღებას. „მიუხედავად კეცის ნაირგვაროვნისა, რუსთავის ყველა აღნიშნული სამარილე ადგილობრივ ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ხშირად საკმაოდ დეფორმირებული და შეუხედავი არიან და ძნელი წარმოსადგენია, ისეთები საიდანმე შემოეტანათ. იგივე შეიძლება ითქვას ძველ განჯაში განათხარ სამარილეებზედაც“[346]. წარმოების წუნს ვერ ვიგულისხმებთ, რადგან მის შესახებ არაფერია აღნიშნული.

დაუდევრად და დაბალ ტექნიკურ დონეზე შესრულებული ნაწარმი გამოვლინდა ბაილაყანშიც. ერთ-ერთი ასეთია იშვიათი მოყვანილობის ოქროსფერი ელვარების ყავისფერი ლუსტრით მოხატული ფაიანსის პატარა დოქი. „მთელი ნახატი იმდენად დაუდევრად არის შესრულებული, რომ გამოსახულებანი ჩანს მხოლოდ გულდასმით გასინჯვის დროს“[347].

რა განაპირობებს ასეთ ვითარებას? წარმოების დაბალი ტექნიკური დონე თუ ნაწარმზე გაზრდილი მოთხოვნილება? მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში ბაზარი იღებს ასეთ საქონელს? მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ საქმე ეხება ფართო მოხმარების მასობრივ ნაწარმს, მაგრამ ისიც კი „გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული, სადა“ და ამავე დროს „შეუმკობელი“ ფაიანსის ნაწარმია.

მსგავსი ვითარება აღინიშნება მე-3 ჯგუფში. დმანისში, თბილისში, რუსთავში აღმოჩენილი „რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭელი“ წარმოადგენს „საკმაოდ დაუდევრად ნაკეთებ, ტლანქ ჭურჭელს“[348].

უნდა ვიფიქროთ, რომ ბაზარი „ითმენდა“ ასეთ ნაწარმს. „ჩვენში განათხარი, XII—XIII სს. კუთვნილი ფაიანსის დიდი ნაწილი წარმოადგენს ი მ პ ო რ ტ უ ლ ნაწარმს“. ასეთი ნაწარმის ერთ ჯგუფში გაერთიანებულია „შავი და ლურჯი საღებავებით მოხატული და სპილენძის ცისფერი გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭელი“. ავ-

---

[346] ნ. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

[347] Б. А. Ш е л к о в н и к о в, დასახ. ნაშრ., გვ. 322—323.

[348] ნ. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

ტორისვე დასკვნით, რუსთავსა და თბილისში აღმოჩენილი ასეთი ჭურჭელი „ირანის ქალაქ ქაშანში ყოფილა ნაკეთები. მაგრამ მათი ერთი სახელოსნოს ნაწარმად ჩათვლა შეუძლებლად მიგვაჩნია კეცის სხვადასხვაგვარობის გამო: თბილისში ნაპოვნი ნატეხის კეცის სიმტკიცე უდრის — 3, რუსთავის ნაპოვნისა — 6. და საერთოდაც, რუსთავისა შ ე უ დ ა რ ე ბ ლ ი ვ უ ფ რ ო ფ ა ქ ი ზ ჭურჭელია, ვიდრე თბილისისა. ამდენად, ვფიქრობთ, შესაძლოა ორივე ჭურჭელი ერთი ქალაქის — ქაშანის სხვადასხვა სახელოსნოს ნაწარმი იყო (?)"[349].

თუ ეს ასეა, საგულისხმო აქ ის არის, რომ ქაშანში გაკეთებული შედარებით მღარე ხარისხის ჭურჭელი თბილისში მოხვდა.

ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად ადგილობრივ ფაიანსის წარმოების შედარებით დაბალი დონე და სუსტი საწარმოო სიმძლავრე უნდა მივიჩნიოთ. მით უმეტეს, რომ ქართული ფაიანსის საკითხი ჯერ კიდევ კვლევის საწყის (მოპოვებული მასალის სიმცირის გამოც) საფეხურზეა. „...მაგრამ ამასთანავე, ის საბუთები, რომლების მოწვლილებაც სადღეისოდ შეგვიძლია, ადგილობრივი ნაწარმის გამოყოფისათვის მთლიანად საკმარისი ჯერ კიდევ არ არის და ამდენად, დასკვნასაც შემდგომ მეტი დასაფუძვლება დასჭირდება.

ბუნებრივია, რომ საამისოდ საჭიროა ახალ-ახალი მასალების მოპოვება"[350].

ასეთ საბუთებს კი თანდათან აკლენს არქეოლოგიური კვლევა-ძიება. კერძოდ, დმანისში ჩატარებულმა ასეთმა კვლევამ გამოაკლინა XII ს. თუნე, რომლის მახლობლად აღმოჩნდა კერამიკული საღგარი, რომელსაც ზედ დაღენთოდა ცისფერი ფაიანსის ჭურჭლის ნაწილები[351]. ეს ფაქტიც დმანისში ფაიანსის ჭურჭლის წარმოებას ადასტურებს.

ანისსა და ბაილაყანში ფაიანსის ადგილობრივი წარმოების საკითხის გაურკვევლობის შესახებ წერდნენ შელკოვნიკოვიც და იაკობსონიც[352]. პირველი მათგანი, ბაილაყანში აღმოჩენილი ფაიანსის ჭურჭლის შესწავლის შემდეგ, გამოყოფს ნაწარმს, რომელიც „პროვინციულ ცენტრში" უნდა ყოფილიყო დამზადებული, მაგრამ თუ სად იმყოფებოდა ეს ცენტრი, ირანში თუ აზერბაიჯანში, ცნობების უქონლობის გამო, ავტორისათვის გაურკვეველია[353].

---

[349] იქვე, გვ. 116—117.

[350] იქვე, გვ. 116.

[351] ვ. ჯაფარიძის მოხსენება არქეოლოგთა სესიაზე თბილისში 1966 წ. იხ. СА 1968, № 3, გვ. 303, ქრონიკა.

[352] Б. А. Шелковников, Поливная керамика, с. 38—39, 42, 45; А. Л. Якобсон, Раскопки, с. 107.

[353] Б. А. Шелковников, Фаянсы, с. 323.

მაგრამ ქალაქის ეკონომიკაში კერამიკულ წარმოებას და მისი განვითარების დონეს არ განსაზღვრავს მხოლოდ ძვირფასი ფაიანსის ან ლუსტრით მოხატული მოჭიქული ჭურჭელი. საქალაქო მეურნეობის თვალსაზრისით სათანადო შესწავლა-შეფასებას მოითხოვს მოჭიქული ჭურჭლის სხვა სახეობებიც.

ვნახოთ, როგორ აფასებენ მკვლევარები ბაილაყანის მოჭიქულ მხატვრულ კერამიკას (ზემოთ, წარწერების განხილვის დროს დახასიათებული იყო ამ ჭურჭლის ერთი ჯგუფი). ეს ნაწარმი რამდენიმე თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას; პირველ რიგში, წარმოების ტექნიკური დონის და ნაწარმის მხატვრულად დამუშავების თვალსაზრისით. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ბაილაყანის მაღალმხატვრულ ნაწარმს როგორც ხალხის ხელოვნების, ხალხური შემოქმედების შესწავლისთვის ძვირფას მასალას. „ეს გამოყენებითი ხელოვნება, რომლის შემოქმედნი ქალაქის ხელოსნები იყვნენ, მასობრივი და თავისი შინაარსით უაღრესად დემოკრატიული იყო. ამიტომ მასში გაცილებით სრულად აისახა მთელი ხალხის აზრებიც, გრძნობებიც, წარმოდგენებიც და მისი მხატვრული გემოვნება“[354].

ბაილაყანის მხატვრული კერამიკა, ქრონოლოგიურად IX—XIII საუკუნის დასაწყისს რომ განეკუთვნება, დიდი რაოდენობით არის მოპოვებული. „ის უეჭველად ადგილობრივი წარმოებისაა, ჭეშმარიტად მასიურ მასალას წარმოადგენს და ამიტომ ისტორიულად ძალზე მნიშვნელოვანია“[355] (ხაზი ჩვენია — პ. თ.). ის შედარებით კარგად არის ჩვენს დრომდე მოღწეული და თავისი პირველყოფილი სახით შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ნაწარმის არა მარტო ფორმა, არამედ მხატვრული დამუშავების ხერხების მრავალფეროვნება. „სწორედ ამიტომ შუა საუკუნეების გამოყენებითი ხელოვნების შესწავლისათვის ბაილაყანის ადგილობრივი კერამიკა ლითონთან ერთად განსაკუთრებით ბევრს გვაძლევს. ის არცთუ იშვიათად ახალ ფურცლებს შლის ამიერკავკასიის და მთელი ახლო აღმოსავლეთის მხატვრული ხელოსნობის ისტორიაში“[356].

ბაილაყანის საქალაქო ხელოსნობის, კერძოდ, მისი კერამიკული წარმოების განვითარების შესწავლისათვის საყურადღებოა ის დასკვნები, რომლებიც აღნიშნული ნაწარმის შესწავლიდან გამომდინარეობს. საგულისხმოა, რომ ისტორიული პერსპექტივის შესაბამისად აღინიშნება წარმოების ზოგიერთი მხარის მხატვრულ-ტექნიკური დონის ზრდა. ხოლო XI ს., როდესაც ამიერკავკასიას მომთაბარე სელჩუ-

---

[354] А. Л. Якобсон, Художественная с. 228.

[355] იქვე.

[356] იქვე.

კიან თურქთა წამლეკავმა ტალღამ გადაურა (ზოგან აღარც გადაიარა — ადგილზევე ჩაილექა), მომიჯნავე საუკუნეებთან შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი. თუმცა ამის ერთ-ერთი მიზეზი, ჯერჯერობით, — როგორც აღნიშნავენ — სათანადო არქეოლოგიური ფენების არადამაკმაყოფილებლად გამოვლენაც არის.

ამიერკავკასიისა და ირანის მხატვრული კერამიკისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებთან ერთად ბაილაყანისეული მხოლოდ მისთვის კუთვნილი ნიშან-თვისებებითაც გამოიყოფა. ადრეული ხანიდან ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მე-3 ჯგუფი, რაოდენობრივად მცირერიცხოვანი, მაგრამ მხატვრული ღირებულებით „IX საუკუნის ამიერკავკასიის გამოყენებითი ხელოვნების თვალსაჩინო მოვლენა“[357].

ამ ჯგუფში გაერთიანებული ღია-წითელი ფერის კეცის თასებისა და ლანგრების საერთო ნიშანს წარმოადგენდა გამქვირავალე, ტყვიის ჭიქურის ქვეშ ანგობზე შესრულებული პოლიქრომიული ნახატი. ისევე როგორც ბაილაყანის მხატვრული კერამიკის იაკობსონისეული კლასიფიკაციის სხვადასხვა ჯგუფებში, აქაც გამოიყოფა რამდენიმე ქვეჯგუფი. მკვლევრის დასკვნებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ IX საუკუნის განხილული მასალის პოლიქრომიული მხატვრობა „ძალზე თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ეს იყო ადგილობრივი მეთუნეების დაძაბული მხატვრული შემოქმედებითი ძიების სფერო. ეჭვი არ არის, რომ ეს შემოქმედება იკვებებოდა ღრმა ტრადიციებით, რაშიც გვარწმუნებს ზოგიერთი ნახატის მოტივების არქაულობა, სასანური წრის ხელოვნებას რომ აღადგენს მეხსიერებაში“[358].

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ადრეული ჯგუფების (1—3) თასებსა და ლანგრებზე თითქმის არ გვხვდება, ერთეული გამონაკლისის გარდა, ცხოველების, ფრინველების, ადამიანის გამოსახულება. ამ გამონაკლისს წარმოადგენს დიდი, ღრმა. სფეროსებური, ნახევარზე მეტად შემონახული თასი დიდებული მონადირე-მხედრის გამოსახულებით[359].

მაგრამ მომდევნო ხანაში ამ მხრივაც შეინიშნება მნიშვნელოვანი ძერები. საგანგებო გამოკვლევის საგანი გახდა აღნიშნული კლასიფიკაციის მე-8 ჯგუფში გაერთიანებული ხუთი პოლიქრომიული ნახატით შესრულებული თასი ნადირობის, ჩოგანბურთის სცენების და მხედრების გამოსახულებებით. დასკვნა ასეთია: ამ გამოსახულებების მსგავსი, არ გვხვდება არათუ ახლო აღმოსავლეთის, არამედ არც საქართველოს და სომხეთის მოჭიქულ კერამიკაში[360]. ეს გარემოება მით უმეტეს სა-

---

[357] იქვე, გვ. 236.

[358] იქვე, გვ. 242.

[359] იქვე.

[360] А. А. Иессен, Пять чаш из Байлакана, — Исследования по исто-

ყურადღებოა, რომ აღებული ხანის ამიერკავკასის მოჭიქული კერამიკის მხატვრულ დამუშავებაში აშკარად ჩანს ურთიერთკავშირი.

აღნიშნული მხატვრობის ნიმუშები ბაილაყანის კრებულში არ არის მრავალრიცხოვანი, საკმაოდ შეზღუდული რაოდენობის არის. ადვილი შესაძლებელია დასახელებული თასები რამდენიმე მხატვარ-კერამიკოსის ნახელავი იყოს, რომელნიც დაოსტატდნენ მხატვრობის გარკვეულ დარგში[361].

ანგოპზე პოლიქრომიული მხატვრობით შემკული ბაილაყანის ნაწარმი უახლოეს მსგავსებას ავლენს, პირველ რიგში, ამიერკავკასიის ქალაქებში წარმოებულ კერამიკასთან. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს დვინში მოძიებულ მასალაზე[362]. ასეთი სახის ნაწარმი ცნობილია ბაქოდან (არცთუ დიდი თასი მამლის ორიგინალური გამოსახულებით, X—XII სს.)[363], ანბერდიდან[364].

XII და XIII საუკუნის დასაწყისი ბაილაყანში მხატვრული კერამიკის წარმოების ბრწყინვალე გაფურჩქვნის ხანაა. ასეთი ვითარება, ცხადია, ბაილაყანის საქალაქო ცხოვრების საერთო აღმავლობას გამოხატავს, რასაც, როგორც ირკვევა, „ხანგრძლივი წინა ისტორია გააჩნდა"[365].

საქალაქო ცხოვრების ეკონომიკური მხარის ამაღლება-განვითარება სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს ამწვავებდა, რაც, თავის მხრივ, ქალაქის შფოთიან პოლიტიკურ ცხოვრებაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ეს ვითარებაც აშკარად დასტურდება ბაილაყანში.

როგორი ვითარება გვაქვს საქართველოში მხატვრული კერამიკის თვალსაზრისით? „სრულიად სამართლიანად XII—XIII საუკუნეები ქართული მხატვრული კერამიკის აყვავების ხანად არის მიჩნეული და არა მარტო ქართული კერამიკისათვის"[366].

თბილისის მიმართ ასეთივე დასკვნა გამოაქვს ქართული კერამიკის სხვა მკვლევარსაც: „ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალა გვაფიქრებინებს, რომ თბილისში მოჭიქული კერამიკის წარმოება თავის მაღალ განვითარებას XI—XIII საუკუნეებში აღწევს, სოლო XVII—XVIII საუკუნეებში უფრო შემცირებული ჩანს . . . როგორც

рии культуры народов Востока, сб. в честь акад. И. А. Орбели, М.—Л. 1960 с. 95.

[361] А. Л. Якобсон. დასახ. ნაშრ., გვ. 272.

[362] იქვე, გვ. 244.

[363] О. Ш. Исмиагаде, Исследования Старого Баку, АО — 1981, с. 422.

[364] Т. А. Измаилова, Керамика из раскопок в Анберде, Труды Отдела ист. культ.. и искусства Востока, IV, Л., 1947, с. 185.

[365] А. Л. Якобсон, დასახ. ნაშრ., გვ. 246.

[366] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

ჩანს, XVI—XVII საუკუნეებში ფუფუნების საგანია ფაიფური, ისე როგორც XI—XIII საუკუნეებში იყო ფაიანსი, ხოლო ფაიანსი ხდება ყოველდღე მოსახმარი ჭურჭელი, ისე როგორც XI—XIII საუკუნეებში იყო მოჭიქული კერამიკა"[367].

ნაწარმის მხატვრულად დამუშავების თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ „შუაფეოდალური ხანის საქართველოს მოჭიქული კერამიკისათვის დამახასიათებელია, ე. წ. სიუჟეტიანი გამოსახულებით დამშვენებული ჯამების სიმრავლე. განსაკუთრებით გავრცელებულია აღამიანისა და ფრინველის გამოსახულება... შუა საუკუნეთა ქართველი ოსტატების განსაკუთრებული სიყვარული და ყურადღება ცხოველისა და ფრინველის გამოსახულებისადმი კარგად ჩანს თელავური ჯამების ბაგლითზედაც"[368].

საერთოდ მოჭიქული ჭურჭლის წარმოების სიდიდის განხილვის დროს გასათვალისწინებელია ამ ნაწარმის გავრცელების „სოციალური არე". თბილისში „ქალაქის განაპირა ზღუდეზე შიგნით მიდგმული" სახელოსნოები („7 სათუნე ქურა, კერები, სამუშაო შენობები") „დიდძალ ნაწარმს მიაწოდებდნენ თბილისელსაც თუ გარეშე მყიდველებს. უმთავრესად ჩვეულებრივ, არც თუ დიდად შეძლებულ მოქალაქეებსა და მდაბიოებსაც (რაკი იმდროინდელ ნასოფლარებშიც თითქმის ყოველთვის გვხვდება მოჭიქული წითელკეციანი ჯამები და მინის სამაჯურები"[369] (ხაზი ჩვენია — ჰ. თ.).

ეს ვითარება კონკრეტულად დაადასტურა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილი და შესწავლილი გლეხის საცხოვრებელი კომპლექსის მასალამ. „საცხოვრებელი კომპლექსის გათხრისას დიდი რაოდენობით გამოვლინდა მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები. სწორედ მათი საშუალებით კომპლექსი XI—XIII საუკუნეებით თარიღდება"[370].

კერამიკული წარმოების ზრდა-განვითარების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს სამშენებლო მასალაზე მოთხოვნილება წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, ცხადია, მნიშვნელობას იძენს, თუ რომელი მასალა სჭარბობს საქალაქო (სოფლის) მშენებლობაში. კერძოდ, რა მასალი-

---

367 ვ. მიწიშვილი, თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი კერამიკა, ფსაძ, II, 1974, გვ. 198—199. სქელკედლიანი ფაიფურის ნატეხები (ავტორის თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ჩინეთიდან შემოტანილი) აღმოჩნდა გაჩის XII საუკუნის კულტურულ ფენებში, В. Н. Левиатов, Керамика, გვ. 5, შ. 1.

368 ც. ჩიკოიძე, ქალაქ თელავის ისტორიისათვის (ნივთიერი კულტურის ძეგლებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით). ფსაძ I, გვ. 41.

369 გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

370 ალ. ბოხოჩაძე, მასალები შუაფეოდალური ხანის მცხეთის ისტორიისათვის, ფსაძ. I, გვ. 21.

საგან არის ნაგები, გადახურული საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობანი. განსაკუთრებით გალავანი. საკითხის გასაშუქებლად სხვადასხვა ხასიათის ისტორიული თხზულებანი და არქეოლოგიური კვლევა-ძიება საყურადღებო მონაცემებს გვაწვდიან. ასე, მაგალითად, არდებილში ნაგებობათა უმეტესი ნაწილი თიხისაგან არისო, გადმოგვცემს ისტახრი[371]. (ჩვენ ამჯერად მხოლოდ თიხის მასალაზე ვამახვილებთ ყურადღებას). ასევე, შემახაში თიხის შენობებს ასახელებს მუკადასი. ბარდავში — თაბაშირის და გამომწვარი აგურისაგან; აქვე საკრებულო მეჩეთის სვეტების ერთი ნაწილი თაბაშირისა და აგურისაგან იყო გაკეთებული. დვინშიც თიხის სახლებს აღნიშნავს იგივე ავტორი[372]. ბაილაყანში უმრავლესი შენობები გამომწვარი აგურისგან არისო აგებული, აღნიშნავს ჰამდალაჰ ყაზვინი და იქვე დასძენს, თუმცა ახლა დანგრეულიაო[373]. თავრიზის შენობები კი „აგებულია მოჭიქული წითელი აგურისა და თაბაშირისაგან, ძალიან გამძლედ“[374]. აღსანიშნავია, რომ ითილში ნეფის „სასახლე აგურისგანაა აგებული და არა აქვს არავის შენობა აგურისაგან მის გარდა. მეფე არ აძლევს უფლებას, რომ ვინმემ ააგოს სახლი აგურით მის გარდა“. იგივე ავტორი, იმოწმებს რა იბნ ფადლანს, წერს: ითილს, ხაზართა სამეფოს დედაქალაქს „შემოვლებული აქვს კედელი, ოღონდ შენობები მასში მიმობნეულია. მათი საცხოვრებელი ქეჩის კარეებია, გარდა მცირედი შენობებისა, რომლებიც თიხისაგანაა აგებული“[375].

ამიერკავკასიის სინამდვილეში არ მოგვეპოვება მსგავსი შინაარსის ცნობა, რომელიც ასეთ მკვეთრ სოციალურ ზღვარს ავლებდეს ქალაქის ნაგებობათა გარეგან სახეს შორის. თავისთავად ეს ცნობაც ნათლად მეტყველებს ამ რეგიონის ეკონომიკურ თუ სოციალურ-კულტურულ დაწინაურებაზე. მაგრამ გარკვეული სხვაობა ნაგებობის მასა-

---

371 ისტახრი, СМОМПК, ტ. 29, გვ. 5.

372 მუკადასი, იქვე, ტ. 38, გვ. 8, 9.

373 ჰამდალაჰ ყაზვინი, ნეზჰათ ულ-ყულუბ. გვ. ९१. აღსანიშნავია, რომ 1884 წ. ორენ-ყალას (ბაილაყანის) ნანგრევების ერთ-ერთი მხილველის თანახმად ნაქალაქარის ზოგიერთ ადგილზე „გახსნილია აგურის ნამდვილი კარიერები. ყველგან ყრია ჭიქურით დაფარული, სხვადასხვა ზომის აგურის ნამტვრევები... ამბობენ, რომ 10 წლის წინათ ჯერ კიდევ არსებობდა მოჭიქული (эмалированный) აგურის მოზაიკით შემკული მინარეთის საფუძველი“. იხ. МИА, ტ. 67, გვ. 39. „XIX ს. დამდეგისთვის გეგეთის სასახლის ნანგრევებიდან წაღებული აგური ქუთაისის შენობათა ასაგებად გამოუყენებიათ“, რადგანაც „სასახლის უდიდესი ნაწილი შესანიშნავად გამომწვარი, არაჩვეულებრივად მტკიცე ხარისხის აგურით არის ნაგები“. იხ. ჯ. ჯღამაია, სამშენებლო კერამიკის წარმოება ფეოდალური ხანის საქართველოში, ფსაძ I, გვ. 96, იქვე ლიტერატურა.

374 ბაკუთი, გვ. 38.

375 იქვე, გვ. 47.

ლაში, რასაკვირველია, აქაც აღინიშნება. კერძოდ, შუაფეოდალური ხანის საქართველოს ნამოსახლარების გათხრამ „გვიჩვენა, რომ აგური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში ნაკლებად ყოფილა გამოყენებული და აქაც უპირატესობა ქვას ენიჭებოდა (ოღონდ უფრო რიყისას ან ნატეხს). დმანისში საცხოვრებელი სახლების დიდი უმრავლესობა ნაგებია ქვით, ხოლო აგური უმთავრესად ბუხრებისა და თახჩების ამოსაყვანადაა ნახმარი. დმანისის აბანოს მშენებლობაში კი ქვასთან ერთად აგურიც მონაწილეობს. ასეთი სურათია რუსთავის ნაქალაქარისა და ნაციხარის თხრისას გამოვლენილ ნაგებობებშიაც, სადაც სახლები თუ სამეურნეო დამხმარე შენობაც ძირითადად რიყის ქვითაა ნაგები, ხოლო აგური უმეტესად იატაკის საფენად და თონეების გარშემოსაწყობად არის გამოყენებული“[376].

საქართველოს საერო თუ საეკლესიო მშენებლობაში აგურის გამოყენების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ადრეფეოდალურ ხანაში, — წინარე ეპოქასთან შედარებით. — აგურის გამოყენება ფართოვდება. ხოლო „შუაფეოდალურ ხანაში სამშენებლო კერამიკის წარმოებასა და გამოყენებას უფრო ფართო მასშტაბი მიეღია წინა ხანასთან შედარებით. ამას გვამცნობენ როგორც იმდროინდელი შემორჩენილი აგურის ნაგებობანი, ისე არქეოლოგიური თხრით მოპოვებული მასალები“[377]. აღნიშნული დროის მშენებლობაში აგურის მოპარბებამ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში „ქვისა“ და „აგურის არქიტექტურის“ დაპირისპირებაც კი გამოიწვია.

ცნობილია ბაილაყანის საქალაქო მშენებლობაში გამოყენებული აგურის ზომებიც. ქალაქის გალავნის ერთ ნაწილში აღმოჩენილი გამოუწვავი აგურის: — 47×47×14—17 სმ; თიხის დუღაბით[378] ნაგები და წინა პირი თიხის ხსნარითვე შელესილი, ნახევრადოვალური კოშკის ნაშთისა (იმავე ტექნიკის წყობით) — 52×52×14 სმ; ქალაქის გალავნისა და ასევე ნახევრადმრგვალი კოშკისა — 49×49×14 სმ; ქალაქის კედელთან მიბჯენილი პატარა კედლისა — 26×26×5 სმ და 28×28×5.5 სმ (ამავე წყობაში სიმაგრისათვის ჩართულია გამომწვარი აგურის ერთი რიგი; აგურის ზომა — 22×22×5 სმ); კოშკისა — 32×32×7; ქალაქის კედლისა — 49×49×14 სმ.

გამომწვარი აგურის: „პატარა ქალაქის“ ერთ-ერთი კუთხის კოშკის მოპირკეთებულის — 21×21×4 სმ; თიხის კედლის საყრდენისა — 24×24×5 სმ-დან 27×27×5 სმ-მდე; კოშკის საძირკვლისა — 28×

---

[376] ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

[377] იქვე, გვ. 96—97.

[378] ...«на глиняном растворе...», იხ. МИА, ტ. 67, გვ. 41.

×28×6 სმ; პატარა კედლისა — 27×27×5 სმ; კოშკის მოსაპირკეთებელისა — 26×26×5 სმ; გამომწვარი აგურისგან ნაგები კედლის გასწვრივ წარმოქმნილი 1 მ სისქის ნაშალში აღმოჩენილებისა 21×21× ×5 სმ, 26×26×6[379]; სანაგეე ორმოში აღმოჩენილისა — 20×20× ×4 სმ[380]. ქრონოლოგიურად მასალა ზოგადად ბაილაყანის მეტ-ნაკლებად გაცხოველებული საქალაქო ცხოვრების ხანას — XI—XIII საუკუნის დასაწყისს — მოიცავს.

საქართველოში წუაფეოდალური ხანის ნამოსახლარის გათხრის დროს აღმოჩენილი „ქართული აგურის" ზომაა 21×21 — 23×23 სმ, სისქით 4—4,5 სმ[381]. თელავში X—XI საუკუნეების ნაგებობანი „აშენებულია დიდი, თანაბარი ზომის რიყის ქვებითა და მტკიცე დუღაბით, რომელშიც გამოყენებული იყო ოთხკუთხა მოყვანილობის აგური ზომით 25×25×6 სმ"[382].

ერთდროულად ერთი თუ რამდენიმე ზომის აგურს უშვებდა სახელოსნოთა ჯგუფი? სწორედ რომ ჯგუფი, რადგანაც ძნელი დასაშვებია, რომ ასეთი მრავალგვარი ნაწარმი — ნაწარმზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება რომ აღარ ვიანგარიშოთ — ერთ ან ორიოდე სახელოსნოს დაემზადებინოს. ოთხი სამეთუნეო ქურა ქალაქის ძირითადი ფართობის გარეთ, ეგრეთ წოდებულ (1933 წლის ექსპედიციის მიერ) „III ქალაქში" აღმოჩნდა[383].

ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებენ აგურის ეს სახელოსნოები („ქარხანას", ალბათ, ვერ ვიხმართ, რადგანაც მათი საწარმოო სიდიდეების და შრომის ორგანიზაციის იურიდიულ-ეკონომიკური პირობების გასათვალისწინებლად არავითარი ცნობები არ გვაქვს), თუ მათ შორის რაიმე ეკონომიკური ან იურიდიული შინაარსის ვალდებულება არსებობს?

კერამიკული წარმოების ერთ-ერთი დარგი, რომელიც ასევე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშენებლობასთან, შორენკეცების დამზადება იყო. ამ დარგის არქეოლოგიური მონაპოვრის შესწავლით ირკვევა საქართველოში (დმანისი, თბილისი, რუსთავი) შორენკეცების წარმოების ტექნიკურად განვითარებული დონე. „გამოწვის მაღალი ხარისხი და ფერადი ჭიქურის ბრწყინვალება პირველი შეხედვისთანავე ეცემა თვალში ადამიანს. რუსთაველის ხანაში ქართული შორენკეცი და ჭრა-

---

[379] არ ვიმეორებთ ერთხელ უკვე აღნიშნულ ზომებს.

[380] იხ. იქვე. გვ. 41, 148, 149, 150, 151, 153, 156, 157, 169.

[381] გ. ლომთათიძე, შუაფეოდალური ხანის, გვ. 129.

[382] ც. ჩიკოიძე, თელავი გვიანფეოდალურ ხანაში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), ფსაძ II, გვ. 69.

[383] MHA, ტ. 67, გვ. 43.

მიტი დიდი გულმოდგინებითაა დამზადებული და კერამიკული წარმოების მაღალი კულტურის ერთ-ერთ მოწმობას წარმოადგენს"[384].

შორენკეცებზე დაკვირვება საგულისხმო ცნობებს წარმოაჩენს წარმოების შინაარსის შესასწავლად. კერძოდ, აღნიშნულ ქალაქებში აღმოჩენილი შორენკეცების შესწავლით გაირკვა, რომ ზოგიერთი მათგანი „კედლების კუთხეების მოსაპირკეთებლად ყოფილან განკუთვნილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელოსნებს წინასწარ დაკეთით უკეთებიათ შორენკეცები: სცოდნიათ, თუ სად მოსახმარისი, რა მოყვანილობისა და ზომის დეტალები სჭირდებოდათ მშენებლებს"[385]. ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს თბილისური შორენკეცების შესწავლის შემდეგ: აქაური შორენკეცული მოზაიკის პატარა დეტალები ცალკეა დამზადებული, მაგრამ „წინასწარ სცოდნიათ, თუ რა სახეები ექნებოდათ შესადგენი და იმის კვალობაზე უმზადებიათ სხვადასხვა მოყვანილობა-ზომის დეტალები"[386].

არქეოლოგიური მასალის ამგვარი შესწავლის შედეგად მიღებული ცნობები საიმედო საშუალებას წარმოადგენს, რათა გონების თვალით შეეიხედოთ ასეთ სახელოსნოში და მისი საქმიანობა წარმოვიდგინოთ. წარმოების ასეთი შინაარსი თითქოს აუცილებლად მოითხოვს დამკვეთსა და მწარმოებელს შორის ზუსტად მოწესრიგებულ, სათანადო საბუთიანობით გამართულ ურთიერთობას. ეს იმ შემთხვევაშიც, თუნდაც მხოლოდ მწარმოებელი რომ საქმიანობდეს ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად.

საზოგადოების (უკეთ: მისი გარკვეული ნაწილის) ეკონომიკური სახსარიანობის თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ «შორენკეცები იხმარებოდა არა მარტო ნაგებობათა კედლების შესამკობლად, არამედ ხშირად იატაკზე მოსაფენადაც. ამას ამტკიცებს 1948 წ. თბილისის კერამიკულ სახელოსნოში ექვსკუთხა სწორკუთხა და კვადრატული, ჯერ მოუჭიქავი თუ უკვე მოჭიქული შორენკეცების აღმოჩენა. მათი გამოყენების ჯერჯერობით პირველ, შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს ოზაანის „ამაღლების" ტაძარი (კახეთში), სადაც XII ს. იატაკი, ხელახლა შეკეთების შემდეგ, მოუფენიათ ტოლგვერდა. სამკუთხა, ექვსკუთხა და რომბისებური მოჭიქული ფილებით. ზოგ მათგანზე სგრაფიტოს ტექნიკით გამოხატულია მცენარეული ორნამენტი. ფილა-შორენკეცები დაფარულია ყავისფერი, ფირუზისფერი და მწვანე ჭიქურით. ზ. მაისურაძის აზრით, „ოზაანის მხატვრული კერამიკა არ არის შემთხვევითი მოვლენა და ამიტომ გამონაკლისიც... ამგვარი კერამიკული შემკულობა

---

384 ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

385 იქვე.

386 გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა, გვ. 158.

საერო ნაგებობებს, ციხე-დარბაზებსა და სასახლესაც ამშვენებდა, რომლებიც კიდევ ელიან გათხრა-შესწავლას და გამოვლინებას»[387].

ცისფერი შორენკეცები, — როგორც აღნიშნავენ, ქართული არქიტექტურისათვის ეს ახალი მოსაპირკეთებელი მასალა, — გამოყენებულია აგრეთვე საქართველოს სასულიერო დანიშნულების სხვა შენობებზეც (ტიმოთესუბნის, კაბენის წმინდა გიორგის, ძველი ბოგვის ეკლესიები)[388].

საქართველოში „ნაგებობათა შორენკეცებით შემკობა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან არის შემოსული"[389].

ცნობილია აგრეთვე მოპირკეთების მასალად მოზაიკური ქვის გამოყენების შემთხვევებიც. მოციქულთა ტაძრის სომხურ-სპარსული სტილის ნართექსი, ანისის ერთ-ერთი ულამაზესი შენობა, შესანიშნავია აგრეთვე თავისი მრავალფერადი კენჭებით გამოყვანილი სხვადასხვა გამოსახულებებიანი მოზაიკური ჭერით. ამ თვალსაზრისით, ნართექსი მეტოქეობას უწევს ანისის მეჩეთს[390].

სამშენებლო კერამიკის ერთ-ერთ დარგს კრამიტის წარმოება შეადგენდა. ამიერკავკასიაში მას, მართლაც რომ, ძირძველი, ძლიერი და მდიდარი ტრადიციები გააჩნდა[391]. ძველი ალბანეთის მკვლევარნი აქ არა მარტო კრამიტის განვითარებულ წარმოებას, არამედ ხელოსანთა სპეციალიზაციას და შრომის ორგანიზაციის საკმაოდ მაღალ ფორმებსაც აღნიშნავენ. აღნიშნულია ისიც, რომ ადრეფეოდალური ხანის ალბანეთშიც საკმაოდ ფართოდ იყენებდნენ კრამიტს მშენებლობაში და რომ ფორმის მიხედვით ის გარკვეულ მსგავსებას ავლენს წინა ეპოქასთან, ხშირად კრამიტის ზედაპირს წითლად ღებავდნენ[392]. ასევე, მუქი-მოწითალო ფერის საღებავით არის ხოლმე შეღებილი მცხეთური კრამიტი[393].

ფართოდ იყო გამოყენებული სახურავის მასალად კრამიტი სომხეთშიც. როგორც ნ. მარი აღნიშნავს, „კრამიტით გადახურვა ქრისტიანული სომხეთის უძველეს ნაგებობათა დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ეს არქაული ნიშანი დიდი ხნის განმავლო-

---

387 გ. ჯღამაია, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

388 იქვე.

389 იქვე.

390 Н. Марр, Ани, с. 73—74.

391 იხ. ა. აფაქიძე, ქალაქები, გვ. 44—77.

392 И. А. Бабаев, Античная черепица Кавказской Албании, СА, 1973, № 1, იხ. აგრეთვე ჯ. ხალილოვის და ი. ბაბაევის, ი. ა. ალიევის, ი. ალიევის და ფ. ოსმანოვის სტატიები — СА, 1974, № 4; ВДИ, 1975, № 3 1975, № 1.

393 ა. აფაქიძე, ქალაქები, გვ. 69.

ბაში იყო შენარჩუნებული"[394]. მომდევნო ხანაში, კერძოდ VII საუკუნიდან, იწყება კრამიტის შეცვლა ქვით, „მაგრამ ქვის სრული და განუყოფელი ბატონობა იწყება მოგვიანებით. თუმცა, კრამიტით იყო დახურული X საუკუნის შირაკავანის ტაძარი და მისი ტყუპისცალი ეკლესია სოფელ ოღუზლუში"[395].

ანისის სასახლის ეკლესიის სახურავის შემორჩენილი კრამიტის ნატეხების აღწერილობიდან და მარის ნაშრომში გამოქვეყნებული სურათებიდან აშკარად ჩანს მსგავსება მცხეთურ კრამიტთან. ანისურ კრამიტსაც შერჩენოდა წითლად შეღებვის კვალი[396]. ადრეულ ფორმას კრამიტი ინარჩუნებს საქართველოშიც (იხ. ქვემოთ).

მაგრამ 1953—1955 წწ. ბაილაყანში ჩატარებული გათხრებით მოპოვებული მასალა ამ ქალაქში სახურავად კრამიტის გამოყენების იშვიათობაზე მიუთითებს.

როგორც ჩანს, ეს არ არის შემთხვევითი გარემოება. „შუაფეოდალური ხანის ნაქალაქართა თხრა (დმანისი, რუსთავი) გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების სახლები ძირითადად ბანიანი ყოფილა, კრამიტით დახურული კი იშვიათია და ჩანს, შეძლებულ პირებს ეკუთვნოდათ. ეს სამშენებლო მასალა (ბრტყელი და ღარისებრი კრამიტი) უმთავრესად განსაკუთრებული დანიშნულების ნაგებობათა (საყდრები, სასახლეები) მშენებლობაშია გამოყენებული"[397].

ბაილაყანში აღმოჩენილი კრამიტის რამდენიმე ნატეხის კეცი ფორებიანი, მუქი-წითელი ფერისაა, სწორი მაღალი გვერდით. აღსანიშნავია, რომ თავისი ფორმით ისინი ძლიერ ჰგვანან ზვარტნოცისა და მრენის ადრეშუასაუკუნეების კრამიტს სომხეთიდან და ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის (ქერსონესი, ალუშტა) კრამიტს[398],

ცხადია, კრამიტით ბანიან სახლებს არ ხურავდნენ და მისი გამოყენების იშვიათობა თითქოს სახურავის აგებულებასაც გვიხსნის. თუ ახ. წ. დასაწყისის ალბანეთში კრამიტის გამოყენების სიხშირე (ყაბალაში, მაგალითად, რამდენიმე ათეული ათასი ნატეხი აღრიცხება)[399] მაღალსახურავიანი შენობების, — მათ შორის საერო დანიშნულების ნაგებობანიც უნდა ვიგულისხმოთ, — არსებობას მიგვანიშნებს, შუა-

---

[394] Н. Марр, Описание дворцовой церкви в Ани, Петроград, 1916, с. 20—21.

[395] იქვე.

[396] იქვე.

[397] ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

[398] А. Л. Якобсон, Раскопки, с. 60.

[399] И. А. Бабаев, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

ფეოდალური ხანის დასაწყისის ბაილაყანში კრამიტის იშვიათობა ბანიანი სახლების სიმრავლეზე მიგვითითებს.

საქართველოში კრამიტის წარმოების ისტორიიდან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ჩვენში ანტიკურ ხანაში შემუშავებული მოყვანილობა კრამიტისა შუაფეოდალურ ხანაშიც არ შეცვლილა, ოღონდ ზომა შემცირდა ერთიორად და, გარდა ამისა, ვიწრო აკეცილი გვერდებიც შესაბამისად უფრო დადაბლდა, ხოლო ფართო ბოლოში გარდიგარდმო დაბალი ღობე გაჩნდა წვიმის წვეთების სახურავში გაჟონვის შესაფერხებლად“[400].

ყველაფერი ეს უწყვეტ ტრადიციებსა და წარმოებაში დანერგილ სიახლეებზე მეტყველებს.

სამშენებლო კერამიკის განვითარების დონის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ საქართველოში აღმოჩენილი სხვადასხვა ფერით მოჭიქული კრამიტის წარმოების საფუძველზე. გარდა ამისა, „ყურადღებას იქცევს ერთი წყება კრამიტი[401], რომელთაც ფართე ბოლოზე გამოწვამდე, ჩამოყალიბებისას ბარელიეფურად გამოყვანილი აქვთ სამყურა ყვავილი თუ ფოთოლი — ძლიერ სტილიზებული და, ჩვენი აზრით, ეგებ ჰერალდიკური ემბლემაც“[402]. მსგავსი ყვავილებით შემკული, მწვანედ მოჭიქული კრამიტი აღმოჩნდა თბილისშიც XIII საუკუნის სახელოსნოს გათხრის დროს. „მაშინვე იქნა გამოთქმული აზრი, რომ ამგვარი კრამიტი უნდა დაწყობილიყო სახურავის მხოლოდ განაპირა, ქვემოდან გამოსაჩენ ნაწილებზე, სადაც მათი დამწკრივება ლამაზსა და სიმეტრიულად გაბმულ ორნამენტს წარმოქმნიდა . . . ეს მოსაზრება განამტკიცა ნაღარბაზევის გათხრამ. როდესაც ყვავილიანი კრამიტი საკმაოდ მრავლად აღმოჩნდა და თან მით უფრო თვალსაჩინო შეიქნა, რომ იგი მხოლოდ გარკვეულ, უმცირეს ნაწილს შეადგენს საერთოდ კრამიტისა... ასეთი კრამიტი აღინიშნა რამდენსამე სხვა ძეგლებზედაც“[403]. ყველაფერი ეს ასეთ ნაგებობაში მცხოვრებთა გემოვნების, საყოფაცხოვრებო კულტურის დონის განმსაზღვრელია.

ცხადია, ამგვარი და მოჭიქული კრამიტის გამოყენება სამშენებლო საქმეში საზოგადოების ეკონომიკური დონის ამაღლება-განვითარებით უნდა ავხსნათ. კერძოდ, ესეც არის განვითარებული ფეოდალიზმის

---

[400] ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრ., გვ. 99; შდრ. ა. აფაქიძე, ქალაქები, გვ. 59: „მცხეთის ღირიანი კრამიტი კიდევ ერთი არსებითი ნაწილით განსხვავდება აქამდე ცნობილი ანტიკური და შუასაუკუნეების კალიპტერებისაგან. ეს განსხვავება, ისე ვთქვათ, კონსტრუქციული ხასიათისაა და მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა“.

[401] ქვემო ქართლში, ნადარბაზევის გათხრის დროს აღმოჩენილი.

[402] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

[403] იქვე.

ეპოქაში საწარმოო ძალების და ეკონომიკის დაწინაურების, განვითარების ახალ, შედარებით მაღალ საფეხურზე ასვლის ნიშნები.

განსაკუთრებით ფართოდ იყო გამოყენებული საქართველოში მოჭიქული კრამიტი ეკლესია-ტაძრების გადახურვაში. სახელდობრ, „ე. თაყაიშვილის ცნობით, იშხანის ტაძრის გუმბათი დაფარული ყოფილა ცისფრად და წითლად მოჭიქული კრამიტებით[404], ხოლო ოშკის გუმბათის კრამიტები წითლად და მწვანედ ყოფილა მოჭიქული. ამგვარივე მოჭიქული კრამიტები ხურებია ხახულის მთავარ გუმბათთავან ეკლესიასაც"[405]. აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ მკვლევრის თანახმად, „როგორც ირკვევა, ამ ეკლესიების სახურავის მხოლოდ ნაწილი ყოფილა მოჭიქული კრამიტით დაფარული, ხოლო იქ, სადაც გადახურვა ქვემოდან არ ჩანდა, მოუჭიქავი კრამიტი დაუწყვიათ. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოჭიქულ, და მაშასადამე, ბევრად უფრო ძვირ კრამიტს, უმთავრესად დეკორატიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ისე, რომ სადაც ის არ გამოჩნდებოდა, მომჭირნეობას არც თაკილობდნენ"[406].

თუ ეს მართლაც ასეა, და ჩვენს წინაპრებს მხოლოდ ქვემოდან გამოსაჩენი ადგილები დაუხურავთ მოჭიქული კრამიტით, ამაში „საიაკილო" არაფერია, პირიქით, ეს მათი პრაქტიციზმის ნიშნადაც შეიძლება ჩაითვალოს.

შემდეგ იგივე ავტორი წერს: „მოჭიქული კრამიტითვე ყოფილა დაბურული თბილისის ლურჯი მონასტერი, ტიმოთესუბანი, ყინცვისი, წულრუღაშენი, გუდარეხი, კვეტერის სასახლეცა და ეკლესიაც"[407].

მაგრამ აქედან ჩვენთვის გაურკვეველია, აღნიშნული ტაძრების და სასახლის სახურავების ასევე მხოლოდ ქვემოდან გამოსაჩენი ნაწილი იყო მოჭიქული კრამიტით გადახურული, თუ მთელი სახურავი? მით უმეტეს, რომ, როგორც გაირკვა, მოჭიქული კრამიტი შუაფეოდალური ხანის საერო ნაგებობათა გადასახურავად გამოუყენებიათ დასავლეთ საქართველოშიც. კერძოდ, წალენჯიხის რაიონში სოფელ ფახულანთან ნაციხარის ტერიტორიაზე მდებარე კომპლექსის (გალავნით შემოზღუდული ეკლესია, ორი სწორკუთხა შენობა და გალავნის აღმოსავლეთით მდებარე სწორკუთხა კოშკი) არქეოლოგიური შესწავლით „ნათელი გახდა, რომ ეკლესია და ეს ორი ნაგებობა აგებულნი არიან შუაფეოდალურ ხანაში (XI—XIII სს.) და ისინი თავის დროზე ერთ მთლიან კომ-

---

[404] ავტორი შენიშნავს „ეტყობა აქ ე. თაყაიშვილი „წითლად მოჭიქულს" ეწოდებს სოსანი, ბადრიჯნისფერი ანუ ღვიძლისფერი ჭიქურით დაფარულ კრამიტს, თორემ ნამდვილად წითელი ჭიქური ძალიან ძნელი წარმოსადგენია".

[405] ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

[406] იქვე.

[407] იქვე.

პლექსს შეადგენდნენ. ნაგებობის კედლები შელესილი და წითელი და ყავისფერი საღებავით მოხატული ყოფილა, ზუსტად ისევე როგორც ეკლესია, რაც მათ ურთიერთკავშირზე და თანადროულობაზე მიუთითებს"[408]. კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ ეკლესია დახურული ყოფილა ფირუზისფრად მოჭიქული, ბრტყელი, გვერდებაკეცილი, ფართო ბოლოში გარდიგარდმო წვიმის წყეთების შემკავებელი დაბალღობიანი კრამიტით, „რომელსაც ყალიბშივე გამოყვანილი სტილიზებული ყვავილის რელიეფური გამოსახულება ამშვენებს. ჭიქური თეთრ ანგობზეა გადასხმული. ამ ხანის მოჭიქული კრამიტის აღმოჩენა კი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგანაც მისი არსებობა დასავლეთ საქართველოში აქამდე დადასტურებული იყო მხოლოდ გეგუთში, გიორგი III-ის მიერ ნაგებ სასახლეში"[409].

თუმცა მეთუნეობის ნაწარმს არ წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ხელოსნურ ნაწარმს, და ამასთანავე, რამდენადაც სახურავის მასალას ვიხილავთ, აქვე შევეხებით ანისის სინამდვილეში დადასტურებულ სახურავის მასალად ქვის ფილების გამოყენების ფაქტს. საყურადღებო ამ შემთხვევაში ის არის, რომ X საუკუნეში აგებული მოციქულთა ტაძრის კონუსური გუმბათი გადახურული იყო ბროწეულებისა და ყურძნის მტევნების გამოსახულებით მოჩუქურთმებული ქვის ფილებით. ხოლო მეორე ეკლესიის სახურავის ფილები შემკული იყო ყოველ ფილაზე თითო „შროშანის" გამოსახულებით[410].

ეკლესიის — პოლიტიკური ხელისუფლების იდეოლოგიური დასაყრდენის — სახურავის ამგვარად მოჩუქურთმება არ არის მოულოდნელი, პირიქით, მას თავისი აგებულებითაც უნდა მიეზიდა და მოენუსხა მნახველი.

ცხადია, მოვლენათა ასეთ რიგს არ განეკუთვნება ქართულ სინამდვილეში დადასტურებული ზემოხსენებული საერო არქიტექტურის ნაგებობათა სახურავის მხატვრულად დამუშავებული კრამიტით გადახურვის შემთხვევები.

ნაწარმის მხატვრული გაფორმების შესწავლაც საყურადღებო დასკვნებს იძლევა წარმოების განვითარების, მასში მომხდარი დადებითი ცვლილებების შესახებ. როდესაც ასეთი ცვლილებები საყოველთაოდ გავრცელებულ და მოსახმარ უბრალო თიხის ჭურჭლის წარმოებაში აღინიშნება, ეს უკვე არა მარტო მეთუნეობის, არამედ საერთოდ საზოგადოების კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ნიშნად უნდა მი-

---

[408] ჯ. ჯღამაია, შუასაუკუნეთა ნაციხვარი „ნოჯიხუ" სოფ. ფახულანთან, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978, გვ. 105—111.

[409] იქვე, გვ. 107.

[410] Н. Марр, Ани, с. 73, 100—101.

ვიღოთ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა რუსთავული დერგების შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნები.

ამ ჭურჭელზე, რომლის წარმოებაში გამოყენებულია 17-ნაირი ცილინდრული საბეჭდავი, მხატვრული დამუშავების „ხერხის ზ ო გ ა დ ი ე რ თ გ ვ ა რ ო ბ ი ს მიუხედავად, სამკაულის გამოყენების მანერა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი ა“[411] (ხაზი ჩვენია — პ. თ.). უკვე ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ სახელოსნოში რამდენიმე ხელოსნის მუშაობის ფაქტი. აქედან კი თავისთავად წამოიჭრება კითხვა ამ ხელოსანთა შორის იერარქიულ-ეკონომიკური დამოკიდებულების შესახებ.

სწორედ „ამოტვიფრული სარტყლების შესაბამისად“ მკვლევარი რუსთავში გაკეთებული დერგების I ტიპში გამოყოფს ხუთ ქვეჯგუფს. მათი ძირითადი მახასიათებლების ერთმანეთთან შედარებით ნათლად ირკვევა დერგების მხატვრულ დამუშავებაში მომხდარი ცვლილებები, წარმოების განვითარება. „პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია ძლიერი სტილიზაცია და პირობითობა, თან მარტივი კომპოზიცია და პერსპექტივის სრული უქონლობა. სარტყელზე გამოსახულ ფრინველებსა და ცხოველებს ტანი ერთნაირად აქვთ დამუშავებული: მხოლოდ კონტურია მოხაზული... მეორე ჯგუფის გამოსახულებანი პირველთან შედარებით ნაკლებ სქემატური და სტილიზებული არიან, ისე რომ აქ შესაძლებელი ხდება გამოცნობა, თუ რა არის დახატული, იგრძნობა პერსპექტივაც და დინამიურობაც“. სხვა გამოსახულებათა შორის სარტყელზე არის თევზიც, რომლის შესახებ ავტორი შენიშნავს: „რუსთავის გარდა, ამოტვიფრული თევზის გამოსახულება დერგებზე გვხვდება მხოლოდ აზერბაიჯანში (ორენ-ყალა, ძველი განჯა [და მინგეჩაურის შუა საუკუნეების დასახლებები — პ. თ.]), რასაც გ. ახმედოვი იქაური, ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციას უკავშირებს. ჩვენი მასალის შესწავლის შემდეგ, ეს მოსაზრება აღარ ჩანს საფუძვლიანი“[412]. დავუმატებთ: თუ შუა საუკუნეებში ჭურჭელზე თევზის გამოსახულება უძველეს დროიდან ამიერკავკასიაში ცნობილ თევზის გამოსახულებას უკავშირდება, ამ შემთხვევაში ტრადიცია ღრმად იდგამს ფესვებს.

„მესამე ჯგუფში ყველაზე მეტად იგრძნობა რეალობისადმი სწრაფვა ... მეტი ყურადღება ექცევა ცალკეული დეტალების დამუშავებას. ჩნდება ახალი ელემენტები — მაგ., თვალი ... ფიგურები მოძრავი არიან... მეოთხე ჯგუფის დეკორატიულ სარტყელთა გამოსახულებისათვის დამახასიათებელია თითოეულის საკუთარ ჩარჩოში მოთავსება ... რუსთავში გამოყენებული ჩანს ამ სტილის სამი, სხვადასხვა ზომის საბეჭდავი. სამივე სარტყლის გამოსახულებას რამდენიმე ნიშანი და

---

[411] თ. ა რ ჩ ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

[412] იქვე, შ. 26.

დეტალი ერთნაირი აქვს... ისინი ერთი ხელოსნის მიერ დამზადებული საბეჭდავით არიან ნატეფერი[413]. ეს გამოსახულება ზედმიწევნით ჰგავს თბილისში აღმოჩენილ დერგზე არსებულს. ეს შემჩნეული აქვს ლ. ბილაშვილსაც, რომელიც გამოთქვამს ვარაუდს მათი ერთი სახელოსნოდან მომდინარეობის შესახებ და ასეთი საბელოსნო მას უფრო რუსთავში ეგულება. ნაციხარზე მოპოვებული ნატეხები რამდენადმე განამტკიცებენ ამ ვარაუდს"[411].

მაშასადამე, მეზობელ ქალაქებს შორის, ორიეეს რომ საკუთარი კერამიკული წარმოება გააჩნია, ნივთიერად დასტურდება საეაკრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა. ისიც საყურადღებოა, რომ თბილისის (ან რუსთავის, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქეს) მცხოვრები რაღაც ნიშნის გამო მეზობელი ქალაქის ნაწარმს ამჯობინებს. ასეთ, — ამიერკავკასიის ქალაქებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის ამსახველ, — ფაქტებს არა ერთს და ორს გვაწვდის არქეოლოგიური მასალა. ასე, XII—XIII საუკუნის დასაწყისის ბაილაყანის თიხის ქვაბები ძლიერ, დეტალებშიც კი, ჰგვანან განძაში აღმოჩენილ ქვაბებს[415]. ეს კი საშინაო ბაზრის არსებობის მაჩვენებელია[416].

ასევე, „ჩარჩოში ჩასმული ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულება საქართველოში ასეთი კერამიკის გარდა არქიტექტურული ძეგლების ჩუქურთმაშიც გვხვდება (ნიკორწმინდა, ღმანისი)"[417]. ესეც ამიერკავკასიის (და მის გარეთაც) სხვადასხვა ქალაქში დამზადებული კერამიკული ნაწარმის დამახასიათებელი ნიშანია. ასევე ხდება ჩუქურთმის თუ მხატვრული დამუშავების ზოგიერთი ხერხის გადასვლა ხელოსნობის ერთი დარგიდან მეორეში[418].

---

[413] იქვე, გვ. 130.

[414] იქვე.

[415] Г. М. Ахмедов, Неполивная керамика, с. 192.

[416] აქვე შეეწინშნაეთ, რომ თიხის ნაწარმის საქმ-ს�dlsmით შესწავლა სანდო ცნობებს გვაწვდის ქალაქებსა და ქვეყნებს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობების დასადგენად. ასე მაგალითად, ბაილაყანის კერამიკული ნაწარმს ზოგიერთი ნიმეში ან ჯგუფი მოყვანილობით, წარმოების ტექნოლოგიით, მხატვრული დამუშავების ხერხებით ამა თუ იმ ხარისხის მსგავსებას ამჟღავნებს ანბერდში, ანისში, ბაქოში, განძაში, გარნისში, დვინში, დმანისში, ზარიჰგერანში (უუბარი), თბილისში, მინგეჩაურში, ამიერკავკასიის გარეთ — ირანის, მესოპოტამიის, სირიის, პალესტინის, ყირიმის, ვოლგისპირეთის, შუა აზიის ქალაქებში დამზადებულ თუ მოსეკერილ მრავალგვარ ნაწარმთან. იხ. Г. М. Ахмедов, დასახ. ნაშრ., გვ. 190, 192, 194, 197, 198, 203, 205, 208, 210, 212, 214. 216, 218, 220, 222. А. Л. Якобсон, Художественная, გვ. 231. 232, 236, 237—239, 244, 245, 246, 248. 250, 252, 256. 260, 262, 264, 266, 270, 272, 273, 285.

[417] თ. არჩვაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 130.

[418] Г. М. Ахмедов, დასახ. ნაშრ., გვ. 192—194.

„მეხუთე ჯგუფში გამოსახულება ძალზე რეალისტური და დინამიკურია, რაც მას საესებით განასხვავებს ზემოთ აღწერილი ოთხივე ჯგუფისაგან. აქ ხელოსანი ძალზე დახვეწილად, ფაქიზი გემოვნებით გადმოგვცემს თითოეულ დეტალს... ამრიგად გამოყვანილი მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი სარტყელი გვაქვს"[419] (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

ჩვიდმეტიდან მხოლოდ ერთი ასეთი სარტყლის არსებობა ნათლად ადასტურებს რუსთავში კერამიკული წარმოების არათანაბარ განვითარებას. ასეთი სარტყლებით, — უნდა ვივარაუდოთ. რომ სინამდვილეში ის ერთზე მეტი იქნებოდა, — მომუშავე ხელოსანი თუ სახელოსნო სხვასთან შედარებით, ცხადია, ეკონომიკურად წელმაგარი, დაწინაურებული იქნებოდა. ეს კი ამ სახელოსნოს პატრონის თუ მასში მომუშავე ხელოსნების სოციალურ სახესაც განსაზღვრავდა და მათ მნიშვნელობა-გავლენასაც საქალაქო ცხოვრების ყოველდღიურობაში.

რაც შეეხება რუსთავული დერგების პირველი ტიპის დათარიღებას, ასეთი ვითარება აღინიშნება: „...შესაძლებელი შეიქნა უფრო ზუსტი თარიღების დადგენა: ცალკე გამოიყო, ერთი მხრივ, შედარებით საღა, უწერნაქო, ხოლო მეორე მხრივ, მდიდრულ-ორნამენტიანი (წერნაქით შეღებილი და მოხატული, ამოტვიფრული სარტყლებით, რელიეფური წიბოებით, რკალებითა დ 'ღილაკებით' შემკული) დერგები. პირველი მათგანი XI ს., ხოლო მეორე XII—XIII სს. ღათარიღდა"[420].

ასევე, არანაკლებ საყურადღებოა ჩვენთვის ის, რომ „ზოგადად დაახლოებით ასევე თარიღდება ისინი ლმანისში. თბილისში (XI—XIII სს.), ანისში, დვინში (XI—XIII სს.), ანბერდში. ძველ განჯასა და ორენ-ყალაში (XII—XIII სს.)"[421].

რუსთაველის დერგების ერთი ჯგუფი აღლენს ისეთ ნიშნებს, რომლებიც „არ გვხვდება საქართველოს იმავდროულ სხვა ნაქალაქარებში განათხარ დერგებზე"[422]. ერთმანეთთან როგორც მსგავს, ასევე განსხვავებულ ნიშნებს ატარებს რუსთავის დერგები აზერბაიჯანისა და სომხეთის მსგავს ნაწარმთან შედარებით[423].

ესეც ფეოდალური წარმოებისთვის დამახასიათებელი ნიშნებია. მისთვის ხომ მეტ-ნაკლებად უცხოა წარმოების სტანდარტიზაცია.

მაგრამ ამ მიმართებითაც აღინიშნება გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, „XII—XIII საუკუნის დასაწყისში ბაილაყანის კერამიკული წარმოების დიდი აღმაღლობა და გაცხოველება აისახა არა მარტო წარმოების სიდიდეში, არამედ ჭურჭლის დამზადების და მხატვრული და-

---

[419] თ. ა რ ჩ ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 130.
[420] იქვე, გვ. 132.
[421] იქვე, სათანადო ლიტერატურის დამოწმებით.
[422] იქვე, გვ. 127.
[423] იქვე, გვ. 132—133.

მუშავების ტექნიკის გაუმჯობესებაში. წარმოების ზრდამ გამოიწვია ნაწარმის გარკვეული სტანდარტიზაცია, რაც დამახასიათებელია კერამიკული წარმოების მსხვილი ცენტრებისათვის. სულ უფრო ფართოვდება მხატვრული დამუშავების დროს საბეჭდავების გამოყენება — ეს ზოგავდა მეთუნის მიერ წარმოებაში დახარჯულ დროს და ზრდიდა მისი შრომის ნაყოფიერებას. ნაწარმის გაზრდილი რაოდენობა აკმაყოფილებდა არა მარტო ადგილობრივ მოთხოვნილებას, არამედ სავაჭროდაც გაჰქონდათ.

ქვეყნის ისტორიაში დროის აღნიშნული მონაკვეთი აღინიშნება საწარმოო ძალების ზრდით, ხელოსნობის შემდგომი განვითარებით. ფართოვდება და ღრმავდება ხელოსნობის სოფლის მეურნეობიდან გამოყოფის პროცესი. ხელოსნურმა წარმოებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა აზერბაიჯანის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ბაილაყანის მოუჭიქავი კერამიკის სრულყოფილება, მისი ტექნიკური და მხატვრული თვისებები, ხელოსანთა წარწერები და კერამიკული ნაწარმის სხვადასხვა სახეობათა სტანდარტიზაცია, განსაკუთრებით XII—XIII საუკუნეებში, ასახავენ კერამიკული წარმოების შიგნით შრომის დანაწილების მიმდინარეობას, რაც თავის მხრივ გამოიხატებოდა მეთუნეობის ცალკეული დარგების გამოცალკევებით და ხელოსანთა შემდგომი დახელოვნებით. ასე, მაგალითად, გამოირჩეოდნენ თუ არა მთელი სახელოსნოები, ყოველ შემთხვევაში, ცალკეული ოსტატები მაინც, რომლებიც დახელოვნებული იყვნენ სხვადასხვა ნაწარმის კეთებაში"[424]. ყველაფერი ეს კიდევ უფრო თვალსაჩინოდ დასტურდება მოჭიქული კერამიკის წარმოებაში.

სრული საფუძველი გვაქვს აღვნიშნოთ, რომ ყველაფერი ის ძირითადი, რაც ბაილაყანის კერამიკული წარმოების შინაარსს ახასიათებს, დამახასიათებელია აგრეთვე ამიერკავკასის ხელოსნური წარმოების ყველა დანარჩენი ცენტრისათვის.

აი, რას წერს მკვლევარი დვინის „მსხვილი კერამიკული საწარმოო კომპლექსის" არქეოლოგიური შესწავლის საფუძველზე: „კერამიკული წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სირთულის და მრავალსახეობის დამადასტურებელი მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ შრომის დანაწილების და სხვადასხვა სპეციალიზაციის ოსტატების არსებობა. ასეთი ვითარება არ იყო შემთხვევითი ისეთი მსხვილი საწარმოო ცენტრისათვის როგორიც იყო დვინი[425]. კერამიკული წარ-

---

[424] Г. М. Ахмедов, დასახ. ნაშრ., გვ. 226.

[425] იხ. აგრეთვე А. Калантарян, Раскопки центрального квартала г. Двина (1964—1965) ИФЖ, 1967, № 1, с. 215. ავტორის განცხადებით, ხელოსნური წარმოების ნივთების, განსაკუთრებით კერამიკული, მინის და ლითონის ნაკეთობათა სიმდიდრე დვინს ახლო და შუა აღმოსავლეთის უმსხვილესი ეკონომიკური ცენტრების რიგში აყენებს.

მოების ასეთი სპეციალიზაციის დროს მეთუნე-ხელოსნებს ნამდვილად ჰქონდათ თავიანთი საგანგებო ღუმელები, რასაც ადასტურებს (გათხრების) სხვადასხვა კვადრატებში მოპოვებული მასალა. ხელოსნების ესა თუ ის ჯგუფი ან ცალკეული სახელოსნოები უშვებდნენ მხოლოდ გარკვეული სახის ნაწარმს. ამასთან, გათვალისწინებული იყო ჭურჭლის მოყვანილობა და, განსაკუთრებით, მათი ორნამენტაცია, რაც, ჩვენი მასალებით თუ ვიმსჯელებთ, მთლიანად ერთტიპიური იყო. დვინის აღნიშნულ სახელოსნოში მზადდებოდა ძირითადად ოთხი სახის ნაწარმი — მოჭიქული ფიალები და ჯამები, უბრალო დოქები, ჭრაქები, სამარილეები; ყოველ მათგანს გააჩნია საკუთარი ვარიანტები. ყველაზე დიდ ჯგუფს ქმნიან ფიალები და ჯამები... თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავსი ჭურჭლის უდიდესი რაოდენობა დვინის ციტადელში იყო ნაპოვნი, წარმოების სტანდარტიზაციის შესახებ გარკვეული დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ. სახელოსნოს წარმოებაში აღნიშნული ვიწრო სპეციალიზაცია აგრეთვე იმაშიც გამოიხატება, რომ ყველა ფიალა და ჯამი მხოლოდ მოჭიქულია და შესრულებულია მწვანე და ყვითელ ელფერში. ჯამების არა მარტო მოყვანილობა და ჭიქურის დატანის ჩვევა ადასტურებს მათ სტანდარტიზაციას, არამედ თვით ორნამენტალური მოტივების დატანის ხასიათშიც იგრძნობა ერთტიპიურობა". და შემდეგ დასკვნა — „....დვინის განხილულ სახელოსნოში უდიდესი რაოდენობის წუნდებული ნაწარმის აღმოჩენა და შესწავლა გვიჩვენებს, რომ ხელოსნური წარმოება XII—XIII სს. სომხეთის ქალაქებში სპეციალიზირებული იყო. ყოველი სახელოსნო შინაგანი ბაზრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აწარმოებდა გარკვეულ მკაცრად განსაზღვრულ ნაწარმს. წარმოების ასეთი ფორმა ძალზე საინტერესოა შუასაუკუნეების სომხეთის ხელოსნური წარმოების მასობრივი ხასიათის შესწავლისათვის. 3. მასალის შესწავლა ავლენს სხვადასხვა სახის ხელოსნური ნაწარმის მკაცრ სტანდარტიზაციას"[426] (ხაზი ჩვენია — პ. თ.).

ფეოდალურ ხელოსნურ წარმოებაში შრომის სპეციალიზაციის დონის შესწავლა-განსაზღვრის დროს გარკვეული უნდა იყოს მისი შინაარსი, როგორია ის — დარგობრივი თუ შიგადარგობრივი.

პირველი, როგორც ცნობილია, ფეოდალურ წარმოებას ახასიათებს, ხოლო მეორე, რომელიც ერთი საწარმოო პროცესის მრავალ, ერთმა-

---

[426] А. А. Калантарян, К вопросу, с. 288—289. შდრ.: XII საუკუნეში «...в тот век усиливающегося технического разделения труда один и тот же мастер не смог бы и чеканить с таким искусством и гравировать с такой уверенностью в руке и наносить последнюю отделку позолотой и чернью». И. Орбели, Киликийская серебряная чаша конца XII века, Избр. тр. Ереван, 1963, с. 324.

ნეთზე დამოკიდებულ წარმოების უჯრედებად დაშლას გულისხმობს, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობებისთვის არის დამახასიათებელი. სპეციალიზაცია, ძირითადად, სახელოსნო წარმოების მრავალ, განსხვავებულ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ხელოსნური დარგების გაჩენით ხასიათდება. უშუალოდ სახელოსნოს შიგნით წარმოების ერთი, გარკვეული პროცესის დანაწილება თუკი არსებობს, იგი მარტივია, ჩანასახოვან შინაარსს ატარებს, დაწინაურებულ სახელოსნო წარმოების ცენტრებისათვის არის დამახასიათებელი და არა ფართოდ გავრცელებული.

ამიერკავკასიის ხელოსნური წარმოების დიდი, განვითარებული ცენტრების ნაწარმის შესწავლამ გამოავლინა სახელოსნოს შიგნით შრომის დანაწილების გარკვეული ნიშნები.

ცხადია, მნიშვნელობას იძენს ცნობები, რომლებიც უშუალოდ ეხებიან და აშუქებენ საკითხს. საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ჰერათში 1182 წ. გაკეთებული ბრინჯაოს სურაზე არსებული წარწერა. იგი გადმოგვცემს, რომ „ინკრუსტაციის სამუშაო შეასრულა მაჰმუდმა ძემ მუჰამედისამ“[427]. კიდევ უფრო საგულისხმოა იმავე ჰერათში 1163 წ. დამზადებული ბრინჯაოს ქვაბის წარწერა, რომელშიც ცალ-ცალკეა დასახელებული ნაკეთობის შემკვეთის, ჰედურობის შემსრულებლის და თვით ქვაბის გამკეთებელი ხელოსნის სახელები[428].

რ. კესატი წერს: „ქვაბზე მომუშავე ყოველი მონაწილის ხელობის ხაზგასმით აღნიშვნის სურვილი საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ ქალაქებში ოსტატ-ხელოსნებს შორის შრომის ტექნიკური დანაწილება უკვე ჩვეულებრივი რამ იყო, თუკი ამის შესახებ თვით ოსტატები წერდნენ მათი ხელიდან გამოსულ ნივთებზე“[429].

შუა საუკუნეების ამიერკავკასია არ იყო გამოთიშული მეზობელ საზოგადოებათა კულტურულ-ეკონომიკური განვითარებისაგან. ამის გამო, აღნიშნულ ცნობების შუქზე კიდევ უფრო საგულისხმო ხდება ის ცნობები, რომლებიც ამიერკავკასიის ქალაქებში ხელოსნური წარმოების შინაარსს ასახავენ.

თუ რამდენად იყო საქართველოში ზოგიერთი დარგის ხელოსნური წარმოება დანაწევრებული, ეს კარგად ჩანს ერთი ცნობიდან. 1365 წ. ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „წყალობითა ღვთისათა მომცა, თჳნიერ მოძღურისა ჴელოვნება ესე ვითარი: პირველად ჴელი სწავაჲ ჴუცობისაჲ; ჴელი მეორე მწიგნობრობისაჲ; [ჴელი მესამე] წერაჲ ჴუცურისაჲ; [ჴელი მეოთხე] შექმნაჲ ეტრატისაჲ; [ჴელი მეხუთე] შეკერ-

---

[427] Л. Гюзальян, Бронзовый кушин 1182 г., ПЭР, с. 231.

[428] Р. Кесати, Гератский бронзовый котелок 1163 г., იქვე, გვ. 239.

[429] იქვე. გვ. 240.

ვაჲ წიგნისაჲ; [ჴელი მეექვსე] მხატვრობისაჲ; [ჴელი მეშვიდე] მკერვალობისაჲ: [ჴელი მერვე] ტყავის კერვისაჲ; [ჴელი მეცხრე] ხუროვნობისაჲ; [ჴელი მეათე] ყოველისა მსოფლიო მუშაკობისაჲ"[430].

მაშასადამე, გარდა იმისა, რომ ეს პიროვნება მოძღვარი იყო, მას ჰქონდა ცოდნა ხუცესობის სასწავლებლად, ფლობდა მწიგნობრობის ხელს და ამ დარგთან დაკავშირებულ ოთხ მომიჯნავე ხელობას (ხუცურის წერა, ეტრატის შექმნა, წიგნის შეკერვა ანუ აკინძვა და წიგნის მხატვრობა); გარდა ამისა, მან იცოდა „მკერვალობა", „ტყავის კერვა", „ხუროვნობა" და, ყოველივე ამასთან ერთად, — მას შეეძლო „ყოველი მსოფლიო მუშაკობა", ანუ სოფლის მეურნეობის დარგებში მუშაობა.

საყურადღებოა, რომ კაცი, რომელიც ამდენ „ჴელს" ფლობს, საჭიროდ რაცხს „ყოველი მსოფლიო მუშაკობის" ცოდნაც მოიხსენიოს. ეს იმდენად ხელოსნობის სოფლის მეურნეობიდან გამოყოფის სისუსტის მაჩვენებლად არ უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც საკუთრივ ფეოდალური წარმოების ხასიათის, შინაარსის დამახასიათებლად: ასეთი განათლებული და მრავალი ხელობის მცოდნე პიროვნება სოფლის მეურნეობასთან კავშირს, როგორც ჩანს, არ წყვეტს[431].

საგულისხმოა წიგნის საწარმოო პროცესის დანაწევრება. ამ შემთხვევაში ბანდაიძეს (მინაწერის ავტორს), რასაკვირველია, ერთს შეეძლო წიგნის შექმნა, რადგანაც მან ამ საქმის (დარგის) ყველა ხელობა იცოდა. მაგრამ საყურადღებო გარემოება სწორედ ის არის, რომ მის დროს უკვე წარმოება ცალკეულ, შემადგენელ ნაწილებად არის დანაწევრებული და, მაშასადამე, თითოეულ ამ ნაწილს ცალკე ხელოსანი ასრულებდა. ეს კი ხელოსნური წარმოების თუმცა განსაკუთრებული, — შეიძლება ითქვას, არა ნიშანდობლივი, — მაგრამ მაინც მისი ერთ-ერთი დარგის შიგადარგობრივი დანაწევრებაა. გავიხსენოთ ზემოაღნიშნული: „ყდის მასალა თბილისიდანაც გაჰქონდათ, ხოლო ხელნაწერის სხვა დასაკაზმი მასალა... რგოლი და ღილი ანისიდან" (იხ. ზევით, გვ. 104).

ხელოსნური წარმოების ცალკეულ დარგებად დანაწევრება და ცალკეულ დარგებს შიგნით ხელობათა გამოყოფა, და არა შიგადარგობრივი დანაწევრება, დაწვრილებით არის შესწავლილი შ. მესხიას აღნიშნულ ნაშრომში.

სომხეთის სინამდვილეში კი მკვლევარი აღნიშნავს არა მარტო ხე-

---

430 იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა, გვ. 25. ჩვენი თემისთვის ცნობა გვიანდელია. მაგრამ ცხადია, რომ აქ ჩამოთვლილი ხელოსნობის დარგები XIII—XIV საუკუნეებში არც შექმნილა და არც მათი დანაწევრების პროცესი დაწყებულა აღნიშნულ საუკუნეებში.

431 ეს სწორედ ის ვითარებაა, ურომლისობას ასე მწვავედ განიცდის დღევანდელი, XX საუკუნის, ქალაქის მწარმოებელი.

ლოსნური დარგების რაოდენობრივ გამრავლებას, დარგობრივი სპეციალიზაციის გაფართოებას, არამედ შრომის დანაწილებას საკუთრივ სახელოსნოს შიგნითაც[432]; ასევე — აზერბაიჯანშიც[433].

ბუნებრივია, გაჩნდეს კითხვა: სად, როგორ ვითარებაში უნდა წარმართულიყო წიგნის შექმნის ესოდენ ვიწროდ სპეციალიზირებული წარმოება — ამის აღნიშვნის საფუძველს ბანდაიძის ცნობა გვაძლევს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთი წიგნის შესაქმნელად სხვადასხვა ადგილზე (თუნდაც შინ) წარმართულიყო (ხუცურად) წერა, ეტრატის შექმნა, შეკერვა, მოხატვა წიგნისა და სხვა სამუშაოები.

სწორედ ამიტომაც დაუკავშირდა, როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში ხელნაწერი წიგნების წარმოება ყველაზე მეტად ეკლესია-მონასტრებს, სადაც უკვე თავმოყრილი, შეკრებილი იყო მომავალ „მწიგნობართა კადრები“.

მაგრამ შუა საუკუნეების მთელი ხელოსნური წარმოება ხომ მხოლოდ ეკლესია-მონასტრებში არ მიმდინარეობდა? წარმოების სპეციალიზაციას კი, მეტ-ნაკლები სიდიდით, წარმოების ყველა დარგი განიცდიდა.

ხელოსნური დარგების და ცალკეულ ხელობათა რაოდენობის გარკვევა თავისთავად, ობიექტურად, გარკვეულ წარმოდგენას შექმნის ხელოსნური წარმოების დანაწევრების დონის, წარმოებითი პროცესების შესახებ.

თუ ჰომეროსის და ჰესიოდეს პოემებში მხოლოდ ათიოდე ხელობაა დასახელებული, ძვ. წ. V—IV სს. თხზულებებში მათი რიცხვი უკვე 50-ს აღწევს[434]. შედარებით მეტია (64; ბ. რიბაკოვის მონაცემებით) ძველი რუსეთის ქალაქებში. ხოლო XVIII ს. მეორე ნახევარში „საქართველოს ქალაქებში გავრცელებული ხელოსნობის სხვადასხვა დარგი 60-მდე დაითვლებოდა“[435], მაგრამ ზოგიერთი ამ დარგებიდან რამდენიმე ხელობას აერთიანებდა. XIX ს. ერევნის აღწერილობაში კი ჩამოთვლილია 46 ხელობა, რომელთაგან მხოლოდ სამია უცხო (ასოთამწყობ-

---

[432] Б. Аракелян, Развитие ремесел, с. 149—150.

[433] С. Ашурбейли, Ремесла и торговля, с. 158; Г. М. Ахмедов, Из истории, с. 124.

[434] Н. Н. Бондарь, О товарном производстве в условиях рабовладельческой формации, Киев, 1955, с. 24—25.

[435] საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 363, შდრ. სიბ, ტ. IV, გვ. 540, შდრ. ფ. გოგიჩაიშვილი, ხელოსნობა საქართველოში განსაკუთრებით წარმოების პრიმიტიული ფორმების გათვალისწინებით, თარგმ. გერმანულიდან ნ. გამრეკელისა, თბ., 1976, გვ. 124—127; სადაც XIX ს. დასასრულის მონაცემებით დაანგარიშებულია ხელოსნობის სახეობათა 11 ჯგუფში გაერთიანებულ ხელობათა რაოდენობა — ხულ—75.

ნი და ტიპოგრაფიის მუშები, მესაათე და ცხელი ჩაის გამყიდველი) X—XIII სს. ამიერკავკასიის ქალაქების ხელოსნური წარმოებისათვის[436]. ხოლო დანარჩენი ფეოდალური საქალაქო ცხოვრების ყოველდღიური და ჩვეულებრივი ყოფაცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

XIX ს. დასასრულს გერმანიაში ჩატარებულმა აღრიცხვამ გამოავლინა 10298 ხელობა. ამ სიაში შედის მთელი მოსახლეობის ყოველგვარი საქმიანობა. მაგრამ 1440 წ. ფრანკფურტში არსებობდა — საარქივო მასალების თანახმად — სულ მცირე 151 ხელობა. ეს რიცხვი შეიძლება 340-მდე გაიზარდოს[437].

ბაღდადში კი ასი ათასი ხელობა იცოდნენო, წერს ალ-იაკუბი[433]. თავრიზში კი — „არ არსებობს ხელობა აქ რომ არ მისდევდნენო". არ ჩამორჩება „სიზუსტეში" სპარსული წყარო[439]. არდებილში „მრავალი ხელოსანია (ხის ნაკეთობათა) შესაკეთებლად და დასამუშავებლად"[440]. ერთი და იგივე ხელოსანი ამზადებს და შეაკეთებს კიდეც ამ ნაკეთობებს, თუ შემკეთებელი ცალკე ხელოსანია?

ზევით ხმლების არასრული წარმოების შესახებ ღარნატის ცნობის განხილვის დროს კითხვას ვსვამდით, თუ რამდენად იყო ნიშანდობლივი წარმოების ასეთი ხასიათი ამიერკავკასიის ქალაქების სახელოსნო წარმოებისათვის.

ახლა, როდესაც ძირითად ხაზებში განვიხილეთ აღნიშნული წარმოების მთავარი დარგები[441] და როდესაც ამ დარგების დახასიათების დროს ყურადღებას ვამახვილებდით საკუთრივ წარმოების შინაარსის და ხასიათის ამსახველ ნიშნებზე — ასეთი ნიშნები კი არცთუ მცირე რაოდენობით გამოვლინდა, — ახლა, თუ ყველაფერს ამას გავითვალისწინებთ, შეიძლება აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის ქალაქების სახელოსნო წარმოების შინაარსი რთულ, განვითარებულ ხასიათს ატარებდა. ამ სირთულეს, პირველ რიგში, ქმნიდა ქალაქებში სახელოსნოთა სიმრავლე და ამ სახელოსნოებში მომუშავეთა რაოდენობა.

---

[436] С. П. Зелинский, Город Эриван, СМОМПК, т. I, 1881, гр. 37.

[437] К. Бюхер, Возникновение народного хозяйства, вып. 2, СПб., 1907, с. 155.

[438] см. Б. Я. Шидфар. Абу Нувас, М., 1978, с. 69.

[439] Якуб ал-Дунйа, гр. 204.

[440] Дакути, гр. 8.

[441] რასაკვირველია, შეიძლებოდა ცალკე დარგად გამოგვეყო მშენებელთა, ქვის დამუშავების, მოჩუქურთმების და ფეოდალური საქალაქო წარმოების სხვა დარგები. ხოლო აღნიშნული დარგები რომ დიდად იყო განვითარებული, ამას ნათლად მოწმობს საკვლევი ხანის ამიერკავკასიაში აგებული და ჩვენს დრომდე მოღწეული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები.

რა თქმა უნდა, ეს საკითხი უფრო ნათლად და ღრმად ქალაქის სოციალური აღნაგობის, საკუთრივ ქალაქის და ქალაქის მცხოვრებთა, პირველ რიგში ხელოსანთა, იურიდიული მდგომარეობის, სახელოსნოს ადმინისტრაციულ-უფლებრივი ვითარების, საქალაქო, საშინაო და საგარეო ვაჭრობის, ფეოდალური სასაქონლო წარმოების ხასიათის და სხვა საკითხების შესწავლის შედეგად გაშუქდება.

შემოკლებანი

ბეორგიკა — „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა.

თსუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაის — მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1972.

მაცნე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი.

მსკა — „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის".

სიამ — საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, თბილისი, 1976.

სის — საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი.

სსმმ — „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე".

ფსად — ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, I, 1969; II, 1974, თბილისი.

ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ქ. ცხ. — ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955; ტ. II, 1959, თბილისი.

ძქეიქ — ი. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, თბილისი, 1970.

АНКА — Армянские надписи в Карсе и Ани.

АН — Академия наук

АО — Археологические открытия, АН СССР, Институт археологии.

БСЭ — Большая советская энциклопедия.

ВВ — «Византийский временник», Л.—М.

ВДИ — «Вестник древней истории», М.

ДАН Аз. ССР — «Доклады Академии наук Азербайджанской ССР», Баку.

ЗВОРАО—«Записки Восточного Отделения Имп. Русского археологического общества», СПб.

ИАК—„Известия (Имп.) Археологической комиссии", СПб.

ИИАН — «Известия Императорской Академии наук», СПб.

ИАз. ФАН — «Известия Азербайджанского филиала Академии наук СССР»

ИФЖ — «Историко-филологический журнал», Ереван.

КСИА — Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института археологии АН СССР, М.

КСИИМК — Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института истории материальной культуры АН СССР. М.—Л., М.

МИА — Материалы и исследования по археологии СССР, № 67, Материалы Азербайджанской (Орен-Калинской) археологической экспедиции, т. I, 1953—1955 гг., М.—Л. 1953.

МИАз — Материалы из истории Азербайджана.
МКА — Материальная культура Азербайджана
ПС — «Палестинский сборник», М.—Л.
ПЭР — Памятники эпохи Руставели, Л., 1938.
СА — «Советская археология», М.
СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Тифлис.
ТР — Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии.
УЗИВАН — Ученые записки Института востоковедения АН СССР, М.—Л., 1954.
ЭВ — Эпиграфика Востока, М.—Л.
«Эйрене» — Проблемы античной истории и культуры (Доклады XIV международной конференции античников социалистических стран «Эйрене») I, II, Ереван, 1979.

BGA — Bibliotheca geographorum arabicorum. Edidit M. J. de Goeje, pars I — VIII, Lugduni Batavorum.
EI — The Encyclopaedia of Islam. New ed. Leiden — London, 1960—...
GMNS — „E. J. W. Gibb Memorial" Series. New Series

РЕЗЮМЕ

Книга разработана по данным разноязычных (арабских, армянских, грузинских, персидских) и разнохарактерных (исторических, географических, литературных, документальных) источников, в подавляющем большинстве принадлежавших указанному хронологическому периоду, и по материалам специальной литературы, созданной изучением археологического материала, добытого в результате раскопок городов и населенных пунктов Закавказья.

В первой главе — «Внешний вид (топография) городов Закавказья», — исходя из трехчастного деления города (цитадель, город, рабад), автор ставил целью рассмотреть и дать по возможности полную картину внешнего вида города. Основное внимание уделялось изучению процесса становления указанных частей города, их взаимоотношениям, определяемых общественным развитием. Результатом всего этого было формирование феодального города.

Одним из возможных путей возникновения города и в Закавказье было развитие — в силу создавшихся политических и социально-экономических условий — городской жизни около замка; этот путь хорошо прослеживается на примере градостроительства Ани, Атени, Мцхета и др. Есть примеры и единовременного строительства города, когда в феодальном владении осуществлением специальных работ (постройка крепости, крепостных стен) воздвигался город (Йазидийа, Марага, Михйарийа). В отношении последнего, например, источник сообщает: «Он построил стены вокруг поместья Михйарийа, которое он превратил в город с замком посередине».

Таким образом, если корни становления Ани и других городов уходят в раннефеодальную эпоху, то Йазидийа и другие превращаются в город в начале периода развитого феодализма в Закавказье.

Изучение цитадели городов Закавказья отчетливо выясняет ее социальную сущность; и в истории этих городов прослеживается выделение, отгораживание цитадели от остального города. В этом отношении особенно интересным представляется отъединение отдельной стеной от Байлакана укрепленного «Малого города». Примечательно, что исследователи, изучавшие городище, не называют, — по-видимому, из-за его территориальных размеров, — эту часть города цитаделью.

Не всегда удастся достоверно определить, все ли города (большие и малые) имели цитадель. Разумеется, разъяснение этого вопроса имеет важное значение для характеристики политического значения и социально-экономической сущности городов. Следует отметить, что некоторые ученые (В. В. Бартольд, К. В. Тревер) отрицали существование цитадели в Дербенте в X в. В работе разъяснена ошибочность такого утверждения; исходя из политического значения и социально-экономической структуры города, ее констатация имеет большое значение, ибо трудно представить Дербент без цитадели, который уже в X в. жил бурной городской жизнью, полной политическими переворотами, социальными, религиозными, экономическими, наконец, внутриклассовыми противоречиями.

Изучена топография самой цитадели. Выясняется, как и следовало ожидать, что в ней вместе с жилыми помещениями для высших слоев общества воздвигали и культовые здания. Вместе с тем засвидетельствованы факты выбора правителем места для своей резиденции вдали от города или же предпочтения постройки нового города.

Затронут вопрос о конкретном содержании терминов [кухендиз, кала', хисн, шахр, цихэ (крепость), цихэ-калаки (крепость-город), миджнаберд (вышгород)], употребляемых источниками в описании городов. Некоторые из средневековых авторов (например, Мукаддаси) будто бы различают по конкретному содержанию хисн и кала'. Но в большинстве случаев остается неясным, что именно подразумевают эти термины — башню или цитадель. Решение этого важного вопроса представляется возможным только комплексным — особенно археологическим — его изучением.

Автором книги высказано предположение, что корреляцию существующей между кухендизом и шахристаном (кала — мадиной) в грузинской исторической действительности выражали цихэ и цихэ-калаки.

Вкратце рассмотрены примеры строительства новых городов в Закавказье и их возникновения у цитадели. Значительные сведения для исследования целого ряда вопросов истории города представляют крепостные стены. В этом отношении особое внимание привлекает изучение крепостных стен больших городов Закавказья, и не только их. Выясняется, что впереди крепостных стен г. Ахалкалаки (обращает на себя внимание семантика слова — «новый город») в Грузии имелась невысокая стена — «фасил» по-араб. (ср. греч. «тринкос»). Это еще одно свидетельство высокого уровня фортификационных сооружений городов Закавказья. Имеются интересные сведения и о строении городских стен Ани и Дербента. В частности, по свидетельству арабских и армянских средневековых авторов, в стенах этих городов были устроены церкви и мечети.

Стены города Ани (так называемые «Ашотовы» и «Смбатовы» стены) своим расположением ясно обозначают границы города и позволяют определить размеры территориального роста этой «жемчужины», по определению Н. Я. Марра, на археологической карте Кавказа. В то же время стены Дербента своей «неподвижностью» могли сдерживать территориальный рост города. Однако, как выясняется, заключенная между двумя параллельными стенами площадь города в разные эпохи не всегда была полностью заселена. Но так ли обстояло дело и в изучаемый период — пока что не ясно.

Вначале без крепостных стен функционировали Йазидийа и Ахалкалаки. Но впоследствии и они, по своему значению не входившие в ряд первостепенных городов Закавказья, обзавелись городскими стенами. Второй из них и в условиях недостроенных стен вел борьбу с войсками турок-сельджуков во главе с Алп Арсланом.

Выясняется, что крепостные стены Дербента и Тбилиси были 18—20 м в высоту. Стены такой высоты не составляли исключения на Ближнем Востоке.

Несмотря на противоречивость показаний источников, можно констатировать, что многие города Закавказья были укреплены крепостными стенами; это обстоятельство, в первую очередь, указывает и на экономическую мощь данного общества. Известен случай «наказания» города разрушением его крепостных стен.

Изучение городских ворот выявляет также немало значительных сведений. Одно количество ворот само по себе, разумеется, указывает на величину города, а их наименования — на культурно-экономические связи с другими городами, странами.

В некоторых случаях (например, Ахалкалаки) стены города могли быть и не завершены строительством, но городские ворота уже функционировали; это, прежде всего, объясняется финансово-экономическими интересами — ведь при воротах действовали городские таможни.

Ворота выражали мощь и силу города. Поэтому стремились строить их внушительных размеров и архитектурно величественными. Иногда ворота изготовлялись из чистого железа (Дербент), являвшегося и в этот период ценным материалом. Есть сведения, что его в торговле применяли как меновую стоимость.

Видимо, снятие ворот считалось большим бесчестьем для города и славой для того, кто это делал; только этим и можно объяснить действие грузинского царя, снявшего городские (тоже железные) ворота Ганджи и увезшего их в Грузию, которые и ныне хранятся в Гелати.

Исследователями высказано предположение (И. А. Орбели, В. М. Сысоев), что некоторые рельефные изображения, находившиеся на городских стенах и воротах, являются городским гербом.

Отмечая одну из этимологических значений рабада [«...1) предместье, 2) загон (для скота)»], коротко рассмотрены пути возникновения (около города, крепости) и развития этой существенной части средневекового восточного города, топография самого рабада (базары, культовые здания), факты антагонистических отношений между городом и рабадом (Дербент); описаны базары, торгово-ремесленные дома и ряды, ремесленные мастерские, гостиные дворы (караван-сарай), «торговые места» (базаргах), бани, водопроводы и другие сооружения и здания жилищно-коммунального, хозяйственного, административного, культурного назначения, которые в целом составляли и определяли внешний вид города.

Описывается порт Дербента — один из лучших технических сооружений своего времени на Ближнем Востоке.

Затрагиваются вопросы благоустройства и санитарно-гигиенического положения городов Закавказья.

Внешний вид города в основном определяется его социально-экономическим развитием, степенью выделения сугубо городского хозяйства от сельского; переходный этап отражается и на топографии города. В этом отношении характерно наличие термина «село-град».

Анализируя сведения источников, автором труда выдвинуто предположение, что упоминаемые средневековыми авторами в топографических описаниях городов сельскохозяйственные угодья не всегда находились непосредственно в черте, пределах самого города. Подчеркивается, что глубокое изучение и решение этих вопросов следует проводить в тесной связи с типологическим исследованием городов Закавказья.

Во второй главе — «Ремесленное производство городов Закавказья» — предварительно рассмотрев природные условия (сельскохозяйственное сырье, полезные ископаемые, красители), изучены основные отрасли ремесленного производства.

Главная задача состояла в определении местонахождения в городе ремесленных мастерских; в выявлении характера производства и организации труда; в установлении степени стандартизации и специализации труда ремесленников в условиях феодальной экономики.

Рассматривая текстильное производство, один из массовых и широкораспространенных отраслей вообще средневекового ремесленного производства, в работе дана перечень и характеристика шелковых, шерстяных, льняных тканей и других предметов ткацкого дела.

После краткого рассмотрения путей распространения шелкоткацкого ремесла на Ближнем Востоке и изучения сведений источников, позволяющих иметь определенное представление о местном производстве, сделан вывод о том, что в центрах ремесленного производства Закавказья вырабатывали шелк-сырец и шелковые ткани не только для местного рынка, но и на вывоз.

Данные источников свидетельствуют высокое развитие шерстяного производства. Особенно славилась далеко и за пределами Закавказья продукция армянского ковроткачества.

Развитым центром производства полотняных тканей представляется Дербент. В частности, заслуживает внимания вырабатываемая здесь «бадана», «полотняное полное верхнее платье» (Иби Хаукал, в переводе Н. А. Караулова). В Египте, например, эти раскошные изделия «...сразу же ткали в форме облачения, так что их не нужно было ни кроить ни шить» (А. Мец).

Широкой известностью пользовалась также одежда, изготовленная в Гандже и Хой.

Относительно мало сведений о кожевенном ремесле, но и имеющиеся — вместе с некоторыми косвенными данными — создают определенное мнение о характере и некоторой специализации этой отрасли ремесленного производства.

Привлекают внимание сведения относительно деревообрабатывающего ремесла, мастера которого среди прочих изделий изготавливали также повозки (гардун) для продажи.

Археологический материал (орудия труда, оружие, предметы быта, прикладного искусства и др.) и сведения источников утверждают существование развитого уровня металлообрабатывающего производства. Обнаружены остатки мастерских для плавки металла и изготовления разных металлических изделий. Выясняются явные признаки специализации и в этой области общественного производства как в изготовлении отдельных изделий («тифлисские застежки» кабабиш ат-тифлисийа), так и в более широком масштабе — производстве оружия; специализируются и отдельные города, и сельские местности (Зирих-геран—Кубачи). Имеются сведения о производстве в Азербайджане лезвий саблей, вывозимых на продажу далеко на Север (Гарнати). Рассмотрены условия общественного развития, способствовавшие росту ремесла.

Установлены основные центры стекольного производства (Двин, Рустави и др.), разнообразные способы технологии и художественного оформления (литье в формах, медленное и свободное дутье, гранение и др.), выявлена широкая гамма основных и оттеночных цветов, указано на качество стекла, отмечено освоение технологии искусственного хрусталя. Выяснено более широкое проникновение стекла в быт широких слоев населения.

Археологический материал гончарного производства и количественно и качественно представляется основным источником для изучения характера труда в этой отрасли производства и структуры самой ремесленной мастерской. В этом отношении особенно ценные сведения содержат надписи и клейма, выявленные на керамической продукции мастерских городов Закавказья.

Материал предоставляет возможность изучить техническое оснащение и технологию производства, выявить как общие признаки, так и присущие только одному центру характерные черты гончарного ремесла.

В работе дана характеристика неполивной и поливной, разнообразной и по назначению (посуда, тара, строительная керамика) и по технологическому процессу, а также по художественному оформлению, керамики.

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ბბპარი 113
აზერბაიჯანი 4, 23, 32, 51, 62, 77, 82, 96, 101, 144, 159
აზია დასავლეთი 87
  მცირე 57, 99
  შუა 61, 87. 93, 98, 125, 128, 132, 147, 174
  წინა 123
ალაჯა იხ. ანისის ღელე
ალ-ბაბი იხ. დარუბანდი
ალბანეთი 119, 168, 169
ალ-ლანი 72
ალუშტი 169
ამიერკავკასია 3—8, 11, 16, 18, 19, 21—26, 29, 36, 39, 43, 44, 47, 48. 49, 50, 51, 56—57, 59, 61, 63, 64, 69, 72,—74. 77, 81—89, 92, 93, 95—100, 108, 110—113, 117, 119—121, 123, 126—127, 129—134, 137, 138, 141, 144, 146, 152, 153, 160—162, 164. 168, 173, 174, 176, 178, 181, 185, 187, 189, 190
ამული 87
ანბერდი 126, 138, 162. 174, 175.
ანდალუზია 72
ანისი 8—10, 15, 26, 27, 31, 32, 34, 36—39, 46—48, 53—58, 62—72, 94, 104, 105, 108. 110, 116, 117, 121, 123, 124, 126, 132, 134, 137, 138, 145, 148, 153—155, 159, 168, 172, 174, 175. 179, 185—187
ანისის სამეფო 8, 9
ანისის ღელე 8, 69
ანტიოქია 27
არაგვი 6
არანი 6, 80, 96, 118
არაქსი იხ. არეზი
არდაველი იხ. არდებილი
არდებილი 22, 32, 35, 42, 43, 51, 59, 62, 69, 75, 76, 92, 105, 107, 164, 181
არეზი 8, 22, 78, 118
არზანი 52
არზან ალ-რუმი იხ. არზრუმი
არზან რუმი იხ. არზრუმი
არზრუმი 67, 85, 106, 109
არმენია იხ. არმინია
არმინია 14—16, 61, 84, 96
არპა-ჩაი იხ. ახურიანი
არტანი 20
არტანი (თიანეთთან) 52
არტანუჯი 8, 10, 42, 61
არშარუნიკი 9
არწნი 29. 58
ასიეტი 98
ატენი 25, 54, 185
აფხაზეთი 61
აღმოსავლეთი ახლო
  (მახლობელი) 8, 32, 64, 74, 87, 136, 155, 157, 160, 161, 176, 187, 188
  შორეული 154, 155
  შუა 176
ახალქალაქი 20, 29—31. 38, 54, 62, 63, 72, 115, 136—138, 156, 186, 187
ახალციხე 70
ახლათი იხ. ხლათი
ახურიანი 8, 48, 72

ბაბ ალ-აბვაბი იხ. დარუბანდი
ბაბ ალ-ლანი 72
ბაღლისი 22, 71
ბათუმი 155
ბაილაყანი 14, 15, 33, 35, 36, 57—60, 62, 63. 67, 68, 71, 72, 76, 83, 89, 99, 108, 115, 121, 126—128, 130, 132—136, 138—144, 148, 150—153, 157—162, 164—166, 169, 170, 174—176, 185

ბაიჯან ჭურდი 15
ბალუ 15
ბარდავი 22, 33, 37, 43, 45, 51, 52, 57, 59, 75, 80, 89—91, 164
„ბარდავის ქვეყანა“ 80
ბარჩანდი 95
ბაქო 23, 39, 50, 57, 71, 83—86, 101, 123, 126, 162, 174
ბაღდადი 58, 76, 92, 94, 181
ბეირუთი 74
Белозерье 113
ბინანტია 87, 92, 93
ბნელეთის ზღვა 111
„ბოლნისის ქვეყანა“, 108
„ბულღართა ქვეყანა“ 98
ბულღარი 111, 113
ბუხარა 27

განძა 13, 24, 32, 33, 35, 37, 38, 41, 55, 59, 60, 65, 66, 71, 83, 89, 91, 92, 95, 96, 121, 132, 134, 137, 138, 142, 144, 153, 158, 163, 174, 175, 187, 189
გარნისი 132, 174
განჯა იხ. განძა
განჯა-ჩაი 13
გაჩიანი 20
გეგუთი 69, 164, 172
გელათი 38, 66, 187
გერმანია 181
გონიო 155
გორი 138
გრემი 54
გუდარეხი 156
გურგანი 87

დაბილი იხ. დვინი
დაბიული 95
დაეინი იხ. დვინი
დაილამი იხ. დეილემი
დამასკო 59
დარა 42
დარუბანდი 11—13, 18, 25—28, 32, 34, 35, 37, 39, 43—45, 47, 52, 57, 59 — 61, 71, 72, 73, 75, 76, 84, 92, 95, 96, 100, 101, 103, 111, 112, 115, 151, 186—189
დარუბანდის საამირო 25
დაღესტანი 118
დვინი 21, 22, 32, 35, 37, 43, 45, 47, 49, 51, 59, 70, 90, 93, 95, 97, 115, 120, 123, 125, 126, 128—130, 132, 137, 138, 154, 162, 164, 174—177, 189
დერბენტი იხ. დარუბანდი
დეშთ-ი ყიფჩაყ იხ. „ყივჩაყთა ველი“
დიზბარი 83
დმანისი 46, 54, 68, 93, 120, 126, 127, 137, 138, 147, 150, 153, 154, 156, 158, 159, 165, 166, 169, 174, 175
დუმიატ 75
დუნაისარი 42

ეგვიპტე 87, 95, 96, 98, 127, 136, 189
ევროპა 93
ევფრატი 24, 62
ელარბინი 40
ერაყი 127
ერევანი 22, 180
ესპანეთი 93
ეჩმიაძინი 138

ვანი 97
ვანის ტბა 83, 127
ვარავი 61
ვარსანი 33, 45, 51
ვარძია 138
ვიატკა 117
Вису (ქვეყანა) 113
ვოლგისპირეთი 98, 174

ზენჯანი 49, 113
ზვარტნოცი 169
ზირიჰგერანი 92, 112, 118, 151, 174, 189
ზურტაკეტი 54

თავრეჟი იხ. თავრიზი
თავრიზი 32, 42, 45, 49, 52, 63—65, 68, 77, 78, 80, 92, 93, 97, 104, 105, 113, 164, 181
თბილისი 11, 14—16, 20, 22, 24, 26, 31, 32, 37, 49, 57, 58, 60, 62, 67, 68, 73, 76, 77, 99, 103, 104, 109, 120, 124, 126, 127, 132, 135, 137, 138, 145, 146, 153, 156, 158, 159,

162, 163, 166, 167, 170, 174, 175, 179, 187
თერგი (?) 72
თიანეთი 52
თიბრიზი იხ. თავრიზი
თინისი 54
თურქეთი 8
თრიალეთი 29

იაზიდია 14, 18, 24, 25, 29, 185, 187
იბერია 61
ისპაანი 59, 98, 113, 115
ირანი 67, 93, 95, 123, 142, 155, 159, 161
ითილი 61, 73, 164, 174
იფრიკია 75
ალ-იაზიდია იხ. იაზიდია
ციურა 111

კაბანი 83
კავკასია 8, 12, 72, 95, 119, 126, 154, 186
მთიანი 93
ჩრდილოეთი 88
კავკასიონი 11, 12, 126
კაირო 29, 98, 136
კალი კალა იხ. ყალიყალა
კარი 20
კარსი იხ. ყარსი
კასპი 20
კასპიის ზღვა 11, 73—75, 84, 111
კასპიისპირეთი 87
კახეთი 20, 148, 167
კიატი 76
კლარჯეთი 7
კონსტანტინოპოლი 74, 75

ლაზთა ქვეყანა 9
ალ-ლანი 100, 150
ლიზანი 17

მადინა 45
მაიაფარიყინი 17, 41,
მაციაფარიყინი იხ. მაიაფარიყინი
მაიკოპი 118
მალუ 25
მანაზკერტი 22
მანგლისი 68
მარანდი 22, 34, 35, 43, 83, 84, 95
მარაღა 22, 32, 43, 49, 50, 57, 59, 66, 79, 83, 185
მარდინი 42
მარტიროპოლი იხ. მაიაფარიყინი
მაჯარი 138
ალ-მაჰდიდია 75
მერვი 34
მესოპოტამია 130, 136, 156, 174
მინგეჩაური 88, 107, 126, 127, 137, 173, 174
მიჰიფარიკი 14, 25, 185
მოსული 62, 119
მრენი 169
მტკვარი 6, 16, 62, 118
მუღანი ქ. 80
მუღანი 72
მცხეთა 6, 7, 8, 10, 40—42, 45, 54, 59, 67, 120, 163, 170, 185

ნადარბაზევი 69, 122, 138, 170
ნავარინი 22, 45
ნავდიზი 42, 83
ნასა 100
ნაყჯევანი იხ. ნახჭევანი
ნახჯევანი იხ. ნახჭევანი
ნახჭევანი 23, 33, 46, 54, 60, 64, 78, 83, 92, 97, 107
ნელქარი 20
ნიკორწმინდა 174
ნილოსი 75
ნისიბინი 42
ნოვგოროდი 28

ოზაანი 167
ოლთისი 15, 16
ორბეთი 120, 126
ორდუბადი 83
ორენ-კალა (ორენ-ყალა) იხ. ბაილაყანი
ოღუზლე 169

პალესტინა 174
პართიის სახელმწიფო 87
Приладожье Восточное 113

ჟინვალი 127

რაკა 62
ალ-რანი 82
რეი 126, 154

რუმი 24, 90, 92
რუსეთი 10, 102, 103, 113, 123, 147, 180
რუსთავი 120—122, 125, 126, 137, 139, 149, 156, 158, 159, 165, 166, 169, 173—175, 189
რუსთავი კუხეთის 156

სათაკეე ტბა 102
სალმასი 63
სამარა 76, 126, 130, 132, 136
სამარყანდი 42
სამეგრელო 109
სარირი 100, 103, 107
სარმინი 29
სასანელთა სახელმწიფო 119
საფურცლე 40
საქართველო 3, 4, 16, 26, 29—32, 38, 40, 48, 56, 60, 66, 67, 72, 86, 87, 89. 99, 102, 107, 108, 117, 122, 125, 126, 155—157, 161—163, 165, 166, 168—171, 174, 178, 180, 186, 187
სეუტი 98
სირია 37, 61, 126, 127, 174
სომხეთი 3, 5, 8, 17, 22, 29, 32, 39, 66, 68, 76, 85, 87, 94, 97, 98, 117, 119, 120, 126, 127, 161, 168, 175, 177, 179
სომხითი 100
სოღდი 88
სოხუმი 156
სპარსეთი 55, 99, 126, 146
სუმაისატი 24
სუნბათმანი 32
სურახანა 50
სურმარი 41, 104
სხალტბა 69
სხალტბის ქდ. 70

ტაბარისთანი 87, 111
ტიგრანაკერტი 17, 18
ტიგროსი 62
ტირი 74
ტინისი 96
ტირიტაკა 126
ტრაპეზუნტი 61
ტრიპოლი 75
ტუღათი 16

ულთა 15
ურარტუ 146
ურბნისი 126
ურმია 22, 45, 58
ურმიის ტბა 83
უშნუ 52
უჩანი 68
უჯანი 51
უჯარმა 46, 138, 149, 156

ფაიქენდი 28
ფარაენა 54
ფარსი 72
ფახელანი 171
ფინიკია 87
ფოთი 117
ფრანკფურტი 181
ალ-ფურათი იხ. ევფრატი

ქაზნა 50, 64
ქართლი 67, 170
ქერსონესი 169
ქაშანი 159
ქინძარა 40
ქიში 42
ქუთაისი 164
ქუფა 59

ღართა 40

ყაბალა 22, 45, 93, 138, 169
ყაზახი 62
ყალიყალა 32, 39, 97
ყანდარია 43, 45
ყარსი 8, 93, 104
„ყივჩაყთა ველი“ 100
ყირიმი 137, 174
ყუბაჩი იხ. ზირიჰგერანი

შაბარანი 18, 22, 29, 33, 50, 63, 71, 93, 138, 144
შაბურანი იხ. შაბარანი
შაბერანი იხ. შაბარანი
შავიზღვისპირეთი (ჩრდილოეთი) 169
შამახია იხ. შემახა
შამქორი 33, 95, 109
შარვანი (შირვანი) 17, 18, 24, 55
შაჟი 101
შიზი 49, 82

შირაზი 99
შიომღვიმე 70, 149
შირაკი 117
შეიზარი 29
შემახა 17, 18, 33, 88, 93, 119, 164

ჩერქეზთა ქვეყანა 95
ჩინეთი 87, 154, 163
ჩმა 126

ცხენისწყალი 106

წალენჯიხა 171
წაღელისთავი 65
წუნდა 20

ხაზართა სამეფო 164
ხევსურეთი 109
ხვარაზმი 76
ხილატი იხ. ხლათი
ხლათი 33, 46, 58, 67, 71, 105, 111, 149, 150
ხოი 92, 96, 189
ხუზისთანი 87
ხუნანთა (?) 24
ხუნანი 20, 24
ხუნაკი 61
ხურასანი 82
ხურსანი 82

ჯავახეთი 20, 29, 55
ჯაზირა 42, 59
ჯანბადაკი 22
ჯანზა იხ. განძა
ჯეიპუნი 30
ჯიბალი 111
ჯუბანთა 24
ჯურჯანი 111

ჰამაღანი 39
ჰარავა 29
ჰერათი 178
ჰიმსი 59.

შინაარსი

შესავალი 3

პირველი თავი

ამიერკავკასიის ქალაქების გარეგანი სახე . 5

მეორე თავი

ამიერკავკასიის ქალაქების ხელოსნური წარმოება . 82

შემოკლებანი . . 183

Резюме 185

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი . . 191

ПАВЕЛ АМБАКОВИЧ ТОПУРИА

ГОРОДА ЗАКАВКАЗЬЯ
X — первая четверть XIII в.
(Внешний вид. Ремесленное производство)

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1985

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•

სბ 2507

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი კ. კუცია
ისტ. მეცნ. კანდ. გ. ბერაძე

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა

გადაეცა წარმოებას 6.3.1984; ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.3.1984;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16. ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 12.5; სააღ-
რიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11.0;
უე 01461; ტირაჟი 1400. შეკვეთა № 308;

ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19